კვირის პალიტრა

გზა

N8 (298) 23/II-1/III.2006.

ფასი 60 თ.

ამპლუა —
დეპარდიეს რესტორანი პარიზში და ქართველების მირთმეული დიდი ყანწი



სასიძო —
ანრი ჯოხაძე

...ამ ...ბ...ლ...ბ...ლ...ბ...ლ

№4(116) 16.II–1.III.2006

ოჯახის ჟურნალი

ფასი 70 თეთრი

საშვილოსნოს ყელის ონკოლოგიური პრობლემები

ყბაყურა

როდის სჭირდება პატარას მასაჟი

ახალშობილთა სეფსისი

მთავარი თემა: ნევრიტები

რა ელით პენსიონერებს?

თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის

№8 (298)
23 თებერვალი – 1 მარტი 2006
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
ევროპული ყაიდის აგიური პარლამენტი ანუ საჭირო და სასაცილო კანონები 3
ერთი კითხვა 4
პოლიტიკა
„დაპარგულ ტერიტორიებს დავიბრუნებთ, მაგრამ რა სტატუსით – ამას ვერ გეტყვით“ 5
ეკონომიკა
სამომხმარებლო კალათა, ინფლაციის მაჩვენებლები და რას გვატყუებს ოფიციალური სტატისტიკა 7
ნათლია
„ჩემი ნათლულების რიცხვმა 30-ს გადააჭარბა“ 10
ამპლუა
დეპარდიეს რესტორანი პარიზში, ფრანგული ღვინო და ვარსკვლავისთვის მირთმეული დიდი ყანწი 11
ადამიანი
დამშვიდობება ტრამვაისთან და პირველი ქართველი ვატმანი ქალი 12
კრიმინალი
- „ყელში რაღაც მომაწვა... ვიგრძენი, რომ თავს ვეღარ ვაკონტროლებდი“ 14
- არასრულწლოვანი მონსტრები 16
გზავნილები
„შვილს ალიმენტი დავაკისრე“ ანუ ოჯახური პრობლემა ყველას აქვს 17
სამშობლო
„...მე ვარ დაჭრილი, მაგრამ ნეტავ, ის როგორ არის?..“ 20
იმიგრანტები
რესპუბლიკური ესპანეთის შვილები, რომლებიც ერთმა დიქტატორმა მეორეს „დაუთმო“... 25
შეამოწმეთ თქვენი ცოდნა
ტესტი ერუდიციაზე 27
ეკრანს მიღმა
მთელი გუნდი – გვიოს სანაცვლოდ? 28
სახე
„საპნის“ ჩაშლილი გადაღება, „სამაია“ პარტნიორების გარეშე და პირველი კომედიური როლი 30
რეკორდები
ყველაზე მაღლები, ყველაზე ნორჩები, ყველაზე იღბლიანები... 32

„...მე ვარ დაჭრილი, მაგრამ ნეტავ, ის როგორ არის?..“

„ჩვენ დავდივართ, ჩვენს საკითხებელს ვაკეთებთ, რაღაც ბილიკები გაგვყავს, მაგრამ ეს ურთიერთობა იქაურმა და აქაურმა ლიდერებმა უნდა გამოიყენონ. ამავე დროს, საუბედუროდ, კეთდება ის, რაც სხვას აინტერესებს – ვთქვათ, ყველაზე აგრესიულ რუს პოლიტიკოსებს. სხვის გასახარელ საქმეს არ უნდა ვაკეთებდეთ ქართველები და აფხაზები“.

20

დეპარდიეს რესტორანი პარიზში და ვარსკვლავისთვის მირთმეული დიდი ყანწი

„ბოლოს, საფრანგეთში რომ ვიყავი ჩასული, პირადად შევხვდი დეპარდიეს. ძალიან ბევრ საინტერესო თემაზე ვისაუბრეთ. ჩვენ გვყავს ფრანგი პარტნიორები, რომლებიც ჩვენსა და დეპარდიეს შორის ასორციელებენ მიმოწერას, ინფორმაციის გაცვლას. დეტალები კი, უკვე ჩვენი შესვედრის დროს დავაზუსტეთ“.

11

„...მისი „გამოთლა“ არ უნდა დაჭირდეს“

„ზოგს უხეშად ვიშორებ, ზოგს თბილად ვპასუხობ, ზოგიერთს კი, მეგობრებს გადავაბარებ ხოლმე... ჩემთვის ასაკს მნიშვნელობა არა აქვს. თუ ქალი შემეფერება, თუნდაც, ასაკით უფროსი იყოს, შესაძლოა, სიგიჟემდე შემიყვარდეს“.

56

„საპნის“ ჩაშლილი გადაღება...

„არც მე და არც ჩემს ტყუპისცალ ძმას თავიდან, მსახიობობა არც გვიფიქრია. უბრალოდ, როგორც ყველა ბავშვს, ჩვენც თანატოლებთან ერთად, ზაფხულში აგარაკზე დასასვენებლად მყოფებს, არაერთხელ დაგვიდგამს და გვითამაშია სპექტაკლი“.

30

ბესტსელერი

შიო გვეტაძე. მონანიება (დასაწყისი) 34

ჯანმრთელობა

- როგორ დავამგაღოთ კანის კოსმეტიკური საცხები შინ 38
- როგორ შევაჩეროთ არტერიული ჰიპერტონია 38

ტაძარი

დღესასწაული ივერიის ღვთისმშობლის ხატისა 40

კვალი

მარო მაყაშვილთან ერთად დასამარებული თავისუფლება 41

ასპარეზი

ვლადიმერ ისელიძე – კაპიტანი, რომელიც უკან არც წყალში იხევდა და არც ხმელეთზე 43

ნამდვილი ამბავი

ტყუპი დის ოინები 47

ვარსკვლავები

ნიკოლ კიდმანის სულიერი დრამა ანუ რა შეუძლია მიტოვებულ ქალს 48

ანტიდეპრესანტი

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 50

ბომონდი 51

რომანი

რუსუდან ბერიძე. თქეში (გაგრძელება) 52

სასიძო

ანრი ჯოხაძე: „...მისი „ბამოთლა“ არ უნდა დამჭირდეს“ 56

სპორტული მოზაიკა 58

ავტო 60

სკანვორდი 61

იუმორი 62

ტესტი

თქვენი კომპლექსები 63

...და ბოლოს 64

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: მათე კბილაძე

მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com

ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

მარო მაყაშვილთან ერთად დასამარებული თავისუფლება

ათეულობით წლების მანძილზე, ამ თემას ტაბუ ჰქონდა დადებული. სასტიკად იკრძალებოდა იმ გმირთა სახელების ხსენება, რომლებიც 1921 წლის თებერვლის მოვლენებს შეეწირნენ. პირველი მსხვერპლი, 18 წლის მარო მაყაშვილის სიცოცხლე აღმოჩნდა. მისი დაღუპვა მხოლოდ ერთი ოჯახის ტრაგედია როდი გახლდათ.

41

კაპიტანი, რომელიც უკან არც წყალში იხევდა და არც ხმელეთზე

„საპასუხოდ, სკოკს იდაყვი მივარტყი, რამაც ჩვენ შორის სერიოზული შეხლა-შემოხლა გამოიწვია და მოსკოველს ვუთხარი – წამოდი, პირველი ტაიმის შემდეგ, ერთი ერთზე ვიჩხუბოთ-მეთქი. მაგრამ ტაიმის დასრულებისას, ის სკამიდან არ ამდგარა... თამაშის დამთავრებას აღარ დავლოდებივარ...“

43

Playboy- მ ჯესიკა ალბა საუკეთესოთა შორის საუკეთესოდ აღიარა

მამაკაცთა პოპულარული ჟურნალის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით შედგენილ სიაში ჰოლი ბერი, პამელა ანდერსონი, კარმენ ელექტრა და ჯენიფერ ენისტონიც მოხვდნენ. უკვე ჩამოყალიბებული ტრადიციის თანახმად, ჯესიკა ალბას საკმაოდ თამამი ფოტოსურათები ჟურნალის პირველ გვერდზე გამოქვეყნდება...

51

მონანიება

– ბოდიშს ვიხდი, ბატონო პავლე. მილიციის საქალაქო განყოფილების უფროსმა დამირეკა: წუხელ, ღამის 4 საათზე, უცნობ პირებს ქირურგი გრძელიძე ავადმყოფთან მიუწვევიათ, სახლიდან გამოსვლისთანავე, თვალები აუხვევიათ და ახლა, სულ რაღაც ნახევარი საათის წინ, ისევ თვალახვეული ჩამოუსვამთ ქუჩაში, – სხაპასხუპით უპასუხა მინდელმა.

34

ევროპული ყაიდის აზიური პარლამენტი

ანუ საჭირო და სასაცილო ყანონები

რამდენიც უნდა ლანძღო და აკრიტიკო, სიმართლეს ვერ გაექცევი — ასეთი ქმედუნარიანი და შრომასმოწყურებული პარლამენტი ჯერ არ გვყოლია. არდადეგები ჰქონდეთ დეპუტატებს და მაინც დადიოდნენ პარლამენტში, რომელ ქვეყანას მოსწრებია?! ხოლო, გაიხსნა თუ არა საგაზაფხულო სესია, სეტყვასავით დააყარეს ახალი კანონპროექტების განხილვა-დამტკიცება. თანაც, ისე კარგად ითვალისწინებენ საქართველოს ევროაზიურ ადგილმდებარეობას, რომ ევროპულ კანონებსაც იღებენ და აზიურსაც.

ქალბატონ დეპუტატებს ახალი აზიური კანონი მინი და დეკოლტეიანი კაბებით მოსვლას უკრძალავს. აბსოლუტურად ვეთანხმები ჩემს „თანასქესელ“ დეპუტატებს — კაცი ხარ და ვიზუალური ჰარმონია სამსახურშიც გჭირდება. არადა, რას ჰგავდა ეს ყველაფერი აქამდე? ზოგს ზედმეტად ბევრი ეცვა, ზოგს — პირიქით, ზედმეტად ცოტა. მაგრამ საქმეც ისაა, რომ ვისაც ღია და მოხდილი ჩაცმულობა მოუხდებოდა, იმას ხშირად იმდენი ეცვა, რომ მკერდი კი არა, ყურებიც ძლივს უჩანდა და — პირიქით.

ხოლო თუ ისე დაემთხვეოდა, რომ ფიზიკურ მომხიბვლელობას თამამი და სექსუალური ჩაცმულობაც ემატებოდა, სულ თავდაყირა დგებოდა ყველაფერი: წარმოიდგინეთ, რომ ის ქალი მოწინააღმდეგე ფრაქციაშია და მეორე დღეს გინდა გააცამტვერო იმ ფრაქციის საქმიანობა; მოდიხარ პარლამენტში და ხედავ „დარტყმის ობიექტს“ — გაზაფხულის კვირტივით „აფეთქებულსა და კაბაშემოხეულს“ — უცებ, მისი ტყვე ხდები, მუნჯდები და პოლიტიკურ კურსსაც ღალატობ. ახლა კი ბოლო მოეღო ამ უსამართლობას, დაიბარეს კინოფილმ „სიყვარული ყველას უნდას“ მკერავი მაყვალა და ყველა ქალბატონს ერთნაირი, „ამაი საყელოი და სახელოი კაბა შაუკერეს“...

ამ აზიური კანონის „დასაბალანსებლად“ არც ევროპული სითამამისა და დასავლური თავისუფლების კანონპროექტმა დააყოვნა და განსახილველად დაიდო საკითხი სექსუალური პარტნიორის არჩევის თავისუფლებაზე. ანუ, თუ ქმარს ცოლი და პირიქით, ცოლს ქმარი მთლად ვერ უვსებს სექსუალური მოთხოვნილებებისა და ფანტაზიების „უძირო ქვევრს“, შეუძლია მოხალისე პარტნიორის ან პარტნიორების დახმარებით ისარგებლოს.

დედააა!.. იქ ამბავი ატყდა?! რომ იტყვიან, „თევდორაძე კალანდაძეს არ აიყვანდა ხელში!..“ ჯერ ბევრი იცინეს, რატომაც არაო; მერე ალბათ, საკუთარი პოტენცია და პერსპექტივა წარმოიდგინეს და ბევრმა აზრიც რადიკალურად შეიცვალა. ერთი ღვაწლმოსილი დეპუტატისა არ იყოს, თუ ქმარი ცოლისთვის პარტნიორი არაა, აბა, კიტრია?!

ერთი შეხედვით, არ შეიძლება არ დაეთანხმო, მაგრამ ისიც ხომ სიმართლეა, რომ თუ ცოლს პარტნიორ(ებ)ი აქამდე მხოლოდ იმიტომ არ ჰყავდა, რომ ამის იურიდიული უფლება არ ჰქონდა, ქმარი ისედაც „კიტრი“ ყოფილა და რა მნიშვნელობა აქვს, დე იურე საყვარელი ეყოლება თუ მხოლოდ დე ფაქტო?!

მე თუ მკითხავთ, ამ კანონის საჭიროებაში უფრო ღრმა მიზეზიც არსებობს და სწორედ ამიტომ დადგა ეს საკითხი მაშინ, როცა კიდევ ერთხელ გართულდა ურთიერთობები რუსეთთან: აქ, ქვეყნის მიერ სასურველი პარტნიორის არჩევაზეა საუბარი და სწორიცაა: ამდენი ხანია, ძალად „შემოტენილი“ პარტნიორი (ამ სიტყვის პოლიტიკური და სექსუალური გაგებით) გვყავს რუსეთის სახით და აგერ 200 წელზე მეტია „გვპარტნიორობს“. ბოლო-ბოლო, ამოვიდა ყელში ორსაუკუნოვანი ერთფეროვნება, თანაც არც ისაა სასიამოვნო, „პარტნიორს“ მუდამ არყის ოხშივარი რომ ასდის.

თუ მართლა ასეთი უმწეო და უპატრონო ქალივით ქვეყანა ვართ და მაინცდამაინც ვიღაც „პარტნიორის“ ხელში უნდა ვიყოთ, აწი, ისეთი პარტნიორი ავირჩიოთ, ვინც ჩაგვაცვამს და დაგვახურავს მაინც და ბოლო-ბოლო, ვის ხელშიც „ქალად ვიგრძნობთ თავს“ — რავა, მთხოვნელები არ გვყავს, თუ რა?!

P.S. *სამსახურიდან დაბრუნებული ქმარი შედის საძინებელში და ხედავს, ცოლი ვიღაც კაცთან წევს.*

— ვინაა, ქალო, ეს კაცი?!

— ეს ჩემი პარტნიორია.

— აბა, მე ვინ ვარ, კიტრი?!

— არა, ძვირფასო, კიტრიც ეს არის. შენ უკვე პიკული ხარ...

პროვოკატორი

ცივი ომი ახალ ფაზაში შევიდა

— სააკაშვილის ლიკვიდაციისკენ სატელევიზიო მოწოდებისა და რუსეთის პოლიტოლოგისგან ქართველი კოლეგების მიმართ ბოიკოტის მომსწრენი უკვე გავხდით. რა იქნება ამის შემდეგ?

კოტე გაბაშვილი, *საგარეო ურთიერთობათა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე:*

— როცა რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის მრჩეველი ცენტრალური ტელეარხით აცხადებს — ერთი ტყვიის ფასი ბევრად ნაკლებია, ვიდრე ომის წარმოება, ამიტომ სააკაშვილი უნდა მოვკლათო, — ამაზე უარესი რაღა შეიძლება იყოს?! მეგობარი ქვეყნების პარლამენტებს ჩვენი სახელით გავუგზავნით აღშფოთების და შეშფოთების დოკუმენტს და კიდევ ერთხელ დავანახვებთ, თუ ვისთან აქვთ საქმე და რას წარმოადგენს ის სახელმწიფო, რომელიც დიდ შვიდეულს მერვე წევრად შეემატა. ეს რეაქცია მოსალოდნელიც იყო: რუსი შეეცდება ყველა მეთოდით, მათ შორის, ძალის დემონსტრირებით შეინარჩუნოს საკუთარი კონტინგენტი კონფლიქტის ზონებში, მაგრამ რუსი სამშვიდობოები ცხინვალის რეგიონს აუცილებლად დატოვებენ. დღეს, თავად რუსეთია აგონიაში. მისი ხელმძღვანელები ქართველ პოლიტიკოსებთან შეხვედრაზე აღარ თანხმდებიან. მაგრამ პაუზა ამ შემთხვევაში, მათ სასარგებლოდ ვერ იმუშავებს. თუ არ უნდათ საუბარი და დიპლომატიური მოლაპარაკებები, — მათი ნებაა, მაგრამ სიხისტე და აგრესია, შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალი არ არის. საქართველოს არ ჰყავს ისეთი ხელისუფლება, რომელსაც მუშტის მოღერებით შეაშინებ. ეს რუსულ-ქართული ურთიერთობის განვლილი ეტაპია. საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომელსაც ნებისმიერი პროვოკაციის მიუხედავად, სისრულეში მოვიყვანთ. ■

„დარწმუნებული ვარ... პრეზიდენტი უკან დაიხევს“

— რესპუბლიკური პარტია პარალელური სტრუქტურების შექმნას იწყებს. ხელისუფლება კი კვლავ აცხადებს, რომ ქვეყანაში ოპოზიციური სპექტრი არ არსებობს და დროს ტყუილად ხარჯავთ...

ლევან ბერძენიშვილი, *რესპუბლიკური პარტიის წევრი:*

— არაკვალიფიციური მთავრობა პოლიტიზებული ბიუროკრატია, გათავხედებული ძალოვნები და კორუმპირებული ფავორიტები — ეს არის სააკაშვილის მმართველობის ძირითადი „მონაპოვარი“, რასაც დროა, სერიოზულად დავუპირისპირდეთ. უნდა შეიქმნას პარალელური სტრუქტურები, როცა იმუშავებს ოპოზიციური სახალხო დამცველი, ოპოზიციური კონტროლის პალატა და ოპოზიციური საკონსტიტუციო სასამართლო, — ეს უკვე მნიშვნელოვანი განაცხადი იქნება. ჩვენ გვაქვს წინასწარი ცნობა, რომ ამ სტრუქტურების შექმნაში სხვა პარტიებიც შემოგვიერთდებიან. პრეზიდენტმა სააკაშვილმა პოლიტიკური და ემოციური პოტენციალის უდიდესი ნაწილი გაფლანგა ტკბობაში, პირად ანგარიშსწორებაში, საკუთარი თავისთვის ადმინისტრაციული და ფინანსური გარანტიების შექმნაში. დღეს აცხადებს, რომ ყველგან ყველაფერი კარგად არის. რეალურად კი, ქვეყანაში, პრეზიდენტისა და მისი გარემოცვის გარდა, კმაყოფილი არავინაა. სამწუხაროა, რომ ის ვერ გამოეთიშა საარჩევნო კამპანიაში მონაწილის როლს. პირდაპირ ქუჩაში ხოცავენ ხალხს. ამას სპეცოპერაციას უწოდებენ და შემსრულებლებს გმირებად წარმოაჩენენ!.. უახლოეს მომავალში მოსალოდნელია თავდასხმები როგორც მასმედიაზე, ისე არასამთავრობო ორგანიზაციებზეც. ამ ყველაფერს პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება ხომ უნდა მიეცეს?! დარწმუნებული ვარ თუ ისე განვითარდა პროცესები, როგორც „რესპუბლიკელები“ ვვარაუდობთ, პრეზიდენტი უკან დაიხევს. ■

„გაზაფხულის დადგომასთან ერთად, რისკი კიდევ უფრო გაიზრდება“

— გაზაფხულის მოახლოებასთან ერთად, საქართველოში ქათმის გრიპის შემოსვლის რისკი იზრდება. იმასაც ამბობენ, რომ ერთი შემთხვევა უკვე დაფიქსირდა, მაგრამ არ ახმაურებენო...

პაატა ივნაძე, *დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი:*

— საქართველოში არც ერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა. ამის შესახებ ჩვენ აუცილებლად გვექნებოდა ინფორმაცია. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ქათმის გრიპი, სომხეთის გარდა, ყველა ჩვენს მეზობელ ქვეყანაშია აღმოჩენილი, ნებისმიერ დღეს შესაძლებელია ეს ინფექციური დაავადება საქართველოშიც დაფიქსირდეს. გაზაფხულის დადგომასთან ერთად, რისკი კიდევ უფრო გაიზრდება გადამფრენი ფრინველების გამო. განსაკუთრებულ საშიშროებას ქმნიან გარეული იხვები და ბატები — ისინი ვირუსის რეზერვუარს წარმოადგენენ. დაავადების გავრცელებას უმეტესად, შინაურ ფრინველებთან ბატების ან იხვების კოტაქტი იწვევს. საქართველოში ძირითად პრობლემას წარმოადგენს წვრილი მეურნეობები, სადაც გლეხები ვერ ახერხებენ, რომ შინაური ფრინველები გარემოსთან კონტაქტს მოარიდონ და ჩაკეტილ სივრცეში ამყოფონ. თუმცა, ჩვენი მოსახლეობის უმეტესმა ნაწილმა, ხელისუფლების მითითების გარეშე მიიღო გადაწყვეტილება და ზოგან, თავად დაიწყეს ფრინველის დახოცვა. ბუნებრივია, ეს საშიში ინფექციის გავრცელების შესაძლებლობას ამცირებს, მაგრამ გრიპის შემოსვლის შესაძლებლობა დღითი დღე იზრდება, ეს მსოფლიო პრობლემაა. ■

ურთიერთობები ჩრდილოელ მეზობელთან სულ უფრო მწვავდება. გახშირდა ერთმანეთის მიმართ ნათქვამი მწვავე განცხადება, დიპლომატიური სანქცია, პროვოკაცია კონფლიქტის ზონაში. ყოველივე ეს, საზოგადოებას საფუძველს აძლევს იფიქროს, რომ მდგომარეობას შესაძლოა, ღია კონფრონტაციაც კი მოჰყვეს, რაც, პირდაპირ რომ ვთქვათ, იმას ნიშნავს, რომ „ცივი ომი“ „ცხელში“ გადაიზარდოს... ბუნებრივია, ამ სიტუაციაში, დამაიმედებელ პროგნოზებს პროფესიონალი პოლიტოლოგებისგან ველოდებით, რომლებიც არანაკლებ რთულ მდგომარეობაში იმყოფებიან: მართლაც, ძალზე ძნელია, ყველა — საშინაო თუ საერთაშორისო ფაქტორის ზუსტად აწონ-დაწონა და მათი შეჯერება-გაანალიზებით, მაქსიმალურად რეალური ვარაუდების გამოთქმა. ამჯერად, ეს, ბატონ სოსო ცინცაძეს ვთხოვეთ.

„დაკარგულ ტერიტორიებს დავიბრუნებთ, მაგრამ რა სტატუსით — ამას ვერ გეტყვით“

თამარ როსტიაშვილი

— დღეს საზოგადოებაში მუსირებს აზრი, რომ შესაძლოა, რუსეთთან ომი დაიწყოს. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი პუტინი, რომელიც ახალგაზრდაა და მშვენიერ სპორტულ ფორმაში იმყოფება, პრეზიდენტობიდან მეხუთე-მეექვსე წელსაც, საკუთარ ქვეყანაში კვლავ მაღალ რეიტინგს ინარჩუნებს. მაგრამ ის თავისსავე განცხადების „მძევალია“: მან თქვა, რომ მესამე ვადით საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭს აღარ იყრის... ვფიქრობ, რომ ხელოვნურად შეიქმნება სიტუაცია, რომელიც პუტინს „აიძულებს“, პრეზიდენტობის „მესამე წრეზე“ წავიდეს. ამგვარი სიტუაციის

ცხინვალის რეგიონში ნერვების ომია გაჩაღებული; ვისაც პირველად უმტყუნებს ნერვები — რუსი იქნება ეს, ოსი თუ ქართველი, — ის დამარცხდება

შესაქმნელად, ხელსაყრელია ომი რომელიმე მეზობელ სახელმწიფოსთან. ომი თუ არა, მცირე შეიარაღებული კონფლიქტი მაინც, ხანმოკლე — თავისი აქტიური ფაზით და ხანგრძლივი — სამშვიდობო პროცესით. ასეთ პირობებში, პუტინი იტყვის, რომ საპრეზიდენტო არჩევნების დრო არ არის და პრეზიდენტის რანგში მოღვაწეობას მესამე ვადითაც გააგრძელებს... სხვა საკითხია — როგორ შეხვდება ამას საერთაშორისო საზოგადოებრიობა. პუტინს, რუს გენერალიტეტთან ერთად, იმედი აქვს, რომ დასავლეთის ქვეყნების ყურადღება კოსოვოზე, ირანსა და მსგავს მოვლენებზე გადაერთვება და ამ მოვლენების ფონზე, საქართველოსთან მიმართებაში პუტინის „ცელქობა“ ყურადღების მიღმა დარჩება. ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი სწორედ ამ ხელსაყრელ მომენტს ელოდება...

— კონფლიქტის ზონაში პროვოკაცია გახშირდა და გასაგებია, რომ ამ პროვოკაციების ავტორები დაკვეთას ასრულებენ. მდგომარეობის გამწვავების შემთხვევაში, რამდენად რეალური შეიძლება იყოს ჩვენი ე.წ. მეგობარი ქვეყნების მხარდაჭერა?

— რასაკვირველია, ჩვენი გულისათვის, არც ამერიკის შეერთებული შტატები და არც ევროპა რუსეთს არ წაეჩხუბება. მაგრამ როდესაც საკითხი ეხება დემოკრატიის ძირეული ფასეულობების დაცვას, ჩვენი სტრატეგიული მოკავშირეები ხელს გამოიღებენ... რუსეთის მთავარი იარაღი — ენერგორესურსებია. თითქმის მთელი ევროპა რუსეთის გაზზეა დამოკიდებული და ამ კაპიტალმა მას პოლიტიკაში მაქსიმალური დივიდენდი უნდა მოუტანოს. გერმანიაში ყოველი მეოთხე ბინა რუსული გაზით თბება; თუ ჩვენ მომთმენი ხალხი ვართ, ევროპელი ამომრჩეველი გაზის გარეშე ერთ კვირასაც ვერ გაძლებს; ის — არა პუტინს, არამედ საკუთარ ხელისუფლებას აუმხედრდება!.. არც ერთ სახელმწიფოს არ აძლევს ხელს საკუთარი მოსახლეობის განაწყენება. ამდენად, მეეჭვება, ევროპამ საქართველოს ლობირების გამო, რუსეთთან ურთიერთობა გაიფუჭოს. ევროპა, აშშ-სთან შედარებით, გაცილებით პრაგმატულია და მისი მხარდაჭერის იმედი ნაკლებად უნდა გვქონდეს... ამჟამად, ცხინვალის რეგიონში ნერვების ომია გაჩაღებული; ვისაც პირველად უმტყუნებს ნერვები — რუსი იქნება ეს, ოსი თუ ქართველი, — ის დამარცხდება. თუ რომელიმე მხარის ინიციატივით დესტაბილიზაცია დაიწყება, კოკოითს გარანტირებული ექნება მინიმუმ, კიდევ 10 წლით სტატუს კვოს შენარჩუნება, რადგან რუსეთი, საკუთარი მოქალაქეების ქონებისა და სიცოცხლის დაცვის საბაბით, იმწუთასვე შემოიყვანს დამატებით ძალებს როკის გვირაბიდან.

— რამდენად რეალურად გესახებათ, სხვა ძალით — თუნდაც, უკრაინელებით, რუსი მშვიდობისმყოფლების ჩანაცვლების პერსპექტივა?

— ვეჭვობ, რომ რუსეთმა სამხრეთ ოსეთში ასე იოლად დათმოს საკუთარი „კოზირი“ — სამშვიდობოები. იმიტომ, რომ ეს სამშვიდობო ძალა უკვე იქცა კრიმინალებისა და სეპარატისტული ხელისუფლებისთვის პოლიტიკურ დასაყრდენად. რაც უფრო მეტად მართავს რუსი გენერალი კულახმეტოვი რეგიონს და რეგიონზე მეტად, სამხრეთ ოსეთის თვითმარქვია პრეზიდენტს — კოკოითს, მით უფრო ნაკლებად დათმობს რუსეთი ჩვენზე ზემოქმედების ამ ბერკეტს. კულახმეტოვის წასვლით, რუსეთი დაკარგავს სამხრეთ ოსეთს. საქართველოს ხელისუფლების სისუსტე ის არის, რომ ვხედავთ — ამ პოლიტიკურ სტრატეგიას

არ მოაქვს შედეგი და მაინც ჯიუტად „ვაწვებით“. სამხრეთ ოსეთის პრობლემის მოსაგვარებლად, ოთხმხრივი შერეული კომისიის არაერთი შეხვედრა გამართულა, მაგრამ სამწუხაროდ, შედეგი ვერ მივიღეთ. პრობლემა თანდათანობით მწვავდება. მიმაჩნია, რომ გოგა ხაინ-

დრავას დიდი შანსი აქვს იმისა, რომ როგორც „პოლიტიკური ტურისტი“, გინესის რეკორდების წიგნში შევიდეს... არავინ იწუხებს თავს იმაზე მსჯელობით, თუ რატომ არის არაფრის მომცემი, შერეული საკონტროლო კომისიის წევრე-

ბის შეხვედრები. ამ პრობლემით არც პარლამენტი, არც პრეზიდენტის ადმინისტრაცია და არც სოკოებივით მომრავლებული არასამთავრობო ორგანიზაცია ინტერესდებიან... ბატონმა გოგა ხაინდრავამ კეთილი უნდა ინებოს, შეკრიბოს კვალიფიციური ექსპერტები და მათი აზრი მოისმინოს... რაც შეეხება სხვა ძალით რუსი სამშვიდობოების ჩანაცვლებას — ეს მხოლოდ პოტენციური ჩამნაცვლებლის ნებაზე როდია დამოკიდებული. უკრაინელ (და არა მარტო უკრაინელ) სამშვიდობოებზე ლაპარაკი ზედმეტია, სანამ რუსები არ დატოვებენ ამ ტერიტორიას. როდესაც ვადები გაიწერება, მაშინ დავიწყოთ მსჯელობა იმაზე, თუ რომელი ძალით შეიძლება მოვახდინოთ მათი ჩანაცვლება...

— ხელისუფლების ოპონენტების კრიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ობიექტიც სწორედ ისაა, რომ პარლამენტის დადგენილებაში არ არის გაწერილი ვადები...

— პარლამენტის დადგენილებაში ვადები რომ გაეწერათ, ამით საკანონმდებლო ორგანო აღმასრულებელს მახეს დაუგებდა, რადგან თუ მთავრობა პარლამენტის მიერ მიღებულ დადგენილებას დათქმულ ვადაში არ შეასრულებს, ის საზოგადოების წინაშე პირში ჩალაგამოვლებული აღმოჩნდება. არაპროგნოზირებადი რუსეთის ქმედებების ფონზე, ძნელია, ესოდენ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების შესრულების კონკრეტული ვადა დათქვა.

— დე ფაქტო პრეზიდენტების — კოკოითისა და ბაღაფშის, რუსეთის ხელისუფლებასთან მჭიდრო კონტაქტების ფონზე, რამდენად რეალურია ჩვენი ხელისუფლების გეგმა, დაკარგული ტერიტორიების მშვიდობიანი გზით დაბრუნების თაობაზე?

— ეჭვი არ მეპარება, რომ დაკარგულ ტერიტორიებს დავიბრუნებთ, მაგრამ როდის, რა პირობით, რა გზით და რა სტატუსით, — ამას ვერ გეტყვით. როგორც პოლიტოლოგმა და ისტორიკოსმა, მინდა გითხრათ, რომ მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს პრეცედენტი, რომელიმე ქვეყანას, ომით დაკარგული ტერიტორია მშვიდობიანი გზით დაებრუნებინოს... სანამ საქართველოში ცხ-

სანამ საქართველოში ცხოვრება რიგითი აფხაზისთვისა და ოსისთვის მიმზიდველი არ გახდება, მანამდე შეუძლებელია ამ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით დარეგულირება

ოვრება რიგითი აფხაზისთვისა და ოსისთვის მიმზიდველი არ გახდება, მანამდე შეუძლებელია ამ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით დარეგულირება. თუ საღღეისოდ, საქართველოს ხელისუფლება რუსეთთან დამოკიდებულებაში რადიკალურია და მწვავე განცხადებებს აკეთებს, ეს რუსი პოლიტიკოსებისთვის ერთგვარად, „ხურდის დაბრუნებაა“: ჩვენს პარლამენტს რუსეთის დუმასთან საურთიერთოდ, მკაცრი ტონი არ აურჩევია. ჩვენმა ხელისუფლებამ თავი რომ დაუხაროს, რუსეთმა შეიძლება, ეს ჩვენს სისუსტედ მიიჩნიოს და უფრო მეტად შემოგვიტიოს... საქართველოს ხელისუფლება, რუსეთის მიმართ გაკეთებული მწვავე განცხადებებით მთელ მსოფლიოს ამცნობს, თუ რამდენად ურყევი პოზიცია უკავია გაყინულ კონფლიქტებთან მიმართებაში. რუსეთს გადაწყვეტილი აქვს, ჯერჯერობით არ ცნოს საქართველოს სუვერენიტეტი — ამ ცნების ფართო გაგებით, — მაგრამ ვიმედოვნებ, რომ მისი ამგვარი პოზიცია დროებითია... ■

„ქართულ ენასა და ლიტერატურაში შარშანდელი ქულები არ ჩაითვლება“

— რა საგნების ჩაბარება მოუწევთ აბიტურიენტებს წლეულს, რამდენ უმაღლეს სასწავლებელში იქნება მიღება და როგორ გაიცემა სახელმწიფო გრანტები?

მაია მიმინოშვილი, *გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი:*

— ქართული ენა და ლიტერატურა, ზოგადი უნარები და უცხო ენა — სავალდებულო საგნებია. არჩევითი საგნების ნუსხა კი გაიზრდება, მათ შორის იქნება: მათემატიკა, ისტორია, საზოგადოებრივი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები. სავალდებულო იქნება ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტის ჩაბარება — როგორც ქართულენოვანი, ისე რუსულენოვანი მოსახლეობისთვის. აბიტურიენტებს, რომლებმაც შარშან ჩააბარეს ერთიანი ეროვნული გამოცდები, მაგრამ უმაღლეს სასწავლებლებში ვერ მოხვდნენ, შეუძლიათ, შარშან მიღებული ქულები წელს გამოიყენონ: ზოგად უნარებში, მათემატიკასა და უცხო ენაში. ქართულ ენასა და ლიტერატურაში, კი, შარშანდელი ქულები არ ჩაითვლება, რადგან ტესტის ფორმატი შეიცვალა. წელს, საქართველოს მასშტაბით, 114 აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებელი მიიღებს აბიტურიენტებს. რაც შეეხება გრანტებს — აბიტურიენტთა რაოდენობა, რომლებიც სახელმწიფო დაფინანსებას მიიღებენ, გაიზრდება. სტუდენტების გარკვეული რაოდენობა 100%-ით დაფინანსდება, გარკვეული რაოდენობა — 70%-ით, 50%-ით, 30%-ით. საერთო ჯამში, წლეულს რა თანხა გამოიყოფა აბიტურიენტებისთვის — ეს მოგვიანებით დაზუსტდება. ■

„პრეზიდენტს არ უთქვამს – კანონიდან შემამსუბუქებელი გარემოებები ამოვიღოთო“

— პრეზიდენტის მოწოდებას — ე.წ. „ნულოვანი ტოლერანტობა“ დამნაშავეების მიმართ — სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანა მოჰყვება. რა იქნება გათვალისწინებული გამკაცრებულ კანონში?

ლევან ბეჟაშვილი, *იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე:*

— ცვლილებებზე მუშაობა მაშინვე დაიწყო, როგორც კი პრეზიდენტმა პარლამენტში ამის შესახებ განცხადება გააკეთა. შესაბამისი დავალებები მიღებული აქვთ იუსტიციის სამინისტროს, გენერალურ პროკურატურასა და ჩვენს კომიტეტს. პარლამენტში შეჯერებული ვარიანტის განხილვა საგაზაფხულო სესიაზეა დაგეგმილი. მთავარი, რაც ს/ს კოდექსში უნდა იქნას შეტანილი, წვრილმანი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გამკაცრებაა. კანონში შესატანი ცვლილებების მიხედვით, წვრილმან დანაშაულზე პირობითი მსჯავრის გამოყენება შეიზღუდება. ბუნებრივია, გამონაკლისებიც იქნება, რომელიც შეეხება საპროცესო გარიგებაში მონაწილე განსასჯელებს, არასრულწლოვნებს, იმ ადამიანებს, ვინც პირველად ჩაიდინეს დანაშაული. პრეზიდენტს არ უთქვამს — კანონიდან შემამსუბუქებელი გარემოებები ამოვიღოთო, მაგრამ მისი სურვილია, რომ სახელმწიფომ მკაცრი ს/ს პოლიტიკა გაატაროს. წვრილმან დანაშაულთა წრეში შედის: ქურდობა, ყაჩაღობა, ძარცვა და ა.შ. ასეთი კატეგორიის დანაშაული ყოველდღიურად აწუხებს თითოეულ მოქალაქეს, ისინი, შინ თუ გარეთ, მშვიდად უნდა გრძნობდნენ თავს. პირობითი მსჯავრის გამოყენების შეზღუდვა სწორედ ამაზეა გათვლილი და არა იმაზე, თითქოს ვინმეს სურს, რაც შეიძლება მეტი ადამიანი მოხვდეს ციხეში. ■

რუბრიკა მოამზადა
ხათუნა მაღრაძემ

უმუშევრობა, სამომხმარებლო ფასების ტოტალური ზრდა და ინფლაცია, რაც ყველაზე უკეთ, მსყიდველობითი უნარის შემცირებაში აისახება — ის ძირითადი პრობლემებია, რომლებსაც ყოველდღიურ ყოფაში ვაწყდებით. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, მთელი მოსახლეობის 50% სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს. უმუშევართა რიცხვი წლიდან წლამდე იზრდება. მხოლოდ შარშან, სამსახურის მაძიებელთა რიგებს კიდევ 47000 ადამიანი შეემატა. სახელმწიფო საგანმანათლებლო სექტორში მოსალოდნელი რეფორმები და მკაცრი ადმინისტრაციული სანქციები თვითდასაქმებულთა წინააღმდეგ სამომავლოდ, უმუშევართა არმიას ქვეყანაში კიდევ უფრო გაზრდის...

სამომხმარებლო კალათა, ინფლაციის მაჩვენებლები

და რას გვაცყუებს ოფიციალური სტატისტიკა

ემა ტუხიაშვილი

პაატა შავიშვილი, *სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის სოციალური სტატისტიკის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე:*

— ჩვენი მონაცემებით, ქვეყანაში უმუშევრობის დონე გასული წლის განმავლობაში 0,9%-ით გაიზარდა. სულ ქვეყნის ეკონომიკაში 1 737 700 კაცი იყო დასაქმებული. აქედან 23% — სახელმწიფო სექტორში, ხოლო 77% — არასახელმწიფო სექტორში მუშაობდა. საყურადღებოა ისიც, რომ სოფლად დასაქმებული მოსახლეობის წილი თითქმის ორჯერ აღემატება ქალაქში დასაქმებულთა წილს, რაც უშუალოდ საკუთარ მეურნეობაში დასაქმებით არის განპირობებული. 6,2-პროცენტიანი ინფლაციის გათვალისწინებით, შარშან 13,40 ლარით გაიზარდა საარსებო მინიმუმი და შრომისუნარიან მამაკაცზე 150,5 ლარი შეადგინა. ამავე დროს, ნორმატიული მინიმალური ხელფასი 62 ლარით განისაზღვრა, თუმცა რეალურად, მინიმალური ხელფასი ქვეყანაში 20 ლარს შეადგენს, რაც ზემოთ თქმულის 32%-ია. დაახლოებით 3-4 წელია, რაც ქვეყანაში არ იცვლება სიღარიბის მაჩვენებელი: ის სტაბილურად, მოსახლეობის 50%-ს შეადგენს. შემიძლია გითხრათ, რომ 2005 წლის განმავლობაში, დასაქმების სამსახურების მეშვეობით დასაქმდა 3415 ადამიანი, რაც წინა წელთან შედარებით 14,5%-ით ნაკლებია.

პაგარ-პაგარა გაძვირებებს მომავალშიც უნდა ველოდოთ. არ გამოვრიცხავ, რომ გაიზარდოს პურის ფასიც

— თქვენ აღნიშნავთ, რომ ქვეყანაში ინფლაციის დონე 6%-იან ზღვარს არ გასცილებია, თუმცაღა, სამომხმარებლო ფასები მნიშვნელოვნად გაიზარდა...

— რა თქმა უნდა, ფასების ზრდა პირდაპირ კავშირშია ინფლაციის მაჩვენებელთან, მაგრამ მისი გამოთვლა ისე მარტივად არ ხდება, როგორც ზოგს წარმოუდგენია. მაგალითად, ის, რომ ერთხელ გახვალთ ბაზარში და გაზრდილი ფასები დაგხვდებათ, ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს. იგივე შაქარი, შესაძლოა, ზამთარში გაძვირდეს და ზაფხულში გაიაფდეს, ან — პირიქით. აქედან გამომდინარე, პროდუქციის გაძვირება შესაძლოა, სეზონურ ხასიათს ატარებდეს, ხოლო ინფლაციის დასათვლელად, ჩვენ გასაშუალებული მონაცემები გვჭირდება. მაგალითად, ადამიანის საარსებო მინიმუმის გამოთვლისას, პირველ რიგში, სამომხმარებლო კალათის ანგარიშს ვაწარმოებთ, სადაც სასურსათო და არასასურსათო საქონელი — 40-50 სახეობის ნაწარმი შედის: კარაქი, ყველი, პური, ხილი და აგრეთვე, თხევადი აირის ბალონი, რომელზეც ყველა ამ პროდუქტისგან კერძი უნდა მომზადდეს. დაკვირვებებმა გვიჩვენა, რომ სასურსათო კალათის სტრუქტურაში, გასულ წელთან შედარებით, მნიშვნელოვანი ცვლილება არ მომხდარა, ხოლო ის სხვაობა, რომელიც საერთო ფასთა ზრდამ წარმოქმნა, როგორც ხედავთ, საარსებო მინიმუმის გაზრდაში აისახა.

— თუ შეგიძლიათ მითხრათ, რომელ პროფესიებზეა დღეს ყვე-

ლაზე დიდი მოთხოვნილება და ეკონომიკის რომელ სექტორში გვყავს ყველაზე მეტი დასაქმებული?

— არსებული დინამიკა გვიჩვენებს, რომ საქართველოში ყველაზე მეტი ადამიანი სამშენებლო სექტორშია დასაქმებული, ეს ძირითადად, მუშახელია. შეიძლება ითქვას, რომ მეორე ადგილზეა დამამუშავებელი მრეწველობა, ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება.

— წლების მანძილზე, ჩვენი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი გარე ვაჭრობას ეწეოდა და ამით ირჩენდა თავს. შარშან, გარე ვაჭრობა კანონით აიკრძალა, რამაც ბევრი ადამიანი ფაქტობრივად, ულუკმაპუროდ დატოვა. საინტერესოა, ასეთი კონკრეტული მოვლენები თუ აისახება ხოლმე ქვეყნის სტატისტიკურ სურათში?

— სხვათა შორის, ასეთი ფაქტები ცალკე კვლევას საჭიროებს. უნდა შემუშავდეს ცალკე მეთოდოლოგია და ა.შ. სიმართლე გითხრათ, სახელმწიფოს მხრიდან არ ყოფილა დაინტერესება, რომ გარე ვაჭრობის აკრძალვით შექმნილი სურათი გამოგვეკვლია, ჩვენ კი

საქართველოში ყველაზე მეტი ადამიანი სამშენებლო სექტორშია დასაქმებული. ეს ძირითადად, მუშახელია

ლი მეთოდებით მუშაობს, ამიტომაც არ გააჩნია სრულყოფილი სურათი იმისა, თუ რა ხდება რეალურად ქვეყანაში. არადა, სახელმწიფოს აუცილებლად უნდა ჰქონდეს სრულყოფილი ინფორმაცია ქვეყანაში მიმდინარე ძირითადი პროცესების შესახებ. მსოფლიოს ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში სკრუპულოზურად აკვირდებიან ეკონომიკური განვითარების მიმდინარეობის პროცესს და ღამის ყოველ ადამიანზე ფლობენ ზუსტ ინფორმაციას, რომელიც უმუშევრობის სტატისტიკის სურათს ქმნის. ეკონომიკურად ძლიერ ქვეყნებში

სოფლად დასაქმებული მოსახლეობის წილი თითქმის ორჯერ აღემატება ქალაქში დასაქმებულთა წილს, რაც უშუალოდ საკუთარ მეურნეობაში დასაქმებით არის განპირობებული. 6,2-პროცენტიანი ინფლაციის გათვალისწინებით, შარშან 13,40 ლარით გაიზარდა საარსებო მინიმუმი და შრომისუნარიან მამაკაცზე 150,5 ლარი შეადგინა

კერძო კომპანია არ გახლავართ, რომელსაც საკუთარი დაფინანსება აქვს და მოგებაზე მუშაობს: ჩვენ არ შეგვიძლია, საკუთარი ინიციატივით ვაწარმოოთ რაღაც კვლევა და ეს შესაბამის სტრუქტურებში წარმოვადგინოთ...

ნიკო ლეკიშვილი, *დარგობრივი ეკონომიკის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე:*

— საერთოდ, მიმაჩნია, რომ საქართველოში სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი ჯერ კიდევ მოძველებუ-

ნებისმიერი პოლიტიკური ძალის პოპულარობა იმით განისაზღვრება, თუ რისი გაკეთება შეძლო მან უმუშევრობის დასაძლევად თავისი მმართველობის პერიოდში. გახსოვთ, რა მოხდა ცოტა ხნის წინ გერმანიაში? ქვეყანაში უმნიშვნელოდ გაიზარდა უმუშევრობის მაჩვენებელი და მმართველმა პარტიამ არჩევნები წააგო. სამწუხაროდ, ჩვენში არ არსებობს სეზონურად დასაქმებული ადამიანების სტატისტიკური მონაცემები, მაშინ, როდესაც მოსახლეობის დიდი ნაწილი ზაფხულში ზღვისპირა კურორტებზე მიემგზავრება დროებით დასასაქმებლად, ზამთარში კი, იმავე მიზნით, ზამთრის კურორტებს მიაშურებს ხოლმე. მაგალითად, საბერძნეთის სტატისტიკურ მაჩვენებლებს თუ გავეცნობით, აღმოვაჩენთ, რომ მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ტურისტულ სექტორშია დასაქმებული, თუმცა მათი სამუშაოც სეზონურია და წელიწადში მხოლოდ 6 თვე გრძელდება. შვეიცარიაში კი, პირიქით — ზამთრის კურორტებზე დასაქმებულებს, ზაფხულობით ან ალტერნატიული სამუშაოს შესრულება, ან უმუშევრად ყოფნა უწევთ. გასაგებია, რომ ტურისტულ ბიზნესში დასაქმებულთა რიცხვი ჩვენთან ძალზე მცირეა, მაგრამ მაინც აუცილებელია ვიცოდეთ, რამდენი გვყავს დროებით დასაქმებული და რამდენი — სტაბილური სამსახურის მქონე.

— როგორ ფიქრობთ, ქვეყანაში უმუშევრობის ზრდას ძირითადად, რა ფაქტორები განაპირობებს?

— ბოლო დროს, ამის მიზეზი, მაინც სახელმწიფო სექტორში განხორციელებული რეორგანიზაცია და კადრების მნიშვნელოვანი შემცირება გახდა. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ნახეთ, რამდენი მეცნიერი დარჩა უმუშევარი! გახსოვთ ალბათ, 90-იან წლებში, დაწყებული ტოტალური უმუშევრობა. იცით, დაახლოებით როგორ განვითარდა მაშინ ეს პროცესი? ადამიანებმა გაიღვიძეს, წავიდნენ სამსახურში და მოულოდნელად აღმოაჩინეს, რომ უმუშევრები იყვნენ!.. მათ გამოსავლის ძიება დაიწყეს და ვფიქრობ, რომ სახელმწიფომ მაშინ სწორი ნაბიჯი გადადგა, როდესაც მიიღო კანონი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. უხეშად რომ ვთქვათ, ყველას მიეცა უფლება, ნებისმიერ ადგილას, რაც უნდოდა, ის გაეყიდა. მართალია, ბევრისთვის ამგვარი სამუშაო შეურაცხმყოფელი იყო, მაგრამ ეს, საარსებო წყაროს წარმოადგენდა. ახლა კი, უმუშევრად დარჩენილებს ამგვარი ალტერნატივა არ გააჩნიათ. არ იფიქროთ, რომ გარე ვაჭრობის აკრძალვას მხარს არ ვუჭერ — უბრალოდ, ვფიქრობ, რომ კანონი უნდა იყოს ყველასათვის თანაბარი. ერთი მხრივ, მთავრობამ თითქოს მოაწესრიგა ცენტრალური ქუჩები და უსახური ჯიხურებისგან გაასუფთავა ისინი, მაგრამ ახლა, რუსთაველსა და ჭავჭავაძეზე სავაჭრო კარვები გაჩნდა და ადამიანები ცელოფანით შემოფარგლულ ადგილებში ვაჭრობენ სხვადასხვა პროდუქტით...

— როგორ წარმოგიდგენიათ სახელმწიფოს როლი უმუშევრობის პრობლემის დაძლევაში?

— პირველ რიგში მინდა აღვნიშნო, რომ შარშან სახელმწიფოს დაფინანსების წყალობით, საქართველოში დროებით, მაგრამ მაინც, რამდენიმე ათასი მუშახელი იყო დასაქმებული. ძალიან ბევრს ლაპარაკობდნენ შენობების ფასადების შეღებვაზე, მაგრამ ეს იმით მაინც იყო კარგი, რომ ვიღაც ამაში ხელფასს იღებდა. ბევრი ადამიანი აგრეთვე, გზების მშენებლობაზე დასაქმდა. უკვე მერამდენედ ვამბობ, რომ სახელმწიფოს მართებს თამამი გადაწყვეტილებების მიღება ანუ ყველაფერი

თუ თურქს 5000 ტონა პომიდვრის მოყვანა შეუძლია და ქართველ გლეხს — მხოლოდ 300 კილოგრამის, იმპორტი დაგვჯაბნის, აბა, რა იქნება?! ამასთან, ცოტა სკეპტიკურად ვუყურებ ეკონომიკის სამინისტროს ახალ ინიციატივას, საბაჟო გადასახადების გაუქმების შესახებ

უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ ახალი სამუშაო ადგილები შეიქმნას, უფრო მეტიც — თვითონაც უნდა შექმნას ისინი. წარმოიდგინეთ, რომ შვეიცარიაში მხოლოდ მცენარეების გასხვლა-გასხეპვაზე 50000 ადამიანია დასაქმებული. ხშირად გვესმის უცხოეთიდან ჩამოსული ჩვენი თანამემამულეები, როგორ აქებენ რომელიმე ქალაქის დასუფთავებულ-დაწკრიალებულ ქუჩებს. არადა, სახელმწიფოა სწორედ ის, ვინც ტენდერით თუ მის გარეშე, ხელს უწყობს ამ სექტორში ადამიანების დასაქმებას. გარდა ამისა, ჩვენს ქვეყანას დიდი აუთვისებელი რეზერვები აქვს სოფლის მეურნეობის სექტორში. დადებითი მოვლენაა, რომ წელს მეღვინეებს სახელმწიფო გარკვეული თანხით დაეხმარა და ამით ნატურალური ღვინის წარმოება წაახალისა. მსგავსი ღონისძიებები სხვა დარგებშიც უნდა გატარდეს. ხშირად გამიგონია ასეთი რამ: თურქულმა ბოსტნეულმა ქართულს როგორ უნდა აჯობოსო?! მაგრამ რაოდენ მაღალი ხარისხისაც უნდა იყოს ჩვენი პროდუქცია, თუ თურქს 5000 ტონა პომიდვრის მოყვანა შეუძლია და ქართველ გლეხს — მხოლოდ 300 კილოგრამის, იმპორტი დაგვჯაბნის, აბა, რა იქნება?! ამასთან ერთად, მინდა აღვნიშნო, რომ ცოტა სკეპტიკურად ვუყურებ ეკონომიკის სამინისტროს ახალ ინიციატივას, საბაჟო გადასახადების გაუქმების შესახებ: იმპორტირებულმა საქონელმა ისედაც მოიცვა საქართველოს მთელი ბაზარი და ბევრი ადგილობრივი საწარმოს გაჩერებას შეუწყო ხელი. კარგია, ბატონო, თავისუფალი კონკურენციის შექმნა, მაგრამ არა ჩვენი მეწარმეების ხარჯზე. ცოტა ხნის წინ, ამერიკაში გახლდით და გაკვირვებული დავრჩი იმით, თუ როგორ ზღუდავენ იქ, მაგალითად, ჩინური, ინდური და სხვა ქვეყნების მიერ წარმოებული საქონლის იმპორტს. ჩვენგან განსხვავებით, პირიქით — გაუზარდეს საბაჟო გადასახადები. უფრო მეტიც, შეზღუდვები ავტომობილების იმპორტზეც დაუწესეს ისეთ მწარმოებლებს, როგორებიც არიან „ტოიოტა“ და „ნისანი“. სამაგიეროდ, ამ ორ კომპანიას სთავაზობენ, რომ ამერიკის ტერიტორიაზე ააშენოს ქარხნები, რათა გაჩნდეს ქვეყანაში დამატებითი სამუშაო ადგილები. თუ სახელმწიფომ არ მისცა ეკონომიკას სტიმული და არ შექმნა ფეთქებადი განვითარების პრეცედენტები, ადამიანების თვითდასაქმების პროცესი ოდესღაც მაინც გაჩერდება და დაგვრჩება კატეგორია ხალხისა, რომელიც მუდმივად უმუშევარი იქნება. მართალია, მსოფლიოში მიღებული ფორმაა უმუშევრობის კომპენსაცია, მაგრამ ჩვენს სახელმწიფოს ჯერ ამის საშუალება არა აქვს.

— უმუშევრობას ისიც ემატება, რომ ფასები მთელ რიგ პროდუქტებზე დღითი დღე იზრდება...

— პატარ-პატარა გაძვირებებს მოსავალშიც უნდა ველოდოთ. არ გამოვრიცხავ, რომ გაიზარდოს პურის ფასიც, ვინაიდან ბუნებრივი აირი 40-50%-ით მაინც გაძვირდა, ხოლო საქართველოს საწარმოები ძირითადად, ბუნებრივი აირის მომხმარებლები არიან. არც იმას გამოვრიცხავ, რომ შესაძლოა, პურის ქარხნებს, ფასის ზრდასთან დაკავშირებით მკაცრი გაფრთხილება მისცენ, მაგრამ გაზი მის თვითღირებულებაში მაინც იქნება გათვალისწინებული და პური თუ არ გაძვირდა, წონაში მაინც მოიკლებს. გარდა ამისა, უკვე აპრილიდან, მოსახლეობას ბუნებრივი აირის გაზრდილი ტარიფის გადახდა მოუწევს, რაც ასევე მომხმარებლის ჯიბეს დააწვება... ფასებით მანიპულირების თავიდან ასაცილებლად, სახელმწიფო პირველ რიგში უნდა შეეცადოს, რომ ბიზნესის არც ერთ დარგში არ გაჩნდეს მონოპოლისტი. ასეთი მიდგომა უპირველესად, ნავთობპროდუქტების იმპორტიორების მიმართ უნდა გავრცელდეს, რადგან, მოგეხსენებათ, თუ რაოდენ მტკივნეულად აისახება ამ სფეროს პროდუქციის გაძვირება სამომხმარებლო ფასებზე. სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას, რომ მონოპოლისტი გაჩნდეს ენერგეტიკაში, რისი საშიშროებაც ახლა, რეალურად არსებობს: მოგეხსენებათ, რომ საპრივატიზაციოდ გამოტანილია 6 ელექტროსადგური და არსებობს ინფორმაცია, რომ ყველა მათგანის მფლობელი, „ეიეს-თელასი“ გახდება. საერთოდ, უნდა არსებობდეს გარკვეული ბალანსი პრივატიზაციის პროცესში და მივცეთ შესაძლებლობა ქართველ ინვესტორებსაც, შეიძინონ რამე. მე მირჩევნია, რომ ქართველს მივყიდოთ რაღაც ობიექტი 5 მილიონად, ვიდრე ვინმე პოპოვს — ათად: ის პოპოვი პირველ რიგში, თავისი თანამემამულეების დასაქმებაზე იზრუნებს... შემიძლია თამამად გითხრათ, რომ დღეს ქართველი ბიზნესმენები საქართველოში ვერაფერს ყიდულობენ. ვშიშობ, ბოლოს, არ მივიღოთ ისეთი ვითარება, როგორიც ერთ დროს უკვე არსებობდა — როდესაც ქართველებს საქართველოში ქონება არ ჰქონდათ, — და მხოლოდ პოლიტიკასა და სახელმწიფო სამსახურში შემოვრჩებით...

რომა რცხილაძე ამბობს, რომ ნათლულების სახით, მას ერთგული მეგობრები ჰყავს და თითოეულის წარმატება საკუთარ წარმატებაზე მეტად ახარებს.

ჩემი ნათლულების რიცხვმა 30-ს გადააჭარბა

ვიცხოვრ „გალიხვილი" ნინო ქათამაძე

თამუნა კვინიკაძე

— როგორც ვიცი, თქვენს შემოქმედებით საქმიანობაში სიახლეებია. გვიამბეთ ამის შესახებ.

— ჯერ ამ თემაზე ხმამაღლა ლაპარაკი არ მინდოდა, მაგრამ უხერხული იქნება, რომ არ გიპასუხოთ. ზაზა კოლელიშვილს აქვს ახალი პროექტი: იღებს 12 მოკლემეტრაჟიან ფილმს. მე ამ პროექტის კომპოზიტორი ვარ და აგრეთვე, რამდენიმე პატარა ეპიზოდში ვმონაწილეობ.

— რა ხდება ამ ფილმებში?

— ყველაფრის გაგება გსურთ?!. ძირითადად, ეთნოგრაფიულ თემაზეა. ეძღვნება საქართველოს ყველა კუთხეს. ასევე, მასში შედის პატარ-პატარა ამბები იმ ქართველებზე, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არიან მიმოფანტულნი.

— როგორც ჩემთვის ცნობილია, გადაღებები უკვე დაიწყო.

მაშინ სულ პატარა გოგონა იყო. მოვიხიბლე მისი ნიჭიერებით. მერე დავმეგობრდით და ნათლიად ამირჩია

— დიახ. 3 თვის წინ ვიყავით საბერძნეთსა და იტალიაში. უახლოეს მომავალში, ბელგიაში გამგზავრებას ვაპირებთ. იქ მცხოვრები ქართველების გადასაღებად. პარალელურად, გადაღებები მიმდინარეობს საქართველოში.

— როდისთვის გახდება მაყურებლისთვის შესაძლებელი ამ ფილმების ნახვა?

— ზუსტად ვერ გეტყვით. ჯერ კიდევ ბევრია სამუშაო.

— ჩვენი საუბრის ძირითად თემაზე გადავიდეთ. ერთხელ, ჩემთან შეხვედრისას აღნიშნეთ, რომ 28 ნათლული გყავთ. კარგად მახსოვს?

— 28 ნათლული მყავდა რამდენიმე თვის წინ. ახლა მათმა რიცხვმა 30-ს გადააჭარბა. რამდენიმე დღის წინ, მოვნათლე ნინო ლეჟავას შვილი. უახლოეს ერთ კვირაში, კიდევ ორ ოჯახში ვარ ნათლიად მიპატიჟებული. ასე რომ, ამ მხრივ წინსვლაა, რაც ძალიან მახარებს. არა მარტო ბავშვებს ვნათლავ, ასაკოვნებიც მყავს მონათლული. ჩემი ნათლულები მიმოფანტული არიან მსოფლიოში, ყველა კონტინენტზე ცხოვრობენ. რა თქმა უნდა, დიდი ნაწილი საქართველოშია. საოცარი გრძნობა მეუფლება ნათლობის დროს. ამ გრძნობის სიტყვებით გადმოცემა შეუძლებელია. ბედნიერი კაცი ვარ და მინდა, თითოეულ ადამიანს ჩემკენ მომავალი გზა დავულოცო. ჩემთვის ადამიანური ურთიერთობები უმთავრესია.

— თქვენი რამდენიმე ნათლული საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობი სახეა.

— დიახ: ნინო ქათამაძე, თეონა კონტრიძე, სუხიშვილების ანსამბლის წევრის, თეა დარჩიას შვილი, თეონა შარაშენიძე, რა ვიცი, რომელი ერთი ჩამოვთვალო... მე ვამაყობ მათით. ისინი ჩემი მეგობრები არიან. ტოლები ვართ ურთიერთობაში. ამას ვამბობ გულწრფელად და არ ვორიგინალობ.

— თქვენი ნათლია ვინ არის?

— ჩემი ნათლია გახლავთ მამაჩემის მეგობარი, ლადო ბადურაშვილი. იურისტია. ძალიან პატარა ვიყავი, როდესაც მომნათლა. სამსახურის გამო, ნათლიას დიდი დრო არ ჰქონდა ჩემთან საურთიერთოდ. ამიტომ ვცდილობ, ეს დანაკლისი ჩემს ნათლულებთან მჭიდრო ურთიერთობით შევივსო.

— როგორ გაიცანით ნინო ქათამაძე და რამდენი წლის იყო, როდესაც მონათლეთ?

— ნინო ბათუმში გავიცანი. მაშინ სულ პატარა გოგონა იყო. მოვიხიბლე მისი ნიჭიერებით. მერე დავმეგობრდით და ნათლიად ამირჩია. 15-16 წლის იქნებოდა მაშინ. ნინოს ნათლობაზე ჩემთან ერთად იყო თეონა კონტრიძეც. თეონა წლინახევრის იყო, როდესაც მოვნათლე.

— როგორც წესი, ნათლულს ნათლიამ ეკლესიური ცხოვრება უნდა ასწავლოს. თქვენს შემთხვევაშიც ასეა?

— ღმერთი თითოეულ ადამიანშია. არა მარტო ნათლულს, არამედ ნებისმიერ ადამიანს უნდა უბიძგო პატიოსანი ცხოვრებისკენ, გაუღვივო სწავლის ინტერესი, ასწავლო პატიოსნება — ეს უკვე უფლისკენ მიმავალი გზაა... უნდა ასწავლო მას ის, რაც არ იცის და უნდა ისწავლო მისგან ის, რაც შენ არ იცი. შეიძლება 3 წლის ბავშვმა იმხელა მაგალითი მოგცეს, რასაც 80 წლის ადამიანებიც ვერ გასწავლიან.

— ნათლისღების დღესასწაულს ნათლულები თუ გილოცავენ?

— დიახ, რა თქმა უნდა, მილოცავენ. მიგზავნიან მესიჯებს, რომლებსაც არ ვშლი. ასე რომ, ამ მხრივ, დიდი „ბიბლიოთეკა" მაქვს.

— რომელიმე თქვენს ნათლულს, ოდესმე თქვენგან დაცვა ხომ არ დასჭირვებია?

— არა. არ მახსენდება ასეთი შემთხვევა. თუ საჭირო იქნება, არა მარტო ჩემს ნათლულებს, არამედ ნებისმიერ ადამიანს დავუდგები გვერდით.

— ეი. ნათლულის გულისთვის არასოდეს გიჩხუბიათ?

— არა, არ დასჭირვებიათ ასეთი ფორმით ჩემი დახმარება.

— ნათლულები თუ გიწყობენ სიურპრიზებს?

— ნინომ სულ ცოტა ხნის წინ გამიკეთა შესანიშნავი საჩუქარი: მე, მერაბ სანოძე და ზუმბა დავემატეთ „ინსაითის“ ჯგუფს. 2 თვის წინ ვიმყოფებოდით გასტროლებზე მოსკოვსა და პეტერბურგში. გადაჭედილი დარბაზები იყო და ბილეთებისთვის გრძელი რიგები იდგა. ყველაფერმა შესანიშნავად ჩაიარა. ეს გასტროლები მე ნინომ მაჩუქა და ამით ძალიან დიდი სიამოვნება მომანიჭა.

— როგორც ვიცი, თქვენ და ნინო ქათამაძეს დაგეგმილი გქონდათ კონცერტის ჩატარება, რომელსაც ნათლია-ნათლულებს მიუძღვნიდით. ხომ არ გადაგიფიქრებიათ?

— არა, არ გადაგვიფიქრებია, მაგრამ რა ფორმით ჩავატაროთ, ჯერჯერობით, ზუსტად არ ვიცი. ძიებაში ვარ. როგორც უკვე აღვნიშნე, ჩემი ნათლულების ნაწილი საზღვარგარეთ ცხოვრობს და მათ ნახვას ხშირად ვერ ვახერხებ. ეს აქციაკონცერტი ამის საშუალებას მომცემს. თუ ეს ჩანაფიქრი განვახორციელე, ამ დღეს ყველა ჩემი ნათლული ჩემ გვერდით იქნება.

— ნინო ქათამაძის პირად ცხოვრებაში ხომ არ არის სიახლე?

— ნინო არის გათხოვილი მის აღმატებულება მუსიკაზე. ასე რომ, მისი ქმარიც, დედაც, მამაც და ბებიაც — მუსიკაა. მეტი არაფერი აინტერესებს. ის სერიოზული ნაბიჯებით მიიწევს წინ, რაც საკუთარ წარმატებაზე მეტად მახარებს.

■

თუ ეს ჩანაფიქრი განვახორციელე, ამ დღეს ყველა ჩემი ნათლული ჩემ გვერდით იქნება.

დეპარდიეს რესტორანი პარიზში, ფრანგული ღვინო და ვარსკვლავისთვის მირთმეული დიდი ყანწი

მომღერალი ია ჩანტლაძე საკმაოდ აქტიურ შემოქმედებით ცხოვრებას მისდევს. რამდენიმე დღის წინ, ის „საქართველო-ისრაელის ახალი დეპარტამენტის“ უფროსად დაინიშნა, სადაც უამრავი საინტერესო პროექტი ხორციელდება, მათ შორის — ფრანგი მსახიობის, ჟერარ დეპარდიეს ვიზიტი საქართველოში. „მარტო სიმღერით ჩვენს ქვეყანაში თავს ვერ გაიტან“, — ამბობს ია ჩანტლაძე, რომელმაც სიმღერა დროებით, უკანა პლანზე გადასწია. ამჟამად, ის თეატრში „ათონელზე“, მიუზიკლში მონაწილეობის მისაღებად მიიწვიეს და რეპეტიციებითაა დაკავებული. პარალელურად, მუშაობს საბავშვო რადიოში — „ახალი ტალღა“, რომლის პრეზენტაცია 2005 წლის დამლევს გაიმართა: ია, ამ რადიოს მუსიკალური დირექტორია.

სოფო ჭონიშვილი

— იმ პროექტებს შორის, რომლის განხორციელებას — „საქართველო-ისრაელის ახალი დეპარტამენტი“ აპირებს, სახელგანთქმული ფრანგი მსახიობის, ჟერარ დეპარდიეს საქართველოში მოგზაურობაც გახლავთ. ამ ვიზიტის ძირითად მიზნებს, ჯერჯერობით, ვერ დავასახელებთ — ეს თავად დეპარდიეს თხოვნაა. ერთი რამ შეიძლია გითხრათ: საქართველოში მისი სტუმრობა ძალზე მნიშვნელოვანი და საინტერესო იქნება, როგორც ჩვენთვის, ასევე ფრანგი მსახიობისთვის.

— ია, პირადად თუ შეხვედრხარ დეპარდიეს?

— კი, როგორ არა?! ბოლოს, საფრანგეთში რომ ვიყავი ჩასული, პირადად შეეხვდი დეპარდიეს. ძალიან ბევრ საინტერესო თემაზე ვისაუბრეთ. მასთან ჩვენი ურთიერთობა საკმაოდ დიდი ხანია მიმდინარეობს. ჩვენ გვყავს ფრანგი პარტნიორები, რომლებიც ჩვენსა და დეპარდიეს შორის ასორციელებენ მიმოწერას, ინფორმაციის გაცვლას. დეტალები კი, უკვე ჩვენი შეხვედრის დროს დავაზუსტეთ.

— რამდენ ხანს დარჩება დეპარდიე საქართველოში?

— ძალიან ცოტა ხანს — ალბათ, 2 დღე, მას ხომ ძალზე გადატვირთული გრაფიკი აქვს.

— რა იცის საქართველოს შესახებ?

— ზოგადად იცის რაღაც-რაღაცები. გაუგია ქართული კინოს, ქართული ღვინის შესახებ. გარკვეული ინფორმაცია აქვს მიღებული პიერ რიშარისგან, რომელიც ნანა ჯორჯაძის ფილმში მონაწილეობდა. იცის, რომ როგორც ფრანგებს, ქართველებსაც ძალიან უყვართ ღვინო. ყანწი ჩავუტანე საჩუქრად, არ იცოდა, რა იყო, ვუთხარი, — თუ ღვინოს აქ ჩასხამთ და დალევთ, კარგი დღე არ დაგადგებათ-მეთქი (დიდი ყანწი გახლდათ)... ძალზე გულთბილი და საინტერესო შეხვედრა გვქონდა.

— ქართული ღვინო არ ჩაუტანე?

— კი, როგორ არა?!

— მოეწონა?

— ჩემთან ერთად არ გაუსინჯავს, მერე დალევდა, ალბათ. სამაგიეროდ, მე გავსინჯე მისი წარმოების ღვინო, მიუხედავად იმისა, რომ ღვინის დიდი დეგუსტატორი არა ვარ, ძალიან მომეწონა.

— სად შეხვდით ერთმანეთს?

— მის რესტორანში, რომელიც პარიზის ცენტრში მდებარეობს. გამაცნო თავისი პარტნიორები. სხვათა შორის, ბევრი ცნობილი ადამიანი დადის მის რესტორანში, ერთ-ერთი პრესტიჟული რესტორანია პარიზში.

— კიდევ რა შეგიძლია გვითხრა მის შესახებ, როგორი ადამიანია?

— ძალიან უშუალო და საყვარელი ადამიან-

ია. ცოტა გამხდარა. არც ისეთი მაღალია, როგორიც ფილმებში ჩანს.

— ჟურნალისტებს თუ ეწნებათ მასთან შეხვედრის საშუალება?

— რა თქმა უნდა. ჟურნალისტებთან შეხვედრა მის ინტერვიუებშიც შედის, რომ ყველაფერი მაღალ დონეზე გაშუქდეს. თუმცა, ვიზიტის კონკრეტული დეტალები ჯერჯერობით დაზუსტებული არ არის.

— მარტო ჩამოდის?

— სავარაუდოდ, რამდენიმე კაცთან ერთად.

— შეარჩიეთ, რომელ სასტუმროში იცხოვრებს?

— გვაქვს ძალიან ბევრი შემოთავაზება სხვადასხვა სასტუმროსგან, მაგრამ ჯერჯერობით, შერჩევის პროცესში ვართ. ვარჩევთ ასევე, რესტორნებს, საკონფერენციო დარბაზებს: გვინდა, ყველაფერი მაღალ დონეზე ჩატარდეს.

— დეპარდიეს შემდეგ, თუ აქვს გეგმაში თქვენს ორგანიზაციას სხვა ცნობილ ადამიანების ჩამოყვანა?

— ჯერჯერობით, ვერ გეტყვით, ვინ იქნება

შემდეგი.

— ია, ახლა, რადიოში შენს საქმიანობაზეც მოგვიყევი. როგორ უთავსებ ერთმანეთს სხვადასხვა ამპლუას?

— სხვა ქვეყანაში რომ დაბადებულიყავი, სიმღერის გარდა, ალბათ, არაფერს გავაკეთებდი, მაგრამ ამჟამად შოუბიზნესში საშინელი სტაგნაციაა. საერთოდ, ბევრი სფეროა ისეთი, რომელიც მაინტერესებს. თუმცა, არსებობს პრიორიტეტები. რაც შეეხება რადიოში ჩემს საქმიანობას, იქ კონკრეტული ფუნქცია მაქვს, ვარ „ახალი ტალღის“ მუსიკალური დირექტორი. აქედან გამომდინარე, ჩემი საქმიანობა არაა დაკავშირებული რაღაც კონკრეტულ დროის მონაკვეთთან — მაგალითად, დილის 10 საათიდან საღამოს 6-მდე სამსახურში ფეხმოუცვლელად ყოფნა არ მიწევს.

— ხომ არ გეგმავ, რომ შენ თვითონ წაიყვანო რომელიმე გადაცემა?

— სხვათა შორის, ბევრი გადაცემის პროექტი მაქვს ტვინში. მაგრამ ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ამ ეტაპზე, მათ განხორციელებას ვერ შევძლებ, დროის უკმარისობაა. გარდა იმისა, რომ ეთერში უნდა ვიჯდე, ამ რადიოში უფრო საპასუხისმგებლო მისია მაკისრია.

— წამყვანები როგორ შეარჩიეთ — მეგობრობის პრინციპით, თუ კასტინგი გქონდათ?

— ძალიან სერიოზული კასტინგი ჩავატარეთ. ბევრს მეც ვიცნობდი რადიო „უნივერსიდან“, ისინი საკმაოდ გამოცდილი წამყვანები არიან. „ახალი ტალღის“ ეთერში გასული სიმღერები გათვლილია ისეთ ასაკობრივ ჯგუფზე, რომელიც ვერ მოუსმენს, მაგალითად, ჯაზს, როკს. თუმცა, ეს რადიო არ არის გათვალისწინებული მარტო ბავშვებისათვის, ყველა ასაკის ადამიანს შეუძლია უსმინოს. აქ გადის გემოვნებიანი მუსიკა, ჟანრების მიხედვით.

— ია, ქართულ შოუბიზნესში ბევრი მომღერალი, ასე ვთქვათ, აუტსაიდერთა რიგში აღმოჩნდა.

— არ მინდა, ამბიციური ნათქვამი გამომივიდეს, მაგრამ ვფიქრობ, რომ მე არ მივეკუთვნები მომღერალთა იმ კატეგორიას, რომელიც აუტსაიდერთა ჯგუფში უნდა მოხვდეს. ნებისმიერი მომღერალი, რა თქმა უნდა, იმავეს იტყვის საკუთარ თავზე, მაგრამ ამ ნათქვამს გარკვეული ობიექტურობა უნდა ედოს საფუძვლად. რა შესაძლებლობებიც მაქვს და რაშიც დარწმუნებული ვარ, იმას არასოდეს დავანებებ თავს, იმიტომ, რომ თუნდაც, ბრძოლის არ მეშინია. ყველამ კარგად იცის, ვინ რა დონეზე დგას... მუსიკა ჩემთვის ყველაფერია, ეს ჩემი სუსტი წერტილია... ივნისისთვის დაგეგმილი მაქვს საკმაოდ სერიოზული კონცერტი ისრაელში — მას დაახლოებით 40 ათასი მაყურებელი დაესწრება.

— ქართველი მომღერლებიდან კიდევ ვინ მიიღებს მასში მონაწილეობას?

— მერაბ სეფაშვილი, ლელა წურწუმია, კახუჩელა. მე ამ კონცერტში არა მარტო ვმონაწილეობ, არამედ მის პიარ-კამპანიასაც უზრუნველვყოფ.

— როგორ მოხდა მომღერლების შერჩევა?

— შერჩევა ისრაელის მხარის გადაწყვეტილებით მოხდა. ეს იქნება სოლიდური ერთკვირიანი ფესტივალი, რომელზეც, სხვათა შორის, ალენ დელონიც ჩავა.

— როგორც ვიცი, შენ ასევე რეპეტიციები გაქვს თეატრში „ათონელზე“. ვინ მიგიწვია ამ თეატრში?

— დიახ, თეატრი „ათონელზე“ დგამს მიუზიკლს — „შოუ, რომელიც ერთ დღეს დაიწყო“. ძალზე საინტერესო სპექტაკლია. მიუზიკლის რეჟისორია ხათუნა მილორავა, ბალეტმაისტერი და სცენარის ავტორი — გელა ფოცხიშვილი. სწორედ ამ ადამიანებმა მიმიწვიეს ამ სპექტაკლში, სადაც, რამდენიმე განსხვავებული ჟანრის — ჯაზის, რომანსის ტიპის სიმღერების შესრულება მომიწევს. მიუზიკლი აგებულია კაცობრიობის ისტორიაზე — დაწყებული ადამ და ევადან, დამთავრებული დღევანდელი დღით.

— ვინ გაგიწევს პარტნიორობას ამ მიუზიკლში?

— ჩემი პარტნიორები არიან კაბუ და დათო ფოცხიშვილი. მე და კაბუს ერთად გვიწევს „ტანგოს“ ცეკვა.

— როდის იქნება პრემიერა?

— ძალიან მალე, მაგრამ ჯერჯერობით ზუსტი თარიღი დადგენილი არ არის. ■

დამშვიდობება ტრამვაისთან

და პირველი ქართველი ვატმანი ქალი

„ტრამვაი“ ინგლისური სიტყვაა, მისი პირველი ნაწილი — ვაგონს, ურიკას ნიშნავს, მეორე კი — გზას, ლიანდაგს. სწორედ ამ ინგლისური სახელისა და გერმანული წარმომავლობის მქონე ტრანსპორტის გაუქმების გადაწყვეტილება მიიღო ცოტა ხნის წინ თბილისის მთავრობამ. საქართველოში საუკუნოვანი ისტორიის შემდეგ, ტრამვაი არაეკონომიურ საგრანსპორტო საშუალებად მიიჩნიეს. უკვე ცნობილია, რომ იქ, სადაც ჯერ კიდევ მოძრაობს ტრამვაი, ლიანდაგებს აყრიან და ტროლეიბუსი ივლის მანამ, სანამ ალტერნატივა მისთვისაც არ მოიძებნება.

ემა ტუხიაშვილი

პირველი საცდელი ელექტრონული საქალაქო რკინიგზა-ტრამვაი, 1879 წელს, ბერლინში გამართულ საერთაშორისო სამრეწველო გამოფენაზე გამოჩნდა. მისი ავტორი, გერმანელი ელექტრომექანიკოსი და მწარმოებელი ერნესტ ვერნერ სიმენსი გახლდათ. 1881 წელს კი, გერმანიაში ბერლინის მახლობლად, ქალაქ ლიხტერფელში, პირველი ტრამვაი გაუშვეს. იმ პერიოდში, ტრამვაის ვაგონი მხოლოდ 20 მგზავრს იტევდა და 30 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობდა. ბერლინში გამოფენაზე წარმოდგენილი ნოვატორული ტრანსპორტის მიმართ, გულგრილი არც რუსები დარჩნენ და 1880 წელს, თავადაც შექმნეს და გამოცადეს ტრამვაი. თუმცა, მისი ექსპლუატაცია XX საუკუნის 90-იან წლებამდე ვერ მოახერხეს.

საქართველოში პირველი ტრამვაი თბილისში 1904 წელს ამუშავდა და 9 სამარშრუტო ხაზზე დადიოდა. 70-იან წლებში, საბჭოთა კავშირმა მიზნად დაისახა, უფრო ჩქაროსნული ტრამვაის შექმნა — სიჩქარე 1,5-ჯერ უნდა გაზრდილიყო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამისათვის საჭირო იყო ლიანდაგების გადაკეთება, რაც სოლიდურ ხარჯებს მოითხოვდა და ამ ჩანაფიქრზე ხელი აიღეს... პირველი ტროლეიბუსიც გერმანიას უკავშირდება. მი-

15 წელი ვიმუშავე ტრამვაის მძღოლად. იყო შემთხვევები, როდესაც ჩემი ქმარიც გამომყოლია ხოლმე მარშრუტში. ეჭვიანობდა

უხედავად იმისა, რომ ტროლეიბუსების შესაქმნელად მუშაობა გერმანელმა მექანიკოსებმა ჯერ კიდევ XX საუკუნის 80-იან წლებში დაიწყეს, მისი გამოყენება მხოლოდ ასფალტისსაფრიანი გზების გაჩენის შემდეგ მოხერხდა. მოსკოვში ტროლეიბუსი პირველად 1934 წელს გამოჩნდა, ხოლო თბილისში — 1937 წელს, მარშრუტით: სტადიონი „დინამო“ — კარლ მარქსის მოედანი. თბილისის გარდა, ტროლეიბუსი მოძრაობდა საქართველოს სხვა ქალაქებშიც: ქუთაისში, რუსთავში, ბათუმში, ცხინვალში, სოხუმში, გორში, საჩხერესა და ჭიათურაში.

ტრამვაისა და ტროლეიბუსის გამოჩენისთანავე, საქართველოში გაიხსნა სპეციალური კურსები, სადაც მსურველებს ამ ტრანსპორტის მართვას ასწავლიდნენ და ასაქმებდნენ კიდეც. ქალბატონი ***ტასო ბანცური*** *დღეს 84 წლისაა, ტრამვაის მძღოლად 15 წელი იმუშავა და შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში უკანასკნელი ვატმანი ქალია.*

— 1922 წელს, დუშეთის რაიონში, სოფელ ბაზალეთში დავიბადე. ჩემს მშობლებს კიდევ 7 შვილი ჰყავდათ. უკიდურეს სიღატაკეში ვცხოვრობდით. როგორც კი 16 წელი შემისრულდა, მშობლებმა პირველსავე მთხოვნელს გამაყოლეს ცოლად და ასე აღმოვჩნდი მცხეთის რაიონის, სოფელ ძალისში. ცოტა ხანში კი, ომი დაიწყო და ჩემი მეუღლე გაიწვიეს. ამის შემდეგ თვალითაც არ გვინახავს. 1941 წელს კი, შემეძინა ქალიშვილი, რომელიც მხოლოდ 7 კვირის ასაკამდე მივიყვანე და გასაზრდელად დედამთილ-მამამთილს დავუტოვე, მე კი სამუშაოდ თბილისში წამოვედი.

— ასე რატომ მოიქეცით?

— ძალიან კარგი მამამთილი მყავდა. მის მიმართ სასაყვედურო არაფერი მქონია, მაგრამ ჩემი ქმრის ბიძაშვილები მექცეოდნენ სასტიკად: ფრონტზე ჩემი ქმრის წასვლის შემდეგ, ისინი ჩვენს სახლში გადმოვიდნენ საცხოვრებლად. ყოველდღე, კოლმეურნეობაში უმძიმესი სამუშაოს შესასრულებლად მაგდებდნენ... დიდმა ფიზიკურმა დატვირთვამ უკვალოდ არ ჩაირა და მალე, ავად გავხდი. მამამთილმა მირჩია: მაგათ გაეცალე, შვილო, თორემ, მუშაობით მოგკლავენო. ჩემს მშობლებთან ვერ დავბრუნდებოდი, რადგან მათაც ძალიან უჭირდათ, ამიტომაც ჩამოვედი ჩემთვის სრულიად უცხო ქალაქში — თბილისში. არც სახლი მქონდა აქ და არც ვინმე ახლობელი მყავდა. თავდაპირველად, დამლაგებლად დავიწყე მუშაობა. ხელფასი იმდენად მცირე იყო, რომ არაფერზე მყოფნიდა, ამიტომაც სულ ვეძებდი სხვა სამსახურსაც. ერთხელაც, მეგობარმა მითხრა, რომ არსებობდა სპეციალური კურსები, სადაც ტრამვაი-ტროლეიბუსის მართვას ასწავლიდნენ, წარჩინებულებს კი ასაქმებდნენ კიდეც. ამ კურსებზე შევედი და სწავლა დავიწყე. კურსები 6-თვიანი იყო.

— ვატმანის პროფესიას იმ დროს, ბევრი ქართველი ქალი ეუფლებოდა?

— მაშინ, ხშირად შეხვდებოდით ქალს, რომლიც ტროლეიბუსს მართავდა, მაგრამ უმეტესობა მაინც რუსი იყო. ქართველ მამაკაცებს არ მოსწონდათ, ქალი საჭეს რომ მიუჯდებოდა, მით უმეტეს — ტროლეიბუსისას. მაგალითად, ერთ-ერთი ჩემი მეგობარი მეუღლემ გამოიყვანა ამ კურსებიდან.

— რამდენად რთული იყო ტრამვაის მართვა?

— ტრამვაის სამართავად, მხოლოდ რამდენიმე ღილაკი გჭირდება. სირთულე შესაძლოა, შეგვხვდეს მაშინ, როდესაც ლიანდაგი სველი ან მოყინულია: შეიძლება, საჭირო მომენტში ვერ დაამუხრუჭო, ტრამვაი გასრიალდეს და ამას სავალალო შედეგი მოჰყვეს.

— მსგავსი შემთხვევა გქონიათ?

— რა თქმა უნდა, გამონაკლისი არც მე ვიყავი, მაგრამ ყველაფერი უმსხვერპლოდ დამთავრდა. ერთხელ, წვიმიან ამინდში ვერ დავამუხრუჭე და ტაქსის შევეჯახე. მძღოლი ძალიან წესიერი კაცი აღმოჩნდა, არც ჩხუბი ამიტეხა და არც სამსახური დამაკარგვინა. ყველაფერი იმით დასრულდა, რომ მისი მანქანა შევაკეთებინე. ვერ ვიტყვი, რომ ტრამვაი მთლად უსაფრთხო ტრანსპორტი იყო. ყოფილა შემთხვევები, როდესაც ვიღაც ლიანდაგზე გადადიოდა და ტრამვაის გაუტანია.

— ხშირად თუ ჩერდებოდა ტრამვაი გაუმართაობის გამო და ასეთ დროს, როგორ უნდა გემოქმედათ?

— ასეთ დროს, ვალდებული ვიყავით, დისპეტჩერისთვის გვეცნობებინა, რომელიც ხელოსანს გამოიძახებდა. ერთი მოხუცი ხელოსანი გვყავდა, ეროვნებით ქურთი. სწორედ მან გამირიგა ჩემი მეორე ქმარი — იოსება. მართალია, მას არ მოსწონდა ჩემი სამუშაო, მეც მეთაკილებოდა, რომ ახალგაზრდა ქალი, მამაკაცივით, ამხელა მანქანას ვმართავდი, მაგრამ არსებობა ხომ გვინდოდა!.. იოსებასთან ვაჟი შემეძინა, როდესაც ბავშვი პატარა იყო, ჩემს მეუღლეს ჩემთან სამსახურში მოჰყავდა, რომ ძუძუ მეჭმია. ჩავისვამდი კალთაში, თან ტრამვაის ვმართავდი და თან — ჩვილს ვანაყრებდი... 15 წელი ვიმუშავე ტრამვაის მძღოლად. იყო შემთხვევები, როდესაც ჩემი ქმარიც გამომყოლია ხოლმე მარშრუტში. ეჭვიანობდა. ვიღაც კაცი უბრალოდ რომ დამლაპარაკებოდა, იოსება უცებ მოვიდოდა და მკითხავდა — ხომ არაფერი გაწყენინაო?..

— ძირითადად, რომელ მაშრუტებზე გიხდებოდათ მუშაობა?

— უმეტესი დრო, ვაკესა და ნაძალადევის რაიონებში ვიმუშავე. ყოველდღე ალბათ, 1000-მდე მგზავრი გადამყავდა. იმ დროს ტრამვაით მგზავრობა 3 კაპიკი ღირდა, იმდენი ხალხი მგზავრობდა, რომ ვაგონში ტევა არ იყო და მგზავრები, კარს ჩაჭიდებულები, კიბეზეც იდგნენ. ბილეთებს კონდუქტორი ყიდდა. იშვიათად, მაგრამ მუქთად მაშინაც მგზავრობდნენ...

— რას ფიქრობთ იმაზე, რომ მალე, თბილისში ტრამვაი აღარ ივლის?

— ახლა, დენიც ხშირად ითიშება, შვილო, მაშინ კი, ომიანობის პერიოდი იყო და არ მახსოვს, რომ ელექტოენერგიის შეწყვეტის გამო, ტრამვაი გამჩერებოდა... ვიცი, რომ ტრამვაისგან ახლა მხოლოდ ლიანდაგები შემორჩა... ახლა სხვა დროა, აღარც ტრამვაი სჭირდება ვინმეს და აღარც ტროლეიბუსი, თითქმის ყველას საკუთარი მანქანა ჰყავს. ბევრმა ისიც კი არ იცის, ვატმანი ვინაა, მე კი ტრამვაიზე გატარებული 15 წელი სამუდამოდ შემომრჩა მეხსიერებაში....

■

მოსკოვში ტროლეიბუსი პირველად 1934 წელს გამოჩნდა, ხოლო თბილისში — 1937 წელს, მარშრუტით: სტადიონი „დინამო“ — კარლ მარქსის მოედანი

„ყელში რაღაც მომაწვა... ვიგრძენი, რომ თავს ვეღარ ვაკონტროლებდი“

ჯარისკაცის შეურაცხყოფა სასტიკი მკვლელობით დასრულდა – საგუშაგოს უფროსს მან ზედიზედ ოთხი ტყვია დაახალა

სასტიკმა დანაშაულმა, რომლისთვისაც 19 წლის ახალგაზრდა გაასამართლეს, ბევრი აალაპარაკა. მომხდარ ფაქტს საზოგადოების მხრიდან არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა: ზოგი დამნაშავეს კიცხავდა, ზოგი მსხვერპლს ადანაშაულებდა. უმეტესობა მართლაც ფიქრობდა, რომ მომხდარში წვლილი მასაც მიუძღოდა, თუმცა სამართალდამცველები აღნიშნავდნენ, რომ ეს დამნაშავის საქციელს არ ამართლებდა. ამ ამბავმა თავსატეხი გამოძიებას, შემდეგ კი სასამართლოს მართლაც გაუჩინა, განსაკუთრებით, სასამართლო-ფსიქოლოგიურ-ფსიქიატრიულ ექსპერტებს, რადგან დანაშაულის კვალიფიკაციის თაობაზე საბოლოო და გადამწყვეტი მნიშვნელობა, სწორედ მათ სიტყვას ჰქონდა. ყველაფერი სისხლის სამართლის სამი მძიმე მუხლითა და საკმაოდ მკაცრი სასჯელით — 12-წლიანი თავისუფლების აღკვეთით დასრულდა, მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით. ასეთი განაჩენი გამოუტანა თბილისის საოლქო სასამართლომ 1984 წელს დაბადებულ, თბილისელ ვალერი ავალიშვილს (გვარ-სახელები შეცვლილია). განაჩენის თანახმად, შეფარდებული სასჯელიდან 6 თვე მას სატუსაღოში უნდა გაეტარებინა. სასამართლოს წინაშე მასთან ერთად, საგარეჯოს რაიონის მკვიდრი, ასევე 19 წლის ბაქარ ველიაშვილიც წარდგა. ის დანაშაულის შემდეგ მეგობრისთვის გაწეული თანადგომისთვის დაისაჯა.

საქმე სასტიკ მკვლელობას ეხება. დანაშაული კი საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ერთ-ერთი სასაზღვრო რაზმის დისლოკაციის ადგილზე მოხდა. ვალერი ავალიშვილი და ბაქარ ველიაშვილი სწორედ ამ რაზმის რიგითი ჯარისკაცები გახლდნენ. ოფიციალური ცნობის თანახმად, რაზმში ისინი 2002 წლის ზაფხულიდან მსახურობდნენ. იქვე, №10 სასაზღვრო საგუშაგოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი იყო ლეიტენანტი მალხაზ შათირიშვილი. როგორც ამბობენ და ამას საქმის მასალებში არსებული ჩვენებებიც მოწმობს, შათირიშვილსა და ავალიშვილს ერთმანეთთან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ. დაძაბულობა მალე ყველასთვის შესამჩნევი გახდა.

ბაქარ ველიაშვილის ჩვენებიდან:

„საგუშაგოს უფროსმა ვალერი რატომღაც თავიდანვე აითვალწუნა. არაფერს უთმობდა და ამით თითქოს მის გაღიზიანებას ცდილობდა. მათ ასეთ დაძაბულ ურთიერთობას რაზმში ყველა ვამჩნევდით და გვიკვირდა კიდეც, რადგან ვალერი მას არავითარ საბაბს არ აძლევდა. პირიქით, მაქსიმალურად არიდებდა თავს კონფლიქტს. ბუნებითაც წყნარი და მომთმენი ადამიანი იყო. ჯარისკაცებთან ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა. ამბობდა, შათირიშვილი ვერ მიტანსო. მართალიც იყო. ერთხელ პირადად შევესწარი, როგორ მიმართავდა მას უცენზურო სიტყვებით. ვალერის გასალანძღად უმნიშვნელო მიზეზიც კი საკმარისი იყო მისთვის“.

ჯარისკაცები ამბობდნენ, რომ საგუშაგოს უფროსი, ვალერის ყველას თანდასწრებით ამცირებდა, სიტყვიერ და ხშირად, ფიზიკურ შეურაცხყოფასაც აყენებდა მას. ასე მოხდა სექტემბრის ერთ საღამოსაც. იმ ღამით, 12 საათიდან, საგუშაგოზე მორიგეობა ავალიშვილს ევალებოდა. მასზე ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი „აკა-74“ იყო გაპიროვნებული. ამბობენ, რომ შეიარაღებული ავალიშვილი იმ ღამით საგუშაგოზე დაკისრებულ მოვალეობას, ჩვეულებრივად, პირნათლად ასრულებდა. მაგრამ ასე არ ჩათვალა საგუშაგოს უფროსმა. დაახლოებით ღამის 2 საათი იქნებოდა, როცა ის გაბრაზებული ლანძღვა-გინებით მივარდა საგუშაგოზე მდგარ ავალიშვილს, უცენზურო სიტყვებით მიმართა, ესეც არ იკმარა და ხელიც გაარტყა მას სახეში.

„სახეში სილა გამაწნა. წავბარბაცდი. საშინლად გავბრაზდი, მაგრამ მაინც არაფერი ვთქვი. მაშინ დამემუქრა, იცოდე, საგუშაგოდან რაზმში გადაგიყვანო. ეს კი იმ დროს ყველაზე მეტად არ მინდოდა“, — ჰყვებოდა პროცესზე განსასჯელი.

შათირიშვილი თავის კაბინეტში დაბრუნდა. შეურაცხყოფილი და ანერვიულებული ავალიშვილი ადგილიდან არც განძრეულა, იდგა და სიტუაციიდან გამოსავალზე ფიქრობდა. *„ჩემი იქ ყოფნა დღითი დღე გაუსაძლისი ხდებოდა. განსაკუთრებით, დანარჩენი ჯარისკაცების, ჩემი მეგობრების წინაშე ვგრძნობდი თავს დამცირებულად“,*— ამბობდა **ავალიშვილი**. შელახული ღირსების აღდგენა, როგორც ჩანს, მაშინ მან სხვა დროისთვის გადადო, რადგან უფროსის კაბინეტში შესულმა, მას სულ სხვა თხოვნით მიმართა.

შათირიშვილის ოთახის კართან ავალიშვილი, მათ შორის მომხდარი ინციდენტიდან რამდენიმე წუთში მივიდა. მისი ღვიძლი ბიძაშვილის — ახალგაზრდა გოგონას გარდაცვალებიდან ჯერ ორმოცი დღეც არ იყო გასული და იმ პერიოდში, ავალიშვილისთვის თუნდაც ერთი დღით ოჯახში მისვლა ძალზე მნიშვნელოვანი იყო. თუკი უფროსი მას საგუშაგოდან რაზმში გადაიყვანდა, შინ წასვლას და გარდაცვლილის საფლავზე გასვლას, ის ვერაფრით მოახერხებდა. კაბინეტში შესვლისთანავე აუხსნა სიტუაცია შათირიშვილს და სთხოვა, ორმოცამდე მაინც არ გაეკეთებინა ეს.

„მიუხედავად ყველაფრისა, მისგან ასეთ რეაქციას არ ველოდი,“ — აღნიშნა განსასჯელმა და თქვა, რომ შათირიშვილი ფეხზე წამოხტა, ყვირილი დაუწყო და შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართა მას, შემდეგ, მისი გარდაცვლილი ბიძაშვილიც უცენზურო სიტყვებით მოიხსენია. *„ვიგრძენი, როგორ მომაწვა ყელში რაღაც და მახრჩობდა. ამის მოთმენა აღარ შემეძლო. ყველაფერს საზღვარი აქვს და მეც ამევსო მოთმინების ფიალა, მაშინ საკუთარ თავზე კონტროლი დავკარგე“,* — თქვა განსასჯელმა.

საქმის მასალების მიხედვით, საშინლად გაბრაზებული და აღელვებული ავალიშვილი უფროსის კაბინეტიდან გამოვარდა, სადღაც ქსოვილის ნაჭერი იპოვა. ნაჭერი ავტომატის ლულას შემოახვია. ეს იმისთვის გააკეთა, რომ გასროლის დროს, იარაღის ხმა დაეხშო. შემდეგ, ავტომატი საბრძოლო მდგომარეობაში მოიყვანა, მივიდა საგუშაგოს უფროსის ოთახთან (იმ ოთახში შათირიშვილი იძინებდა კიდეც), შეაღო კარი და იარაღი საწოლზე მწოლიარეს დაუმიზნა. ავტომატიდან ერთჯერადი სროლის რეჟიმით, შათი-

რიშვილს მან ზედიზედ ოთხჯერ ესროლა. მძიმედ დაჭრილი მალხაზ შათირიშვილი ადგილზევე გარდაიცვალა.

„გონს რომ მოვეგე და მივხვდი, რაც ჩავიდინე, შემეშინდა. პირველი რაც გავიფიქრე, ის იყო, რომ შეიძლებოდა, ყველაფერი ძალიან მალე გახმაურებულიყო და მომხდარის შესახებ ყველას შეეტყო“, — ამბობდა **ავალიშვილი**. იმის შიშით, რომ ჩადენილ დანაშაულში მხილებული და დაკავებული იქნებოდა, შათირიშვილის ოთახში, საწოლის გვერდით მდგარ ტუმბოს მივარდა და ზედ დადებულ, იარაღის შესანახი ოთახის გასაღებს დაავლო ხელი.

სროლის ხმა ჯარისკაცებმა მაინც გაიგონეს. გაღვიძებულები, მაშინვე წამოცვივდნენ და საგუშაგოსკენ გაიქცნენ. უფროსის ოთახიდან გამოსულ ავალიშვილს ისინი დერეფანში შეეფეთნენ. ისინი სამნი იყვნენ: დ. პატიაშვილი, კ. ტოკლიკაშვილი და ნ. იაშვილი. როგორც საქმის მასალებშია აღნიშნული, ჩადენილი დანაშაულის კვალის დაფარვისა და სხვა დანაშაულის გაადვილების მიზნით, ასევე იმისთვის, რომ არ დაეკავებინათ, ავალიშვილმა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობის მუქარით, იარაღი ჯარისკაცებს დაუმიზნა და ურჩია მათ, ისე მოქცეულიყვნენ, როგორც ის უბრძანებდა. მუქარის შედეგად, მათ კავშირგაბმულობის ანძიდან სადენები ჩამოახსნევინა, შემდეგ, კავშირგაბმულობის ოთახიდან რაციაც გამოატანინა, რათა ჯარისკაცები არ დაჰკავშირებოდნენ ხელმძღვანელობას, ბოლოს კი სამივე, კავშირგაბმულობის ოთახში ჩაკეტა. ჯარისკაცებმა წინააღმდეგობის გაწევაც სცადეს, მაგრამ ავალიშვილმა მათი დაშინების მიზნით, ავტომატიდან ერთხელ გაისროლა, საბედნიეროდ — მიწის მიმართულებით. შემდეგ, ოთახის კარი გარედან ბოქლომით დაკეტა და ჯარისკაცები იქ დატოვა (აღსანიშნავია, რომ ამ ქმედებისთვის პროკურატურამ, სხვა მძიმე მუხლებთან ერთად, ავალიშვილს პირებისთვის უკანონოდ თავისუფლების აღკვეთის ბრალდებაც წაუყენა).

ამის შემდეგ, ავალიშვილმა მოკლულის ოთახიდან წამოღებული გასაღებით გააღო შეიარაღების ოთახის კარი, კარადიდან 3 ცალი „ა-კა-ესის“ სისტემის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, ვაზნებით სავსე 2 თუნუქის ყუთი და 7 მჭიდი (205 ვაზნით) აიღო, ყველაფერი ზურგჩანთაში ჩააწყო და საჩქაროდ დატოვა იქაურობა.

ავალიშვილი ტყისკენ გაიქცა. მომხდარის შესახებ მისმა მეგობარმა, ასევე რიგითმა ჯარისკაცმა — ბაქარ ველიაშვილმაც შეიტყო. საძინებელი ოთახიდან ხმაურზე ის მოგვიანებით გამოვიდა. როცა გაარკვია, თუ რა მოხდა, მაშინვე დაედევნა გაქცეულს. იმ მომენტისთვის ავალიშვილს დაახლოებით 30-40 მეტრი თუ ექნებოდა გარბენილი. ამიტომაც ველიაშვილი მას მალე დაეწია. უთხრა მეგობარს, რომ ყველაფერი შეიტყო და სთხოვა, სამართალდამცველებს საკუთარი ნებით ჩაჰბარებოდა.

ველიაშვილის ჩვენებიდან:

„ასე ვურჩიე, რადგან ვიცოდი, რომ მისი დაკავება არ გაუჭირდებოდათ, ადრე თუ გვიან, მაინც აიყვანდნენ და ამის გამო მდგომარეობა კიდევ უფრო დაუმძიმდებოდა. ვუთხარი კიდეც, თავს მაინც ვეღარ უშველი, ჯობია, ჩაჰბარდემეთქი. არ დამიჯერა. ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო, მგონი, თავადაც ვერ ხვდებოდა, რას აკეთებდა, თავს კონტროლს ვერ უწევდა. საშინლად აღელვებული და დაბნეული იყო. გამომეტყველებაც ისეთი ჰქონდა, რომ ვიფიქრე, ამის მარტო დატოვება არ შეიძლება-მეთქი. შემეშინდა, თავს რამე უბედურება არ აუტეხოს, თავი არ მოიკლას-მეთქი და გადავწყვიტე, მასთან დავრჩენილიყავი და სადაც წავიდოდა, მეც იქ წავსულიყავი. ასე უფრო მშვიდად ვიქნებოდი, რადგან მას მორიგი საშინელი ქმედების ჩადენის საშუალებას არ მივცემდი... სოფელ ალმატის მიმდებარე ტყისკენ ერთად წავედით. ტყეში ორი დღე-ღამე გავატარეთ“.

მომხდარის შესახებ ავალიშვილის ოჯახის წევრებმაც შეიტყვეს. გაქცეულ ჯარისკაცებს ისინიც ეძებდნენ. მოგვიანებით, ავალიშვილი მის საძებრად წასული ძმისა და სიძის მეშვეობით, მამამისს დაუკავშირდა და უთხრა, რომ სურდა, ნებით ჩაჰბარებოდა სასაზღვრო ჯარების ხელმძღვანელობას და მათთვის გატაცებული იარაღი და საბრძოლო მასალაც ჩაებარებინა. მას თავისი ადგილსამყოფელიც უთხრა. მამამ შვილსა და მის მეგობარს მიაკითხა, ორივე თავისი ნათესავების ოჯახში მიიყვანა, ისინი დიასახლისს ჩააბარა, თავად კი თბილისისკენ გაეშურა. სასაზღვრო ჯარების ხელმძღვანელობას აცნობა, რომ მისი შვილი და მასთან ერთად გაქცეული ჯარისკაცი მზად იყვნენ, ჩაჰბარებოდნენ.

ავალიშვილმა ჩადენილი დანაშაულის შესახებ გამოძიებას დეტალურად უამბო. თუმცა, სასამართლოში წარდგენილ ბრალდებაში მან თავი დამნაშავედ არ ცნო. საქმე ის გახლდათ, რომ პროკურატურამ ავალიშვილი, შათირიშვილის განზრახ მკვლელობაში დაადანაშაულა, განსასჯელის განცხადებით კი, მან საგუშაგოს უფროსის მკვლელობა აფექტურ მდგომარეობაში ყოფნისას ჩაიდინა. ამ პოზიციას არ ეთანხმებოდა არც დაზარალებული მხარე და არც პროკურორი. მათი თქმით, აშკარა იყო, რომ ავალიშვილმა მკვლელობა წინასწარი განზრახვით ჩაიდინა. განსასჯელისა და მისი ადვოკატის პოზიციას არ დაეთანხმა არც სასამართლო. ამ საკითხთან დაკავშირებით, სასამართლოს გადაწყვეტილებას ექსპერტიზის დასკვნა დაედო საფუძვლად. ექსპერტებმა დანაშაულის ჩადენის მომენტში ავალიშვილის აფექტური მდგომარეობა გამორიცხეს. მათი თქმით, ამას დამნაშავის მიერ განხორციელებული თანმიმდევრული და წინასწარ გააზრებული მოქმედებები ადასტურებს: საგუშაგოს უფროსის მიერ შეურაცხყოფილი ჯარისკაცი ოთახიდან გადის, იარაღის ლულას ქსოვილის დიდ ნაჭერს ახვევს, რათა სროლის ხმა სხვებმა არ გაიგონონ (ანუ მას გააზრებული აქვს საკუთარი ქმედება და წინასწარ იცის, თუ რა შედეგით დასრულდება იგი), შემდეგ შედის ოთახში და ზედიზედ ოთხჯერ ახლის ტყვიას მწოლიარე შათირიშვილს... სასამართლოს განაჩენის მიხედვით, ავალიშვილმა მკვლელობა შურისძიების მოტივით ჩაიდინა. 12 წლით თავისუფლების აღკვეთა ავალიშვილს მკვლელობის გარდა, პროკურატურის მიერ წაყენებული სხვა ბრალდებებისთვისაც შეუფარდეს.

ასეთი სასჯელი მეტისმეტად მკაცრად და უსამართლოდ ეჩვენა მსჯავრდებულის ადვოკატს. მან საჩივრით უზენაეს სასამართლოს მიმართა და განაჩენის გაუქმება მოითხოვა. *„სასამართლოს აუცილებლად უნდა გაეთვალისწინებინა ის, რომ ავალიშვილს, ყველა დადებითად ახასიათებს და რომ მისი წარსული არაფრითაა შებღალული. ის თავისი ნებით ჩაჰბარდა სამართალდამცველებს, ძალიან განიცდიდა მომხდარს, ხოლო რაც შეეხება სამი ჯარისკაცისთვის თავისუფლების აღკვეთას, ამ დანაშაულს ის გულწრფელად აღიარებდა და ინანიებდა“*, — აღნიშნავს ადვოკატი საჩივარში.

ადვოკატი მსჯავრდებულისთვის შეფარდებული სასჯელის გაუქმებას და 12 წლის ნაცვლად, მისთვის მხოლოდ 3 წლით თავისუფლების აღკვეთის შეფარდებას მოითხოვდა. უზენაესმა სასამართლომ მართალია, დანაშაულის აფექტურ მდგომარეობაში ჩადენის ფაქტი გამორიცხა, მაგრამ მსჯავრდებულის მდგომარეობაც გაითვალისწინა. მხედველობაში მიიღეს ის გარემოება, რომ მკვლელობის ჩადენა დაზარალებულის — აწ გარდაცვლილის არამართლზომიერმა ქმედებამ განაპირობა. სწორედ ამის გამო, ავალიშვილს მოსამართლეებმა სასჯელი შეუმსუბუქეს და მას საბოლოოდ, 9 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრეს. რაც შეეხება ბაქარ ველიაშვილს, ის საგუშაგოს ტერიტორიის თვითნებურად დატოვებისა და ჯარის ნაწილიდან გაქცევისთვის დასაჯეს და ამის გამო, ციხეში რამდენიმე თვის გატარება მოუხდა. მას განაჩენი არ გაუსაჩივრებია.

■

არასრულწლოვანი მონსტრები

„არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქმედებები უკვე დიდი ხანია სამართალდამცავი ორგანოების კონტროლიდან გამოვიდა და ყოველგვარ ზღვარს გასცდა. ამ დანაშაულთა უმეტესობა სექსუალური ხასიათისაა. არაჯანსაღი სოციალური გარემოს შედეგად ფსიქიკადამახინჯებული მოზარდები სექსუალურ მოძალადეებად და მონსტრებად გვევლინებიან“, — აცხადებენ ფსიქოლოგები, რომლებიც ამ საკითხს მსოფლიო მასშტაბით განიხილავენ. ისინი შექმნილ ვითარებას მსოფლიო პრობლემას უწოდებენ. ამას მოწმობს სტატისტიკური მონაცემები.

ამჟამინდელი მონაცემებით, სწორედ არასრულწლოვნები წარმოადგენენ მსჯავრდებულთა 12%-ს. თუმცა, უფრო საგანგაშოა ტემპი, რომლის მიხედვითაც, მოზარდთა შორის დაფიქსირებული დანაშაულებრივი ქმედებები, ფსიქოლოგთა გამოთვლების თანახმად, 2,5-ჯერ უფრო სწრაფად მატულობს, ვიდრე ზრდასრულებში. ცნობილია ისიც, რომ არასრულწლოვან მსჯავრდებულთა და განსასჯელთაგან დაახლოებით 60% სხვადასხვა სახის ფსიქიკური დაავადებით იტანჯება. ამავე სტატისტიკური მონაცემებით, ყოველი მეორე არასრულწლოვანი პატიმარი ავლენს მიდრეკილებას ნარკომანიის, ტოქსიკომანიისა და ალკოჰოლიზმისადმი.

სამწუხაროდ, არასრულწლოვანთა და მოზარდთა შორის კანონსაწინააღმდეგო ქმედებები ჩვენს ქვეყანაშიც ხშირად ვლინდება. ამას რამდენიმე დღის წინ თბილისში გახმაურებული ფაქტიც მოწმობს. მე-7 კლასელმა გოგონამ რამდენიმე არასრულწლოვანი მის გაუპატიურებასა და მის მიმართ გაუკუღმართებული გზით განხორციელებულ სექსუალურ ძალადობაში ამხილა. ამ ფაქტთან დაკავშირებით ამჟამად, გამოძიება მიმდინარეობს და დანაშაულის დეტალებისა და დამნაშავე პირების შესახებ ალბათ, ახლო მომავალში გახდება ცნობილი.

არასრულწლოვანთა შორის ძალადობის პრობლემას არაერთი ორგანიზაცია ეხმაურება. მაგალითად, სულ ახლახან, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სტატისტიკური მონაცემები და რამდენიმე შემზარავი ფაქტის სია გამოაქვეყნა ერთ-ერთმა ევროპულმა არასამთავრობო ორგანიზაციამაც. გამოქვეყნებული ფაქტებიდან ყველაზე მძიმე და შემაშფოთებელი, 16 წლის ავსტრიელის — კრეიგ ლ-ის საქმეა.

როგორც ამბობენ, კრეიგი მატერიალურად გაჭირვებულ ოჯახში იზრდებოდა. მშობლებს ერთმანეთთან მუდამ დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ, ხშირად სვამდნენ და შემდეგ ერთმანეთს სცემდნენ. კრეიგი მშობლების ერთადერთი შვილი გახლავთ. ის 13 წლის იყო, როცა მამამისი პირველად დააპატიმრეს. ამ ამბიდან ერთი წელიც არ იყო გასული, როცა კრეიგმა მეზობელი დანით დაჭრა. ამჯერად, ბიჭი თავად მოხვდა ციხეში. საბედნიეროდ, ჭრილობა მსუბუქი აღმოჩნდა და მოზარდიც მალე გაათავისუფლეს პატიმრობიდან. იმასაც ამბობენ, კრეიგს ძირითადად, სამი რამ იტაცებდა: ფული, აზარტული თამაშები და საღებავის სხვადასხვა გამხსნელი, რომელსაც ის გამუდმებით ისუნთქავდა და ამით სიამოვნებას იღებდა. კრეიგი ტოქსიკომანი იყო. მალე ამ გატაცებებს სექსუალური ძალადობაც შეემატა. კრეიგი და მისი მეგობრები ყოველ საღამოს, უსაფრდებოდნენ ქუჩაში მარტოდ მიმავალ გოგონებს და აუპატიურებდნენ მათ. ნორმალური სექსუალური ურთიერთობა კრეიგს არავისთან ჰქონია, რადგან როგორც ამბობენ, ის იმდენად აგრესიული იყო, რომ გოგონებს მისი ეშინოდათ და გაურბოდნენ. ფსიქოლოგების აზრით, ამ ფაქტმა კიდევ უფრო გაზარდა კრეიგში აგრესია.

ერთ საღამოს ის ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის ბნელ სადარბაზოში დაესხა თავს მოზარდ გოგონას. გოგონა მისთვის უცნობი იყო. მსხვერპლისა და დანაშაულის ადგილის შერჩევა სრულიად შემთხვევით მოხდა. გოგონა საკმაოდ ღონიერი და მოხერხებული აღმოჩნდა. საბედნიეროდ, ცრემლსადენი გაზის بალონიც ჰქონდა თან და მოძალადეს პირდაპირ თვალებში შეასხურა. დაზარალებულ გოგონას მომხდარის შესახებ არ განუცხადებია, ამ ფაქტის შესახებ დაკითხვისას თავად კრეიგმა უთხრა სამართალდამცველებს.

გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში აღნიშნა ისიც, რომ იმ პერიოდში, ერთ-ერთ გაზეთში სტატია წაიკითხა, სადაც ცნობილი სექსუალური მანიაკის შესახებ ეწერა. სტატიის თანახმად, მანიაკი, როცა დანაშაულის ჩადენას გადაწყვეტდა, პირველსავე სახლში შედიოდა, პირველსავე კარზე რეკავდა ზარს და თუ ქალი გააღებდა, მაშინვე ესხმოდა მას თავს და აუპატიურებდა. მანიაკის თითქმის ყველა მსხვერპლი მასზე გაცილებით უფროსი და ფიზიკურად ძლიერი იყო. მოძალადე მათი წინააღმდეგობის დაძლევას ცეცხლსასროლი იარაღით ახერხებდა.

სტატიის წაკითხვის შემდეგ, კრეიგმა სწორედ ამ გეგმით მოქმედება დაიწყო. ამისთვის, ერთ-ერთი ნაცნობისგან უკანონოდ, პისტოლეტიც კი შეიძინა. პირველი თავდასხმა მან „წარმატებით“ განახორციელა. მისი მსხვერპლი, მეზობელ რაიონში მცხოვრები არასრულწლოვანი გოგონა აღმოჩნდა. გოგონას ფეხი ჰქონდა მოტეხილი და თაბაშირში ჩასმული. დილაობით ის სახლიდან ეზოში სუფთა ჰაერზე გამოდიოდა, სკამზე ჯდებოდა და წიგნს კითხულობდა. კრეიგს მისთვის არ უთვალთვალია. უბრალოდ, დილით, როცა იმ რაიონში მოხვდა, სკამზე მჯდომ, ფეხშეხვეულ გოგონას მოჰკრა თვალი. დაელოდა, სანამ ის შინ შებრუნდებოდა. მალე, გოგონა სახლისკენ ნელ-ნელა წავიდა, შინ შევიდა და კარიც მიიხურა. კრეიგი მას ფეხდაფეხ მიჰყვა. იმავე წუთს, გოგონას ბინის კარზე ზარი დარეკა, დარწმუნებული იყო, რომ ოთახში ღრმად შესვლას ის ვერ მოასწრებდა და კარსაც თვითონ გააღებდა. ასეც მოხდა. კრეიგმა გოგონას პირზე ხელი ააფარა, შემდეგ პისტოლეტი მიადო შუბლზე და გააუპატიურა. მოძალადეს იმ მხრივაც გაუმართლა, რომ შინ გოგონა მოხუც ბაბუასთან ერთად იმყოფებოდა. სმენადაქვეითებულმა ბაბუამ ვერაფერი გაიგონა...

კრეიგის მორიგი მსხვერპლი, 30 წლის ქალბატონი აღმოჩნდა. არასრულწლოვანი მოძალადე იარაღის მუქარით მის დამორჩილებას ცდილობდა, მაგრამ ვერ გათვალა ის, რომ სახლში შესაძლებელი იყო, სხვებიც ყოფილიყვნენ. ბინაში იმ დროს ორი მამაკაცი და ერთი ახალგაზრდა ქალი — დაზარალებულის მეგობარი იმყოფებოდნენ. დიასახლისის შეკივლება რომ გაიგონეს, მაშინვე კარისკენ გაიქცნენ. მამაკაცებმა მოძალადის განიარაღება შეძლეს, სცემეს, შემდეგ გაკოჭეს და მომხდარის შესახებ სამართალდამცველებს შეატყობინეს. დაკავებული იმდენად სასტიკად იყო ნაცემი, რომ საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის გატარება მას ციხის საავადმყოფოში მოუხდა... ■

პოლიციამ ცხელ კვალზე დააკავა 24 წლის ახალგაზრდა

სამართალდამცველებმა 17 თებერვალს, ქუთაისში ავტომანქანის გატაცების ფაქტზე ზუგდიდელი, 24 წლის ალექსანდრე არქანია დააკავეს. იმერეთის სამხარეო პოლიციის უფროსის, ლევან კახიანის თქმით, არქანიამ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩაზე განახორციელა თავდასხმა. ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული არქანია, როგორც სამართალდამცველები აცხადებენ, მოქალაქე მამუკა ლანჩავას დაესხა თავს და იარაღის მუქარით, მას კუთვნილი ავტომანქანა „ვაზ-2101“ და პირადი ნივთები წაართვა.

ეჭვმიტანილს პოლიცია ცხელ კვალზე დაედევნა. არქანია დააკავეს და პირადი ჩხრეკისას, მას ცეცხლსასროლი იარაღი და ორი ვაზნა ჩამოართვეს. დაკავებულს თან გადაჭრილი სანადირო თოფიც აღმოაჩნდა. ის წინასწარი პატიმრობის იზოლატორში გადაიყვანეს. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება. ■

რუბრიკა მოამზადა მეგი ცანავამ

ოჯახური სიტუაცია

„შვილს ალიმენტი დავაკისრე“ ანუ ოჯახური პრობლემა ყველას აქვს

ისე, გაზაფხული თითქოს ჯერ არც ისე ახლოსაა, რომ გულებში სიყვარულის ცეცხლი ააგიზგიზოს. მაშ, ამ კვირაში ჩემი მკითხველები რამ გადარია, ვერ გამიგია...

მარი ჯაფარიძე

საზრიანი ქართველი ქმარი

„ერთი მაგარი ოჯახური ამბავი უნდა მოგიყვეთ, რომელიც მე და ჩემს ქმარს გადაგვხდა თავს. საკმაოდ შეძლებული ოჯახი გვაქვს. ამიტომ, ჩვენთვის პრობლემას არ წარმოადგენს, ზაფხულობით თუ ზამთრობით მსოფლიოს ცნობილ კურორტებზე დასვენება. რამდენიმე წლის წინ, მე და ჩემმა ქმარმა გადავწყვიტეთ, რომ ბავშვები ბებიებთან დაგვეტოვებინა და დასასვენებლად მარტო წავსულიყავით. ასეც მოვიქეცით და უცხოეთში, ზღვაზე წავედით. ძალიან მაგარ დროს ვატარებდით. ჩვენთან ერთად, ჩემი ქმრის ძმაკაცი და მისი ცოლი იყვნენ. რა თქმა უნდა, ველურ პლაჟზე არ გავდიოდით. ჩვენი ქმრები კი, ხანდახან იპარებოდნენ და შიშველი ქალების ყურებით ტკბებოდნენ. ერთხელ, პლაჟზე კარტს ვთამაშობდით, როდესაც ჩვენი ყურადღება ოთხმა ადამიანმა მიიპყრო. აშკარა იყო, რომ დედა, მამა და შვილები იყვნენ. ისინი პლაჟზე მოდიოდნენ. ამაში გასაკვირი რა არის? მაგრამ საოცარი ის იყო, რომ შიშვლები იყვნენ. გოგონა ასე, თხუთმეტიოდე წლის იქნებოდა, ბიჭუნა კი — 11-12 წლის. ისე მოაბიჯებდნენ ამდენ ხალხში, თითქოს საუკეთესო კოსტიუმები ეცვათ. რა თქმა უნდა, ყველანი მათ მივაჩერდით... უცნაური ოჯახი თანდათან გვიახლოვდებოდა და მათი სხეულის ინტიმური ნაწილებიც უფრო და უფრო მკვეთრად ჩანდა. უეცრად, ჩემი ქმარი მომიბრუნდა და თვალებზე ხელები ამაფარა. თვითონ კი თვალდაჭყეტილი მისჩერებოდა. ვიდრე თვალს არ მიეფარნენ, არც ჩემთვის აუხელია თვალები და არც თვითონ დაუხამხამებია... რატომ მოიქეცი ასე-მეთქი? — ვკითხე. — იმიტომ, რომ იმ კაცის სასირცხო ადგილისთვის თვალი არ მოგეკრაო, — მიპასუხა... აი, ასეთები არიან ქართველი ქმრები. იმ კაცს გვერდით შიშველი ქალი მოჰყვებოდა და არ დარდობდა, მე კი ჩემმა ქმარმა უცხო შიშველი კაცის დანახვის საშუალებაც არ მომცა. რომ ვკითხე — შენ ვის უყურებდი-მეთქი? — იცით, რა მითხრა?.. — შიშველი ქალების მეტი რა მინახავს, შიშველი კაცი კი, პირველად ვნახე და გაოცებული, მას ვუყურებდიო... მა-აშ!“

სიძე-სიდედრიანი ისეთივე „მარადიული“ თემაა, როგორიც რძალ-დედამთილიანი. ამიტომ, როდესაც თემად „ოჯახური სიტუაციები“ შემოგთავაზეთ, ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ ის აუცილებლად გაიუღერებდა. თავდაპირველად, სიძეს მოვუსმინოთ:

სოფლელი ბიჭი თუ გამოუსწორებელი მექალთანე?

„თხრობას იმით დავიწყებ, რომ როდესაც ცოლი მოვიყვანე, 17 წლის ვიყავი. სკოლა იმ წელს დავამთავრე და უმაღლესშიც მოვეწყვე. ერთი სოფლელი ბიჭი ვიყავი. დედამ თბილისში ბინა მიქირავა და დამტოვა, თვითონ კი სოფელში დაბრუნდა. მარტო ვართმევდი თავს ყველაფერს. ჩემი მომავალი მეუღლე დანახვისთანავე შემიყვარდა. მამა არ ჰყავდა, დედისერთა იყო და ბევრი არ მიფიქრია — ვტაცე ხელი და... ზედსიძედ მივედი. ჩემს სიდედრს თავიდანვე არ მოვუვედი თვალში, უქონელი და უსწავლელი სიძე, მაგრამ რაღას იზამდა? — მიმიღო. მეც შევიფერე ქალაქელობა და უცებ გადმოვეწყვე აქაურ ყაიდაზე: ყავის სმაც ვისწავლე, სიგარეტის მოწევაც და ქალებში სიარულიც. უნივერსიტეტის დამთავრებისას, უკვე 2 შვილი მყავდა. მინდოდა თუ არა, სამსახური უნდა მეშოვა, რომ ოჯახი შემენახა. ღვთის წყალობით, ისეთი სამსახური ვიშოვე, რომ ოჯახსაც ვარჩენდი და დანაზოგსაც ვაკეთებდი. მალე სიდედრის ბინა, სანზონაში გავყიდე და საბურთალოზე უკეთესი ბინა ვიყიდე. ცხოვრება ავაწყვე, მაგრამ ჩემი სიდედრისთვის მაინც სოფლელ ბიჭად დავრჩი. არადა, რა მეტყობა სოფლელის? მაგარ „ვიდზე“ ვდგავარ მეც, ჩემი ოჯახიც და „დაჟე“ ჩემი სიდედრიც. სახლში რომ მივალ, უკომენტაროდ არ მტოვებს — მობრძანდა, ქვეყნის ამშენებელიო!.. — იტყვის და ზურგს შემაქცევს ხოლმე. ამის შემდეგ, ან თავის ოთახში შეძვრება, ან — სამზარეულოში და აღარ გამოდის იქიდან. ეს იმიტომ მოგიყევით, რომ საერთო წარმოდგენა შეგექმნათ ჩემს ოჯახზე. ახლა კი — მთავარი ამბავი. ამას წინათ, თურმე, ჩემი ძვირფასი სიდედრი სამარშრუტო ტაქსიში იჯდა, მე კი ჩემი მანქანით ამ „მარშრუტკისთვის“ „დამიაბგონებია“. იმავე „მარშრუტკაში“ 2 ახალგაზრდა გოგო მჯდარა, რომელთაგან ერთ-ერთი, ჩემი ძველი ნაცნობი იყო. მათ რომ დავუნახავვარ, ხმამაღლა გამოუხატავთ ემოცია. აბა, რა იცოდნენ, რომ გვერდით ჩემი სიდედრი ეჯდათ?! ჰოდა, ერთ-ერთმა მობილურზე დამირეკა კიდეც და ტკბილად მეღუღუნა. რა თქმა უნდა, რესტორანში დავპატიჟე და საღამოსთვის, შეხვედრა დავთქვით. მე რომ ყურმილი დამიკიდა, იმ გოგომ დაქალთან გაარჩია თურმე, ჩვენი ურთიერთობის დეტალები და ისიც დაწვრილებით მოუხსენებია, თუ სად დავპატიჟე... ჩემი სიდედრი თავის გაჩერებას გასცდა თურმე, მაგრამ „მარშრუტკიდან“ არ ჩამოვიდა, რომ საუბარი ბოლომდე მოესმინა... რა თქმა უნდა, შინ მისულმა, თავის შვილს ჩაუკაკლა ყველაფერი და დასძინა: აჰა, რომ გეუბნებოდი და არ გჯეროდა, ახლა წადი იმ რესტორანში და შენი საკუთარი თვალით ნახავ ყველაფერსო. ჩემმა ცოლმა დამირეკა და მკითხა, მალე დავბრუნდებოდი შინ თუ არა? არ გამკვირვებია, რადგან ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო. ვუთხარი, შემაგვიანდება, მეგობარს სასწრაფო ოპერაცია გაუკეთეს და შეიძლება, საავადმყოფოში დავრჩე-მეთქი... აჰა, ხომ გეუბნებოდი, რომ ეგ ვაჟბატონი ცუდ გზაზე დგას, ახლაც არ დამიჯერებო? — ისევ ნიშნის მოგებით უთქვამს მისთვის დედიკოს. ჩემი ცოლი განრისხდა და ჩემს „დასასტუკებლად“, რესტორანში მოვიდა. გარედან მითვალთვალებდა და როდესაც ჩემს

მეგობართან ერთად, რესტორნიდან გამოვედი და გეზი სასტუმროსკენ ავიღე, ტაქსით გამომყოლია. სასტუმროს ეზოში კი, ისეთი სცენები მომიწყო, რომ არასოდეს დამავიწყდება: ის გოგო ხომ სულ თმით ითრია, ხეირი არც მე დამაყენა. ძალიან გამიკვირდა, საიდან უნდა გაეგო ჩემს ცოლს ჩემი პაემნის ამბავი, მაგრამ მხოლოდ ერთი წლის მერე დავაცდენინე, რომ ჩემი საყვარელი სიდედრის წყალობით მომხდარა სკანდალი. იმის მერე ხომ უფრო მეტად შევიყვარე!.. ახლა, ინსულტი დაემართა და ყველა სიკეთესთან ერთად, საავადმყოფოში მისი მკურნალობის ხარჯსაც ვიხდი. არ გეგონოთ, ძუნწი ვიყო ან ფული არ მქონდეს, მაგრამ არ იმსახურებს და ამიტომ, მისთვის გადაყრილი თითოეული „კაპიკი“ მენანება. აი, ასეთი ურთიერთობა გვაქვს მე და ჩემს სიდედრიკოს“.

სიგრძე უდრის სიყვარულს, სიგანე — იმედს, სიმაღლე — რწმენას! ასეთი იყო იმ საფრენი აპარატის ზომები, რომელიც „შერეკილებმა“ შექმნეს და მაინც გაფრინდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ამის არავის სჯეროდა. მაგრამ თუ ამის მსგავს პარამეტრებს დედამთილი რძლის დასახასიათებლად იყენებს, არა მგონია, რომელიმემ ფრენა შეძლოს...

„შვილს ალიმენტი დავაკისრე“...

„ერთადერთი შვილი მყავს, რომელიც უკვე 40 წლის გახლავთ. ჰყავს ცოლი და 3 შვილი. ისინი ცალკე ცხოვრობენ. წლების წინ, ჩემი ბინა გავყიდეთ და ერთი ოთხოთახიანი და ერთიც — ერთოთახიანი ვიყიდეთ. რა თქმა უნდა, ერთოთახიანში მე ვცხოვრობ. 45 წლის ასაკში ავარიაში მოვყევით. ჩემი ქმარი დაიღუპა, მე კი ფეხი ვიტკინე და სიარულისას ვკოჭლობ. ამის გამო, ფიზიკურად შრომა არ შემიძლია. ვიდრე მხედველობა მიჭრიდა, შინ კლიენტებს ვიღებდი და ტანისამოსს ვკერავდი. რა თქმა უნდა, იმ ფულს ოჯახს ვახმარდი: მაშინ ერთად ვცხოვრობდით და ჭირიც და ლხინიც საერთო გვქონდა. მერე, როდესაც ცალკე გადავიდნენ, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ შეძლებულად ცხოვრობენ, მაინც შემქონდა ჩემი წილი მათ ოჯახში და ხან საჩუქარს ვუგზავნიდი, ხან ფულს ვაძლევდი, რომ თავად ეყიდათ, რაც უნდოდათ... ამ 5 წლის წინ კი, თვალთ დამაკლდა. უკვე ვეღარ ვხედავ და კერვაც მიჭირს, ამიტომ, მხოლოდ ჩემი პენსიის იმედად დავრჩი. ძალიან გამიჭირდა, თითქმის ნახევრად მშიერი ვიყავი. კომუნალურ გადასახადებსაც ვერ ვიხდიდი და ამის გამო, შუქი და გაზი ჩამიჭრეს. არ მინდოდა, ჩემი შვილი შემეწუხებინა, მაგრამ სხვა რა გზა მქონდა?! ვიფიქრე, ოჯახის ყველა წევრს დაბადების დღეს რესტორანში უხდის, ეს ხომ უამრავ ხარჯთან არის დაკავშირებული, არაფერს იკლებს და ფულს ანიავებს, რა უჭირს, თუ თვეში 50 ლარს მაინც გაიმეტებს ჩემთვის, რომ თავი გავიტანო-მეთქი?!. ჩემი შვილი თითქმის მთელი წლის განმავლობაში არ მენახა. ჩემთან საერთოდ არ მოდიოდა. მხოლოდ შვილიშვილები თუ შემოივლიდნენ, მაკოცებდნენ, დამელაპარაკებოდნენ და წავიდოდნენ. ხომ იცით, ახლანდელი ახალგაზრდების ამბავი... ერთ დღეს, დავურეკე დათოს და ვთხოვე, საღამოს ჩემთან შემოევლო. მთელი თვე ვერ მოახერხა ჩემი ნახვა, მაგრამ საყვედური არ დამცდენია. როდესაც მოვიდა, ფრთხილად შევაპარე ჩემი გასაჭირი. მომისმინა, მაგრამ არაფერი უთქვამს. ადგა და ცოტა ხნის შემდეგ, წავიდა. კიდევ 4 თვე არ გამოჩენილა... შემდეგ, ისევ დავურეკე, მაგრამ — უშედეგოდ. მივხვდი, რომ თუ ჩემს თავს არ მივხედავდი, პატრონი არ მეყოლებოდა. გავიგე, სად იყო უფასო სასადილო და დავიწყე იქ სიარული, რომ ფული დამეზოგა და გადასახადები დამეფარა. სასადილო საკმაოდ შორს იყო ჩემი სახლიდან, ამიტომ ყოველდღე, დიდი მანძილის გავლა მიხდებოდა ნატკენი ფეხით. მთელი 3 საათი ვუნდებოდი წასვლა-მოსვლას. იქ, სასადილოში ერთი ქალი მუშაობდა, რომელიც წინათ, ჩემი კლიენტი იყო. ჩემი ამბით დაინტერესდა. რამდენიმე ხანში დავმეგობრდით და ჩემთან სახლში მოჰქონდა ხოლმე ჩემი ულუფა. ერთ დღეს კი, მითხრა — ჩემი შვილი ადვოკატია, შენზე ვუამბე და გირჩია, რომ შვილს სასამართლოს ძალით ალიმენტი დააკისროო. ბევრი ვიფიქრე, აღარც ის დალოცვილი მომეშვა და მისი ვაჟის დახმარებით, საქმე სასამართლოში შევიტანე. ჩემს შვილს უწყება რომ მიუვიდა, ლამის გაგიჟდა. პირველად, სწორედ პროცესზე შეიტყო, რომ თურმე, უფასო სასადილოში დავდიოდი და ასე მიჭირდა... სასამართლომ მას ალიმენტი დააკისრა, 200 ლარის ოდენობით და უკვე მეოთხე თვეა, კეთილსინდისიერად მიხდის. მოუკვდეს დედა, მე ხომ ამდენი ფული არ მინდოდა!.. ის იკლებს და ჩემთან მოაქვს. მე კი ეკონომიას ვაკეთებ, ცოტაოდენ თანხას ვინახავ და მერე, ისევ მას მივცემ, რომ რამეში გამოიყენოს. ფულს სხვისი ხელით მიგზავნის, თვითონ არ მოდის, რომ ბოდიში მაინც მოვუხადო. სასამართლომ კიდევ, ჩემი მოვლა დააკისრა ან — მომვლელის აყვანა და ახლა, ერთი ღვთისნიერი ქალი მაქცევს ყურადღებას, რომელსაც ფულს დათო უხდის... ამას რომ გიყვებით, მრცხვენია. ალბათ, უღირსი დედა ვარ. აბა, რომელი დედა მოექცეოდა შვილს ასე?! ალბათ რამდენიმე წლის სიცოცხლე დამრჩენია და ვეცდები, ჩემი საქციელი სიკვდილამდე გამოვისყიდო“.

„მეგობრის დედა შემიყვარდა“...

„მეხუთე კლასში ვიყავი, როდესაც ერთი გოგონა გავიცანი. მალე დავმეგობრდით და ერთმანეთს წლების განმავლობაში არ დავცილებივართ. ერთმანეთის შესახებ ყველაფერი ვიცით. ბევრი ახლაც ფიქრობს, რომ შეყვარებულები ვართ, მაგრამ ჩვენ შორის ნამდვილი მეგობრობაა და მეტი არაფერი. ნატოს (სახელი შევცვალე) მშობლები ერთმანეთს მაშინ გაშორდნენ, როდესაც ჩვენ 15 წლისანი ვიყავით. მახსოვს, როგორ განიცდიდა ნატო და როგორ ვამშვიდებდი... ახლა, ჩვენ უკვე 24 წლის ვართ. ის გასათხოვარია, მე — უცოლო და ისევ ვმეგობრობთ. ამ ერთი წლის წინ, უნებლიეთ, მათთან სიარულს მოვუხშირე. მიზეზს რომ ჩავუღრმავდი, მივხვდი, რომ ნატოს დედა შემყვარებია. თავიდან ძალზე მწვავე რეაქცია მქონდა ამაზე, მაგრამ მერე, თავი დავიმშვიდე და გადავწყვიტე, ჩემი გრძნობების შესახებ მარინასთვის მეთქვა. ვერ ვბედავდი და ვიტანჯებოდი. ბოლოს, ნატოსთან დალაპარაკება ვამჯობინე. ენის ბორძიკით დავიწყე იმაზე ლაპარაკი, რომ თურმე, შესაძლებელია, კაცს თავისზე გაცილებით უფროსი ქალი შეუყვარდეს. ნატომ არც აცია, არც აცხელა და პირდაპირ მითხრა — დიდი ხანია, მივხვდი, რომ დედაჩემი გიყვარს, მაგრამ არაფერს გეუბნებოდი, ველოდი, შენ თვითონ როდის ამოიღებდი ხმასო... პირი დავაღე. არ მეგონა, თუ ის ასე უემოციოდ მიიღებდა ამ ამბავს. ხმა ვერ ამოვიღე, ამიტომ, ისევ მან გააგრძელა ლაპარაკი, მითხრა — დედაჩემიც მიხვდა, რომ შენ ის გიყვარს და უკვე დიდი ხანია, ელოდება, როდის გაუმხელ, ამიტომ, ისეთი დრო შეარჩიე, როცა მე შინ არ ვიქნები და მშვიდად დაელაპარაკეო... ამ სიტყვებმა უფრო გამაოგნა, მაგრამ თან, გული სიხარულით ამიჩქარდა... მართლაც, ერთ დღეს, მარინას, ყვავილების თაიგულით მივადექი და ისეთი მგზნებარე სიტყვებით ავუხსენი სიყვარული, რომ მე თვითონაც აღფრთოვანებული დავრჩი... იმ დღიდან, საყვარლები ვართ. ნატო და დედამისი ერთმანეთს არაფერს უმალავენ. ჩვენ ისევ ვმეგობრობთ, ახლა კი, მამინაცვლობას ვუპირებ. მერე რა, რომ მარინა ჩემზე 18 წლით უფროსია?! მე ის უზომოდ მიყვარს და ვიცი, რომ მხოლოდ მასთან ვიქნები ბედნიერი. ჩემი ოჯახი გადარეულია, ყოველდღე მეჩხუბებიან, მაგრამ წინ ვერავინ დამიდგება და აუცილებლად დავქორწინდები ჩემი ოცნების ქალზე. წარმოიდგინეთ, როგორი ოჯახური ურთიერთობები გვექნება...“

უცნობი შვილი

„თემა რომ ვნახე, ვერ მოვისვენე და ახლა მინდა, ერთი დაუჯერებელი ამბავი მოგიყვეთ. ამ ბოლო დროს, მამაჩემი უმუშევარი იყო და ძალიან ნერვიულობდა. ერთ ჩვეულებრივ დღეს, ინგლისურის მასწავლებელთან წავედი. ლექტორმა ადრე გამომიშვა და გადავწყვიტე, კურსელთან სტუმრად წავსულიყავი. ისევ ჩემი უბნის „მარშრუტ-

კაში“ ჩავჯექი. კარგად მოვეწყვე და წინა სკამიდან ვიღაცის მზერა ვიგრძენი. მამაჩემი აღმოჩნდა. შემდეგ, მის უკან ადგილი გათავისუფლდა და მეც იქ გადავჯექი. გაღიმებულმა, ორჯერ შემომხედა. მე კი არ გამოველაპარაკე, რადგან ტელეფონით ვიყავი გართული. ჩვენს სახლთან ისე ჩავიდა, რომ არაფერი უთქვამს. მე გზა განვაგრძე და ჩამოსვლისას, მძღოლს ვუთხარი, გადახდილია-მეთქი. ვიფიქრე, მამაჩემი როგორ არ გადამიხდიდა-მეთქი? მძღოლსაც ხმა არ ამოუღია. მეგობრისგან რომ წამოვედი, დედას გავუარე სამსახურში, რომ მეკითხა, მამა ჩემზე გაბრაზებული ხომ არ იყო? დედამ მითხრა, ყურადღებას ნუ მიაქცევ, ხომ იცი, ამ ბოლო დროს, როგორი გაღიზიანებულიაო... მამა შინ ჩემზე 2 საათით გვიან დაბრუნდა და მეუბნება — იცი, დღეს რა მოხდა? „მარშრუტკაში“ ერთი გოგო ამოვიდა და სულ შენ გგავდაო... ჯერ ვერ ვიჯერებდი; თუ არ გავგიჟდებოდი, არ მეგონა. იმდენი ვიცინეეეე! მერე მთხოვა, ეს ამბავი არსად დაამღეროო, მაგრამ ვისაც ვიცნობ, უკვე ყველას მოვუყევი და ახლა თქვენც იცით. მა-ა! თუ წაიკითხავ, არ გაბრაზდე, რა!.. აი, ასე ვერ მიცნო მამაჩემმა და ასე ვიმგზავრე უფასოდ. ბათუმი“.

ახლა, ტრადიციისამებრ, მოკლე მესიჯებს გაგაცნობთ.

„გინდ მეტიროს ყოფა...“

„ძალიან მინდა, ჩემი გულისტკივილი გაგიზიაროთ. ბავშვობიდან ვოცნებობდი მამის ნახვაზე. ერთი სული მქონდა, როდის მოვიდოდა ის დღე, როდესაც მამას ჩავეხუტებოდი და ვეტყოდი, რომ ძალიან მიყვარდა. დედამ კი ისე გააკეთა, რომ არ დაუშვა, მამას შევხვედროდი. სულ ახლახან გავიგე, რომ თურმე, მამასაც ძალიან ვყვარებივარ და ისიც ჩემს ნახვას ნატრობდა... დედამ მითხრა, გარდაიცვალაო, მაგრამ დღემდე არ ვიცი, მართლა მოკვდა თუ მიმატოვა. ვერ ვიშუშებ იმ იარებს, რომლებიც დედამ მომაყენა. მამის მხრიდან ნათესავებს არ ვიცნობ. ახლა კი გავიგე, რომ მამიდაშვილები მყოლია. 2 მათგანი მოსკოვში ცხოვრობს, ერთი კი — ბათუმში. მას ჟანა ჰქვია, გათხოვილია. მამიდა კი, 1988 თუ 1989 წელს გარდაცვლილა. ამის გარდა, მეც არაფერი ვიცი. თუ ვინმე შემეხმიანება, გთხოვთ, ჩემთან დააკავშიროთ“.

„აი, როგორი ოჯახი მაქვს: დედას ნევროზი აქვს, მამაჩემი სულ მაგინებს, და-ძმას საერთოდ ვერ ვაკავებთ. ახლახან, ახალი და გამოგვიჩნდა. პაპაჩემს სულ სძინავს, ბებია კი სკლეროზიანია... თეკა“.

„ოჯახური პრობლემა ალბათ, ყველას აქვს. ყველამ რომ მოგწეროს, მთელი ჟურნალი არ გეყოფა, მარი. 17 წლის, თითქმის ბავშვი, გავთხოვდი. მეზობლებსა და ნათესავებს ეგონათ, რომ ძალიან ბედნიერი ვიყავი და საუკეთესო ოჯახში მოვხვდი, მაგრამ ასე ნამდვილად არ იყო. ჩემი ქმრის ოჯახში მუდამ ჩხუბი და აყალმაყალი იყო. ოჯახდანგრეული მული ყველას თავზე წამოაჯდა და მისი ყველას ეშინოდა. ჩემი ქმარი უნიათო ბიჭი აღმოჩნდა. წინააღმდეგობის გაწევის უნარი საერთოდ არ გააჩნდა. თავისი და კისერს უგრეხდა. იმ ქალმა იმდენი ქნა, რომ ოჯახი დაუნგრია. იჯდეს ახლა, მის კაპას დასთან ერთად... ბა-იებო, თქვენგან რომ წამოვედი, ქერის ორმოში აღმოვჩნდი. საბას კი არაფერს მოვაკლებ. თქვენი კი გამკვირვებია, ნუთუ არ გენატრებათ ბავშვი?!.“

„გიო, ჩვენ ყველაზე ლამაზი ოჯახი გვექნება მსოფლიოში. რომ დავბერდებით, შვილიშვილებს „გზას“ წავუკითხავთ და ჩვენზე მოვუყვებით. ლანკა“.

„ლამის გული გამიჩერდა, როდესაც „გზავნილებში“ წავიკითხე — ვეძებ მოცეკვავესო... მე ჩემს ფეხბურთელს ვეძებ, რომელიც ძალიან გავაბრაზე და სადღაც გაქრა. შეხვედრაზე უარი ვუთხარი. იცით, რატომ?.. მხოლოდ ის აინტერესებდა, ცნობილი ანსამბლის მოცეკვავე რომ ვიყავი, ჩემი პიროვნული ღირსებები ვერ დაინახა. ჩემს ყველა კონცერტს ესწრებოდა და მგონი, ცოლობაც ქართული ფოლკლორის ხათრით მთხოვა. „ბერიკონში“ ფეხბურთელების დაჯილდოების ცერემონიაზე მის ცხვირწინ ვცეკვავდი და ვერ მოიფიქრა, რომ კულისებში მაინც მოვეძებნე. „ფორვარდს“ წარმატებებს ვუსურვებ, მე კი, ისევ ცეკვას გავაგრძელებ. ახლაც, გასტროლებიდან ახალი ჩამოსული ვარ. მთელი გზა „გზას“ ვკითხულობდი და ახლა ვხვდები, როგორ მომნატრებიხართ. ნ. ნ“.

„იცით, რა მაგარი ოჯახური სიტუაცია მაქვს?!. 20 წელია, გათხოვილი ვარ. დიდი შვილები მყავს. ჩემს მეუღლეს რომ ჰკითხოთ, გიჟდება ჩემზე და შვილებზე, მზრუნველი მეუღლე და მამაა, მაგრამ... მეორე ოჯახიც აქვს. ჩვენთან სტუმრად მოჰყავს თავისი პატარა. თან ისე ეფერება, თითქოს მანამდე, შვილები არ ჰყოლია. ბავშვებიც გიჟდებიან — სისხლი მაინც თავისას შვრება. მეც, ამხელა ქალი, ბევრი ნერვიულობის შემდეგ, ვეფერები და ვართობ ჩემი მეუღლის შვილს. ხომ გეუბნებოდით, მაგარი ოჯახური სიტუაცია მაქვს-მეთქი!..“

„ჩემი ოჯახის შესახებ მინდა მოგწეროთ. იქნებ, ჩემს „აგრესიონერა“ მამიკოს შერცხვეს და ამის შემდეგ მაინც მოიქცეს ნორმალურად. სულ გვეჩხუბება, თანაც, სულ ტყუილად. თან გვწყევლის. წარმოიდგინეთ, კაცი ორივე ხელს ზევით რომ აღაპყრობს და ისე დაიწყევლება... თან, მგონი, მისი წყევლა ჭრის. დედიკო მეცოდება. მინდა, მამას ვთხოვო, რომ ადამიანურად და მშვიდად ცხოვრების საშუალება მოგვცეს. დედა, შენ არ ინერვიულო, ყველაფერი კარგად იქნება. ახლა მამაჩემს სძინავს, დედა კი „გზას“ კითხულობს. წარმომიდგენია მამის სახე, ამას რომ წავაკითხებ“.

„მინდა, ჩემს მშობლებზე გიამბოთ. ვიცი, რომ დედაც და მამაც ცალ-ცალკე „გულაობენ“. თან, ორივე ხვდება, რომ მეუღლე ღალატობს, მაგრამ არ იმჩნევენ. საზოგადოებაში ერთმანეთს „საყვარელოთი“ და „ძვირფასოთი“ მიმართავენ. თბილისში ცნობილი ოჯახი ვართ, ყველას ბედნიერი ვგონივარ, ასეთი ტკბილი და მოსიყვარულე მშობლების პატრონი, მაგრამ აბა, ვინ რა იცის?! მე 2 თვეში გერმანიაში მივდივარ და ამათ რაც უნდათ, ის გააკეთონ“.

„ჩემს მშობლებს ნამდვილად, სულში ეშმაკი ჩაუსახლდათ. ერთმანეთს ვერ იტანენ და მეც თავს მაძულებენ. ისე იქცევიან, სიბერეში წყალსაც არავინ მიაწვდის. მეუბნებიან, არ გიყვარვართო. განა შეიძლება დრაკონების შეყვარება?!. ჩემს პატარა ძმას ყურადღებას არ აქცევენ, თითქოს მათი შვილი არ იყოს. მეგობრებს უმიზეზოდ დამაშორეს. ახლა?.. ახლა, გამუდმებით მესმის, როგორ ხოცავენ ერთმანეთს და მერე, თავიანთ ჩხუბს მე მაბრალებენ — თითქოს ჩემი გულისთვის იჩხუბეს. მართალია, ბევრ რამესაც მიკეთებენ, მაგრამ მერე, ისე მამადლიან, რომ სულს მხდიან. მაინტერესებს, ვერ ხვდებიან თუ არ უნდათ, რომ მიხვდნენ, რომ გულს მტკენენ...“

„სახლში ისეთი „უპონტო“ სიტუაციაა, რომ ტირილი მინდება ხოლმე. ჩემი ძმის შიშით ბიჭები ხმას ვერ მცემენ. ბიჭებო, გამოფხიზლდით და გამაგრდით! ჩემი ძმა ბანძია, ყველაფერს მიკრძალავს. აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე“.

„აბა, წარმოიდგინეთ — უსაქმური ქმარი, ბაქიბუქა მამამთილი და ავი დედამთილი!.. აბა, როგორ სიტუაციაში ვიქნები?! მაგრამ ყველას ვიტან, ჩემი პატარის გამო, რომელიც მალე უნდა დაიბადოს“.

„ამას წინათ, წავიკითხე ერთი გოგონას მესიჯი, რომელიც გწერდათ, რომ პატიმარი შეუყვარდა. მეც ამ დღეში ვარ. ის თვალითაც არ მინახავს, მაგრამ სიყვარულს მეფიცება და მეუბნება, რომ ცოლად უნდა მომიყვანოს. მე კი ძალიან მეშინია და არ ვიცი, როგორ მოვიქცე. ამას წინათ, მისი ძმა მოვიდა ჩემთან და დაბადების დღე მომილოცა. მერე, იმ ბიჭისთვის ამბავი მიუტანია, ძალიან მაგარი გოგოაო და ამან სულ გადარია ჩემი ინკოგნიტო შეყვარებული. ახლა მაძალებს — გინდა თუ არა, მოდიო. მე თავიდან, ვაპირებდი მისვლას, მაგრამ მას მერე, რაც თქვენს ჟურნალში რამდენიმე მსგავსი მესიჯი წავიკითხე, შევშინდი“.

ბოლო დროს, უამრავი მესიჯი მივიღე, რომელიც სწორედ ამ საკითხს შეეხება. ამიტომ ვფიქრობ, კარგი იქნება, თუ „გზავნილების“ ერთ-ერთ „გამოშვებას“ სწორედ ამ თემას მივუძღვნით. მაშ ასე, მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ: პატიმარი შემიყვარდა. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.

■

სოხუმის პორტში 2004 წელს – „ზღვა, რომელიც შორია“

მწერალს, ჯერ ნაწარმოებით ეცნობიან, შემდეგ, თუ გაუმართლათ — პიროვნულად. ამ შემთხვევაში, პირიქით მოხდა: სოხუმელ მწერალს — გურამ ოდიშარიას მისი უჩვეულო, ულამაზესი გემის დიზაინით მოწყობილ ბინაში ვესტუმრე, თავი ლამის, სოხუმის პორტში მდგომ გემზე წარმოვიდგინე, თითქოს მის ერთ-ერთ კაიუტაში ძალზე საინტერესო ადამიანი მესაუბრებოდა და არც ზღვა იყო შორს...

„...მე ვარ დაჭრილი, მაგრამ ნეტავ, ის როგორ არის?..“

ირმა ხარშილაძე

— სოხუმში დავიბადე. მთელი ომამდელი ცხოვრება იქ გავატარე. ასე, 40-41 წლის ვიყავი, როცა უღელტეხილზე გადმოვედი და მას შემდეგ, თბილისში ვცხოვრობ. თქვენი კოლეგა ვარ — ჟურნალისტი. ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი დავამთავრე სოხუმში. თავიდან რადიოში ვმუშაობდი, მერე, 8 წლის განმავლობაში, ომის დაწყების პერიოდისთვის, ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ჟურნალის — „რიწის“ მთავარი რედაქტორი გახლდით. ვწერდი ლექსებს, თეთრი ლექსები იყო, ავანგარდისტ პოეტად ვითვლებოდი. 9 წიგნის ავტორი ვარ. ომამდე ჩემი წიგნები მოსკოვშიც დაისტამბა, უკრაინაშიც, სომხურადაც ითარგმნა, თბილისშიც გამოდიოდა. ომის შემდეგ, ლექსი აღარ დამიწერია. უღელტეხილზე რომ გადმოვდიოდი, ვფიქრობდი — ცოცხალი თუ გადავრჩი, ეს ყველაფერი უნდა დავწერო-მეთქი. პირველი სწორედ „დევნილთა უღელტეხილი“ იყო — პუბლიცისტური პროზა. შემდეგ გამოვიდა მხატვრულ-პუბლიცისტური წიგნი — „სოხუმში დაბრუნება“, მას მოჰყვა: „სოხუმში მოსალოდნელია წვიმა“, რომანი „შავი ზღვის ოკეანე“... რამდენიმე პრემია მივიღე, მათ შორის, სახელმწიფო პრემიაც, მაგრამ ეს არ არის მთავარი — მთავარი ისაა, რომ რამდენჯერმე აფხაზურად გამოიცა „სოხუმში დაბრუნება“. იქ დაბადებულ-გაზრდილი ვარ და ბავშვობის მეგობრები მყავს აფხაზები, სომხები, ბერძნები. ყოველთვის კარგს ვიხსენებ იმიტომ, რომ იმდენი ცუდი მინახავს და გამიგონია, იმდენი ცუდი რამ შევისწავლე (მე და გოგი ქავთარაძე ერთხელ მთელი 6 თვე ვსწავლობდით პროკურატურაში ამ გენოციდის საკითხებს: რა დააშავა არა მარტო აფხაზურმა მხარემ, არამედ ქართულმაც)... როცა დრო გადის, მერე უკეთ ფიქრობ — მე ვარ დაჭრილი, მაგრამ ნეტავ, ის როგორ არის?.. აფხაზი ხალხი ჩემთვის ყველაზე ახლობელია, რადგან იქ ვიზრდებოდი და სულ აფხაზებთან მქონდა ურთიერთობა, ისევე მშობლიურია, როგორც ქართველი ხალხი, ამიტომ მისი ტკივილიც ასე გავისიგრძეგანე. აფხაზეთში თურმე მოსწონებიათ ჩემი წიგნი. ის რუსულადაც გამოვიდა 1997 წელს, როდესაც მოლაპარაკებების პროცესი იწყებოდა (და ძალზე მძიმედ იწყებოდა) სახალხო დიპლომატიის ხაზით. მაშინ აფხაზებმა თქვეს — მოდი, გურამს დაველაპარაკებით, ოდიშარიას, იმიტომ, რომ თანამედროვე, სოხუმელი კაციაო... დაბეჭდეს კიდეც პრესაში: „Он не только грузинский писатель, но и сухумский писатель, раз он сухумский, значит он и наш писатель“ . ამის შემდეგ, ორმოცამდე შეხვედრის მონაწილე ვიყავი. ახლაც, თქვენ რომ მობრძანდით, წერილს ვწერდი აფხაზეთში გასაგზავნად, იმიტომ, რომ თავად მომწერეს, რაღაც სჭირდებოდათ *(ჩვენი საუბრისას, ბატონ გურამს აფხაზეთიდან ჩამოსულმა, მშვენიერი ქართულით მოსაუბრე აფხაზმა ქალბატონმაც დაურეკა და შეხვედრა დაუთქვა: აღმოჩნდა, რომ რუსულ ენაზე გამოცემული, ბატონი გურამის ახალი წიგნი უნდოდა წაეღო, უთხრა — ჩვენ კი წავიკითხეთ ქართულად, მაგრამ სხვებსაც აინტერესებთ და იქნებ, რუსული ვარიანტი გამატანოთო. —ავტ.).*

— როგორც ჩანს, ჩვენ არ წყვეტთ ურთიერთობას სოხუმელებთან...

— მე არ ვწყდები ჩემს ქალაქს და მიხარია, რომ მკითხველიც ბევრი მყავს იქ. შარშანწინ რომ ვიყავი, ამაში დავრწმუნდი.

— ბატონმა თემურ ჩხეიძემ სამეფო უბნის თეატრის სცენაზე დადგა თქვენი პიესა — „ზღვა, რომელიც შორია“, სოხუმის დრამატული თეატრის მსახიობების მონაწილეობით. ეი. დრამატურგიაშიც გიცდიათ ბედი...

— დიმა ჯაიანი, სოხუმის თეატრის წამყვანი მსახიობი და დირექტორი სულ მეუბნებოდა — შენი სულისკვეთებით მინდა გავაკეთო სპექტაკლიო. თემურ ჩხეიძეს 10 წლის წინ სთხოვა — გვინდა, სოხუმის თეატრში რამე დადგათ აფხაზეთის თემაზეო. ჩემს პიესამდე, ამ თეატრს არ დაუდგამს აფხაზეთსა და ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე სპექტაკლი... დიმა ჯაიანი თემურ ჩხეიძეს ელოდებოდა. ბოლოს და ბოლოს, თემურმა გადახედა თავის ძალზე გადატვირთულ გრაფიკს და დათანხმდა. 2004 წლის სექტემბერი იდგა. მე ბათუმში ვიყავი. დიმა დაჟინებით მთხოვდა, სასწრაფოდ ჩამოდიო. ვეუბნებოდი — პიესა არასოდეს დამიწერია, არ ვიცი, რა გამოვა-მეთქი... მაინც დავთანხმდი. ერთი წლის განმავლობაში ვიმუშავეთ. მიმაჩნია, რომ გავიარე დიდი სკოლა კი არა, აკადემია — თემურ ჩხეიძის აკადემია. იშვიათი შემოქმედი და იშვიათი პიროვნებაა, საოცარი ჰუმანისტი, ყველაფრის გამგები... ყველა რეჟისორს საკუთარი თვალი აქვს. ჯერ პირველი ვარიანტი გავაკეთე, რაღაც შესწორებები შეიტანა. მერე, ძალიან დავმეგობრდით, ჩემი ყველა წიგნი წაიკითხა. ერთი წლის შემდეგ, დამირეკა და მითხრა — მომილოცავს, ის პიესაა, რომელსაც დავდგამო. სიუჟეტს საფუძვლად უდევს ჩემი ჩასვლა სოხუმში 2004 წლის დასაწყისში. ომის შემდეგ პირველად ჩავედი ჩემს მშობლიურ ქალაქში; მანამდეც მქონდა შანსი და შესაძლებლობა, მაგრამ არ ვიყავი მზად. ახლა, ჩემი „ბერეგის“ ბიჭებმა (ასე ვეძახი ჩემს ბავშვობის მეგობრებს) მითხრეს: Чего встречаемся то в Питере, то заграницей – Давай

махни сюда, в Сухуми. მართლაც, წავედი მეგობართან — პროფესორ ნოდარ სარჯველაძესთან ერთად. მატარებლით ჩავედით ზუგდიდამდე, ენგურის ხიდზე ისინი დაგვხვდნენ და წაგვიყვანეს მანქანით. ყველა თავისთან მეპატიჟებოდა, მაგრამ უარი ვუთხარი, სანატორიუმში წასვლა ვარჩიე: შეიძლებოდა, ჩემ გამო პრობლემები შეჰქმნოდათ... იქ ბევრს ვუყვარვარ, მაგრამ ხომ არიან ჩასაფრებულებიც, ვისაც ეს კავშირი არ მოსწონს!.. სხვათა შორის, ჩემი წამოსვლის შემდეგ, მართლაც დაუწყიათ ზოგ-ზოგებს — რატომ ჩამოიყვანეთ? ეგ მწერალია, ყველაფერი ნახა, ყველაფერს აღწერსო... თემურ ჩხეიძეს ყარაბაღსა და საერთოდ, კონფლიქტის ზონებში ჩემი მოგზაურობის შესახებაც მოვუყევი. მანაც მითხრა — მოდი, შენი და იმ „ბერეგის“ ბიჭებიდან ყველაზე გამორჩეული მეგობრის შეხვედრა ავსახოთო. მეც ასე გავაკეთე: მთავარი გმირი — ქართველი — ჩადის სოხუმში, ხვდება აფხაზ მეგობარს, ბავშვობისას, ის უზიარებს თავის სატკივარსა და გულისწყრომას, ეს — თავისას. ქართველი ეუბნება — მე არ ჩამოვსულვარ შენთან საჩხუბრად, თუ რამე არ მოვიფიქრეთ, სულ ამ დღეში ვიქნებითო... ჰოდა, თემურმა დიდებულად, მძაფრად დადგა ეს ყველაფერი. თეატრში მოსულ ხალხს ხანდახან ავიწყდებოდა კიდეც, რომ ეს სპექტაკლი იყო და არა — სინამდვილე, განსაკუთრებით მათ, ვინც ეს ცხოვრებაში გადაიტანა. იმის მოწმე ვიყავი — განსაკუთრებით, პირველი სპექტაკლის დროს, რამდენიმე ქალი როგორ წამოხტა და შეეკამათა „აფხაზს“... როგორც ამბობენ, სპექტაკლი გამოვიდა, დღესაც ბევრი მაყურებელი ჰყავს, ბევრი ახალგაზრდა მოდის. სულ ცოტა ხნის წინ, ენერგობლოკადის დროს, სპექტაკლის დაწყებამდე შუქი ჩაქრა, უცხოელებიც იყვნენ მოსულნი, კონფლიქტოლოგებიც და გაგიჟდნენ, მაყურებელი რომ არ დაიშალა. ერთი საათი ელოდებოდა ხალხი შუქის მოსვლას. ბოლოს, „დვიჟოკი“ მოიტანეს. სტუმრები გაოცებულები ამბობდნენ — შუქი არა გაქვთ, დარბაზში ცივა და მაინც ელოდებით სპექტაკლს — ეს რა ვნახეთ! ეს რომ ლონდონში მომხდარიყო, ხალხი სტრესისთვის კომპენსაციას მოითხოვდა, ბილეთის ფულის დაბრუნებაზე რომ არაფერი ვთქვათო... აღფრთოვანებულები წავიდნენ და უნდათ ახლა, ეს სპექტაკლი რაღაცნაირად აჩვენონ აფხაზურ მხარეს. შეიძლება, ეს რომელიმე ნეიტრალურ ქალაქში განხორციელდეს, შეიძლება — ფესტივალზე ან სულაც, მოლაპარაკებების დროს: წელს რამდენიმე მოლაპარაკებაა დაგეგმილი. მართალია, მწარე მოსასმენია ბევრისთვის და აგე, თბილისში, ცენტრში ვლაპარაკობთ აფხაზის სატკივარზე, მაგრამ ისიც ჩვენიანია და რა უჭირს, ხომ უნდა მოვისმინოთ!.. სპექტაკლში სულ ხუთი მოქმედი პირია: ერთი ქართველი და ოთხი აფხაზი. მათ შორისაა ორი ქალაქელი ბიჭი, ჟარგონით „ბერეგის“ ბიჭებს რომ ვუწოდებდი. სხვათა შორის, ეს ჟარგონი ისევე დამხვდა, სოხუმში რომ ჩავედი... აფხაზი ბიჭი ამბობს: „ну, я, Вася, чалич навёл“ — ანდა, ქალი მეუბნება: „я у мамиды вчера ночевала“. ეს ქართულ-აფხაზურ-რუსული, რაღაც სინთეზირებულიც ვცადეთ, გამოგვეყენებინა სპექტაკლში.

სოხუმი, სანაპირო, 1979 წელი, ცოლ-შვილთან ერთად

— აფხაზეთიდან თქვენი მეგობრები მოიწვიეთ სპექტაკლის სანახავად?

— კი, როგორ არა. ერთ-ერთ ჩვენებაზე ოთხი კაცი ჩამოვიდა და ნახა. ინკოგნიტოდ დატოვეს საკუთარი თავი. ნაწყვეტები გადავიღეთ, რადგან მთლიანი გადაღება არ არის უპრიანი, თეატრიც წინააღმდეგია, არც იქნება ის ხარისხი. თემურ ჩხეიძეს სატელევიზიო სპექტაკლის გადაღება აქვს გადაწყვეტილი. ამ შემთხვევაში, გაცილებით მეტი ადამიანი ნახავს... შემდეგ, ერთი ახალგაზრდა ქალი დაესწრო სპექტაკლს, მერე — კიდევ ორი მოვიდა... რაც ვიცი, სულ შვიდმა-რვა იქაურმა ნახა. ისინი ჩაიტანენ ამბავს. სოხუმელები სოხუმში ცოტანი არიან, ზოგი — რუსეთშია, ზოგი კიდევ — სად, მაგრამ მაინც ბევრმა გაიგო. წერილებს მწერენ, მთხოვენ — როგორმე ჩვენც გვაჩვენეო. ვეუბნები, ჩამოდით-მეთქი... მიმაჩნია, რომ კულტურული ურთიერთობები არ არის გამოყენებული. არადა, ეს წარმოადგენს ერთ-ერთ შესაძლებლობას კონფლიქტის დასარეგულირებლად.

— ბატონო გურამ, თქვენ კარგად იცით აფხაზური ენა?

— არა, აფხაზური არ ვიცი. რამდენიმე ფრაზა ვიცი, რაღაცებს გავიგებ...

— ე.ი. იქაურ მეგობრებს რუსულ ენაზე ეკონტაქტებით?

— დიახ. ჩვენი წინაპრები არ მეტყველებდნენ რუსულად, ლაპარაკობდნენ ქართულად, მეგრულად, აფხაზურად. რუსული მერე წამოვიდა... პიესა რა თქმა უნდა, ქართულად დავწერე. თემურმა მკითხა — რომელ ენაზე ლაპარაკობთ ერთმანეთთანო? ვუპასუხე — რუსულად-მეთქი. ამიტომაც, რუსულად ითამაშეს ჩვენთან მსახიობებმა — ჩვენ ამითაც მივუახლოვდით რეალობას.

— ქართული ვერსია არ გვაქვს?

— ქართული ვერსია, სრული, არსებობს, მაგრამ ჯერ არ დადგმულა. ძალიან მალე, წიგნად გამოვცემ და დაინტერესებულს შეეძლება მისი წაკითხვა. თუ კიდევ ვინმე მოინდომებს მის დადგმას, ესეც შესაძლებელი იქნება. ისე, სურვილთან ერთად, ვაჟკაცობაც უნდა ამ საქმეს: ქართველი პერსონაჟი აფხაზს ეუბნება — დღეს ყველაზე დიდი ვაჟკაცობა მშვიდობას უნდაო... იქ მართლაც, ომს არ უნდა იმხელა ვაჟკაცობა, რამხელაც მშვიდობას — ბევრმა რამემ დამარწმუნა ამაში. ხომ გახსოვთ „კავკასიური ცარცის წრე“: „ომი დამთავრდა, მშვიდობის გეშინოდეთ ხალხო!“ ომის დროს, ბევრი მოვიდა ჩემთან — ქართველიც და აფხაზიც — და მითხრა: მე აფხაზმა კაცმა გადამარჩინაო, — (ან — პირიქით), ოღონდ, გთხოვთ, მათი გვარი არ გაამჟღავნოთო. იმიტომ, რომ მერე მივლენ იმ ქართველისგან (ან აფხაზისგან) მოკლული შვილის დედები და ეტყვიან — შენ ის როგორ გადაარჩინე? მაგან შვილი მომიკლაო!.. ბედნიერი ვარ, რომ ასეთ ქართველებსა და აფხაზებს — გადამრჩენებს — პირადად ვიცნობ. მაგრამ ამ გზაზე, ამ ველზე სიარული ძალიან ჰგავს დანაღმულ ველზე სიარულს — სად რა აფეთქდება და როდის, კაციშვილმა არ იცის. და ამიტომაც, დიდი ვაჟკაცობა სჭირდება ამის დადგმას. მეც გადამემტერნენ და სხვებსაც — ვერ გაიგეს. მაგრამ ბედნიერი ვარ იმით, რომ ძალიან ბევრმა გაიგო. ამიტომ, განსაკუთრებით მადლიერი ვარ სამეფო უბნის თეატრის ხელმძღვანელების — მერაბ და ნიკა თავაძეების, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს, რომ ეს მაღალ დონეზე განხორციელებულიყო. ვშიშობდით — შეიძლებოდა, პრობლემები გაგვჩენოდა მაყურებლისგან; რომ იტყვიან, დანის პირზე გავიარეთ. თავიდან, იყო კიდეც წინააღმდეგობები; მერე და მერე, უფრო მოინდომეს ქართველებმა აფხაზების მოსმენა. ბევრი სოხუმელი შევნიშნე, რომელიც სპექტაკლის შემდეგ, მსახიობებთან — აფხაზურ ტანსაცმელში გამოწყობილებთან — მიდიოდა და ეფერებოდა, ხელს უსვამდა: ქართველს აფხაზი მოენატრა, ეს არცაა გასაკვირი...

— მონატრება ახსენეთ, ბუნებრივია, წარსულს ვერ ივიწყებს ადამიანი. მართლა ბევრი საშინელება გამოიარეთ. მაგრამ თქვენს

მოთხრობებში გადმოცემული ამბები, საშინელების პარალელურად, დიდ სიყვარულს, კაცობას, ქალობას, ძმობას აღწერს; თუნდაც, ძმისშვილის ამბავი ავიღოთ...

„ომის შემდეგ პირველად ჩავედით სოხუმში... წავედი მეგობართან, პროფესორ ნოდარ სარჯველაძესთან ერთად“

— იცით, რამდენი აფხაზია დახვრეტილი იმის გამო, რომ ქართველი გადაარჩინა?!. რამდენი სომეხი, რამდენი ქართველი — აფხაზის გადარჩენისთვის!.. ჩემ მიერ გაზრდილი ბიჭი იყო თენგო ვადაქარია — ძალიან კარგი ბიჭი; კარგად ხატავდა, მღეროდა... როცა სოხუმი ეცემოდა, ვერ დატოვა თავისი ნახატები და იქ დარჩა. მივხვდი, დახვრეტდნენ; მართლაც ასე მომხდარა... როცა „სოხუმში დაბრუნების“ წერას ვასრულებდი, ერთი ქალი მოვიდა ჩემთან — თენგოს მეზობელი ყოფილა და მომიყვა: თენგოს ჰყავდა აფხაზი მეგობარი, ვოვა ერქვა, გვარად — ხარჩილავა. ხარჩილავებს შორის, ქართველებიც არიან და აფხაზებიც; ვოვა აფხაზი იყო. ომის დროს, ბევრი მაროდიორობდა (ჩვენს უკეთურობაზე თუ თვითონ არ ვთქვით, ხვალ იმავეს გავიმეორებთ).

— მაროდიორობა, პრინციპში, ნებისმიერ ომს სდევს...

— მართალია, მაგრამ სოხუმში ეს მოულოდნელი იყო ჩვენთვის... ჰოდა, როცა ეს ხდებოდა, თენგო ვადაქარია იცავდა ვოვა ხარჩილავას მაროდიორებისგან, პური მიჰქონდა მისთვის, ქალაქში მარტოს არ უშვებდა. როცა სოხუმი ეცემოდა და თენგო არ წამოვიდა, ვოვამ უთხრა — როგორც შენ მიფარავდი და მიცავდი, მეც ისევე დაგიცავო... ნაღდი მებრძოლები, მკვლელები არ არიან, ხალხს არ ხვრეტენ. მაროდიორები კი, ყაჩაღები არიან... ჯერ, პირველი რიგის მებრძოლები შემოსულან და თენგოზე უკითხავთ ვოვასთვის — ქართველიაო? — კი, ქართველია, მაგრამ მე მიცავდაო. აფხაზებს უთქვამთ — არაყი დაგვალევინე და დაიცავი ეგ შენი ქართველიო, — ცოტა ხანს გაჩერებულან და წასულან. შემდეგ, მკვლელები მოსულან. გამოიყვანეს თენგო. ვოვა აეფარა და უთხრა — ეს კარგი ქართველია, არ დაგახვრეტინებთო. — კარგი რომაა, იმიტომ უნდა მოვკლათ, აბა, ცუდი, ქართველებსაც არ სჭირდებათო, — უპასუხეს. ნახევარი საათი გაგრძელებულა ხელჩართული ბრძოლა. ვოვას უთქვამს — მაშინ, ჯერ მე მესროლეთო. მათაც ჯერ ვოვა დახვრიტეს და მერე თენგო. ეს ფაქტი რომ გავიგე, წიგნში ავსახე. როცა ეს წაიკითხა, ბევრი დევნილი და არადევნილი მოვიდა ჩემთან და სხვადასხვა მსგავს ამბავს მიყვებოდა. ერთ-ერთმა დამირეკა და თბილისელი ბიჭის ამბავი მომიყვა. მხედრიონელი ყოფილა ის ბიჭი, მოგვიანებით, უფრო დეტალურად, ვალერი ვაშაკიძემ მიამბო — კარგად იცნობდა, თურმე. ომის დროს, ერთ-ერთ სახლში 3 ქართველი მებრძოლი მიიმწყვდიეს; გადარჩენის შანსი არაა, სახლს ცეცხლი უკიდია. ორი დაიღუპა, ერთს უმცირესი შანსი აქვს... პირველ სართულზე იყო, ავტომატი გადაიკიდა, ფანჯრის რაფაზე შეხტა. წინ სიმინდის ყანაა, მერე მანდარინის პლანტაცია, ფიქრობს — თუ გადავარჩი, ხომ კარგი, თუ არადა, მომკლავენ და ეგ იქნებაო... უკან მოიხედა და უეცრად, კუთხეში პატარა ბავშვს მოჰკრა თვალი. დაავლო ხელი, ქურთუკში ჩაისვა და ფანჯრიდან გადახტა. ესროდნენ, მაგრამ ვერ მოარტყეს. გაირბინა სიმინდის ყანა და მანდარინის პლანტაცია. გასცდა სოფელს და დაეცა — ძალა გამოელია. ხის ძირას ორმო დაინახა, იქ ჩაძვრა, ბავშვს ქურთუკი დაუფინა და ზედ დააწვინა. ის ხმას არ იღებდა მთელი ამ ხნის მანძილზე, ძლიერი სტრესის ქვეშ იყო და მასზე ხმაურიც კი აღარ მოქმედებდა. ბიჭმა იფიქრა — როცა დაღამდება, ტრასაზე გავალ და სადმე ვიპოვი ქართველებსო... ამ დროს, თავს ორი აფხაზი წამოადგა. უთხრა — რაც გინდათ, ის მიქენით, ოღონდ, იქ ორმოში ბავშვია და იმას არაფერი დაუშავოთო. ერთ-ერთი აფხაზი ჩახტა და ამოიყვანა ბავშვი; მეორემ, ვინც მანამდე ბიჭს ავტომატის კონდახი ჩაარტყა, გაოგნდა: ეს ჩემი ძმისშვილია, შენთან როგორ მოხვდაო?! უპასუხა — ცეცხლმოკიდებული სახლიდან წამოვიყვანეო. მაინც შეუკრეს ხელები და ისე წაიყვანეს. ტყვარჩელამდე იარეს და მიიყვანეს რომელიღაც სოფელში. იქ ამ აფხაზი მებრძოლის მამა ცხოვრობდა, ბავშვის ბაბუა, მოხუცი კაცი. მთელი მეზობლები, ნათესავები დადარდიანებული დახვდნენ — ბავშვი დაღუპული ეგონათ და უეცრად ცოცხალი გამოეცხადათ!.. ქართველი ბიჭი ცალკე დასვეს, მოხუცი მივიდა მასთან, რაღაც კითხვები დაუსვა — ეეჭვებოდა, თავის გადასარჩენად ხომ არ წამოიყვანა ბავშვიო... მოკლედ, საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ ქართველ ბიჭს არანაირი ანგარება არ ამოძრავებდა. მოხუცი და ბიჭი ლაპარაკობდნენ და ამ დროს, გარეთ ხარი დაუკლავთ, ხარს კი, იქ განსაკუთრებულ სტუმარს უკლავენ... ჩემს მოთხრობაში მოზვერი ჩავწერე — ვიცოდი, ხარის დაკვლას არ დამიჯერებდნენ: ხანდახან ცუდს უფრო იოლად იჯერებენ, ვიდრე — კარგს... ერთი სიტყვით, ამ ბიჭს, როგორც უდიდეს სტუმარს, ძმას, მეგობარს უმასპინძლეს. მეორე დილით, ადრე გააღვიძეს და უთხრეს — უკვე გაიგეს შენი აქ ყოფნის შესახებ, ყველას კი არ უხარია ეს ამბავი, ამიტომ, სამშვიდობოს უნდა გაგიყვანოთო. ბავშვის ბიძამ წაიყვანა, გააცილა, ბოლოს ავტომატი გაუცვალა და უთხრა — აწი, ძმები ვართ, მაგრამ თუ ბრძოლა იქნა, მე აქეთ ვიდგები, შენ — იქით და ერთმანეთისთვის სროლა მოგვიწევსო... ეს ამბავი უცხოელებს რომ მოვუყევი, ფილმის გადაღება მოინდომეს — როგორც ჩანს, ეს კავკასიური მოვლენაა, სხვა ომებში ასეთი რამ არ გვსმენიაო. ბალკანეთში ხდება კიდევ მსგავსი ვაჟკაცური ამბები... ფილმის გადაღება, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა. ასეთი ვაჟკაცობის ბევრი მაგალითი მსმენია და წიგნში მოვუყარე თავი. კიდევ ერთს მოგიყვებით. ოჩამჩირის რაიონში არის სოფელი ახალდაბა. აფხაზებს ეს სოფელი რომ აუღიათ, ამ ამბის მთხრობელი ასე, 30 წლის იქნებოდა. დახვრეტას უპირებდნენ. უეცრად, ვიღაც წვერიანი გამოვარდნილა და უყვირია — ამას მე მოვკლავ, მე მომეცითო! გადაუციათ. ჩაუსვამს „ჟიგულიში“ და ეუბნება — არ გახსოვარ, მე ამა და ამ გვარის კაცი ვარო. ბიჭი დიდი სტრესის ქვეშ იმყოფებოდა და მეხსიერება ნაწილობრივ დაეკარგა. წვეროსანი ახსენებდა — შენ გვერდით სოფელში ვცხოვრობდი, ბრძოლების დროს ჩემს მიტოვებულ ეზოში შემოხვედი და ჩემი ბიჭის საფლავს მოუარეო. მაინც ვერ გაიხსენა. კაცმა ენგურამდე მიიყვანა მანქანით და გაუშვა. დაახლოებით 3 თვის შემდეგ გაიხსენა, რომ ომის დროს, დაკარგული ძროხის საძებნელად წასულა მეზობელ აფხაზურ სოფელში, რომელიც იმ დროს დაცარიელებული იყო. ერთგან დაუნახავს ღია ჭიშკარი და უფიქრია — აქ ხომ არ შევიდაო? მერე შეუნიშნავს, რომ ყველა ფანჯარა ღია იყო, სახლი — გაძარცული; ასულა, დაუხურავს. გარეთ გამოსულა, ჭიშკრის ჩაკეტვასაც აპირებდა, რომ ამ დროს გახსენებია, ადრე, ამ ოჯახში, 20 წლის ბიჭის სატირალში იყო ნამყოფი. აფხაზებს დიდი ეზოები ჰქონდათ და წესად ჰქონდათ, მიცვალებულის ეზოში დაკრძალვა. ბიჭი მობრუნებულა უკან, მისულა საფლავთან და დაუნახავს, რომ მსხლის ხის დახუნძლული ტოტი დასცემოდა ზედ. მოუსუფთავებია, 3 მსხალი დაუდვია თავთან და გამოსულა. თურმე, ამას შორიდან უყურებდა სახლის პატრონი, დაღუპული ბიჭის მამა — გაქ-

ცეული აფხაზი, რომელსაც გამოჩენის ეშინოდა... რით არ არის ეს სიუჟეტი საინტერესო ფილმისთვის?! მარტო ომის სისასტიკე და საშინელება ხომ არ უნდა უჩვენო! ასეთი საოცარი ამბების გადმოცემის შედეგად, უფრო იოლად არ გალღვება ყინული?! თან, ჩვენ ერთმანეთისთვის ძალზე ახლობელი ხალხები ვართ, ნათესაური კავშირები, მსგავსი გვარები, ადათ-წესი გვაკავშირებს, საუკუნეების მანძილზე ერთ სახელმწიფოს ვაშენებდით... ასეთი ახლობლები რომ ვართ, კონფლიქტიც უფრო მწარედ იმიტომ მიმდინარეობს: ძმაზე, დაზე რომ გაბრაზდები, შეიძლება, სხვაზე ისე არც გაბრაზდე, გულიც არ გეტკინოს. შესაბამისად, შერიგებაც უფრო მძიმეა, მაგრამ — ძალიან ადვილიც, ამავე დროს...

— მათთან კონტაქტების დამყარებაში, როგორც შევიტყვე, მობილური კავშირის ერთ-ერთი ქართული ოპერატორიც გვიწყობს ხელს — იქაც იჭერსო...

— გალში კარგად იჭერს — ეტყობა, ახლოსაა ანძა, ზუგდიდის მხრიდან, ოჩამჩირეში არ იჭერს... სოხუმში რომ წავედი, მობილური ტელეფონი თან მქონდა. ოჩამჩირეში გამოვრთე და ტყუილუბრალოდ მედო ჯიბეში. სოხუმს რომ მივუახლოვდით, მეგობრებმა მითხრეს — შენ ახლა ძალიან გაგიჭირდება შენს ქალაქში შემოსვლაო. — კი, გამიჭირდება-მეთქი, — ვუპასუხე, — მაგრამ ჩემი სახლი ამწუთას ჩემთვის არაფერს ნიშნავს, იქით ნურც გავივლით; ჩვენ თუ არ შევრიგდებით — ქართველები და აფხაზები — ჩემი სახლი გინდ ყოფილა, გინდ — არა; ბევრი გაუბედურებული ადამიანი ვნახე ცხოვრებაში; უღელტეხილზე რომ გადმოვდიოდით, ისეთი ხალხი მომყვებოდა გვერდით, ვინც ერთ წამში დაკარგა მილიონები — მთავარია, ადამიანებმა, ერთმანეთს გაუგონ, მთავარია სულიერება, რაც ასე დაგვაკლდა-მეთქი; სახლი — არაფერია, მაგრამ მამაჩემის საფლავი სხვაა, იქ ბებიაჩემიცაა დაკრძალული და იქ წამიყვანეთ-მეთქი. მაშინვე ამიყვანეს სასაფლაოზე, სანთლები მქონდა წაღებული თბილისიდან, ბიჭებს საბარგულში პურმარილი ჰქონიათ, ამოაწყვეს და — выпьем за долг, კაცი მამის საფლავზე მოვიდაო, — სადღეგრძელო თქვეს. მეც ვუთხარი — არც თქვენ მინდიხართ, თუ საკუთარ მამას დაივიწყებთ. ასეთი მტერიც არ უნდა გინდოდეს; ჩვენ ჩვენი კაცობით და სიყვარულით უნდა გამოვნახოთ საერთო ენა-მეთქი... ისინი არძინბები არ არიან, ჩემი მეგობრები არიან, სადაც არ უნდა იყვნენ, ამიტომ ჩვენ პოლიტიკა ვერაფერს დაგვაკლებს... სასაფლაოდან რომ წამოვედით, მკითხეს — არ გინდა, თბილისში დარეკოო? — რას ამბობთ — რომ დარეკო, უშიშროებას უნდა შეატყობინო, ნებართვა აიღო, მთელი ამბავი უნდა, სად მაქვს მაგის თავი-მეთქი?!. — არა, მობილური ტელეფონი გაქვსო? — მკითხეს; არ უკითხავთ — „მაგთია“ თუ „ჯეოსელიო“. გამიყვანეს ერთ შემაღლებულ ადგილზე და მითხრეს — ამოიღე შენი ტელეფონიო. ჩავრთე — არ იჭერდა. — საძებნიაო, — მითხრეს და ვეძებდი, უცებ, არ ჩაირთო?! სულ 3 კვადრატული მეტრი იქნება და თუ იმ ადგილას დგახარ, ანტენა მუშაობს და ჩვეულებრივად რეკავ. პირველად ცოლს

„ვისაც მე ვხვდები, პოლიგიკოსები არ არიან, ჩვეულებრივი ადამიანები არიან და ხშირად ბევრად მაღლა დგანან, ვიდრე პოლიგიკოსები“ – ქართულ-აფხაზური შეხვედრა მოსკოვის გარეუბანში, 1999

დავურეკე. შეშფოთებული იყო — როგორ ხარო? მეც ვუთხარი — тут Ардзинба издал закон о многожёнстве და შეიძლება, ერთი წელი არ ჩამოვიდე-მეთქი. ვკვდებოდით სიცილით, როგორც ძველ დროს. მერე, ერთ-ერთმა ძმაკაცმა მთხოვა დამარეკვინეო, მერე — მეორემ, მოკლედ, ამომიწურეს ბარათი. კიდევ კარგი, მეორეც მქონდა. მეორე დღესაც გავედით იქ და ვხედავთ, ახლაგაზრდა აფხაზი ქალი მობილურით ვიღაცას ელაპარაკება; სასწრაფოდ ზურგი გვაქცია, მაგრამ გავიგონეთ — ქართველს ეპატიჟებოდა სოხუმში, ენგურის ხიდზე უნდა დახვედროდა. ასეთი ურთიერთობაა. მერე, იქ ყოფნისას, 13 იანვარს — ძველით ახალ წელს — ბანკეტი გვქოდა *(ბატონმა გურამმა გარკვეული მოსაზრებით, თავი შეიკავა თავის მეგობრებთან ერთად გადაღებული სურათების დაბეჭდვისგან. — ავტ.).* მე ვთქვი — ბიჭებო, 3 კვადრატული მეტრი დაგვრჩა ჩვენი ურთიერთობის, წინათ ეს უკიდეგანო „ტერიტორია“ იყო; ჩვენ შეგვიძლია, 3 კვმ, ეს 30, 300 და 3000 კვადრატულ მეტრად ვაქციოთ და სოხუმიც კიდევ უფრო კარგი იქნება, ვიდრე, უწინ იყო-მეთქი...

— თქვენი მეუღლეც სოხუმელია?

— კი, სოხუმელია. მე და ცისანამ 1976 წლის დასაწყისში შევქმენით ოჯახი.

— ქ-ნი ცისანა არ ყოფილა ომის შემდეგ სოხუმში?

— არა, ჩემი ქალიშვილი კი იყო ჩასული — 2000 წელს. აქ არის შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანთა ორგანიზაცია, რომლის ხელმძღვანელმაც მთხოვა — რაღაც წამლები გვაქვს. გვინდა, აფხაზებს გადავცეთ და დაგვეხმარეთო. მოვუგვარე საორგანიზაციო პრობლემები და ჩემი გოგოც იმ ჯგუფს გაჰყვა.

— სოხუმი კარგად ახსოვდა?

— როცა ომი დაიწყო, იმ წელს დაამთავრა სკოლა. მისაღები გამოცდები უკვე თბილისში ჩააბარა უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, ჟურნალისტიც არის — თქვენი კოლეგა; ძველი და ახალი ებრაული ენები შეისწავლა, ინგლისური ენა იცის, ავსტრიაში დაიცვა მაგისტრის ხარისხი, ჩიკაგოშიც იყო, ლონდონშიც, უცხოელებთანაც მუშაობს კონფლიქტოლოგიის საკითხებზე... მოკლედ, ამ ჯგუფთან ერთად ჩავიდა ჩემი გოგონა სოხუმში. იმ დროისთვის, ჩემი მოთხრობა — „ძმისშვილი“ — პატარა წიგნად იყო გამოცემული. აფხაზ ნაომარ ბიჭებს უნახავთ ჩემი ქალიშვილი და ავტოგრაფი უთხოვიათ — რადგან მამაშენი ვერ ჩამოვიდა, შენ წაგვიწერე წიგნზეო... ამ ხნის მანძილზე, რასაც ვაკვირდები, ადამიანურ ურთიერთობაზე მაღალი არაფერი მინახავს. შეიძლება, უმაღლესი რანგის პოლიტიკოსებმა მოილაპარაკონ, საუკეთესო ქაღალდებს მოაწერონ ხელი, მაგრამ — თუ საზოგადოებებს, ხალხებს შორის სიძულვილი იქნება, ნდობა თუ არ იქნება, როგორ გინდა ქაღალდზე დაწერილი აღასრულო?! შეიძლება, საწინააღმდე-

გოც მოხდეს: საზოგადოებებს შორის მოგვარდეს ურთიერთობა და ეს პოლიტიკურად დაურეგულირებელი დარჩეს... თუ რაიმე ხსნის ფორმულა არსებობს, ქართველები და აფხაზები ცალ-ცალკე მას ვერ ვიპოვით. როცა აღმოვაჩენთ, ვუშველით ჩვენს თავს, მომავალ თაობებს. აგე, ჩემი აფხაზი მეგობრების

ჩვენ დავდივართ, ჩვენს საკეთებელს ვაკეთებთ, რაღაც ბილიკები გაგვყავს, მაგრამ ეს ურთიერთობა იქაურმა და აქაურმა ლიდერებმა უნდა გამოიყენონ

ბავშვების სურათებია; მე ეს ბავშვები მეცოდებიან — რუსეთს იქით ვერ გადიან, პასპორტებიც არა აქვთ. ძალიან მინდა, ამ ბავშვებმა, ჩვენს ბავშვებთან ერთად, მსოფლიო მოიარონ, ისწავლონ ამერიკაში, ინგლისში, სხვაგან, დედამიწა ძალიან პატარა გახდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი დაინგრა: გაიხსნა საზღვრები და ყველგან ადვილად მივფრინავთ. ყველაზე შორ ქალაქად მაინც სოხუმი დარჩა სოხუმელისთვის. არ შეიძლება, 5-6 საათის სავალი ადგილი გახდეს შენთვის შორი და ახლოს იყოს ნიუ-იორკი. ეს არანორმალურობაა და ეს ჩვენ „შევქმენით“ — ქართველებმა და აფხაზებმა. ამიტომ, ჩვენვე უნდა მოვუაროთ. ჩვენ და აფხაზებმა უპირველეს ყოვლისა, უნდა ვაპატიოთ ერთმანეთს. ამ რამდენიმე წლის წინ უნივერსიტეტის სტუდენტების ხუთკაციანი ჯგუფი ჩავიდა აფხაზეთში. მათ შორის ერთ-ერთი, სოხუმელი ბიჭი — იასონ კვანტალიანი გახლდათ. და ეს არც დაუმალავს. აფხაზი თანატოლები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ, წაიყვანეს თურმე, თავისი სახლი აჩვენეს, ვიდეოზე გადააღებინეს. მერე უნივერსიტეტში მიიყვანეს. იქ ვიღაც შვილმკვდარ აფხაზ ქალს მოუნდომებია მასთან შეხვედრა. იასონი თურმე, ცოტა დაიძაბა, მაგრამ შეხვედრია. მოსულა ქალი, 3 სურათი ჰქონია მკერდზე მიმაგრებული; ერთი — ომამდე დაღუპული შვილის, მეორე — ომში საომარი მოქმედებებისას დაღუპული შვილის და მესამე — ომში დაღუპული ძმისშვილის. ამ ბიჭისთვის უთქვამს — ჩემი შვილები სადაც არიან დასაფლავებული, იქვე მათი თანატოლი ქართველი ბიჭის საფლავია; იმ საფლავს არავინ აკითხავს და დედამისს რომ არ ვუშვებთ მის საფლავზე, ეს ჩვენი დიდი ცოდვაა. მე ვუვლი იმ საფლავს და მინდა, ეს შენ, იქიდან ჩამოსულმა, იცოდეო... ახლა, რომელ პოლიტიკოსს შეუძლია მსგავსი რამ თქვას?! აუცილებელია ერთმანეთთან სიარული, არადა, სახიფათოა. ამდენ ხანს არ ყოფილა ქართველი და აფხაზი იზოლაციაში, ერთმანეთის გარეშე და მერწმუნეთ, ჩვენზე უფრო ახლობელი, აფხაზს არავინ ჰყავს. ეს თავად თქვეს, მაგრამ ისიც დასძინეს — ყველაზე მეტი აფხაზი ზუსტად ქართველის ხელით დაიღუპაო ომის დროს, იმიტომ, რომ ამ ომში მათ დაახლოებით, 5-7 ათასი ადამიანი დაკარგეს. ეს მათი მოსახლეობის თითქმის მეათედია!.. ჩვენ დავდივართ, ჩვენს საკეთებელს ვაკეთებთ, რაღაც ბილიკები გაგვყავს, მაგრამ ეს ურთიერთობა იქაურმა და აქაურმა ლიდერებმა უნდა გამოიყენონ. ამავე დროს, საუბედუროდ, კეთდება ის, რაც სხვას აინტერესებს — ვთქვათ, ყველაზე აგრესიულ რუს პოლიტიკოსებს. სხვის გასახარელ საქმეს არ უნდა ვაკეთებდეთ ქართველები და აფხაზები.

— **უახლესი, რაც თქვენ გააკეთეთ, არის წიგნი** „Время жить“.

— ეს სამხრეთ კავკასიის მწერლების მოთხრობების კრებულია, შემდეგ ალმანახი გამოვა. 5 ერის ლიტერატურაა სამხრეთ კავკასიაში. ყველგან კონფლიქტია და მე და ჩემმა აფხაზმა მეგობარმა — ბათალ კობახიამ გადავწყიტეთ, ვიდრე პოლიტიკოსები რამეს გააკეთებენ, ხალხი დავაახლოვოთ წიგნებით, გავიაროთ, ჩვენ გარდა, სამი კონფლიქტია, იქაც ვნახოთ, რა ხდება-თქო. შემოგვიერთდა კიდევ ერთი აფხაზი მეგობარი — დაურ ნაჭყებია და ჩავედით ყარაბაღში, ვნახეთ საოცარი, სომხების მიერ აზერბაიჯანელებისადმი თანაგრძნობით დაწერილი მოთხრობები, ჩავედით ბაქოში, სომეხი კაცის დასაცავი მოთხრობა ვეძებეთ, თავი მოვუყარეთ ყველაფერს და დავბეჭდეთ წიგნად. წიგნის პრეზენტაციები გაიმართა: ბაქოში, თბილისში, ერევანსა და სოხუმში. რუსეთშიც კი დიდი გამოხმაურება მოჰყვა ამ წიგნს. ამის მერე ჩვენ (მე, გია ანჩაბაძემ, ნოდარ სარჯველაძემ, პაატა ზაქარეიშვილმა — სულ ცხრანი ვართ) ჩამოვაყალიბეთ ორგანიზაცია — „კავკასიური დიალოგი“. ვაპირებთ გავაკეთოთ „ამრელი“ მხატვრების გამოფენა, გამოვცეთ ალმანახი, გადავიღოთ ფილმი, გავაგრძელთო სპექტაკლების სერია. სპექტაკლი — „ზღვა, რომელიც შორია“ — 4500-მა კაცმა უკვე ნახა, ალბათ, წლის ბოლომდე 20000 და მეტი ნახავს საქართველოში. ამას წელს აუცილებლად ნახავენ აფხაზები. განხორციელებული და განსახორციელებელი გეგმების სისრულეში მოსაყვანად დიდ დახმარებას გვიწევენ საერთაშორისო ორგანიზაციები — „ინტერნეიშენალ ეალარტი“ („მსოფლიო განგაში“) და „კონსოლეიშენ რესორს“ („შერიგების რესურსი“). მათი ძალიან მადლიერი ვართ. მოვიდა დრო, რომ წინა პლანზე წამოვწიოთ კულტურა. ამიტომაც მიხარია, რომ აფხაზურად მღერიან ქართულ სიმღერებს. ვიღაცამ ხომ უნდა უთხრას აფხაზებს — თუ სძულხარ, შენს სიმღერას რატომ იმღერისო?!. ბოლო დროს, აფხაზეთში 12 ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი უჩვენეს. მხოლოდ ასე თუ მივუახლოვდებით ერთმანეთს. არსებობს წმინდა ადგილები — სასაფლაოები, სადაც ყველამ უნდა შეძლოს საკუთარი მიცვალებულის დატირება. აფხაზეთში რამდენი სასაფლაოა და ის ღამით ესიზმრება კაცს, სახლზე მეტად აწუხებს... ყველაფერს ვიღონებ, რომ დევნილს, სანამ სახლში საბოლოოდ დაბრუნდება, სასაფლაოზე მისვლის უფლება ჰქონდეს და თუნდაც, რაღაც დღეები იყოს ამისთვის დადგენილი. დღეს, არაორდინარული ნაბიჯების გადადგმა უნდა მოვახერხოთ. ეს არის შემოქმედებითი პროცესი, პროცესი, რომელიც ღმერთს უყვარს — ადამიანთა შერიგების პროცესი!

■



„მე და ჩემმა აფხაზმა მეგობარმა გავაერთიანეთ ხალხი დავაახლოვოთ წიგნებით და წავედით ყარაბაღში...“ (ბათალ კობახია და გურამ ოდიშარია სოხუმში, გზად ყარაბაღისაკენ)

მეორე მსოფლიო ომის დროს, სხვადასხვა ქვეყნიდან ბევრი პოლიტემიგრანტი მოხვდა საბჭოთა კავშირში, მათ შორის, საქართველოში. ზოგიერთმა მათგანმა, გარკვეული პერიოდის შემდეგ სამშობლოში დაბრუნება მოახერხა. ზოგმა კი, ამაზე ოცნებით დალია სული უცხო მიწაზე...

ჩემს უფროსკაცი ესპანეთის შვილები, ჩო

გია სუარესი ქალიშვილთან ანასთან ერთად

— ამბობდა მამაჩემი. ეს გოგონა ტიფით გარდაცვლილა 15 წლის ასაკში. ზამთარი იდგა და საშინლად ყინავდა. ომის პირობებში, ამ გოგონას საერთო სასაფლაოზე დასაფლავება ეწერა. ბავშვებს გადაუწყვეტიათ, ცალკე დაეკრძალათ კარმენი და მისთვის წესიც აეგოთ კათოლიკურად. შეპარულან მორგში, გამოუსვენებიათ, პატარა ხელებით ამოუთხრიათ მიწა, დაუსაფლავებიათ და საფლავზე ჯვარიც დაუდგამთ... მამაჩემისთვის სიცოცხლის ბოლომდე, მტკივნეული იყო ამის გახენება.

— საქართველოში დაახლოებით რამდენი ესპანელი ბავშვი მოხვდა?

— დაახლოებით 50-ამდე. მამამ თბილისში მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმი დაამთავრა. მერე უცხო ენების ინსტიტუტში, ფრანგული ენა შეისწავლა.

— ესპანური კარგად იცოდა ბატონმა დარიომ?

— კი. ამ ბავშვებს ერთმანეთი არ დაუკარგავთ, ურთიერთობა ჰქონდათ და

დარიო სუარეს ორდონესი მეუღლესთან ევგენია ინაშვილთან და შვილებთან ერთად

სულ ესპანურად ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. მამას ესმოდა ქართული, კითხულობდა კიდეც, მაგრამ რუსულად ლაპარაკობდა. თუმცა, ღამით რომ გაგეღვიძებინა, ესპანურად გკითხავდა — „კე პასა?“ („რა მოხდა?“): ე.ი. ესპანურად აზროვნებდა...

— საქართველოს როგორ მოერგო, მოსწონდა აქაურობა?

— კი, კარგად მოერგო. ესპანელები სადაც კი გამოჩნდებოდნენ, ყველგან ძალზე თბილად ხვდებოდნენ, ქართველი კაცის ბუნებიდან გამომდინარე. ესპანელები და ქართველები გარეგნულადაც ჰგვანან ერთმანეთს, ხასიათით, ემოციურობით — რომ აღარაფერი ვთქვათ ქართველებისა და ბასკების წარმოშობის საერთო ფუძეზე, რაზეც ბევრი ვერსია დაწერილა და თქმულა. ჩვენს ქვეყნებს კლიმატური პირობებიც მსგავსი აქვს... ყოველივე აქედან გამომდინარე, მამა კარგად მოერგო აქაურობას და კარგად გრძნობდა თავს საქართველოში.

— დედამ და მამამ სად გაიცნეს ერთმანეთი?

— მამა სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა. სწორედ იქ გაიცნო დედაჩემი — ევგენია ინაშვილი. დედა ინჟინერი იყო. იმ დროს, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლობდა და მერე, როგორც წარჩინებული სტუდენტი, კიევში გაგზავნეს სწავლის გასაგრძელებლად. ამ დროისთვის მამას და დედას უკვე უყვარდათ ერთმანეთი, მაგრამ მალავდნენ: დედა ვერ ამხელდა ამ გრძნობას იმის გამო, რომ დარიო ქართველი არ იყო, არ ჰქონდა სახლკარი და ა.შ. დედა იხსენებდა — კიევში გატარებული 4 წელი უბედნიერესი იყო იმის გამო, რომ ცალკე მშობლები მიგზავნიდნენ ფულს, ცალკე — შეყვარებული დარიოო... როცა დედა თბილისში დაბრუნდა, ისინი შეუღლდნენ. სახელმწიფომ ახალდაქორწინებულებს ნახალოვკაში ოროთახიანი ბინა მისცა.

— ქალბატონმა ევგენიამ თუ ისწავლა ესპანური?

— არა, რამდენიმე სიტყვა იცოდა მხოლოდ. ოჯახში რუსულად ლაპარაკობდნენ. ამიტომ დაბადებიდან, ორი ენა ვიცი — რუსული და ქართული.

— ესპანური?

— ესპანური რაღაც დონეზე ვიცი, მაგრამ არც ისე კარგად. მაშინ, როცა მე პატარა ვიყავი, გორკის კლუბში ესპანელებს ოთახები ჰქონდათ გამოყოფილი, სადაც ერთმანეთს ხვდებოდნენ. იქ დავდიოდით ესპანელების შვილებიც და ადელა მარტინესი, რომელიც უნივერსიტეტში ახლაც კითხულობს ესპანური ენის ფაკულტეტზე ლექციებს, გვასწავლიდა ესპანურს. ვინც მონდომებული იყო და გაკვეთილებზე დადიოდა, მათ სრულყოფილად ისწავლეს ენა. მე ელემენტარულ დონეზე ვიცი.

— ესპანეთში დაბრუნებას თუ აპირებდა ბატონი დარიო?

— კი, გამუდმებით... 1956 წელს, საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ესპანელებს ფრანკომ შემოუთვალა — თუ დაბრუნება გსურთ, ან ახლა დაბრუნდებით, ან — არასოდესო. მაშინ ბევრი ესპანელი დაბრუნდა. იმ დროს, მე 4 წლის ვიყავი, ჩემი ძმა გია კი — რამდენიმე თვის. მამაჩემს გონება გადაეკეტა, ეს რომ გაიგო და დედას უთხრა — ესპანეთში ვბრუნდებიო. დედას მოხუცი მშობლები ჰყავდა და მათი დატოვება ეძნელებოდა. მაშინ მამამ ასეთი გადაწყვეტილება გაუზიარა დედას: ერთი შვილი — მე, ერთი — შენ და მივდივარო... ამან ოჯახში, რა თქმა უნდა, დიდი განხეთქილება გამოიწვია. მამამ ყველაფერი მოამზადა, მომკიდა ხელი და აეროპორტში წავედით. გია დედასთან რჩებოდა. როცა ჩვენ წავედით, დედამ გააცნობიერა, რომ შვილსა და ქმარს კარგავდა. გამწარებულს, ჩქარ-ჩქარა დაუწყია ბარგის ჩალაგება, რომ ჩვენს გაფრენამდე, აეროპორტში მისვლა მოესწრო და ისიც ესპანეთში გამოგვყოლოდა. ამ დროს, მამა აეროპორტიდან ბრუნდებოდა — ვერ მიატოვა ცოლ-შვილი... სიცოცხლის ბოლომდე ამას გვაყვედრიდა — მაშინ ჩემთვის რომ დაგეჯერებინათ, ახლა იქ ვიქნებოდიო. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან უყვარდა საქართველო, სულ ამბობდა — ჩემს სამშობლოში უნდა მოვკვდეო... პირველად, 1968 წელს გაგვიშვეს ესპანეთში. მაშინ საბჭოთა კავშირის მოქალაქისათვის ე.წ. კაპიტალისტურ ქვეყანაში გამგზავრების უფლება ძალზე ძნელი მოსაპოვებელი იყო. მამიდაჩემმა გამოგვიგზავნა ვიზა და როგორღაც გაგვიშვეს მთელი ოჯახი. ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ ჩავაღწიეთ ასტურიაში. იქ ულამაზესი ბუნებაა. მიდიხარ მიხვეულ-მოხვეული გზით, ერთ მხარეს მთაა, მეორე მხარეს — ზღვა. მამა ძალიან ნევრიულობდა... კურტინა დე ფიგარერო პატარა დაბაა, იქ ყველა ყველას იცნობს. ისიც იცოდნენ, რომ მამიდასთან მისი დიდი ხნის უნახავი ძმა უნდა ჩასულიყო. საღამო ხანს ჩავედით, ვიღაც ქალი დავინახეთ, რომელსაც რძის ბიდონები მოჰქონდა. მამამ ჰკითხა — მერსედესის (დარიო სუარესის და) სახ-

გიას ქალიშვილი ანა და გერეგას ქალიშვილი ნინო ესპანეთში ყოფნისას

ლი სად არისო? ეს ქალი მიხვდა, თუ ვინ იყო მამა, დაყარა ბიდონები და ადგილს მოსწყდა ყვირილ-ყვირილით — მერსედესის ძმა ჩამოვიდაო!.. არასდროს დამავიწყდება და-ძმის შეხვედრა. მამიდას ჩვენთვის ყურადღება არც მოუქცევია — 30 წლის უნახავ ძმას ჩაეხუტა, ვეღარ შორდებოდნენ ერთმანეთს, გარშემო ყველა ტიროდა, ვინც ამ ამბავს შეესწრო. მამიდა ღამით დგებოდა და ნახულობდა, დარიოს საბანი ხომ არ გადაეხადა, არ შესცივდესო... ძალიან უნდოდა, რომ მე ესპანეთში გავთხოვილიყავი. თუ ეს მოხდებოდა, ოჯახიც იძულებული იქნებოდა, ესპანეთში წასულიყო. მაგრამ მამიდას არაფერი გამოუვიდა, თუმცა ყოველ ჩასვლაზე საქმროს ახალ-ახალ კანდიდატურას მახვედრებდა.

— რატომ არ გათხოვდით იქ?

გერეზა, გია და ხოსე სუარესები

არ მოგწონდათ ესპანელი ბიჭები?

— ვერ წარმომედგინა იქ გათხოვება. ეტყობა, ჩემში ქართული გენი ჭარბობს ესპანურს. მართალია, ესპანელი ვარ, მაგრამ ჩემი სამშობლო — საქართველოა. აქ დავიბადე, გავიზარდე და არასდროს, ჩემი ძმებისგან განსხვავებით, არ მქონია სურვილი, რომ იქ წავსულიყავი საცხოვრებლად. იქ ბევრი რამ ჩემთვის უცხოა. ის გვერდში დგომა, რაც ქართველებს გვახასიათებს, იქ კი არა, არსად არ არის. 47 წლის ქმარი გარდამეცვალა და მეგობრებმა ისე დაასაფლავეს, რომ მე საერთოდ, არ გამიგია, ან რას აკეთებდნენ, ან — როგორ, არაფერზე შევწუხებულვარ. ასეთი ურთიერთობა, საქართველოს გარდა, არსად არ არის.

მამა ფიქრობდა და გეგმებს აწყობდა — 60 წლის რომ გავხდები, პენსიაზე გავალ და სამშობლოში დავბრუნდები, თუ წამომყვებით — გამიხარდება, თუ არა და, მე მეტის მოთმენა აღარ შემიძლიაო... სამშობლოში კი არა, თავის სახლში სიკვდილიც არ ეღირსა: სამტრედიიდან მოდიოდა მეგობართან ერთად მანქანით და გზაში გარდაიცვალა, ზესტაფონთან გაუჩერდა გული, 59 წლის ასაკში... ამის შემდეგ, მე და ჩემი ძმები ვიყავით წასული ესპანეთში, მიწა ჩამოვიტანეთ და საფლავზე მიმოვაბნიეთ.

— თქვენგან განსხვავებით, თქვენს ძმებს არ უფიქრიათ ესპანეთში საცხოვრებლად წასვლა?

— კი, გიაც და ხოსეც სულ ამაზე ოცნებობდნენ. სამწუხაროდ, ხოსე რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა, გიამ კი აისრულა ოცნება და უკვე რამდენიმე წელია, ესპანეთის მოქალაქეა. ცხოვრობს ბალიარის კუნძულებზე, პალმა დე მალიორკაში. ორი შვილი ჰყავს. ქალიშვილი — ანა უნივერსიტეტში სწავლობს, ბიჭი — კოლეჯში. გია ბიზნესით არის დაკავებული. ზაფხულობით ჩამოდიან ხოლმე. ხოსეს არ დასცალდა, თორემ, ისიც აუცილებლად წავიდოდა. მას ორი შვილი დარჩა. გოგომ შარშან ჩააბარა უცხო ენების ინსტიტუტში, ინგლისური ენის ფაკულტეტზე, ბიჭი წელს აბარებს.

— ესპანური წესი-სამებრ, ორ გვარს ატარებთ — სუარეს-ინაშვილი. არ უკვირდათ ეს თქვენს თანაკლასელებს, თანაკურსელებს?

— კი. სამედიცინო ინსტიტუტი დავამთავრე. პირველ კურსზე, პროფკავშირის საკურსოს ორგანიზაციის თავმჯდომარედ არჩეული გოგონა მოვიდა ჩემთან და მეკითხება — გვარი, სახელი, მამის სახელი? — ვპასუხობ — სუარეს-ინაშვილი, ტერეზა, მამის სახელი არ მეწერება... მერე უთქვამს — თავი რომ მოაქვს, თურმე, უკანონო შვილი ყოფილა — პასპორტში მამის სახელი არ უწერიაო...

— თქვენმა შვილებმა იციან ესპანური?

— არა, მე ისე კარგად არ ვიცი, რომ მათ ვასწავლო. ალბათ, ბიძა წაიყვანს ესპანეთში და იქ უკვე თავისთავად ისწავლიან. ■

შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

ტესტი ერუდიციაზე

1. რა ერქვა წარჩინებულ პირის პირად მცველს ძველად საქართველოში?

ა) ზემდეგი;
ბ) ქეშიკი;
გ) ჩოყლაყი.

2. ტერენტი გრანელის ნამდვილი გვარია:

ა) კვირკველია;
ბ) ცომაია;
გ) ბერია.

3. რას ეძახდა დემოსთენე სიკვდილს?

ა) უკანასკნელ თავშესაფარს;
ბ) სამუდამო სიმშვიდეს;
გ) დამსახურებულ დასვენებას.

4. ტრადიციული ძართული სალამურის თვლებს შორის მანძილი:

ა) სხვადასხვაა;
ბ) სალამურს გააჩნია;
გ) თანაბარია.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

უკვე მეორე თვეა, გადაცემა — „ნიკას შოუ“ — ეთერში აღარ გადის და მისი ადგილი ახალმა — „ლიმონმა“ დაიკავა. მაგრამ ნიკა ქავთარაძე მაინც აქტიურად მუშაობს და მომავალში ის კვლავ მოგვევლინება ახალი გადაცემის წამყვანად.

ორიოდე კვირის წინ, ჯგუფი „ღალატის მსხვერპლი“ გახდა: მისი წევრების თქმით, ზვიომ (ზვიად ბლიაძემ) სამსახური „ქართლურად“ დატოვა — იმის გამო, რომ ის რომელიღაც გადაცემის რეჟისორი იყო და თავს უფროსად მიიჩნევდა, ისე, რომ არც ერთი თანამშრომელი არ გააფრთხილა, საკუთარი კარიერის „მტრის“ ბანაკში — „რუსთავი 2“-ზე გაგრძელება გადაწყვიტა. რას ფიქრობენ ამის შესახებ „ფორმულა კრეატივის“ თანამშრომლები, ვინ მიიღეს მათ ახალ შტატში და რა სიახლეებს შემოგვთავაზებენ მომავალში, ზვიოსგან გაწირული ბიჭები, — ამ ყველაფერზე დროებით არა წამყვანი, არამედ უბრალოდ ნიკა ქავთარაძე გვიყვება.

ეთელი გუნდი – ზვიოს სანაცვლოდ?

ანუ ნიკა ქავთარაძე და კომპანია ახალ პროექტებზე მუშაობენ

ნათია ქივიძე

— რატომ დაიხურა „ენშოუ“?

— იმის გამო, რომ ახალი სეზონი დაიწყო, გადავწყვიტეთ, რაიმე ახალი, ვიზუალურადაც და შინაარსითაც განსხვავებული გაგვეკეთებინა, რათა მაყურებლისთვის სიახლე შეგვეთავაზებინა. პრინციპში, „ლიმონიც“, „ნიკას შოუს“ ფორმატისაა, რადგან ესეც ღამის ტოქშოუა, მაგრამ — მაინც განსხვავებული. თავიდანვე გადავწყვიტეთ, რომ ამ გადაცემის წამყვანი, გიგა ნასარიძე უნდა ყოფილიყო, რადგან მიგვაჩნია, რომ ის კარგი პოტენციალის კაცია და მაყურებლის წინაშე იუმორისტული გადაცემის წამყვანის ამპლუაში უნდა წარმოგვედგინა. ამ ყველაფერზე ბევრი ფიქრი არც დაგვჭირვებია, არც რაიმე გარემოების ზეწოლის გამო მიგვიღია ეს გადაწყვეტილება — უბრალოდ ჩავთვალეთ, რომ ასე უკეთესი იქნებოდა.

— გიგასნაირი პოტენციალის კაცი გუნდში სხვა არავინ გყავთ?

— როგორ არა?! მაგრამ ამ შემთხვევაში, ასე გადავწყვიტეთ. ის „სხვა“, სხვა გადაცემაში დასაქმდება. ჩვენ ამაში პრობლემას ვერ ვხედავთ, ეს ყველაფერი ჩვენი სამეგობროსა და კოლექტივის პროექტებია და რასაც გვინდა, იმას ვაკეთებთ. ეს არის შიდასამზარეულო, სადაც, რა მასალითაც გვინდა, იმით ვამზადებთ „საკვებს“.

— რატომ გადაწყვიტეთ, რომ მაინცდამაინც ასეთი ფორმატის გადაცემა შეგექმნათ?

— გვყავს ერთი მეგობარი — გიორგი ლიფონავა, რომელიც სულ მალე, ჩვენი ყველა პროექტის რეჟისორი იქნება. გვინდოდა, მისი შესაძლებლობები გამოგვეყენებინა. „ლიმონის“ „პონტები“ რომ არის, ეს გიორგის იდეაა. ეს „პონტები“ „ნიკას შოუში“ ვერ ჩაჯდებოდა, ამიტომ შევცვალეთ გადაცემა. თან გადავწყვიტეთ, რომ სტუდიის დიზაინის შეცვლაც აუცილებელი იყო და ეს ერთ კვირაში გავაკეთეთ. მიუხედავად ასეთი სიჩქარისა, მგონია, რომ ეს გადაცემა ცუდი არ არის — პირიქით, კარგიცაა. ყოველ შემთხვევაში, დანამდვილებით ვიცი, რომ ბევრ ადამიანს მოსწონს, განსაკუთრებით კი, სწორედ იმ „პონტებს“ უყურებენ. ეს ამ გადაცემის ყველაზე დიდი სიახლეა და გპირდებით, რომ სიახლეების თვალსაზრისით, ეს გადაცემა ბევრით წაიწევს წინ.

— სიმართლე მითხარი, „ნიკას შოუს“ დახურვა იმით ხომ არ იყო გამოწვეული, რომ ბოლო დროს გადაცემამ პოპულარობა დაკარგა?

— სხვათა შორის, „ნიკას შოუს“ პოპულარობა არასოდეს დაუკარგავს. მე ეს არ მიგრძნია... ყოველ შემთხვევაში, ხალხი მეუბნება, რომ ამ გადაცემის დახურვის გამო გული დასწყდა. არ ვიცი, შენ შეიძლება გითხრან — კარგია, რომ დაიხურაო... ამაზე, იდეალური სოციალური გამოკითხვა არ არის ჩატარებული, მაგრამ რაც ვიცი, იმას ვამბობ... ჩვენ ახლა, სამუშაო პროცესი გვაქვს. სერიოზული სიახლეებისთვის ვემზადებით და ძალიან დიდი ძალისხმევისა და შრომისუნარიანობის გამოვლენით, ძალიან კარგ რაღაცებს შევქმნით, რომელსაც სულ მალე შევთავაზებთ მაყურებელს. არ ვბაქიბუქობ, მართლა ასე გვაქვს დაგეგმილი. სწორედ იმიტომ ჩავანაცვლეთ „ლიმონით“ „ნიკას შოუ“, რომ ჩვენი პროექტებისთვის მრავალფეროვნება შეგვემატებინა.

— ახალი გადაცემის დაწყებისთანავე, სამსახურში შენი ძმა ვახო და მისი მეგობრები მიიღეთ...

— ასე ნუ დაყოფ ჩვენს ჯგუფს... უბრალოდ, მოვიდნენ ნიჭიერი ადამიანები, რომელთა შორის, ჩემი ძმაც არის. კი, ბატონო, ისინი მეგობრები ნამდვილად არიან, მაგრამ ჩვენთვის ისინი უნივერსიტეტის ნიჭიერი „კა-ვე-ენ-შიკები“ არიან, რომლებიც უკვე რამდენიმე წელია, სცენაზე „იბრძმედებიან“. უკვე ჩამოყალიბებული და ნიჭიერი ადამიანები მივიღეთ, რაც კარგი ტემპით წინსვლას გვიქადის. მათი მოსვლის შემდეგ, ჩვენ უკვე დიდი ძალა ვართ...

— მარწმუნებ, რომ ამ ყველაფერში თქვენი ძმობა არაფერ შუაშია?

— ნამდვილად არაფერ შუაშია. შეგიძლია, ნებისმიერ თანამშრომელს ჰკითხო და გეტყვის, რომ ვახო აქ არანაირად არ შედის პრივილეგირებულ ადამიანთა სიაში. თუმცა, ასეთი აქ არც არავინ არის, მაგრამ ჩემს ძმას ორჯერ მეტი მოეთხოვება, იმის გამო, რომ მოშორდეს ჩემი ძმობის „სტატუსი“ და უბრალოდ ვახუნა ქავთარაძე იყოს...

— ამის გამო არ წერია მისი სახელი და გვარი ტიტრებში?

— რაც ახლა ეკრანზე გადის, დასრულებული ვარიანტი არ არის. მომავალში, აუცილებლად შეიცვლება და ვახუნას სახელი და გვარიც დაიწერება.

— შენი ძმა ალბათ, შენგან სწავლობს ხუმრობას...

— სიმართლე რომ გითხრა, ჩვენ ერთმანეთისგან ბევრ რამეს ვსწავლობთ. ისე არ არის საქმე, რომ ჩვენ შორის უფროს-უმცროსობას ვარჩევდეთ. სცენარის მოფიქრების პროცესი ერთიანი, კარგად აწყობილი მექანიზმია. სხვათა შორის, მათი მოსვლით ჩვენი პროდუქტიულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. ვერ ვიტყვი, რომ საქმისადმი დამოკიდებულება ოდესმე ცუდი გვქონდა, მაგრამ იმათ გამო, საკუთარი თავისადმი მოთხოვნილება გაგვზარდა, შესაბამისად, მათი მოტივაციაც დიდია, როდესაც რეალური წინსვლის საშუალება გამოუჩნდათ. მათი აქ მოსვლა კარგი სიახლეა, რადგან ისინი ახალი შემადგენლობით, ახალი იდეებით, ახალი „სისხლითა“ და შემართებით მოვიდნენ. მათ მიერ გადმოფრქვეული იდეებიდან, ჩვენ, ჩვენი გამოცდილებით, უკვე შეგვიძლია, კარგად ავაწყოთ საქმე. ისინი მართლა, ძალიან ნიჭიერები არიან, უბრალოდ, აქამდე, მხოლოდ საუნივერსიტეტო სცენის გამოცდილება ჰქონდათ, ახლა კი, ნელ-ნელა, ტელესახეები ხდებიან და მალე დაიხვეწებიან. თუმცა, დიდი მინუსები არა აქვთ — პირიქით, სიმართლე რომ გითხრა, მათში მხოლოდ პლუსებს ვხედავ. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა მათ იმის გამო, რომ თავიანთი შემოქმედება ჩვენთან ერთად დაგეგმეს.

— თქვენი მშობლები ალბათ, ძალზე ბედნიერები არიან იმის გამო, რომ ორი შვილი „ტელე-იმედის“ სახეს წარმოადგენს...

— ალბათ, ბედნიერები არიან. ისედაც, ცუდი შვილები არასოდეს ვყოფილვართ. ახლა ალბათ, უფრო ამაყები არიან. ისინი პირველმა შვილმა უფრო გავანებივრე. ვახუნა ჯერ დამწყებია და ანალოგიურ დონემდე უნდა მივიდეს, დიდი გზა აქვს გასავლელი.

— შენ მიჩვეული იყავი ყურადღების ცენტრში ყოფნას, ახლა კი, „პირველხარისხოვანი“ აღარ ხარ. არ გიჭირს ამასთან შეგუება?

— არა. მართალია, მიყვარს ყურადღების ცენტრში ყოფნა, მაგრამ ამისთვის შენი ვიზუალურად გამოჩენა სულაც არ არის საჭირო — მთავარია, ხალხს ახსოვდე. თანაც, ეს ჩემი კარიერის დასასრული ნამდვილად არ არის, ჩვეულებრივი შემოქმედებითი პაუზაა, რომელიც აუცილებლად კიდევ უფრო დიდ წინსვლას მოიტანს. ჩემს მეგობრებში და საკუთარ თავშიც ვხედავ პოტენციალს იმისთვის, რომ ჩვენი თავი მაყურებელს კარგად შევთავაზოთ, ოღონდ, ამას კონკრეტული ფორმის მოძებნა სჭირდება, რომელსაც ახლა, უკვე ვეძებთ და სულ მალე ვიპოვით კიდეც.

— ახალი პროექტის ეკრანზე გასვლა როდისთვისაა დაგეგმილი?

— ზუსტად არ ვიცი, ეს გადაცემა მარტში გავა ეთერში თუ აპრილში, მაგრამ ძალიან მალე აუცილებლად იხილავთ.

— გადაცემის წამყვანი შენ იქნები?

— ალბათ. წამყვანის გარდა, სხვა პოზიციაც რომ მქონდეს ამ გადაცემაში, სულაც არ ვიუარებ, მაგრამ ჩემს მეგობრებთან ერთად დავგეგმეთ, რომ მე რაღაცის წამყვანი უნდა ვიყო.

— „გვაროვნული წყობილება“ აღარ გავა ეთერში?

— არა. დავადგინეთ, რომ „წლის გვარი“, კოლელიშვილები არიან და შევაჩერეთ ეს გადაცემა. რაც შეეხება „საპონს“ — მალე, კვირაში ორჯერ გავა ეთერში, მერე კი, ალბათ — ყოველდღე, რადგან სერიალის ფორმატი წესით, ასეთი უნდა იყოს.

— თემა შევცვალოთ. ზვიოს ღალატზე რას იტყვი?

— „ღალატი“ ნამეტანი პოეტურად ნათქვამია... მწვავე კომენტარისგან თავს შევიკავებ, რადგან ადამიანებისთვის ალბათ, ძალზე გულსატკენი იქნება მიზეზები, რომლის გამოც ეს მოხდა.

— ვიცით, რომ ორი დღე სამსახურში არ გამოჩნდა და როცა დაურეკეთ, გითხრათ — თქვენთან აღარ ვმუშაობო...

— გცოდნია და ჩემს თქმას რაღა აზრი აქვს?!. მე ვიქნები ცოტათი კორექტული, თუმცაღა, მასზე გაბრაზებული ვარ.

— მას შემდეგ, რაც თქვენგან წავიდა, აღარც გინახავთ და არც გისაუბრიათ მასთან?

— არა.

— როგორ ფიქრობ — რა დაინტერესება უნდა ჰქონოდა ზვიოს „რუსთავი 2“-ში?

— აზრზე არა ვარ. ზვიო, ვიდრე აქ იყო, დროთა განმავლობაში, თავის მეგობრებს მოსწყდა. შრომისუნარიანობა დაკარგა. იქ მზამზარეულზე მივიდა და ალბათ, იქ უფრო გაუადვილდება მუშაობა...

— აქ არ გქონდათ საქმე მზამზარეულად?

— როგორ არა?! მაგრამ ზვიოს აქ თვითონ უნდა ეშრომა, იქ კი, შიდასამზარეულოს საქმეს სხვები გააკეთებენ...

— როგორც შენი თანამშრომლები ამბობენ, ზვიო მუშაობის დროს, საკმაოდ მძიმე ხასიათის ყოფილა...

— კი, არის მძიმე ადამიანი. მაგრამ ამაზე მე რატომ მალაპარაკებ? შენ თვითონაც ხომ იცნობ და საზოგადოებამაც კარგად იცის — გულგახსნილი და მხიარული ის არასოდეს ყოფილა.

— აქ მუშაობის პერიოდში, ის სერიალ „საპნის“ რეჟისორი იყო?

— მას ჰქონდა იმის სურვილი, რომ რეჟისორი ყოფილიყო. მას არ სურდა, რომ მისი შესაძლებლობები ჩვენთან თანასწორად ყოფილიყო გამოყენებული და საკუთარ თავს ცოტა უცნაურად გვთავაზობდა — რეჟისორის, ორგანიზატორისა და უფროსის რანგში და არა იმ რანგში, რითიც მას ხალხი იცნობდა — ნიჭიერი მსახიობის ამპლუაში. ვერ ვიტყვი, რომ ზვიო მაგარი რეჟისორია. მომავალში თუ ისწავლის, არ ვიცი...

— ზვიოს თქვენგან წასვლას რაიმე წინა პირობა არ ჰქონია?

— არა. თუ იმას გულისხმობ, გვიჩხუბია თუ არა, — ეს აბსურდია. ზვიო აქედან კამათის ან სხვა რაიმე ამდაგვარი მიზეზის გამო არ წასულა. ის თავისსავე საქმისადმი დამოკიდებულების გამო წავიდა, ფაქტობრივად, ჩვენთან აღარ იყო... ვფიქრობდი კიდეც, რომ მას საერთოდ, საქართველოდან უნდოდა წასვლა. თუმცა კი, გოგიჩაიშვილის გუნდისკენ გული ყოველთვის მიუწევდა...

— ზვიოს მეუღლე, ეკაც აქ მუშაობდა. ალბათ, ისიც აღარ არის თქვენი თანამშრომელი, ხომ?

მან კარგი საქმე გააკეთა თავისთვისაც და ჩვენთვისაც, რადგან ახლა უკვე ყველაფერში გარკვეულები ვართ და ერთგული ადამიანების სიაც ნათელია

— ეკას ჰქონდა კონკრეტული დავალებები, რომლებიც უბრალოდ, ამოიწურა და სწორედ ამ დროს მოხდა მათი აქედან წასვლა. ეკას, „გვაროვნული წყობილება“ ებარა. ეს გადაცემა დამთავრდა და მისთვის რაიმე ახალი აღარც შეგვითავაზებია. მართალია, რაღაც საორგანიზაციო საქმეებსაც აგვარებდა, მაგრამ ამ საქმეს ახლა, არაჩვეულებრივად აგვარებს ჩვენი მდივანი, ნინუცა ინჯიკაშვილი.

— თქვენ და გოგიჩაიშვილის გუნდი ყოველთვის ეჭიშპებოდით ერთმანეთს. ახლა ალბათ, ზვიოს იქ გადასვლით, ეს ჭიშპი უფრო გამძაფრდება...

— მოდი, ამ ყველაფერს ქიშპს ნუ დავარქმევთ. ეს არის კონკურენცია, რომელიც ყოველთვის იქნება ჩვენ შორის, რადგან ორივე გუნდი იუმორზე მუშაობს. იქ არიან ადამიანები, რომლებიც ნიჭიერები არიან და მათგან ვიღაცები ჩვენს გუნდში რომ გადმოვიდნენ, არ იქნება ცუდი — ისევე, როგორც მათთვის არის კარგი, რომ აქედან იქ წავიდეს ვინმე... ზვიო იქ წავიდა, გიგა ნასარიძე იქიდან ჩვენთან გადმოვიდა. ვიღაცა ალბათ, კიდევ წამოვა და ა.შ.

— ზვიო რომ თქვენთან დაბრუნდეს, ისევ მიიღებთ?

— არ ვიცი, შესაძლოა, მივიღოთ კიდეც. გააჩნია, რა სტატუსით დაბრუნდება. საქმის პატრონი ალბათ, ვეღარასოდეს იქნება. აქამდე, ის აქ საქმის პატრონი იყო... გაცხარებული ადამიანის პოზიციიდან არ ვამბობ ამ ყველაფერს, აბსოლუტურად ცივი გონებით ვლაპარაკობ. გაბრაზებამ უკვე გამიარა. ზვიო აქ თუ ისე უნდა ყოფილიყო, როგორც აქამდე იყო — ანუ საქმისადმი გულგრილი, — მაშინ ჯობდა, რომ წასულიყო და სწორი არჩევანი გააკეთა. ამით მან კარგი საქმე გააკეთა თავისთვისაც და ჩვენთვისაც, რადგან ახლა უკვე ყველაფერში გარკვეულები ვართ და ერთგული ადამიანების სიაც ნათელია.

— გადაცემებში თქვენ და ისინი საკმაოდ მწვავე ხუმრობებს „ესვრით“ ხოლმე ერთმანეთს. ცხოვრებაშიც ასე „კბენთ“ ერთმანეთს?

— დათო გოგიჩაიშვილთან საერთოდ, არანაირი ურთიერთობა არა მაქვს, არც არსად ვნახულობ და არც ტელეფონით ვუკავშირდებით ერთმანეთს. ზოგიერთები — ვთქვათ, გოჩა თანდარაშვილი, ალეკო მალხაზიშვილი, — ჩემი მეგობრები არიან და ერთმანეთთან ურთიერთობა გვაქვს. კიდევ, არიან სხვა ასეთი ადამიანებიც. მოკლედ, ვინც ადრე ჩემი მეგობრები იყვნენ, დღემდე ჩემი მეგობრები არიან.

— დათო გოგიჩაიშვილი შენი მეგობარი არასოდეს ყოფილა?

— დათოც ყოფილა, მაგრამ ისეთი „დოზით“ — არა, როგორითაც ვთქვათ, თანდარაშვილი. ჩვენ ოჯახებით ვმეგობრობთ. დედაჩემს რომ უყვარს, გოჩა ისეთი ბიჭია. ჩვენ სტუდენტობიდან, ბევრი დრო გვაქვს გატარებული ერთად. მალხაზიშვილთან აბსოლუტურად სხვა დამოკიდებულება მაქვს. მოკლედ, ისინი ჩემი კონკურენტები არ არიან... ■

ლელა მეგურიშვილი თეატრის მსახიობია და უკვე ბევრი როლიც უთამაშია სცენაზე, მაგრამ მაყურებელი მაინც ტელესერიალ „საპნის“ წყალობით უფრო იცნობს. ახალგაზრდა მსახიობი იმედს არ კარგავს, რომ მომავალში, ის თეატრალური როლების წყალობით გაითქვამს სახელს..

„ცვეკნის“ ჩვეულოლი გვლოლიბს,

„ცვმვიან“ ჰვრცენიორიბის გვრიეში ლა ჰირველი ყომელიფერი როლი

ეკა მინდაძე

— ლელა, მსახიობობა ბავშვობიდან გინდოდა?

— არა, ამას ვერ ვიტყვი. მამაჩემი ექიმია და აქედან გამომდინარე, მეც ბავშვობაში ექიმობაზე ვოცნებობდი. იმდენად მინდოდა ექიმობა, რომ მუდამ თეთრი ხალათით დავდიოდი... არც მე და არც ჩემს ტყუპისცალ ძმას თავიდან, მსახიობობა არც გვიფიქრია. უბრალოდ, როგორც ყველა ბავშვს, ჩვენც თანატოლებთან ერთად, ზაფხულში აგარაკზე დასასვენებლად მყოფებს, არაერთხელ დაგვიდგამს და გვითამაშია სპექტაკლი. ერთი პერიოდი, მშობლები ორივეს, თეატრალურ სტუდია „ბერიკებში“ გვატარებდნენ. მაგრამ მიუხედავად ამისა, ბოლომდე, X კლასშიც მქონდა გადაწყვეტილი, რომ უნივერსიტეტში, საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე ჩამებარებინა. მაგრამ ბოლო მომენტში, არ ვიცი — რატომ, მეც და ჩემმა ძმამაც მსახიობობა ვამჯობინეთ და მშობლების დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, თეატრალურ უნივერსიტეტში შევიტანეთ საბუთები. ამჟამად, ჩემი ძმა კინომსახიობის თეატრის მსახიობია, მე კი „თეატრალურ სარდაფში“ ვმოღვაწეობ.

— გაიხსენე შენი პირველი როლი.

— ბედნიერი ვარ, რომ თეატრალური უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე მოვხვდი „სარდაფში“. ჩემი პირველი როლი ვითამაშე ლევან ნულაძის სპექტაკლში — ვაჟა-ფშაველას „გველის მჭამელში“. ეს გახლდათ მზიას როლი. ეს სპექტაკლი ჩემთვის უმნიშვნელოვანესი იყო.

— საყვარელი პარტნიორი თუ გყავს?

— მე თითქმის ყოველთვის, კარგი პარტნიორები მყავს, მაგრამ მაინც მინდა, გამოვყო დუტა სხირტლაძე. ის ჩემი პირველი პარტნიორი იყო „თეატრალურ სარდაფში“. მისი მადლიერი ვარ, რადგან ძალზე დამეხმარა და ბევრი რამ მასწავლა. მე ხომ იქ ახალი მისული ვიყავი და შესაბამისად, ვნერვიულობდი. მან კი ისეთი ატმოსფერო შემიქმნა, რომ თავი უცხო გარემოში არ მიგრძნია.

— სპექტაკლში — „ქრონიკა“ — დედოფალ მართა-მარიამს ასახიერებ. გაგიჭირდა ამ როლის შესრულება?

— არა. პირიქით, ამ როლს დიდი მონდომებითა და სიყვარულით ვასრულებ. ბავშვობიდან, ძალიან მიყვარს საქართველოს ისტორია და აქედან გამომდინარე, ჩემთვის დიდი პატივია დედოფლის თამაში.

— ფილმში თუ მიგიღია მონაწილეობა?

— კი. მახსოვს, პირველ კურსზე გავიპარე ფილმში მონაწილეობის მისაღებად: საერთოდ, სტუდენტობის პერიოდში, კინოში თამაში აკრძალულია. ამიტომ, იძულებული გავხდი, გავპარულიყავი და არც ჩემი რეჟისორისთვის მეთქვა ამის შესახებ რაიმე. ფილმს გერმანიის დაფინანსებით იღებდნენ. მართალია, იქ ჩემთვის მნიშვნელოვანი როლი არ შემისრულებია, მაგრამ მაშინ, ჩემზე ბედნიერი არავინ მეგულებოდა. ვფიქრობ, კინოს სულ სხვა სპეციფიკა აქვს და დღესაც დიდი სურვილი მაქვს ფილმში გადაღების. იმედი მაქვს, მომავალში ეს ბედნიერებაც მეწვევა.

არც მე და არც ჩემს ტყუპისცალ ძმას თავიდან, მსახიობობა არც გვიფიქრია

— შენი აზრით, შეიძლება თუ არა, მსახიობმა უარი თქვას ამა თუ იმ ეპიზოდში — მაგალითად ინტიმურ სცენაში თამაშზე?

— მართალია, ამბობენ — მსახიობი ყველანაირ როლზე უნდა დათანხმდესო, — მე ასე არ ვფიქრობ, უფრო მეტიც — კატეგორიული წინააღმდეგი ვარ ზოგიერთ ეპიზოდში მონაწილეობის. გარდა ეროტიკისა, არსებობს კიდევ ისეთი როლები, რომლის თამაშის სურვილიც არა მაქვს. მე პირადად, ბევრ როლზე მითქვამს უარი, იმიტომ, რომ ჩემთვის ის საინტერესო არ იყო. თითოეული ახალი როლი ჩემთვის, ახალი ეტაპის დასაწყისი უნდა იყოს, ამით მე საკუთარ თავს უფრო მეტ რამეს შევძენ. აქედან გამომდინარე, დღეს რასაც ვთამაშობ, იმის მსგავსი რომ შემომთავაზონ, არ დავთანხმდები. მირჩევნია, ცოტა როლი შევასრულო, მაგრამ ყველა ერთმანეთისგან განსხვავებული იყოს. ოღონდ, ამ შემთხვევაში, ეროტიკულ სცენას არ ვგულისხმობ. მე ჩემი პრინციპები მაქვს...

— სერიალ „საპონში“ როგორ მოხვდი?

— ზაფხულში დამიბარეს და სინჯები გადამიღეს. სექტემბერში კი შემატყობინეს — ახალი სერიალის გადაღებას ვიწყებთ, რომელსაც „საპონი“ ერქმევა და გვინდა, რომ შენც დაგაკავოთო. მეც, რა თქმა უნდა, დიდი სიამოვნებით დავთანხმდი.

— როგორ შეეწყვე ბიჭებს?

— მშვენივრად. ძალიან კარგი ბიჭები არიან. ცდილობენ, ყველანაირად შეგვიწყონ ხელი გოგოებს — გვივლიან და ხელისგულზე გვატარებენ. მათთან მუშაობა ძალიან მსიამოვნებს.

— არ გაბრაზებენ ხოლმე?

— ყველაზე მეტად შონზო „გვაბრა-

ყოველდღე ვთამაშობ სპექტაკლში

ზებს“. გადაღებები კვირაში ერთხელ გვაქვს. მივალთ თუ არა, მოგვცემენ ტექსტს და რამდენიმე წუთში, გადაღება იწყება. დავიწყებთ თუ არა გადაღებას და ძლივს დაზეპირებულ ტექსტს ვიტყვით, გამოვა შონზო და იმის მაგივრად, რომ სცენარის მიხედვით ილაპარაკოს, ხან რაღაცას წამოისვრის, ხან კი, სპეციალურად, ცეკვას იწყებს... ამაზე ძალიან ვმწარდებით, რადგანაც, რომ გვგონია, ახლა დავამთავრებთ გადაღებას-თქო, თავიდან დაწყება გვიწევს ხოლმე...

— როგორც ერთ-ერთი გასართობი სერიალის მონაწილე, რას ფიქრობ ზოგადად, ქართულ ტელესივრცეში არსებულ გასართობ პროგრამებზე?

— საერთოდ, მოუცლელობის გამო, ტელევიზორს იშვიათად ვუყურებ, მაგრამ რაც მინახავს, იმის მიხედვით უნდა გითხრა — ამ გადაცემებით დიდად არასდროს მოვხიბლულვარ. რაც შეეხება სერიალ „საპონს“ — მე პირადად მომწონს. იმედია, რომ დროთა განმავლობაში, უფრო დავიხვეწებით და უკეთესები გავხდებით.

— შენ ამ სერიალში ტიპური თბილისელი თინეიჯერი გოგონას როლს ასრულებ. თუ არის რაიმე მსგავსება შენსა და მას შორის?

— არა, ვფიქრობ, მას არ ვგავარ. შეიძლება, რაღაცა გვქონდეს საერთო, მაგრამ მთლიანობაში, სხვადასხვანაირები ვართ.

— შენი სამსახიობო ცხოვრებიდან რაიმე კურიოზულ შემთხვევას ხომ ვერ გაიხსენებ?

— კურიოზული შემთხვევა ბევრი ყოფილა. ერთხელ, ოთარ ეგაძის მიერ დადგმული სპექტაკლის — „ქრონიკის“ დროს, იმ სცენაში, სადაც 3 გოგო — მე, ნანკა კალატოზიშვილი და შორენა ბეგაშვილი — „სამაიას“ ვცეკვავთ, ოინი მომიწყვეს — სცენაზე მარტო დამტოვეს... ამან ძალიან შემაშფოთა: აბა, როგორ უნდა მეცეკვა „სამაია“ მარტოს?!. თუმცა, მათ ბოლომდე ვერ გამწირეს და ცოტა ხნის შემდეგ, გამობრძანდა ორივე...

— ახლა, ცოტა რამ პირადი ცხოვრების შესახებაც მითხარი — რა ხდება, შეყვარებული ხომ არ გყავს?

— არ მსურს ამ თემაზე საუბარი...

— როგორი უნდა იყოს მამაკაცი, შენი გული რომ დაიპყროს?

— ყურადღებიანი, თბილი და მხიარული.

— აქვს თუ არა მნიშვნელობა ასაკს?

— ვფიქრობ, თუ გიყვარს, პატარაც გეყვარება და დიდიც. ასაკის გამო მასზე უარის თქმა უაზრობად მიმაჩნია.

— მამაკაცის მატერიალურ მხარეს თუ აქცევ ყურადღებას?

— მართალია, როცა გიყვარს, ამაზე არ ფიქრობ, მაგრამ რეალურად, ცხოვრება იმას გვიჩვენებს, რომ საჭიროა მატერიალური უზრუნველყოფა, სხვანაირად არ გამოდის. მე თვითონ, მას შემდეგ, რაც ინსტიტუტი დავამთავრე, სულ ვცდილობ, რომ ჩემი ფული მქონდეს.

მივალთ თუ არა, მოგვცემენ ტექსტს და რამდენიმე წუთში, გადაღება იწყება

— მოდი, თავი მოვაწონოთ მამაკაცებს: გვითხარი, როგორი დიასახლისი ხარ.

— მართალია, სახლში იშვიათად ვარ, მაგრამ როცა მოვდივარ, თუ ყველაფერი თავის ადგილზე არ არის, დისკომფორტს ვგრძნობ. სახლში აუცილებლად სისუფთავე უნდა იყოს და ყველაფერი თავის ადგილზე იდოს.

— ხელსაქმე თუ გეხერხება?

— როგორ არა?! ვკერავ, ვქარგავ და ვქსოვ.

— კერძების მომზადებაც გეცოდინება.

— კი. არ დამიჯერებ, მაგრამ ძალზე გემრიელ ხორციან ბლინებს ვაკეთებ.

— ნამცხვრის გამოცხობა თუ იცი?

— კი, ძალიან კარგი გამომდის „იდეალი“.

— თავისუფალ დროს სად და როგორ ატარებ?

— თავისუფალი დრო იშვიათად

ვფიქრობ, თუ გიყვარს... პატარაც გეყვარება და დიდიც...

მაქვს. როგორც კი გამოვნახავ, ვცდილობ, ეს დრო მაქსიმალურად გამოვიყენო და მეგობრებთან ერთად გავატარო. სახლში ყოფნის დროს კი ძალიან მიყვარს ჩემს პატარა ძმისშვილთან თამაში.

— დაბოლოს: ამჟამად რაზე მუშაობ?

— ყოველდღე ვთამაშობ სპექტაკლში: „სარდაფის“ გარდა, კინომსახიობთა თეატრისა და სამეფო უბნის თეატრის სცენებზეც გამოვდივარ. სამეფო უბნის თეატრში სპექტაკლში — „გიული“ — ვთამაშობ გიულის როლს, ხოლო კინომსახიობთა თეატრში დაკავებული ვარ სპექტაკლში — „ჰეი, ვეფხისტყაოსნებო“. ამჟამად ვმუშაობ სპექტაკლზე „შთამომავლობა“, რომელსაც „რუსთაველის სარდაფში“ გოგი ქავთარაძე დგამს და კიდევ — ოთარ ეგაძესთან, კომედიაზე — „ეჭვის ჭია“. სხვათა შორის, კომედიაში პირველად ვითამაშებ და ძალიან მაინტერესებს, ეს როლი როგორ გამომივა. ერთი სული მაქვს, როდის დავამთავრებთ და წარვდგებით მაყურებლის წინაშე...

■

ყველაზე მაღლები, ყველაზე ნორჩები, ყველაზე იოჯლიანები...

უსწრაფესი რობოტი-ჰუმანოიდი



რობოტი ASIMO (Advanced Step in Innovative — ინოვაციურ შემოქმედებაში გადადგმული ახალი ნაბიჯი) იაპონურმა კორპორაცია „ჰონდამ“, რობოტი-ჰუმანოიდების პროგრამის ფარგლებში 2000 წელს შეიმუშავა. 2004 წლის დეკემბერში, ამ რობოტმა რეკორდული სიჩქარე — 3 კმ/სთ განავითარა.

უდიდესი კატალოგი

მოდის კატალოგის — „ვუალა!“ — ასლი, რომლის ზომა გაშლილ მდგომარეობაში, 1,2X1,5 მ-ს, ხოლო მოცულობა 2112 გვერდს შეადგენდა, გერმანიის ქალაქ ჰამბურგში 2003 წლის 30 აგვისტოს წარმოადგინეს.

მზის ენერგიით მოქმედი უმძლავრესი ელექტროსადგური

ელექტროსადგურზე — სოლარ II, რომელიც კალიფორნიის შტატის მოხავას უდაბნოში მდებარეობს, 1800 ჩაზნექილი სარკე მზის სინათლეს ირეკლავს და გადასცემს ცენტრალურ გამათბობელ ელემენტს, რომელშიც 10 მეგავატის სიმძლავრის დენის გენერირებას ახდენს.

ყველაზე გრძელყურა ბულვერი

ინგლისური ლოპის ჯიშის ბულვერი, ნიპერზ-ჯერინიმო, რომელიც ამერიკულ წყვილს — მარგარეტ და ვეიმონ ნიპერს ეკუთვნის, უნიკალური — 79 სმ სიგრძის ყურები აქვს. ბოლო აზომვა 2003 წლის ნოემბერში, ამერიკულ ქალაქ ვიჩიტში, მებოცვრეობის ნაციონალური ასოციაციის მიერ ორგანიზებულ გამოფენაზე განხორციელდა.



| | | |

წიგნი თავგადასავლების მოყვარულთათვის!

„მე ერთი მოგზაურობაზე თავგადაკლული კაცი ვარ..." — ამ სიტყვებით დაამახსოვრა თავი წიგნის ავტორმა ჟურნალ „გზის" მკითხველს. თანაც, ამ სიტყვებს დროდადრო არა მხოლოდ ეფექტის მოსახდენად იმეორებდა, არამედ მართლაც ასე იყო...

აკაკი გეგენავა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში მოგზაურობის ჩანაწერებით დატვირთული მოვიდა რედაქციაში. ასე გაჩნდა რუბრიკა „მოგზაურის დღიურები", რომელიც იმთავითვე მოუვიდა თვალში მკითხველს. მეტიც, პუბლიკაციათა ბეჭდვა „დაგვგმილი" ხანმოკლე ციკლის ნაცვლად, მთელი ოთხი წელიწადი გაგრძელდა. მის თითოეულ გამოშვებას მოუთმენლად ელოდნენ სათავგადასავლო ჟანრის მოყვარულნი, ხოლო როცა რუბრიკის „დასკვნითი" ნაწილი გამოქვეყნდა, გვისაყვედურეს, ასე მალე(!) რატომ დაამთავრეთო.

ახლაც გვწერენ და გვირეკავენ, რუბრიკის განახლებას გვთხოვენ. აკაკის კი დღესაც აჩერებენ ქუჩაში მადლობის გადასახდელად, იმ ფოტოებით ცნობენ, მის „მძაფრსიუჟეტიან" ჩანაწერებს რომ ახლდა. ერთი სიტყვით, ჩვენი მოგზაური-პუბლიცისტი ამავდროულად ჟურნალ „გზის" პოპულარულ სახედაც იქცა.

2002 წლის თებერვლიდან მოყოლებული, აკაკი გეგენავამ მკითხველს ახალი თვალით (თანაც ძალზე ორიგინალურად) დაანახვა არგენტინა თუ ბრაზილია, ჰოლანდია თუ საფრანგეთი, იტალია, თურქეთი, ირანი... და ბოლოს, ამერიკის შეერთებული შტატები. გასაოცარი კომუნიკაბელობის, ინტუიციისა და მოგზაურისთვის დამახასიათებელი ხედვის წყალობით აკაკი უამრავ მეგობარს იძენს ყველგან, სადაც კი ფეხი დაუდგამს. შტატებში, რუსული სასტუმროს მეპატრონე ქალიდან დაწყებული, პრესტიჟული უნივერსიტეტის პროფესორით და ოლბანის ციხის „მეთვალყურით" დამთავრებული. დიახ, ჩვენი გმირი ამერიკულ ციხეშიც მოხვდა სრულიად უდანაშაულო და...

თუმცა, უმჯობესია, ყველაფერ ამის შესახებ თავად წაიკითხოთ. ჟურნალ „გზის" მკითხველები კი ალბათ კიდევ ერთხელ სიამოვნებით გადაავლებენ თვალს ნაცნობი მოგზაურის ერთად თავმოყრილ ჩანაწერებს. აკი, სწორედ ისინი გვთხოვდნენ, წიგნად გამოეცით აკაკი გეგენავას „მოგზაურის დღიურებიო"...

ინარე ჩრდ. ამერიკაში	ერთ-ერთი თითი	ხე, აქვს მოტკბო არომატის ყვავილები	ტენორი ,,, პავაროტი	თევზის წვნიანი	ნუსხა	გამხმარი ბალახი	მსახიობი ... ვენტურა
ისიქიერი	ბარი	ავაყი	ლოჩანი	ულასიათოვი	ალი	ბალი	ურ
ახიობი ... აპეირეკი	კაფე, სადაც იყიდება პიცა	ლაშქრის შეკრებისას: ქუდზე...	ხე აქვს ტყემლის მსგავსი ნაყოფი	სიახლე: ... ჰაუ	სულიერი განწყობილება. ვლინდება ადამიანის ქცევაში	სესხად აღებული თანხა	იაპონ. თეატრი

ბოგეგნიეგა

შიო გვეტაძე

შეუსვენებლივ თოვს...

ქათქათა ზეწარში გახვეულ ქალაქს შუაღამის სიწყნარე დაუფლებია.

ასეთი ზამთარი დიდი ხანია, არ სწვევია ქუთაისს.

დეკემბრის ცივი, წვიმიანი ამინდების შემდეგ, ახალი წელი თბილი მზის სხივებით შემოვიდა ქალაქში და თოვლის მომლოდინე პატარებს საახალწლო გუნება გაუფუჭა.

მთელი ათი დღე ისეთი ამინდები დაიჭირა, ხეებს კვირტები დაებურცათ და სწორედ მაშინ, როდესაც ყველას დაავიწყდა ზამთარი, დილით გაღვიძებულმა ქუთათურებმა თეთრად გადაპენტილი იხილეს საყვარელი ქალაქი.

თითქოს დაკარგულს ანაზღაურებსო, სამი დღე გადაუღებლად თოვდა.

ქალაქში ტრანსპორტის მოძრაობა შეფერხდა; ხვავრიელი თოვლის გამო ქუჩები გაუვალი გახდა. მხოლოდ აქა-იქ, ისიც ქალაქის ცენტრალურ ნაწილში თუ ჩაივლიდა თითო-ოროლა მანქანა, საბურავებზე დამაგრებული ჯაჭვების ღრჭიალით.

უჩვეულო ზამთარმა ქუთათურებს ახალი საზრუნავი გაუჩინა — ხის ნიჩბებით შეიარაღებულნი, გულმოდგინედ თოვლავდნენ სახურავებს; ცენტრალურ ქუჩებზე ბულდოზერები გამოჩნდა. ახვეტილი თოვლი ბორცვებად აღიმართა ქალაქის მოედანზე. შემდეგ, ამ ბორცვებსაც ახალი საბურველი გადაეფარა. თოვლის მთებმა ისე ჩახერგა ჩიხები და შესახვევები, რომ ადამიანებს მხოლოდ ვიწრო, საცალფეხო გასასვლელებითღა შეეძლოთ სარგებლობა.

ღამის 2 საათია...

თოვს...

სიჩუმეა ქუჩებში...

თეთრნაბადწამოსხმული, მარადმწვანე ნაძვები გოლიათებივით გარინდულან...

ქალაქის პარკის გვერდით, ცალკე სახლი დგას. იქ შუქი ციმციმებს — არ სძინავთ მილიციის საქალაქო სამმართველოს უფროსის, პოლკოვნიკ დავით ბალანჩივაძის ბინაში.

პოლკოვნიკის მეუღლე ნინო და რძალი ციალა მაგიდას ალაგებენ. სავარძელში მოხერხებულად მჯდარი პოლკოვნიკი ნელ-ნელა აბოლებს თამბაქოს და მოფუსფუსე ქალებს ესაუბრება.

12 იანვარი ტრადიციული დღეა ბალანჩივაძის ოჯახში. ერთადერთ შვილიშვილს, ცელქსა და მოუსვენარ თამაზს დღეს, 10 წელი შეუსრულდა.

როგორც ყოველთვის, დღესაც ყველაფერი პაპის განაწესით წარიმართა. საზეიმოდ მორთული პატარა იუბილარი კრავივით დასდევდა საყვარელ პაპას, თვალებგაბრწყინებული ეგებებოდა სტუმრებს და თავაზიანად უხდიდა მადლობას დაბადების დღის მომლოცველებს.

ორი წლის წინ, პაპამ ნება დართო, ღამის 12 საათამდე დარჩენილიყო უფროსებთან. კმაყოფილი ბავშვი სიხარულით სარგებლობდა ამ უფლებით. არავის, მათ შორის მკაცრ ბებო ნინოსაც კი, არ შეეძლო დაერღვია დადგენილი წესი და უფრო ადრე გაესტუმრებინა შვილიშვილი საწოლ ოთახში.

დღესაც სტუმრებმა მხიარულად ივახშმეს, ჩინებულად გაატარეს დრო და ნახევარი საათის წინ, წავიდ-წამოვიდნენ.

...სავარძელში ნახევრად წამოწოლილი პოლკოვნიკი ტკბილ ფიქრს მისცემოდა. ბედნიერი ოჯახი აქვს ბალანჩივაძეს: შვილი, ილია ერთ-ერთი ქარხნის მთავარი ინჟინერია; რძალი, ციალა ბარათელი, მთელ ქალაქში ცნობილი ქირურგი, უკვე სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობს; ნინო საოჯახო საქმეებითა და თამაზის აღზრდითაა დაკავებული...

პოლკოვნიკი სავარძელში შესწორდა, შემდეგ საწოლი ოთახისკენ გააპარა თვალი: ოჯახის ნებიერა მშვიდად ფშვინავდა. მძინარეს ცალი ხელი თავქვეშ ამოედო და ტუჩებდაბუშტულს, ოდნავ გადახდოდა საბანი. ბალანჩივაძე სხარტად წამოდგა, ოთახში შევიდა, ბავშვს საბანი შეუკეცა, ნაზად აკოცა შუბლზე და ისევ სასადილო ოთახში დაბრუნდა.

ქალებმა მაგიდის ალაგება დაამთავრეს.

— დაწექით, მამა, მოისვენეთ, უკვე გვიანია, — უთხრა ციალამ მამამთილს.

— არა უშავს, შვილო, დავიცდი, სადაცაა ილიაც მოვა.

— ილიას დააგვიანდება, მამა, ტრანსპორტი ვერ მოძრაობს. ეთერი და ქეთევანი კი, გორაზე ცხოვრობენ.

— მაინც რა უჩვეულო თოვლი მოვიდა. აგერ ქალი დავბერდი და ასეთი ზამთარი მხოლოდ ერთხელ, ისიც ბავშვობაში მახსოვს, — ჩაერთო ნინო.

სახლში ილია შემოვიდა, შუშაბანდში ციალა მიეგება, დათოვლილი პალტო ჩამოართვა და საბაზანოში გაიტანა ჩამოსაფერთხად.

— ისევ მაგრად თოვს, ილია? — შეეკითხა პოლკოვნიკი.

— მერე და როგორ!..

ილია მაგიდასთან ჩამოჯდა.

— მიაცილე ქალები? — ჰკითხა ნინომ.

— სახლამდე მივაცილე, სწორედ...

ტელეფონის ზარმა სიტყვა გააწყვეტინა. პოლკოვნიკმა საათს დახედა — სამს 15 წუთი აკლდა.

— ნეტავ, ვინ უნდა რეკავდეს? — იკითხა უნებურად დავითმა და ყურმილი აიღო.

— პოლკოვნიკი ბალანჩივაძე გისმენთ... რაო? ნახევარი საათის წინ?.. სევასტოპოლის ქუჩაზე?.. კარგი... კი, უსათუოდ... არა, არ მეძინა. გელოდები...

ბალანჩივაძემ ყურმილი დადო, მერე პერანგის საყელო შეიკრა. ოთახში მყოფნი მოლოდინით მიაჩერდნენ უეცრად გუნებაშეცვლილ კაცს.

— რა მოხდა, დავით, ვინ დარეკა? — შეეკითხა შეწუხებული მეუღლე.

— ოჯახი გაუძარცვავთ, ბინის პატრონი მძიმედ დაუჭრიათ, — უპასუხა პოლკოვნიკმა.

— ღმერთო ჩემო, რა უბედურებაა! — წამოიძახა ნინომ.

— ალბათ, უნდა წახვიდეთ, მამა, არა? — შეეკითხა ციალა და წამოდგა.

— ჰო, უნდა წავიდე. ლევანი გამომივლის მანქანით.

ბალანჩივაძე წასასვლელად მოემზადა.

— თქვენ ნუ დამელოდებით, მე ალბათ, დამაგვიანდება.

პოლკოვნიკმა პალტო ჩაიცვა და ფანჯარაში გაიხედა. სახლთან მანქანა გაჩერდა.

— მინდელია, წავედი, — თქვა დავითმა და აჩქარებით დაეშვა კიბეზე.

სევასტოპოლის ქუჩაზე ერთ-ერთი სახლის სადარბაზოში ხალხს მოეყარა თავი, ჩოჩქოლი იდგა.

ოპერატიული მუშაკების მისვლისთანავე, ყველა გაჩუმდა და ბინისკენ მისასვლელი გზა გაათავისუფლა.

ტყეშელიაძის ბინა სამოთახიანი იყო. პატარა ოთახი, სადაც წიგნების კარადა და საწერი მაგიდა იდგა, სამუშაო კაბინეტი უნდა ყოფილიყო.

საძინებლის კარში მილიციელი იდგა, სასადილო ოთახში მწუხარებისაგან თითქმის შეშლილი, ტყეშელიაძის მეუღლე ხმამაღლა ტიროდა. მას მეზობელი ქალები ამშვიდებდნენ.

საძინებელი ცარიელი იყო. ოპერატიული ჯგუფისთვის „სასწრაფო დახმარებას“ დაესწრო და უკვე საავადმყოფოში წაეყვანა მძიმედ დაჭრილი, თითქმის მომაკვდავი ტყეშელიაძე.

ბალანჩივაძემ, ორი ქალის გარდა, ყველა დაითხოვა ოთახიდან. შემდეგ, მტირალ თინა ტყეშელიაძეს მიუახლოვდა.

— ბოდიშს ვიხდი, ქალბატონო, ასეთ მდგომარეობაში მყოფი ადამიანის შეწუხება ძნელია, მაგრამ საჭიროა, ახლავე შევუდგეთ ბოროტმოქმედთა ძებნას, ეს კი, თქვენი დახმარების გარეშე შეუძლებელია. ამიტომ გთხოვთ, ცოტა ხნით როგორმე დამშვიდდეთ და რამდენიმე კითხვაზე მიპასუხოთ.

— თინა, თინა, როგორ შეიძლება ასე, ქალო, ცოცხალი კაცის ტირილი ვის გაუგონია?! გონება მოიკრიბე, დამშვიდდი და უპასუხე, — სიტყვა შეაწია პოლკოვნიკს მეზობელმა ქალმა.

მასპინძელმა დასივებული თვალები მიაპყრო უცნობს. ბალანჩივაძე სკამზე ჩამოჯდა. ქალმა ცრემლები მოიწმინდა და მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ ტანზე მოსხმული ხალათიდან თითქმის შიშველი მკერდი მოუჩანდა... დარცხვენილმა, მჭიდროდ შემოიხვია ხალათი.

— ქალბატონო, ახლა ტირილი კი არა, მოქმედებაა საჭირო. გთხოვთ, დამშვიდდეთ და კითხვებზე მიპასუხოთ: რა მოხდა, ვინ და როგორ დაგესხათ თავს? — კვლავ შეეკითხა პოლკოვნიკი.

— მე და ჩემმა ქმარმა, — დაიწყო ბოლოს და ბოლოს, ქალმა, — დაახლოებით 11 საათზე ვივახშმეთ და დავიძინეთ. არ ვიცი, რამდენს ხანს გვეძინა. უეცრად, ყვირილმა გამომაღვიძა და დავინახე, რომ ალექსანდრე ვიღაც კაცს ებრძოდა. შიშისაგან პირველად ენა ჩამივარდა, ხმა ვერ ამოვიღე, შემდეგ კი, როდესაც გონს მოვედი, კივილი ავტეხე და საწოლიდან წამოვვარდი. მომხდურის ხელში დანამ გაიელვა. ჩემი ქმარი მაშინვე დაეცა. თავდამსხმელი ღია ფანჯარაში გადახტა და გაუჩინარდა. მე მაშინვე ალექსანდრეს მივვარდი, თან ვკიოდი. ის უგონოდ იწვა და სისხლში ცურავდა... მერე ის იყო, კივილის ხმაზე მეზობლებმა კარი შემოტეხეს... რამდენიმე წუთში, „სასწრაფო დახმარებაც“ მოვიდა და ალექსანდრე წაიყვანეს.

— თავდამსხმელი ერთი იყო?

— დიახ, ერთი.

— ხომ არავის მიამსგავსებთ?

— არა.

— ფრიად სამწუხარო ამბავია, მაგრამ იმედი ვიქონიოთ, თქვენს მეუღლეს არა გაუჭირდება რა. ახლა კი, თქვენი ნებართვით, ბინა უნდა დავათვალიეროთ.

აცრემლებულმა ქალმა თანხმობის ნიშნად, თავი დაუქნია. პოლკოვნიკი წამოდგა.

— ჩვენს მოსვლამდე ალბათ, ვინმე შევიდა საწოლ ოთახში, ხომ? — ჰკითხა მან მილიციელს.

— დიახ, ამხანაგო პოლკოვნიკო, მეზობლები და „სასწრაფო დახმარების“ ხალხი: ტყეშელიაძე ხომ საძინებლიდან წაიყვანეს.

— დასანანია, მაგრამ რას იზამ?! შევიდეთ, დავათვალიეროთ, — თქვა პოლკოვნიკმა და კარი შეაღო. საძინებელში მხოლოდ მინდელი შეჰყვა, ექიმი-ექსპერტი და ფოტოგრაფი ადგილზე დარჩნენ.

ოთახში ციოდა. ფართოდ გაღებული სარკმლიდან თოვლის ფანტელები მოფარფატებდნენ; ტანსაცმლის კარადასთან შედედებული სისხლის გუბე იდგა; ერთი კარი ღია იყო; თაროზე უწესრიგოდ არეული თეთრეული ეყარა. მინდელმა და ბალანჩივაძემ ფრთხილად გადააბიჯეს სისხლის გუბეს და ოთახის დათვალიერებას შეუდგნენ.

აღმოსავლეთ მხარეზე შეტყუპებული ორი საწოლი იდგა; მარჯვნივ, პატარა ტუმბოზე, „ყაზბეგის“ გახსნილი კოლოფი, საფერფლე და ასანთი იდო; საფერფლეში ორი ღერი ბოლომდე მოწეული პაპიროსი და ასანთის სამიოდე თავმომწვარი წკირი ეყარა; კოლოფს რამდენიმე ღერი პაპიროსი აკლდა; საწოლთან სკამზე მამაკაცის შარვალი, პიჯაკი და ცისფერი პერანგი იყო გადაკიდებული; ტანსაცმელს ზემოდან შავი ფერის განასკვული ყელსახვევი ედო; ღია ფანჯარასთან რამდენიმე სისხლის ლაქა ჩანდა; იატაკზე, კარადასა და ფანჯარას შორის, საშუალო სიდიდის, სისხლით მოსვრილი საოჯახო დანა ეგდო. მინდელმა ფრთხილად, მხოლოდ წვერსა და ტარზე შეხებით აიღო დანა და ქაღალდში გაახვია. შემდეგ, ტანსაცმელი გასინჯა. პიჯაკის ერთ ჯიბეში ტყეშელიაძის პირადობის მოწმობა, პარტიული ბილეთი, მივლინების ბარათი და ორი სამგზავრო ბილეთი იპოვა, მეორეში — პატარა უბის წიგნაკი, სხვადასხვა ჩანაწერითა და ტელეფონის ნომრით; შარვლის ჯიბეში 10 მანეთამდე წვრილი ფული და ჭრელი ცხვირსახოცი აღმოჩნდა. თუმცა ლოგინი აშლილი იყო, საწოლთან, ბრძოლის არავითარი კვალი არ ჩანდა.

მინდელმა სისხლის გუბეს გადააბიჯა და ფანჯარასთან მივიდა. პოლკოვნიკი გამადიდებელი შუშით გულმოდგინედ ათვალიერებდა ფანჯრის ერთ კუთხეში ჩაჭედილ პატარა, მოღუნულ ლურსმანს, რომელზეც მოწითალო ლაქით დასვრილი რამდენიმე ძაფი იყო შერჩენილი. დიდხანს სინჯავდა ძაფებს, შემდეგ ფრთხილად ჩამოხსნა და მინდელს გადასცა.

ლევანმა ღია ფანჯარა მოსინჯა, იგი თავისუფლად იკეტებოდა. ასევე თავისუფლად მოძრაობდა რკინის საკეტი: გატეხის არანაირი ნიშანი არ ეტყობოდა... კარადის სამი კარიდან ორი დაკეტილი აღმოჩნდა. შუა კარის საკეტში გასაღები იყო გაჩრილი, რომლის რგოლზეც გასაღებების ასხმულა ეკიდა. მინდელმა გასაღები გადაატრიალა, კარადა სავსე იყო ქალისა და მამაკაცის ტანსაცმლით. აშკარა იყო, რომ ბოროტმოქმედს ვერ მოესწრო დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა...

გამომძიებელმა გულმოდგინედ დაათვალიერა ღია ფანჯარა, დიდხანს უტრიალა გამადიდებელი შუშით, შემდეგ, ეზოში გავიდა, სახლს შემოუარა, ღია სარკმელთან მივიდა და ახლა იქიდან დაუწყო ძებნა კვალს.

მიუხედავად იმისა, რომ კვლავ ბარაქიანად თოვდა, მინდელმა ფანჯრის ქვეშ, ფეხის მრავალი კვალი შენიშნა. ფარანი მოიმარჯვა და მიანათა. მალე დარწმუნდა, რომ კვალის აღება შეუძლებელი იყო: თოვლს უკვე მოესწრო მისი წაშლა და მხოლოდ ზოგადი, გამოუსადეგარი კონტურებიღა შერჩენილიყო... გამომძიებელმა სინანულით გააქნია თავი და ფანჯარას მიუახლოვდა.

ტყეშელიაძის ბინა ბელეტაჟზე მდებარეობდა. ფანჯრიდან მიწამდე 2 მეტრი და 80 სანტიმეტრი იქნებოდა. ფარნის შუქზე მინდელი დიდხანს ათვალიერებდა გარე კედელს. შემდეგ, მოზრდილი უბის წიგნაკი ამოიღო, ჩანაწერებს რამდენიმე შენიშვნა მიუმატა და სახლში დაბრუნდა.

ბალანჩივაძემ ექსპერტსა და ფოტოგრაფს უხმო. ექსპერტმა ფრთხილად

აიღო შედედებული სისხლის კოლტები, სინჯარებში ჩაასხა და დალუქა. ფოტოგრაფმა ფირზე აღბეჭდა ღია ფანჯარა, აშლილი ლოგინები, სისხლის დიდი და მცირე გუბეები და ოთახის საერთო ხედი.

შემთხვევის ადგილის დათვალიერება დამთავრდა.

პოლკოვნიკმა საათს დახედა — 4 საათი და 15 წუთი იყო.

— ლევან, — მიუბრუნდა გამომძიებელს, — შენ აქ დარჩი, დათვალიერების ოქმი გააფორმე და შემთხვევის პირველი მოწმეები დაჰკითხე, მე კი წავალ, იქნებ, დაჭრილი ტყეშელიაძის დაკითხვა მოხერხდეს.

— კეთილი. ექსპერტი და ფოტოგრაფიც აღარ არიან საჭირო. თუ მოვასწარი, მეც მოვალ საავადმყოფოში.

მინდელი მარტო დარჩა. უბის წიგნაკი ამოიღო, დათვალიერების დროს გაკეთებულ ჩანაწერებს გადაავლო თვალი, შემდეგ, იქვე პატარა მაგიდასთან ჩამოჯდა და ოქმის გაფორმებას შეუდგა.

...თინა ტყეშელიაძის დაკითხვა ვერ მოხერხდა. ვიდრე მინდელი ოქმს აფორმებდა, ის საავადმყოფოში წასულიყო. მეზობლებმა, რომლებიც სახლში ქალის კივილზე შემოცვენილან, საგულისხმო ვერაფერი უთხრეს გამომძიებელს...

თითქმის 6 საათი იყო, როცა მინდელი საქმეს მორჩა და საავადმყოფოსკენ გაემართა. კვლავ ბარაქიანად თოვდა. გამომძიებელი მძიმედ მიაბიჯებდა თეთრ წყვდიადში და ფიქრებში წასული, ვერც კი ამჩნევდა, რომ ქუდი ხელში ეჭირა, ხოლო გრუზა თმას ნელ-ნელა უფარავდა თეთრი პეპლებივით მოფარფატე ფანტელები.

საავადმყოფოს კარში მოღუშული პოლკოვნიკი შემოხვდა. მძიმედ დაჭრილი ტყეშელიაძე გონს მოუსვლელად გარდაცვლილიყო...

დილის 10 საათია. ქალაქის პროკურორის, გიორგი ხომერიკის კაბინეტში თავი მოუყრიათ ტყეშელიაძის მკვლელობასთან დაკავშირებით შექმნილი ოპერატიული ჯგუფის წევრებს. აქ იყო პოლკოვნიკი ბალანჩივაძეც. ხომერიკმა თათბირი გახსნა და ინფორმაციისთვის მინდელს მისცა სიტყვა.

ლევანმა მოკლედ მოახსენა დამსწრეთ საქმის ვითარება: მოკლულის ვინაობა, დანაშაულის ადგილის დათვალიერების შედეგები და ექსპერტთა პირველადი დასკვნები.

— ...თავდამსხმელი ორი მაინც იყო, ერთ-ერთი მათგანი დაჭრილია, ოღონდ, არ ვიცით, მსუბუქად თუ მძიმედ. უდავოა — ბრძოლისას, პურის საჭრელი დანა იქნა გამოყენებული, მაგრამ ვის მიერ — ამას კრიმინალისტური ექსპერტიზა დაადგენს, — დაამთავრა ინფორმაცია მინდელმა.

— რა საფუძველი გვაქვს, ვიფიქროთ, რომ ბოროტმოქმედი მარტო არ მოქმედებდა და ერთ-ერთი მათგანი დაჭრილია? — იკითხა კაპიტანმა ჩრდილელმა.

— უეჭველი! — უპასუხა მინდელმა. — ჯერ ერთი, ტყეშელიაძის ბინის ფანჯარაში სხვის დაუხმარებლად შესვლა შეუძლებელია, ხოლო კიბე ან სხვა რაიმე დამხმარე საშუალება ადგილზე არ აღმოჩნდა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, გამორიცხულია, რომ კიბე მიეტანოთ და შემდეგ, უკანვე წაეღოთ. მეორე: ოთახში, გუბის გარდა, ფანჯარასთან სისხლის ლაქებიც იქნა აღმოჩენილი. ექსპერტის დასკვნით, გუბეში სისხლი, რომელიც, ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ტყეშელიაძეს ეკუთვნოდა, პირველი ჯგუფისაა, — მაშინ, როდესაც ლაქების სისხლის ჯგუფი მესამეა.

— რატომ მიგაჩნიათ, რომ ბოროტმოქმედნი უეჭველად ფანჯრიდან შევიდნენ? განა გამორიცხულია, მორგებული გასაღები გამოეყენებინათ? — იკითხა ახალგაზრდა ლეიტენანტმა.

— ამ შემთხვევაში, გამრიცხულია, — ცოტა არ იყოს უკმაყოფილოდ უპასუხა მინდელმა. — ჯერ ერთი, უკვე აღვნიშნე, რომ კარი თინა ტყეშელიაძის კივილზე მეზობლებმა შეამტვრიეს, მეორე — გარედან ფანჯრის რაფაზე აღმოჩენილია ბოროტმოქმედის სველი ფეხსაცმლის კვალი. მართალია, ის სრულყოფილი არ არის, მაგრამ ჩანს, რომ ფეხსაცმელი სქელლანჩიანი და ქუსლდალურსმული იყო. კვალის მდებარეობა — გარედან შიგნით — ნათლად მიუთითებს მიმართულებას. და კიდევ ერთი გარემობა: ბოროტმოქმედი, რომელიც პირველად გადავიდა ფანჯარაში, მეორის დახმარებით სარგებლობდა, რადგან ფარჯრის ქვეშ თოვლი საგრძნობლად იყო დატკეპნილი. გარდა ამისა, კედელზე, მიწიდან 1 მეტრისა და 96 სანტიმეტრის სიმაღლეზე იმავე ფეხსაცმლის უფრო სუსტი კვალია დარჩენილი.

— ზამთარში ფანჯრის ღიად დატოვება გამორიცხულია. თქვენი ინფორმაციიდან კი გამოდის, რომ ფანჯრის გატეხას ან შუშის ამოღებას ადგილი არ ჰქონია. ამაზე რას იტყვით? — მორიგი კითხვა დასვა ოპერატიული ჯგუფის უფროსმა.

— ჯერჯერობით, ერთადერთი ვარიანტია: უნდა ვივარაუდოთ, რომ ფანჯარა ტყეშელიაძეებს ჩაუკეტავი დარჩათ. ამჟამად, ამ საკითხზე სხვა პასუხის გაცემა შეუძლებელია, — მიუგო ბალანჩივაძემ.

— გულმავიწყობით ფანჯრის ღიად დატოვების ვერსიას ვერ დავეთანხმებით, — განაცხადა პროკურორის მოადგილემ. — შეიძლება, მართლაც ასე მომხდარიყო, მაგრამ ბოროტმოქმედებს ხომ არ შეეძლოთ ამის გათვალისწინება, მით უმეტეს, დანაშაული უეჭველად, წინასწარ შემუშავებული გეგმით არის ჩადენილი.

— არ გედავებით, პატივცემულო პავლე, მაგრამ ამჟამად, სხვა ვარიანტი გამორიცხულია.

— რას ფიქრობთ მკვლელობის მოტივზე? — ახალი კითხვა დასვა ხომერიკმა.

— ამ კითხვაზე ჯერჯერობით, ძნელია პასუხის გაცემა. სახლიდან წაღებულია მოკლულისა და მისი მეუღლის ოქროს საათები და 25.000 მანეთის ღირებულების 3-პროცენტიანი შინაგანი სესხის ობლიგაციები, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ გვაძლევს საფუძველს, ვიფიქროთ, რომ დანაშაული გაძარცვის მიზნით იყო ჩადენილი. ის ფაქტი, რომ სხვა ნივთები არ არის წაღებული და ტანსაცმლის კარადაც ხელუხლებელია, გვაფიქრებინებს: მძარცველებს ვიღაცამ, შესაძლოა — თვით ტყეშელიაძემ შეუშალა ხელი დანაშაულის დამთავრებაში, რასაც მკვლელობა მოჰყვა. ეს ვერსია პირობითია, დაბეჯითებით მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ ბოროტმოქმედება — სულერთია, ძარცვაა ეს თუ სხვა უფრო მძიმე დანაშაული, — წინასწარ მოფიქრებული იყო და სათანადოდ შედგენილი გეგმით იქნა ჩადენილი. სხვა ყველაფერი პირობითია, რადგან მთელი რიგი არსებითი მნიშვნელობის საკითხებისა ჯერ დაზუსტებული არ არის.

კაბინეტში ცოტა ხნით დუმილი ჩამოვარდა.

— მაშ ასე, — დაიწყო ხომერიკმა, — ჯერჯერობით, დაბეჯითებით მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ თავდამსხმელი სულ ცოტა, ორი იყო; ისინი ტყეშელიაძის ბინაში ფანჯრიდან შევიდნენ და ერთ-ერთი მათგანი დაჭრილია. ეს კი ძალიან ცოტაა, უფრო სწორად — არაფერი. საჭიროა, სასწრაფოდ დავადგინოთ, ვინ არიან ბოროტმოქმედნი. დანაშაულის მოტივის სწორად განსაზღვრა ძალზე გააადვილებდა გამოძიების წარმოებას, მაგრამ მოტივს წინასწარ ვერ განვსაზღვრავთ, ამან შეიძლება, სწორ გზას აგვაცდინოს. საჭიროა, შემუშავებული იქნეს სათანადო ოპერატიული გეგმა.

— მე უკვე შევიმუშავე რაღაც გეგმის მაგვარი, — დაიწყო მინდელმა.

— გაგვაცანით! — ბრძანა ხომერიკმა.

— პირველ რიგში, აუცილებელია, სასწრაფოდ შემოწმდეს ქალაქის ყველა საავადმყოფო და პოლიკლინიკა — ხომ არ გამოცხადებულა ვინმე დაჭრილი მოქალაქე სამედიცინო დახმარების მისაღებად. საფიქრებელია, რომ ბოროტმოქმედმა პოლიკლინიკას და საავადმყოფოს გვერდი აუაროს და კერძო პრაქტიკის მქონე ექიმთან მისვლა აირჩიოს, ამიტომ ესეც უნდა გავითვალისწინოთ; შემდეგ, საჭიროა, სასწრაფოდ დაიკითხონ მეზობლები, ტყეშელიაძის ცოლის დისშვილი ჩიკვაიძე, რომელიც გუშინ სოფელში წასულა დედის ავადმყოფობის გამო; უნდა გაირკვეს, იყო თუ არა ტყეშელიაძის ჭრილობა, დანაშაულის ადგილზე აღმოჩენილი დანით მიყენებული; და ბოლოს, გადაეცეს, ფინანსთა სამინისტროს საშუალებით, ყველა შემნახველ სალაროს, დატაცებული ობლიგაციების ნომრები, რომლებიც საბედნიეროდ, ჩაწერილი აღმოაჩნდა ტყეშელიაძის მეუღლეს.

— სულ ეს არის? — შეეკითხა პროკურორი.

— დიახ, ეს არის.

— თქვენ მიერ წამოყენებული საკითხები უეჭველად საყურადღებოა, ამხანაგო ლევან, მაგრამ ეს საგამოძიებო გეგმა არ არის. გავალებთ, მიიღოთ საქმე წარმოებაში და დღის ბოლოსთვის, დასამტკიცებლად წარმომიდგინოთ კონკრეტული გეგმა. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ ფანჯრის საკითხს, დაიხმარეთ ოპერატიული ჯგუფის უფროსი, კაპიტანი ჩრდილელი. თუ შეკითხვები არ არის, ამით დავამთავროთ.

ოფიცრები წამოიშალნენ და კაბინეტიდან გაიკრიფნენ.

ხომერიკმა საათს დახედა.

— ამხანაგო დავით, — მიუბრუნდა ის ბალანჩივაძეს, — თორმეტის ნახევარია. 12 საათზე, ქალაქკომის მდივანი გველოდება, ტყავის ქარხნის საქმე უნდა მოვახსენოთ, არ გაგაფრთხილეს?

— როგორ არა?! წავიდეთ, — უპასუხა პოლკოვნიკმა და წამოდგა.

მინდელი თავის სამუშაო კაბინეტში იჯდა და ტყეშელიაძის მკვლელობის საქმის მასალებს გულდასმით ეცნობოდა. მოკლულის ცოლის ჩვენებით, ალექსანდრე ტყეშელიაძე 9 იანვარს, 5 დღით მივლინებით წავიდა თბილისში, თან ცოლიც წაიყვანა. სახლში ალექსანდეს ცოლის დისშვილი — სტუდენტი ანზორ ჩიკვაიძე დარჩა.

თავდაპირველად, ცოლ-ქმარი თბილისიდან დაბრუნებას 14 იანვარს აპირებდა. მაგრამ ალექსანდრემ 2 დღეში მოაგვარა სამსახურებრივი საქმეები და მესამე დღეს, თბილისი-ქუთაისის მატარებლით, უკან დაბრუნდა. ჩამოსულებს ანზორი არ უნახავთ, მათ მეზობელმა გადასცა ბინის გასაღები და უთხრა: ანზორს სოფლიდან დეპეშა მოუვიდა და დღეს შუადღისას გაემგზავრა.

ცოლ-ქმარმა ივახშმა და დაახლოებით ღამის 11 საათსა და 30 წუთზე დაიძინა...

მინდელმა საქაღალდეში მოძებნა, ტყეშელიაძის ჯიბეში აღმოჩენილი მივლინების ბარათი და თინა ტყეშელიაძის ჩვენებას შეადარა. თბილისში გამგზავრებისა და უკან დაბრუნების თარიღი ზუსტად დაემთხვა ჩვენებას. ამასვე ადასტურებდა რკინიგზის მატარებლის ორი სამგზავრო ბილეთი: ქუთაისიდან — თბილისამდე და თბილისიდან — ქუთაისამდე.

თინა ტყეშელიაძე გადაჭრით ამბობდა, რომ სახლში მისვლის შემდეგ, ფანჯარა არ გაუღია, რაც, თუ მას დაეჯერებოდა, სავსებით გამორიცხავდა ფანჯრის შემთხვევით ჩაუკეტავად დატოვებას... თბილისიდან დაბრუნების შემდეგ, დაზარალებულის ბინაში რამდენიმე მეზობელი შესულა, მაგრამ მოკლულის მეუღლე მათ ყველას ეჭვგარეშე აყენებდა.

მინდელმა დაჰკითხა ტყეშელიაძის თითქმის ყველა მეზობელი და გააკეთა დასკვნა, რომ ტყეშელიაძეებს ძალზე ტკბილი ცოლქმრობა ჰქონდათ. თუმცა შვილი არ ჰყავდათ, მათ შორის რაიმე უსიამოვნება მეზობლებს არასოდეს შეუნიშნავთ.

ალექსანდრე ტყეშელიაძეს, ქარხნის მთავარი ბუღალტრის მოადგილეს, პატიოსანი ადამიანის სახელი ჰქონდა. თინა არ მუშაობდა. უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში, ცოლ-ქმარი თითქმის არასოდეს ყოფილა მარტო: მათი სახლი მუდამ ღია იყო ალექსანდრესა თუ მისი მეუღლის ნათესავებისათვის, განსაკუთრებით, სწავლის მოსურნე ახალგაზრდებისათვის. ალექსანდეს ორმა ძმისშვილმა ქუთაისში დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და სტუდენტობის წლები ბიძის ოჯახში გაატარა. ტყეშელიაძეს გულწრფელად უყვარდა ძმისშვილები, ხელს უწყობდა და ეხმარებოდა ხელმოკლე სტუდენტებს. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მანვე გაუშალა ორთავეს სუფრა და ძალიანაც გაუჭირდა მათთან განშორება. ყმაწვილებს თინაც არანაკლებ უყვარდათ... მინდელმა მათი დაკითხვის ოქმები გადაიკითხა: შოთას და რევაზს ვერაფრით აეხსნათ, თუ ვის აძლევდა ხელს ალექსანდრეს სიცოცხლის ხელყოფა.

მინდელმა ახალგაზრდა სპეციალისტების დაკითხვის ოქმები გვერდზე გადადო და ჩაფიქრდა: „ბოროტმოქმედი, ტყეშელიაძის ბინაში ფანჯრიდან შევიდა — ეს უდავოა. მაგრამ იცოდა თუ არა მან, რომ ფანჯარა დაკეტილი არ იყო? ფანჯრის წინასწარ განზრახვით ღიად დატოვების ვერსია თითქმის გამორიცხულია, ვის უნდა დაეტოვებინა ღიად, რა მიზნით?.. ანზორმა გასაღები ივანე გორდელაძეს დაუტოვა. მისი პიროვნება თითქმის ეჭვს არ იწვევს, დამსახურებული პედაგოგი, ღვაწლმოსილ პენსიონერია... — მინდელს მისდა უნებურად გაეღიმა: — არცთუ ისე სახარბიელო თანამდებობაა გამომძიებლობა — ჭეშმარიტების ძებნაში, იძულებული ხარ, ყველასა და ყველაფერს ეჭვის თვალით უცქირო. ვიდრე ამა თუ იმ ადამიანის უდანაშაულობაში ფაქტებით არ დარწმუნდები, რაიმეს გამორიცხვა შეუძლებელია, მიუხედავად იმისა, ეს პიროვნება გორდელაძის მსგავსია თუ რამდენჯერმე ნასამართლევი რეციდივისტი... იქნებ, ფანჯარა რაიმე იარაღით იქნა გაღებული და დათვალერებისას ვერ შევამჩნიე?.. მაგრამ — არა, ეს შეუძლებელია: მცირე კვალი მაინც რომ დარჩენილიყო, ნამდვილად შევამჩნევდი. კი, ფანჯარა ჩაურაზავი იყო“... — ფიქრობდა გამომძიებელი.

ლევანი ტელეფონის ყურმილს დასწვდა.

— მილიციის საქალაქო განყოფილების კომუტატორი მომეცით, — სთხოვა ტელეფონისტ ქალს. — მილიციის კომუტატორია? მალაპარაკეთ კაპიტან ჩრდილელთან... შალვა! ლევანი ვარ. დაჰკითხეთ თუ არა ანზორ ჩიკვაიძე?.. ახლა აწარმოებთ დაკითხვას?.. კეთილი! დაკითხვის მასალები ამაღამვე მომიტანეთ... კი... კი... მე გვიან ღამემდე აქ ვიქნები, ჯერ მხოლოდ პირველის ნახევარია... — მინდელმა ყურმილი დადო, სავარძლიდან წამოდგა, ფანჯრის ფარდა გასწია და ქალაქს გახედა: კვლავ ბარაქიანად ბარდნიდა. ქუჩაში კანტიკუნტად მიმავალი მგზავრები თოვლის მოძრავ ბაბუებს დამსგავსებოდნენ; აქა-იქ მიმავალ მსუბუქ მანქანებს სპეტაკი თოვლის საკმაოდ სქელი ფენა დასდებოდა; დღის მეორე ნახევარში წამოსულ ხვავრიელ თოვლს თეთრად დაეფარა დილით გაწმენდილი ქუჩების სავალი ნაწილი.

ოთახში გამეფებული სიმშვიდე ტელეფონის ზარის წკრიალმა დაარღვია.

— გამომძიებელი მინდელი გისმენთ!.. რაო?!. კარგი, ძალიან კარგი! ახლავე წამოვალ! — აჩქარებით ჩასძახა ყურმილში, შემდეგ, ხმაურით დააგდო ბერკეტზე და ისე სწრაფად გავარდა კარში, რომ კინაღამ დაეჯახა მოულოდნელად მის წინ ატუზულ პროკურორის მოადგილეს.

— რა მოხდა, სად გარბიხარ ასე უპალტოოდ? — შეეკითხა გაკვირვებული ბრეგვაძე.

— ბოდიშს ვიხდი, ბატონო პავლე. მილიციის საქალაქო განყოფილების უფროსმა დამირეკა: წუხელ, ღამის 4 საათზე, უცნობ პირებს ქირურგი გრძელიძე ავადმყოფთან მიუწვევიათ, სახლიდან გამოსვლისთანავე, თვალები აუხვევიათ და ახლა, სულ რაღაც ნახევარი საათის წინ, ისევ თვალახვეული ჩამოუსვამთ ქუჩაში, — სხაპასხუპით უპასუხა მინდელმა, შემდეგ შებრუნდა, პალტოს დაავლო ხელი და კიბეზე დაეშვა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

როგორ დავამზადოთ კანის კოსმეტიკური საცხები შინ

რუბრიკას უძღვება ექიმი

თამარ მამაცაშვილი

სახის კანის გაწმენდა პირველი საფეხურია სილამაზისა და მუდმივი ახალგაზრდობის შესანარჩუნებლად. „გამწმენდი საშუალებები ინდივიდუალურად უნდა ავირჩიოთ, კანის ტიპის გათვალისწინებით“, — გვირჩევს კოსმეტოლოგი ლუიზა ქუთელია, რომელიც, რჩევებთან ერთად, საკუთარი კოსმეტიკური საცხებისა და ლოსიონების რეცეპტებს გაგვაცნობს.

— რას ურჩევთ იმ ქალბატონებს, რომლებსაც არა აქვთ საშუალება, ძვირად ღირებული კოსმეტიკური ლოსიონებით და საცხებით უზრუნველყონ თავიანთი კანის პროფესიონალური მოვლა?

— შესანიშნავი გამწმენდი საშუალებაა მცენარეული ზეთი. ის სახის კანის ნებისმიერი ტიპისათვისაა რეკომენდებული. არბილებს კანს, ელასტიკურობასა და სიმკვრივეს სძენს მას. შეგიძლიათ გამოიყენოთ, ნებისმიერი მცენარეული ზეთი — ზეითუნის, მზესუმზირის, სიმინდის. დავასველოთ ბამბის ტამპონი ადუღებულ წყალში, გავწუროთ და შემდეგ ამოვავლოთ ზეთში. სახე ამ ტამპონით გავიწმინდოთ. 1-2 წუთის შემდეგ, ბამბის ტამპონი დავასველოთ ბალახების ან ჩაის ნაყენში და მოვიცილოთ ზეთი.

— ზამთრის პერიოდში, სიცივისგან გამომშრალ კანს რა საშუალებებით შეიძლება მოვუაროთ?

— ლოსიონი, რომლის დამზადების წესს ახლა გეტყვით, რეკომენდებულია ***ნორმალური*** და ***მშრალი კანისთვის***: 1 კვერცხის გული ავთქვიფოთ 100 გ არაჟანთან ერთად, შემდეგ, ნელ-ნელა დავამატოთ 1/4 ჩ/ჭ არაყი და ნახევარი ლიმონის წვენი. თუ არა გაქვთ არაჟანი, შეგიძლიათ, ნაღები ან მცენარეული ზეთი გამოიყენოთ. შემიძლია შემოგთავაზოთ აგრეთვე, ***გამომშრალი კანის*** დამარბილებელი ლოსიონი: 3 ჩ/ჭ წითელი ვარდის გამხმარ ფურცლებს დაასხით ნუშის ზეთი (შეგიძლიათ ნებისმიერი სხვა მცენარეული ზეთიც გამოიყენოთ), ისე, რომ ვარდის ფურცლები დაიფაროს, დადგით ეს მასა ორთქლზე და ვარდის ფურცლების გათეთრებამდე გაარჩერეთ. ამ ლოსიონით სახის გაწმენდა დღის განმავლობაში 3-ჯერ შეგიძლიათ, ის კანის შესანიშნავი მატონიზებელი საშუალებაა.

— თუ შეგიძლიათ გაგვიმხილოთ, თქვენ მიერ დამზადებული სახის საცხის რეცეპტი?

— ჩემ მიერ შემოთავაზებული კრემების რეცეპტები დაგეხმარებათ, გახდეთ უფრო ლამაზი, მომხიბვლელი და ხანგრძლივად შეინარჩუნოთ ახალგაზრდული კანი. პირველ რიგში, გაგიმხელთ, როგორ დავამზადოთ სახლის პირობებში, ***კრემი მშრალი და ნორმალური კანისათვის.***

1 ს/კ გვირილის ნაყენს დაასხით ნახევარი ჩ/ჭ მდუღარე წყალი, გააჩერეთ 2 სთ-ის განმავლობაში და გაწურეთ. შემდეგ, აიღეთ 50 გ ერბო ან სუფთა მარგარინი, 1/2 ს/კ გლიცერინი, 1/4 ჩ/ჭ გვირილის ნაყენი და 30 გ ქაფურის სპირტი. მომზადების წესი: ერბო ან მარგარინი დაადნეთ ორთქლზე და ნელ-ნელა დაამატეთ დანარჩენი კომპონენტები.

თხევადი საცხი მობერებული კანისათვის:

3 ლიმონის ცედრას დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, დააყენეთ 8-10 სთ-ით და შემდეგ გადაწურეთ. ნაყენს დაუმატეთ 1 ჩ/კ სუფთა თაფლი, 1 ჩ/კ მცენარეული ზეთი, 3 ლიმონის წვენი, 2 ს/კ ნაღები ან რძე, 3 ს/კ ოდეკოლონი, წინასწარ მომზადებული ვარდის და შროშანის ფურცლების ნაყენი. მიღებული მასა შეინახეთ მაცივარში ან გრილ ადგილზე და ძილის წინ წაისვით სახეზე.

საცხი მშრალი, მომჭკნარი კანისათვის:

ერთნაირი რაოდენობით ჭინჭრის, ოხრახუშის, მოცხარის და ვარდის ფურცლები გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში, შემდეგ აიღეთ 50 გ მარგარინი, 100 გ თაფლი სანთელი, 1 ს/კ მცენარეული ზეთი, დაადნეთ ორთქლზე, დაამატეთ 1 ჩ/კ A ვიტამინი და ბოლოს, მიღებული მცენარეული ნარევი კარგად ათქვიფეთ.

ვიტამინიზებული საცხი ნებისმიერი ტიპის კანისთვის:

2 ლიმონის ცედრას დაასხით 1/4 ჩ/ჭ მდუღარე წალი, დააყენეთ 2 სთ-ით და შემდეგ გაწურეთ. აფქვიფეთ 100 გ მარგარინი, 3 ს/კ მცენარეული ზეთი, 1-2 კვერცხის გული, 1 ს/კ თაფლი. თანდათან დაუმატეთ 2 ლიმონის წვენი, 10 წვეთი A ვიტამინი და ბოლოს, 1 ს/კ ქაფურის სპირტი და ლიმონის ცედრის ნაყენი.

— ქალბატონო ლუიზა, საგანგებოდ ცხიმიანი კანისთვის რას შემოგვთავაზებდით?

— საამისოდ დაგჭირდებათ: 50 გ თაფლი, 80 გ გლიცერინი, 6 გ ჟელატინი, 1/2 ჩ/ჭ წყალი, 1 გ სალიცილის მჟავა. მომზადების წესი: დაასხით ჟელატინს წყალი და გააჩერეთ 40 წთ, შემდეგ გაფუვებულ ჟელატინს დაამატეთ გლიცერინი, სალიცილის მჟავა. ჭურჭელი, რაშიც ეს მასა მოამზადეთ, მოათავსეთ ცხელ წყალში და გაადნეთ. გადნობის შემდეგ აუცილებელია, ისევ გააცივოთ მასა და ბოლოს ათქვიფოთ. მიღებული საცხი წაისვით დღეში 2-ჯერ მაინც.

■

როგორ შევაჩეროთ არტერიული ჰიპერტონია

ჰიპერტონიულ დაავადებაზე ბევრი თქმულა და დაწერილა, მაგრამ მედიცინა ვითარდება და შესაბამისად, ამ დაავადებისადმიც ახალი მიდგომები, მკურნალობის ახალი მეთოდები მუშავდება. არტერიული ჰიპერტონიის სრული განკურნება შეუძლებელია, მაგრამ შეგვიძლია დაავადების მართვა ისე, რომ გართულებები არ განვითარდეს.

არტერიული წნევის ნორმატივები

ბოლო დროს, მეცნიერებმა გადახედეს არტერიული წნევის ნორმატივებს. სულ ცოტა ხნის წინ მიაჩნდათ, რომ არტერიული წნევა, ასაკთან ერთად, კანონზომიერად მატულობს. ამას იმით ხსნიდნენ, რომ სისხლძარღვთა ასაკობრივი ცვლილებებისას, ტვინის უკეთ სისხლმომარაგებისათვის საჭირო ხდება სისხლის მაღალი წნევა. ამჟამად ეს მოსაზრება უარყოფილია.

ასაკის მატებასთან ერთად, სისხლის წნევა მართლაც მატულობს, მაგრამ ეს, არა ფიზიოლოგიური, არამედ პათოლოგიური მოვლენაა. ხშირად შეხვდებით მოხუცებულებს, რომლებიც ამბობენ: წნევა მაქვს 150/90-ზე, მაგრამ ეს ჩემი ასაკისთვის ნორმალურიაო. ასეთი წარმოდგენა მცდარია! მრავალრიცხოვანი გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ წნევის მატება მოხუცებულობაში, როცა სისხლძარღვები სკლეროზულ ცვლილებებს

განიცდის, ზრდის ინსულტის განვითარების რისკს. დღეისათვის ნორმად მიჩნეულია 140/90 მმ.ვწყ.სვ-ზე ნაკლები არტერიული წნევა. ამაზე მაღალი მაჩვენებელი კი, უკვე იმის ნიშანია, რომ ორგანიზმში რაღაც პათოლოგიური ცვლილებები ხდება და ამას ყურადღების მიქცევა სჭირდება.

როცა წნევა „თამაშობს"

როცა ადამიანს სტაბილურად მომატებული არტერიული წნევა აქვს, მისი სისხლძარღვები გარკვეულწილად ეგუება მას, მსხვილდება და სისხლის ძლიერ ტალღას საჭირო წინააღმდეგობას უწევს. მაგრამ თუ სისხლძარღვები ადაპტირებული არ არის და გამუდმებით ხდება წნევის ცვალებადობა, ადამიანს ჰიპერტონიის ყველაზე არასასურველი ფორმა აწუხებს.

რა იწვევს წნევას

სამწუხაროდ, იმის მიუხედავად, რომ უკვე თითქმის ერთი საუკუნეა იკვლევენ ამ პრობლემას, დაავადების გამომწვევი მიზეზი უცნობია. გამოკვლეულია ცალკეული ფაქტორები, რომლებიც მის განვითარებაზე ახდენს გავლენას, მაგალითად: თირკმლის დაავადებები, მემკვიდრული ფაქტორი, მაგრამ შემთხვევათა 90%-ში, დაავადების მიზეზი დაუდგენელია და რადგან მიზეზი უცნობია, ჰიპერტონიული დაავადების სრული განკურნებაც ჯერჯერობით შეუძლებელია.

ვერაგი პათოლოგია

ამ დაავადების ვერაგობა იმაში მდგომარეობს, რომ პირველ ხანებში, ადამიანი მის განვითარებას ვერაფრით შეიგრძნობს. შეიძლება წნევის მაჩვენებელი 140/80 ან 160/110 მმ. ვწყ.სვ იყოს, ადამიანი კი არაფერს გრძნობდეს და შესაბამისად, მას არა აქვს მოსალოდნელი საშიშროების განცდა. არადა, წნევის მუდმივად, თუნდაც უმნიშვნელოდ მატება დამღუპველად მოქმედებს გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე.

ათეროსკლეროზული ფოლაქები

ჰიპერტონიის დროს, მაღალი წნევა ზემოქმედებს სისხლძარღვთა კედლებზე, რის შედეგადაც, ისინი ზიანდება. ჭარბი ქოლესტერინი ილექება სისხლძარღვთა კედლებზე და წარმოიქმნება ათეროსკლეროზული ფოლაქი, რომელიც ახშობს სისხლძარღვის სანათურს და ინფარქტისა თუ ინსულტის განვითარებას იწვევს.

სისხლის მიმოქცევის სისტემას მნიშვნელოვანი ფუნქციები აკისრია — მას მიაქვს საკვები ნივთიერებები, ჟანგბადი, ჰორმონები და სხვა აუცილებელი ელემენტები ქსოვილებამდე და ამით უზრუნველყოფს ტვინის, გულის, თირკმლების, ნაწლავებისა და სხვა ორგანოების ნორმალურ ფუნქციონირებას. თუ სისხლის მიმოქცევის სისტემა „ბერდება", ზიანდება, რასაც ადგილი აქვს ჰიპერტონიისა და ათეროსკლეროზის დროს, ეს ორგანოები ნაკლებ საკვებ ნივთიერებასა და ჟანგბადს იღებს. ჰიპერტონიის დროს, ზიანდება ტვინი, გული, თირკმლები, თვალის სისხლძარღვები, მთელი სისხლძარღვოვანი სისტემა — მსხვილი სისხლძარღვებიდან, უწვრილეს კაპილარებამდე.

წნევის საზომი – ყველა ოჯახში!

ბოლო დროს, ჰიპერტონიული დაავადება „გაახალგაზრდავდა". უკვე ხშირია შემთხვევა, როცა იგი თავს იჩენს 30 და 20 წლის ასაკშიც კი, განსაკუთრებით მაშინ, როცა მემკვიდრეობა „დამძიმებულია" დედის ხაზით. ახალგაზრდებს ასეთ დროს, ხშირად მხოლოდ თავის

ტკივილი აწუხებთ და ეჭვიც კი არა აქვთ, რომ შეიძლება, წნევა ჰქონდეთ. დალევენ ანალგინს და პრობლემა თითქოს მოიხსნება. სისხლძარღვთა სისტემის პათოლოგიური ცვლილებები კი დროთა განმავლობაში, გროვდება და გროვდება. ეს რომ არ მოხდეს, საჭიროა არტერიული წნევის სისტემატური გაკონტროლება. ჩვენთვის კარგადაა ცნობილი, რომ სხეულის მაღალი ტემპერატურა, ორგანიზმში მიმდინარე ანთებითი პროცესის მაჩვენებელია და თერმომეტრი ყველა ოჯახში გვაქვს.

ასევე აუცილებელია წნევის გაზომვა 30 წლის ასაკიდან და ამისთვის ყველა ოჯახში უნდა იყოს წნევის საზომი აპარატი. წნევის გაზომვა უმჯობესია დილაობით, საუზმის შემდეგ და საღამოობით, ერთსა და იმავე დროს. რეკომენდებულია არტერიული წნევის მაჩვენებლის ჩაწერა დაავადების დინამიკაზე დასაკვირვებლად. უნდა გავითვალისწინოთ, რომ არტერიული წნევა ყველაზე მაღალია დილაობით. ზოგჯერ პაციენტები ამბობენ: „ექიმო, მთელი ღამე კარგად მეძინა, დილით კი გავიღვიძე და წნევა მაღალი მქონდა — 180/100 მმ.ვწყ.სვ". ეს ცუდი ძილისგან კი არა, არტერიული წნევის მაკონტროლებელი მექანიზმების თავისებურების გამო ხდება. ინსულტებისა და ინფარქტების უმრავლესობა სწორედ დილის საათებში ვითარდება. სწორედ ამიტომ, წნევის სამკურნალოდ რეკომენდებული წამლების უმრავლესობა დილით, საწოლიდან წამოდგომისთანავე ინიშნება, ხოლო თუ კუჭი ჯანსაღი არ არის, მაშინ — საუზმის შემდეგ.

ჩვენს განკარგულებაშია ხანმოკლე (4-6 საათი), საშუალო (8-12 საათი) და ხანგრძლივი (24 საათი) მოქმედების ჰიპოტენზიური პრეპარატები, რომლებიც არტერიული წნევის თავისებურების შესაბამისად ინიშნება.

ვაკონტროლოთ წონა

რას უნდა მიაქციოს ადამიანმა ყურადღება, რომ ჰიპერტონიული დაავადების განვითარება შეაფერხოს?

პირველი — ეს გახლავთ წნევა. უნდა გვახსოვდეს, რომ ჭარბი წონა მავნებელია. ყოველი ზედმეტი 10 კგ, ტონომეტრის ჩვენებას 10 მმ.ვწყ.სვ-ით ზრდის. ჭარბწონიანი წნევიანების მკურნალობა ხშირად, უშედეგოა. ასეთ პაციენტთა საყურადღებოდ შეიძლება, ერთი მარტივი შედარება მოვიყვანოთ: ისევე, როგორც ადამიანს უჭირს წყლით სავსე კასრების ზიდვა, გულსაც ემძიმება ზედმეტი 20-30 კგ-ისთვის სისხლის გადაქაჩვა. ნორმალური წონა რომ განსაზღვროთ, თქვენს სიმაღლეს (სანტიმეტრებში) უნდა გამოაკლოთ 100.

ახალი რეკომენდაციების თანახმად, დიდი მნიშვნელობა ექცევა აბდომინურ (მუცლის) სიმსუქნეს. დადასტურებულია, რომ წელის არეში ცხიმის სიჭარბე და წელის ზომების ზრდა იწვევს: შაქრიან დიაბეტს, ჰიპერტონიას და ათეროსკლეროზს. მოწიფულ მამაკაცს ნორმის მიხედვით, წელის ზომა 102 სმ-ზე ნაკლები უნდა ჰქონდეს, ქალს კი — 88 სმ-ზე ნაკლები.

ჰიპერტონიის განვითარების ხელშემწყობი მეორე ფაქტორი, მარილიანი საკვების ჭარბად გამოყენებაა. გადაეჩვიეთ კერძების მეტისმეტად დამარილებას.

კიდევ ერთი რისკ-ფაქტორია სიგარეტის მოწევა. მასზე წნევიანები უარს არ ამბობენ, ვიდრე დაავადება არ გაურთულდებათ.

ნაკლებად მოძრავი ცხოვრების წესი, სტრესები, ფსიქოლოგიური პრობლემები, რამდენიმე წლის მანძილზე დასვენების გარეშე მუშაობა — ეს ყველაფერი უარყოფითად მოქმედებს ადამიანზე. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია ირწმუნება, რომ ადამიანის ჯანმრთელობა 50%-ით დამოკიდებულია ცხოვრების სტილზე, 20% — მემკვიდრულ ფაქტორზე, 20% — ეკოლოგიაზე და მხოლოდ 10% — მედიცინაზე.

■

დღესასწაული ივერიის ღვთისმშობლის ხატისა

ხატის რამდენი ასლია საქართველოში

25 თებერვალს, წმინდა ეკლესია სადღესასწაულოდ აღნიშნავს ივერიის ღვთისმშობლის ხატის ხსენებას, რომელიც ათონის მთაზე მდებარე ივერიონის მონასტერშია დაბრძანებული. გადმოცემის თანახმად, ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი, რომელიც ამჟამად ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელწოდებითაა ცნობილი, ლუკა მახარებელს დაუწერია. იგი ძირითადად მოშავო-მონაცრისფრო საღებავებითაა შესრულებული. სასწაულთმოქმედი ხატი მთლიანად ოქროთი და ვერცხლითაა შემკული. მის წინ განუწყვეტლივ ანთია 12 ვერცხლის კანდელი. ივერიის ღვთისმშობლის ხატზე ზრუნვა, ივერიონის მონასტრის საძმოს მიერ არჩეულ მღვდელ-მონაზონს ევალება, რომელიც დღე და ღამე ტაძარში იმყოფება. მასვე ევალება ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი წირვა-ლოცვებისა და პარაკლისების აღვლენა...

შორენა მერკვილაძე



X საუკუნეში, ხატმებრძოლობის ერესის მიმდევარი იმპერატორის, თეოფილეს ბრძანებით, წმინდა ხატების დევნა დაიწყო — ისინი ტაძრებიდან გამოჰქონდათ და წვავდნენ, ჭეშმარიტ ქრისტიანებს კი აწამებდნენ. ამასთანავე მეფემ ყველგან წარგზავნა საიდუმლო მზვერავები, რათა გადამალული ხატები მოეძიათ და გაენადგურებინათ.

იმ პერიოდში, მცირე აზიის ქალაქ ნიკეის მახლობლად მცხოვრებ კეთილმსახურ ქვრივ დედაკაცს, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი ჰქონდა, რომელსაც თავისი სახლის მახლობლად, საგანგებოდ ხატისთვის აგებულ პატარა ეკლესიაში ინახავდა. მეფის მხედრებმა მასაც მიაკვლიეს. ერთ-ერთმა მათგანმა სასწაულთმოქმედ ხატს მახვილი უგმირა. ნაჭრილობევიდან სისხლმა იჩქეფა. ქვრივი დედაკაცი დიდხანს ევედრა მხედრებს, რომ გათენებამდე ედროვებინათ, ვიდრე წმინდა ხატის გამოსასყიდ თანხას შეაგროვებდა. ანგარებიანი მსახურნი დათანხმდნენ და განეშორნენ.

ქვრივი მთელი ღამე მუხლმოყრილი ლოცულობდა ღვთისმშობლის ხატის წინ. გამთენიისას ზღვისპირას მიაბრძანა და ზღვაში ჩაუშვა. მოხდა სასწაული: ხატი ტალღებზე ზეაღიმართა და დასავლეთისკენ გაემართა...

X საუკუნის მიწურულს, დიდმარხვის დროს, ათონის წმინდა მთაზე მოღვაწე ბერებმა, ზღვაზე აღმართული ნათლის სვეტი იხილეს, რომელიც დღის შუქზეც არ ქრებოდა. წმინდა ბერები ჩვენების ადგილას მივიდნენ და იხილეს, რომ ნათლის სვეტი ღვთისმშობლის ხატს ადგა. როდესაც ხატის გამოსაბრძანებლად ზღვაში ნავით შევიდნენ, ხატმა უკან დაიხია. ასე განმეორდა რამდენჯერმე. ბერები საგონებელში ჩაცვივდნენ. მალე მათ ღვთისმშობლისგან ეუწყათ, რომ ხატის ზღვიდან გამობრძანების ღირსი მხოლოდ გაბრიელ ბერი იყო, რომელიც იმჟამად ივერთა სავანის მიდამოებში, მიუვალ მთებში განმარტოებით ცხოვრობდა. ყოვლადწმინდა ქალწული ღირს გაბრიელსაც გამოეცხადა და საკუთარი წმინდა ნება ამცნო, რაც მყისვე აღესრულა.

ზღვიდან გამობრძანებული ღვთისმშობლის ხატი, ზღვის ნაპირას დააბრძანეს, სამლოცველო ააგეს და სამი დღე-ღამის განმავლობაში ლოცულობდნენ მის წინაშე. შემდეგ, მონასტერში გადაასვენეს და საკურთხეველში დააბრძანეს. მეორე დღეს, საკურთხეველში შესულ ბერებს ხატი ადგილზე არ დახვდათ. იგი მონასტრის კარიბჭის კედელზე აღმოაჩინეს და კვლავ უწინდელ ადგილზე დააბრუნეს. მსგავსი სასწაული რამდენჯერმე განმეორდა. ბოლოს, გაბრიელ ბერს კვლავ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი გამოეცხადა და აუწყა: „გადაეცი მონასტრის ძმებს, რომ მეტად აღარ გამომცადონ, რადგან არ მნებავს თქვენი მფარველობა, არამედ თვითონ მსურს ვიყო თქვენი მფარველიცა და მცველიც, არა მარტო ამ ცხოვრებაში, არამედ მომავალშიც... ვიდრე ამ სავანეში იხილვება ჩემი ხატი, არ მოგაკლდებათ თქვენ ჩემი ძის მადლი და წყალობა“. ამ უწყებით გახარებულმა ბერებმა, ივერთა მონასტრის კარიბჭესთან პატარა ეკლესია ააგეს და სასწაულმოქმედი ხატი იქ დააბრძანეს. რადგან ღვთისმშობლის ხატმა ივერთა სავანე აირჩია თავის სამყოფლად, „ივერიის ღვთისმშობელი“ ეწოდა. ხოლო იმის გამო, რომ ყოვლადწმინდა დედოფლის ხატი მის მიერვე ამორჩეულ ადგილასაა დაბრძანებული, „პორტაიტისად“ ანუ „კარიბჭისადაც“ მოიხსენიება.

არსებობს წინასწარმეტყველება, რომ ივერიის ღვთისმშობლის ხატი, ისეთივე იდუმალი გზით დატოვებს ათონის წმინდა მთას, როგორითაც გამოჩნდა. ხატის გაუჩინარების შემდეგ, წმინდა მთის ბერებმა სასწრაფოდ უნდა დატოვონ თავთავიანთი სავანეები და წავიდნენ სადაც სურთ, თუმცა, მონაზვნობის აღთქმა წმინდად უნდა შეინახონ, რადგან ივერიის ღვთისმშობლის ხატის გაუჩინარების შემდეგ, ათონის ნახევარკუნძული დამანგრეველი მიწისძვრით ზღვაში შთაინთქმება. ეს იქნება წმინდა მარიამის გაფრთხილება ანტიქრისტეს დედამიწაზე გამეფების შესახებ. ათონის წმინდა მთის წინასწარმეტყველებით, წმინდა მთიდან გაუჩინარებული ივერიის ღვთისმშობლის ხატი, ივერიაში — საქართველოში დაივანებს. სწორედ ამ უდიდესი სიწმინდის საქართველოში მობრძანებას მოჰყვება ივერიის გაბრწყინება.

ივერიის ღვთისმშობლის ხატის არაერთი კანონიერი ასლი არსებობს, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნის მართლმადიდებლურ ტაძრებშია დაბრძანებული, მათ შორის — საქართველოშიც. ჩვენს ქვეყანაში ივერიის ღვთისმშობლის ხატის რამდენიმე ასლია დავანებული. პირველი ასლი წმინდა თამარ მეფის დროს შემოუბრძანებიათ, იგი თამარ მეფემ ოსეთის სოფელ მარიამკაუს ახალმოქცეულ ქრისტიანებს მიუძღვნა.

1768 წელს, რუსეთის იმპერატორის, ეკატერინე მეორის ბრძანებით, ოსებმა მშობლიური სოფელი დატოვეს და უცხო მხარეში გაემგზავრნენ. მათ თან წაიღეს ივერიის ღვთისმშობლის ხატის ასლიც. ღამის გასათევად ქალაქ მოზდოკთან შეჩერდნენ. ღამით ხატი გაბრწყინდა და ირგვლივ ყოველივე უჩვეულო ნათელმა მოიცვა. ერთ-ერთ ოსს კი ძილში ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი გამოეცხადა და აუწყა, რომ სურდა მისი ხატი იქვე დაეტოვებინათ. მეორე დღეს, ხარები, რომლითაც სასწაულთმოქმედ ხატს მიაბრძანებდნენ, ადგილიდან არ დაიძრნენ. ეს ამბავი მოზდოკის ეპისკოპოსს — გაიოზს შეატყობინეს, რომელმაც ხატისთვის სამლოცველო ააგო და იქ დააბრძანა. ამის შემდეგ, ეს უდიდესი სიწმინდე, მოზდოკის ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელწოდებითაა ცნობილი. XX საუკუნეში, მოზდოკში ივერიის ღვთისმშობლის ხატის პატივსაცემად, დიდებული ტაძარი ააგეს.

XX საუკუნის დასაწყისში, ივერიის ღვთისმშობლის ხატის ასლი გურიის მხარეშიც შემობრძანდა. იგი გურიის ჯიხ-

ეთის დედათა მონასტრისთვის, ათონის მთაზე მოღვაწე ქართველ მამას, მღვდელ-მონაზონ იონას დაუწერინებია ათონელი ბერებისთვის.

სასწაულთმოქმედებით გამორჩეული ხატის ასლები, სამეგრელოს თეკლათის მთავარანგელოზთა მონასტერში, მცხეთის სამთავროს დედათა და ბოდბის დედათა მონასტრებშიცაა დავანებული. ხოლო 1911 წელს ათონის წმინდა მთაზე შექმნილი კიდევ ერთი ივერიის ღვთისმშობლის ხატის ასლი, ბათუმის ღვთისმშობლის შობის საკათედრო ტაძარს ამკობს.

მცხეთის სამთავროს დედათა მონასტერში დაბრძანებული ივერიის ღვთისმშობლის ხატი, 1919 წელსაა შესრულებული. წარწერიდან ჩანს, რომ იგი ათონის მთაზე, ივერიონის მონასტერში მოღვაწე მღვდელ-მონაზონ ილიას, მისი სულიერი მამის, სქიმონაზონ მაკარის კურთხევით დაუწერინებია „სამთავროს“ ფერისცვალების დედათა მონასტრისთვის.

რაც შეეხება ბოდბის დედათა მონასტერში დაბრძანებულ ხატის ასლს, ის 1905 წელს დაიწერა ათონის მთაზე. კომუნისტური მმართველობის ჟამს, მონასტერში საავადმყოფო გახსნეს. ბოდბის ივერიის ღვთისმშობლის ხატს, რენტგენის კაბინეტში მაგიდად იყენებდნენ. შემდეგ, ექიმს შინ წაუღია და იქაც მაგიდად იყენებდა. მალე მას შვილი მძიმედ ავად გახდომია. ექიმს ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი გამოეცხადა და აუწყა — ვიდრე ხატს თავის ადგილზე არ დააბრუნებ, შენს შვილს არაფერი ეშველებაო. შეშფოთებულმა ქალმა სიწმინდე უკანვე დააბრუნა, მაგრამ მიზეზი არ განუცხადებია. იმ დროს ბოდბის გაუქმებულ მონასტერში ფარულად მოღვაწეობდა რამდენიმე მონაზონი. ერთ-ერთი მათგანი, რუსეთიდან ჩამოსული დედა მაგდალინა იყო, რომელიც ფერმწერიც ყოფილა. მან საავადმყოფოს ერთ-ერთ მსახურ ქალს სთხოვა, რომ იქნებ, როგორმე მოეხერხებინათ და გამოეთხოვათ ღვთისმშობლის ხატი. ქალმა ექიმს შესთავაზა, ჩამოეწერათ, როგორც უვარგისი ინვენტარი და იქაურობისთვის გაერიდებინათ. სწორედ იმ ქალის სახლში აღადგინა დედა მაგდალინამ დაზიანებული სიწმინდე. მოგვიანებით, იგი ჩარჩოში ჩასვეს და კვლავ მონასტერში დააბრუნეს.

ბოდბის ივერიის ღვთისმშობლის ხატზე გამოსახული წმინდა ქალწულის მთლიანი სახე, სასტიკადაა დასერილი, რაც ერთ-ერთ „ჩეკისტს“ ჩაუდენია. ამის გამო, შემცოდე, სასტიკად დასჯილა.

1989 წლის 9 ოქტომბერს, საქართველოში ივერიის ღვთისმშობლის ხატის კიდევ ერთი ასლი ჩამოაბრძანეს, რომელმაც თბილისის სიონის ტაძარში დაივანა. სიონის ივერიის ღვთისმშობლის ხატი, ათონის წმინდა მთის ბერებმა, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, ილია მეორის თხოვნით დაწერეს. იგი ოფიციალურ სიგელში „კანონიერ ასლად“ იწოდება, დედნის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში კი, მის მნიშვნელობას იძენს.

■

ათეულობით წლების მანძილზე, ამ თემას ტაბუ ჰქონდა დადებული. სასტიკად იკრძალებოდა იმ გმირთა სახელების ხსენება, რომლებიც 1921 წლის თებერვლის მოვლენებს შეეწირნენ. პირველი მსხვერპლი, რომელიც თავისუფლებისათვის ბრძოლამ მოითხოვა, 18 წლის მარო მაყაშვილის სიცოცხლე აღმოჩნდა. მისი დაღუპვა მხოლოდ ერთი ოჯახის ტრაგედია როდი გახლდათ — მაშინ, მასთან ერთად, საქართველოს თავისუფლება დასამარდა. ამ დაკარგულ თავისუფლებას და დაღუპულ ასულს მთელი ცხოვრება გლოვობდა საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი თავმჯდომარე კოტე მაყაშვილი. „მე მიყვარს ჩემი სამშობლო მტკივნეულად, განუსაზღვრელად და... მოვალე ვარ მას ვუმსხვერპლო ყველა, რაც მხოლოდ მისი მეოხებით მომეცა“. ამ სულისკვეთებით აღზარდა ქალიშვილიც, რომელიც 1921 წლის 19 თებერვალს სამშობლოს თავისუფლებას ემსხვერპლა.

მარო მაყაშვილთან ერთად დასამარებული თავისუფლება

კოტე მაყაშვილისა და თამარ გაბაშვილის ოჯახის ტრაგედია

ირმა ახალაია

კოტე მაყაშვილის ცხოვრებიდან

თავადის ოჯახში დაბადებული კოტე მაყაშვილი ცხრა და-ძმიდან ყველაზე უმცროსი იყო. მამის გარდაცვალების შემდეგ, უფროსმა ძმებმა პატარა კოტე გარკვეული პერიოდი, ყარსის ოლქის, დაბა სარაყამიშში წაიყვანეს, სადაც თავად მსახურობდნენ. კადეტთა კორპუსში სწავლისას კოტემ მშობლიური ენა დაივიწყა, რაც უდიდესი ტრაგედია აღმოჩნდა მისი ოჯახისათვის. სამშობლოში დაბრუნებული, სათავადაზნაურო სკოლაში მიაბარეს, ორი წლის შემდეგ თბილისის მეორე კლასიკური გიმნაზიის მესამე კლასში გადაიყვანეს. სწორედ იქ დაუახლოვდა თანატოლ ივანე ჯავახიშვილს, რომელმაც მნიშვნელოვნად განსაზღვრა კოტე მაყაშვილის ცნობიერების ჩამოყალიბება.

1895 წელს კოტე მაყაშვილი სწავლის გასაგრძელებლად, რუსეთში გაემგზავრა. პეტერბურგის უნივერსიტეტში, იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ივანე ჯავახიშვილის რჩევით, აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე გააგრძელა სწავლა, მაგრამ სტუდენტთა გამოსვლებში მონაწილეობის გამო უნივერსიტეტის დამთავრება ვერ მოახერხა, რადგან იქიდან გარიცხეს. ყველაზე მნიშვნელოვანი, რის გამოც იგი სტუდენტობის წლებს უმადლოდა, მისი ქართველად ჩამოყალიბება იყო. სწორედ იმ პერიოდში შეისწავლა მშობლიური ენა, ეცნობოდა „ვეფხისტყაოსანს“, „ვისრამიანს“, „ქილილა და დამანას“, უსმენდა ახალგაზრდა ივანე ჯავახიშვილის ლექციებს — სამშობლოს ისტორიულ წარსულზე, წმინდა ნინოზე, თამარ მეფეზე, დავით აღმაშენებელზე... ყოველივე ამან განაპირობა მისი ცნობიერებების ჩამოყალიბება.

ეკატერინე გაბაშვილის „საუკეთესო ნაწარმოები“ და... სიყვარულისა და სიკვდილის გზაჯვარედინი

მომავალ მეუღლეს, უმშვენიერეს თამარს, მწერალ ეკატერინე გაბაშვილის ასულს, ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლის პერიოდში შეხვდა. მერვე კლასელი კოტე მაყაშვილი თავიდანვე მოუხიბლავს თამარის სილამაზეს. არც თამარი დარჩენილა გულგრილი მის მიმართ. იმ დღიდან, ყველასგან შეუმჩნევლად, ფარულად ეტრფოდნენ ერთმანეთს. პეტერბურგიდან წერილებსაც სწერდნენ ხშირად. „მე სიკვდილის შვილთა რიცხვში უბედნიერესი ვარ, რადგან ვუყვარვარ მას, ვინც მე თავდავიწყებით მიყვარს. ყოველი სიტყვა შენი წვეთია ნექტარისა, რომლითაც მივსებ გულს. გრძნობების ენა ყოველთვის არ

ჰგავს გონების ენას“, — წერდა პეტერბურგიდან შეყვარებული კოტე მაყაშვილი.

თამარი მართლაც, იმდენად ლამაზი ყოფილა, რომ მისი მშვენიერებით მოხიბლულ აკაკი წერეთელს ეკატერინე გაბაშვილისთვის უთქვამს: ეს თქვენი საუკეთესო ნაწარმოებიაო.

წლების მანძილზე ეტრფოდნენ ერთმანეთს კოტე მაყაშვილი და თამარ გაბაშვილი. 1900 წლის 10 ნოემბერს კი, ქაშვეთის ეკლესიაში დაიწერეს ჯვარი (პატარძლის მეჯვარე, ილია ჭავჭავაძის მეუღლე ოლღა გურამიშვილი გახლდათ). ისინი ჯვარს იწერდნენ სწორედ იმ ტაძარში, სადაც 21 წლის შემდეგ, მათი სიყვარულის ნაყოფს — 18 წლის მარო მაყაშვილს დაასვენებდნენ...

ფრაგმენტები მარო მაყაშვილის დღიურიდან

„მუდამ ვწერდი ყოველ მოთხრობაში, ჩემდა მოგონილში. ამირანმა ასწყვიტა თავისი ჯაჭვი და საქართველო გაათავისუფლა-მეთქი, — ეს ილუზია იყო მარტო. თურმე იგი ამირანი, უფრო გაუწყვეტელი ჯაჭვებით არის შებოჭილი და მის გაწყვეტას ძალიან დიდი ღონე უნდა. აგრეთ ადვილი არ ყოფილა თავისუფლების მიღება“, — წერდა თავის დღიურებში მარო მაყაშვილი. მაინც როგორ შეიძლებოდა, 18 წლის გოგონას ასე სიღრმისეულად გაეცნობიერებინა თავისუფლების არსი?..

„ქართველი ერი მხნე და გულადი არის. არავის დაანებებს თავის სამშობლოს. სამშობლოსადმი სიყვარული უდიდესია, სხვა ყველა გრძნობაზე მაღლა სდგას. შებრძოლება მტერს სისხლის უკანასკნელ წვეთამდის. შებრძოლება და ან სიკვდილი, ან გამარჯვება“.

„ძლივს გვეღირსა და ქართული დროშები ვნახეთ. რა მშვენივრად ფრიალებენ... მე სულ მაკანკალებდა. ჩემს არსებაში რაღაც თრთოდა... წმინდა გიორგი, იყავ მფარველი საქართველოისა!.. ხომ ხედავ, მაღალო ზეციურო მამავ, სამართალს. ჩამოგვაშორე მტერი და თავისუფლად ამოგვასუნთქე...“

თებერვალში... ანუ კოჯორში ჩამქრალი სიცოცხლე

1921 წლის თებერვალში, საქართველოს შემოესია საბჭოთა რუსეთის მე-11 არმია. უნივერსიტეტის რექტორმა ივანე ჯავახიშვილმა სტუდენტებს თავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ მოუწოდა. უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი — მარო მაყაშვილი 17 თებერვალს, „წითელ ჯვარში“ მოწყალების დად ჩაეწერა. ვერც მამის მუდარამ გასჭრა, ვერც დედის ცრემლებმა. სანიტარულ რაზმთან ერთად კოჯორში — ბრძოლის ველზე წავიდა. 19 თებერვალს, საღამოს, მის გვერდით გამსკდარმა ყუმბარამ სასიკვდილოდ განგმირა სამშობლოსთვის თავგანწირული გოგონას სიცოცხლე. მასთან ერთად, თბილისის მისადგომებთან ასობით ქართველის სიცოცხლე ეწირებოდა მტერთან ბრძოლას.

ტაძრის გალავანთან დაკარგული საფლავი

ქაშვეთის ტაძრის ქვედა სალოცავში მოფარდაგებულ იატაკზე სამშობლოს შეწირული ვაჟები ესვენნენ. შუაში, შემაღლებულზე დაესვენებინათ მარო მაყაშვილი. მისი ნეშტისთვის სამფეროვანი ქართული დროშა გადაეფარებინათ. თავი თეთრი ხილაბანდით წაეკრათ, რადგან ყუმბარის ნამსხვრევებისაგან მიყენებული ჭრილობის გამო კეფიდან კიდევ სდიოდა სისხლი... გმირთა სულების მოსახსენებლად სწირავდა კათალიკოსი ლეონიდე.

მთელი საქართველო გლოვობდა დაღუპულ გმირებსა და დაკარგულ თავისუფლებას. მიცვალებულები ტაძრის ეზოში გაჭრილ საძმო საფლავში დაკრძალეს, მარო ცალკე დაასაფლავეს რკინის გალავანთან, მაგრამ... დამოუკიდებლობის დაკარგვასთან ერთად, მისი საფლავიც დაიკარგა, უფრო სწორად — ბოლშევიკებმა ძალა არ დაიშურეს საიმისოდ, რომ მისი კვალი წაშალათ, თითქოს ამით, ერის ცნობიერებიდან გმირთა სახელების წაშლასაც მოახერხებდნენ.

დაღუპული ასული და... დაკარგული თავისუფლება

ქალიშვილის დაღუპვამ კოტე მაყაშვილი ერთ დღეში გააჭაღარავა.

„ჩემო გმირო და წმინდანო,
გამამხნევე მშობელი;
სამშობლო თუ შენ — რომელი,
ახ, ვიტირო რომელი?!“

და მართლაც, მთელი ცხოვრება ერთნაირი განცდით დასტიროდა ასულისა და სამშობლოს ბედს მწერალთა კავშირის დამაარსებელი და პირველი თავმჯდომარე. ის თვალნათლივ ხედავდა, თუ როგორ „პატარავდებოდა“ თვალსა და ხელს შუა სამშობლოს დიდება. სწორედ ის იყო პირველი, რომელმაც ხმა აიმაღლა ვაჟა-ფშაველას ერთადერთი ვაჟის, ლევან რაზიკაშვილისთვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანის საწინააღმდეგოდ. სერგო ორჯონიკიძეს წერილიც კი მისწერა მწერალთა ხელმოწერებით — დაენდოთ ლევან რაზიკაშვილი და მისთვის დახვრეტის განაჩენი გაეუქმებინათ, მაგრამ... „ვაჟა-ფშაველას შვილი კი არა, თვით ვაჟა-ფშაველაც რომ ყოფილიყო, იმასაც დავხვრეტდი“, — მიიღო პასუხად მწერალთა კავშირმა.

სასტიკი რეჟიმი სასტიკი მეთოდებით ცდილობდა საქართველოში მყარად დამკვიდრებას.

დედის ანდერძი ანუ — გულთან ახლოს

შვილმკვდარი დედა — თამარ გაბაშვილი შვილის საფლავთან მცირე ხნით რჩებოდა ხოლმე, შვილის დატირებასაც ვერ ახერხებდა, რადგან... ეს სასტიკად აკრძალული იყო. მას შემდეგ კი, რაც მარო მაყაშვილის საფლავი „წაშალეს“, თამარ გაბაშვილს იმ ქუჩაზე აღარც გაუვლია. მთელი ცხოვრება გაუსაძლის ტკივილში გაატარა.

საწოლის თავთან დაკიდებული სურათი, ზარდახშაში საგულდაგულოდ შენახული თმის კულული და მისი დღიური შემორჩენოდა მხოლოდ შვილისაგან. საგულდაგულოდ ინახავდა ამ ძვირფას რელიკვიებს. მემკვიდრეებს ანდერძადაც კი დაუტოვა — მისთვის საფლავში ჩაეყოლებინათ ქალიშვილის დანატოვარი — მისი თმა, თითქოს ამით გულთან ახლოს იგულებდა ასულს.

კოტე მაყაშვილი და თამარ გაბაშვილი ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში დაკრძალეს. მათთან ერთად პოვა საუკუნო განსასვენებელი მათმა ვაჟმა შალვამაც. იქვე დამარხულია მარო მაყაშვილის თმის ნაწნავიც. დედას ანდერძი აუსრულეს. იქნებ, იქ არის მარო მაყაშვილის აღდგენილი საფლავიც?..

„ადამიანთა ცხოვრების უსაზღვრო ოკეანეში იბადებიან, იზრდებიან და ქრებიან ინდივიდები, რომელთა სახელები და მოქმედებანი რჩებიან ხსოვნაში იმისდა მიხედვით, თუ რა სულიერი ენერგია გამოიჩინეს მათ თავისი ყოფნის სარბიელზე“, — წერდა კოტე მაყაშვილი, რომელმაც კარგად იცოდა, თუ რა კვალის დატოვება შეძლო მისმა ქალიშვილმა ერის ცნობიერებაში. ■

მარო მაყაშვილი 17 თებერვალს, „წითელ ჯვარში“ მოწყალების დად ჩაეწერა. ვერც მამის მუდარამ გასჭრა, ვერც დედის ცრემლებმა

ვლადიმერ ისელიძე – კაპიტანი, რომელიც უკან არც წყალში იხევდა და არც ხმელეთზე

როგორ „ჩაძირა" მოსკოვში საქართველოს ნაკრები ქართველმა სპეკულანტმა

დღესდღეობით, ქართული წყალბურთი სავალალო მდგომარეობაში იმყოფება, რადგან ქვეყანაში არც ბავშვებს შორის ტარდება ჩემპიონატი და არც დიდებში. მეტიც, ჩვენში სპორტის ამ სახეობაში ერთი მოქმედი კლუბიც კი არ არსებობს. დროდადრო, საქართველოს ნაკრები, რომელიც ახალგაზრდა წყალბურთელებითაა დაკომპლექტებული, სხვადასხვა ქვეყნის ღია პირველობაში კი მონაწილეობს, თან წარმატებითაც, მაგრამ წყალბურთის ასაღორძინებლად, მხოლოდ ეს ვერ იკმარებს. არადა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში თბილისის „დინამო" ყოველთვის მაღალ დონეზე ასპარეზობდა და ქვეყნის ნაკრების ღირსებას საქართველოს წარმომადგენლები წარმატებით იცავდნენ. ის კი არა და, ჩვენში აღზრდილი კადრები მოსკოვურ კლუბებშიც წარმატებით ასპარეზობდნენ.

ქართული წყალბურთის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი გახლავთ სპორტის დამსახურებული ოსტატი ვლადიმერ ისელიძე, რომელიც 10 წლის განმავლობაში, თბილისის „დინამოს" კაპიტანი იყო. მიუხედავად მისი და სხვა ვეტერანი წყალბურთელების დამსახურებისა, ამ ხალხს დღესდღეობით, არც ერთ საცურაო აუზზე აბონემენტის გარეშე შესვლის უფლებას არ აძლევენ. ეს — ცნობისათვის, თორემ, ისინი ამის გამო, ნამდვილად არ წუწუნებენ... ამჟამად პენსიაში მყოფმა თბილისელთა ყოფილმა ბომბარდირმა შინ გვიმასპინძლა.

გიორგი ლანჩავა

აუზიდან არაერთხელ გაძევებული

— სკოლაში სწავლის პერიოდში, სხვა ბავშვების მსგავსად, ფეხბურთსაც ვთამაშობდი, ხელბურთსაც და კალათბურთსაც. ჩემი თანაკლასელები იყვნენ შემდგომში თბილისის „დინამოს" კალათბურთელები — ლევან ჩხიკვაძე და თამაზ ჩიხლაძე, რომლებიც იმ პერიოდში, მიხეილ კეკელიძესთან ვარჯიშობდნენ. მანამდე, სკოლის გუნდთან ერთად, კალათბურთში ქალაქის ჩემპიონი გავხდი და კლასელებმა ბატონ მიშას სთხოვეს — ივარჯიშოს, ვნახოთ, რა გამოვაო. ზაფხული რომ დადგა, საცურაო აუზზე სიარული მომინდა და ჩემს მეგობარს შევუთანხმდი, რომ წყალბურთის სექციაში ერთად შევსულიყავით. მაგრამ მან საქმე ჩააწყო მწვრთნელ ვოვა ბარნაბიშვილთან, რომელიც ცირკის სასტუმროს უკან მდებარე აუზში ბავშვებს ცურვასა და წყალბურთში ავარჯიშებდა, ხოლო მე, ეს ვერ მოვახერხე. მიუხედავად ამისა, იმდენად დიდი სურვილი მქონდა, მეცურავა, რომ აუზზე ჩუმად შევიპარე. ცოტა ხნის შემდეგ, შემამჩნიეს, ქეჩოში ჩამავლეს ხელი და გარეთ გამომიშვეს. მეორედაც შევიპარე და კვლავ იგივე განმეორდა. მესამედაც ყველაფერი ანალოგიურად მოხდა. უკვე იმედგადაწურული, აუზის შესასვლელთან ვიდექი, როცა ბარნაბიშვილი მოვიდა თავის აღსაზრდელებთან ერთად. დამინახა თუ არა, დამიყვირა — აქ რას დგახარო?! ჩემთვის გავიფიქრე — ამას რაღა უნდა-მეთქი?.. ბარნაბიშვილმა მკითხა — რა გვარი და სადაური ხარო? პასუხი რომ გავეცი, სხვა ბავშვებთან ერთად დამაყენა და ეტყობა, სიმაღლითა და აღნაგობით მოვეწონე, რადგან ვარჯიშის ნება დამრთო. იმ პერიოდში, წყალზე გაჩერება შემეძლო და მეგონა, რომ ცურვა ვიცოდი. მაგრამ დიდ აუზში რომ ჩავხტი, კინაღამ დავიხრჩვი... იქიდან მოყოლებული, ბარნაბიშვილთან აქტიურად ვვარჯიშობდი. კალათბურთის სექციაში რომ აღარ გამოვჩნდი, კეკელიძემ ჩხიკვაძესა და ჩიხლაძეს ჰკითხა — თქვენი მეგობარი სად არისო? როდესაც მათ მკითხეს, კალათბურთზე რატომ აღარ დავდიოდი, ვუპასუხე — აუზიდან ჩემი გამოყვანა უკვე შეუძლებელია-მეთქი...

არჩევანი წყალბურთის სასარგებლოდ

— ბარნაბიშვილთან პატარა საცურაო აუზში დაახლოებით 50 ბავშვი ვვარჯიშობდით და ერთხელ, მან ცურვაში შეგვაჯიბრა. მწვრთნელის გასაკვირად, ყველას ვაჯობე და პირველი ადგილი დავიკავე. ერთ წელიწადში, ცურვაში მესამე თანრიგი ავიღე, ხოლო წელიწად-ნახევარში, დიდებს შორის მეორე თანრიგის მფლობელი გავხდი. ამ ხნის განმავლობაში, ბარნაბიშვილმა ბურთს საერთოდ არ გაგვაკარა და ისეთ ფიზიკურ დატვირთვას გვაძლევდა, სხვა მწვრთნელებს ეცინებოდათ. ცურვას იმდენად სწრაფად დავეუფლე, რომ ბარნაბიშვილს წყალბურთისთვის აღარ ვემეტებოდი. მით უმეტეს, საქართველოში მოსწავლეთა შორის, რეკორდსმენი ვიყავი. არადა, 15 წლის ასაკში, უკვე მოსწავლე წყალბურთელთა საქართველოს ნაკრებში მოვხვდი, რომლის შემადგენლობაშიც, საკავშირო სპარტაკიადაზე მეორე ადგილი დავიკავე. მე ცენტრალური თავდამსხმელის პოზიციაზე ვთამაშობდი და თითქმის ყველა ტურნირზე ბომბარდირი ვხდებოდი, რის გამოც, საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმაც მომაქცია ყურადღება. მის გარდა, თბილისის „დინამოს" წყალბურთელთა გუნდის მაშინდელი თავკაცი, ნოდარ გვახარია დაინტერესდა ჩემით. თუმცა, ბარნაბიშვილს ჩემთან დაკავშირებით საკუთარი გეგმა ჰქონდა. კერძოდ, მას სურდა, ცურვას გავყოლოდი, რადგან ფიქრობდა, რომ სპორტის ამ სახეობაში პერსპექტიული ვიყავი და თუ კარგ შედეგს მივაღწევდი, როგორც ჩემი პირადი მწვრთნელი, საკუთარ კარიერასაც აიწყობდა. როცა მან შეიტყო „დინამოს" ინტერესის თაობაზე, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდი იყო, მითხრა — რა გინდა „ჩეკისტებთან"? მაგათ ხალხი დახოცესო... მე ვუთხარი — „ჩეკისტები" რა შუაში არიან? წყალბურთის თამაში მსურს და თუ არ გამიშვებ, აუზზე საერთოდ არ მოვალ მეთქი. საბოლოოდ, ჩემი გავიტანე და „დინამოში" აღმოვჩნდი. მაგრამ ბარნაბიშვილის მადლიერი ვარ, რადგან ცურვაში კარგად მომამზადა, რის გარეშეც, მაღალ დონეზე წყალბურთის თამაში შეუძლებელია. ამჟამად, წყალბურთელებს ცურვაში ასე არავინ ავარჯიშებს.

ლენინგრადელებთან დაპირისპირებისას განცდილი სტრესი

— თბილისის „დინამოში" 1965 წელს მოვხვდი, მაგრამ პირველ წელს,



თამაში არ ჩამიტარებია, მხოლოდ ვვარჯიშობდი. ნოდარ გვახარია შესაფერის მომენტს არჩევდა, რომ ოფიციალურ მატჩში გამოვეყვანე, რათა დიდებთან ერთად თამაშს ნელ-ნელა შევჩვეოდი. მახსოვს, „დინამო“ მორიგ ტურს ვოლგოგრადში ატარებდა და სწორედ იქ დავრწმუნდი, რომ ახალგაზრდულ გუნდში და უფროსების წინააღმდეგ ასპარეზობას შორის ისეთი განსხვავება იყო, როგორიც ცასა და დედამიწას შორის. ლენინგრადის „ბალტიკასთან“ მატჩის დროს, გვახარიამ თამაშის საშუალება მომცა და ერთ-ერთ ეპიზოდში, როდესაც ჩვენი შეტევა ჩაიშალა, მეტოქის გამოცდილმა წყალბურთელმა კირსანოვმა ერთი თავით გამასწრო. თან, მან ბლოკირებით აუზის კიდემდე მიმიყვანა და უეცრად შემოტრიალებულმა, გოლიც გაგვიტანა. გვახარია მიხვდა, რომ ამ ამბავმა დამაბნია და მაშინვე გამომცვალა, ხოლო ვოლგოგრადში მეტჯერ სათამაშოდ აღარ გამოვუყვანივარ. „ბალტიკასთან“ შეხვედრის შემდეგ, სერიოზული სტრესი მივიღე და საკუთარ თავს ვეკითხებოდი — შევძლებ კი საერთოდ, წყალბურთის თამაშმეთქი?!. ერთი თვის შემდეგ, ტური ლვოვში ჩატარდა და ხარკოვის გუნდთან შეხვედრისას, სათადარიგოთა სკამზე ვიჯექი. მეოთხე ტაიმის დასაწყისში წამოვდექი და საშხაპისკენ გავემართე, რადგან ვფიქრობდი, რომ თამაშის საშუალება აღარ მომეცემოდა. შხაპს რომ ვიღებდი, ერთ-ერთი მწვრთნელი შემოვიდა და მკითხა — სად ხარ? გვახარია გეძებსო. უკან დაბრუნებული, თამაშში ჩამრთეს და გოლიც გავიტანე. ამან იმხელა სტიმული მომცა, რომ წინა ტურში განცდილი წარუმატებლობა საერთოდ დამავიწყდა და მომდევნო შეხვედრებში თამაში სულ სხვა დონეზე დავიწყე, რასაც გვახარიას ვუმადლი. 1966 წელს, უკვე ძირითად შემადგენლობაში ვთამაშობდი და საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში მე-3 ადგილი დავიკავეთ. 1967 წელს, გივი ჩიქვანაიას მოსკოვში გადასვლის შემდეგ, გუნდის კაპიტან ოთარ მიმინოშვილთან ერთად, „დინამოს“ ერთ-ერთი ლიდერი გავხდი.

ჩხუბის გამო შერისხული

— 1968 წელს, საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ერთად, კიშინიოვში, მეხიკოს ოლიმპიური თამაშებისთვის ვემზადებოდი. იმ პერიოდში, ადგილობრივი საფეხბურთო გუნდი ქვეყნის ჩემპიონატში მატჩს მინსკის „დინამოსთან“ ატარებდა და ჩემმა თანაგუნდელებმა მასზე დასწრების სურვილი გამოთქვეს. ადგილზე მისულებს, სტადიონის ტრიბუნები გადაჭედილი დაგვხვდა და ჩვენ, როგორც ნაკრების წევრებს, სკამები პირდაპირ სარბენ ბილიკებზე დაგვიდგეს. ძალიან ცხელოდა და გაზეთებისგან ქუდები გავიკეთეთ. მე ქუდში ხის პატარა ტოტიც გავირჭვე და ვხუმრობდი — ინდიელი ვარ-მეთქი. ჩემ გვერდით იჯდა მოსკოვის „დინამოს“ წყალბურთელი ვიაჩესლავ სკოკი, რომელიც 5 წლით უფროსი იყო და მან მოულოდნელად ქუდში ხელი ჩამარტყა — მოიძვრე, თამაშის ყურებაში ხელს მიშლისო. საპასუხოდ, სკოკს იდაყვი მივარტყი, რამაც ჩვენ შორის სერიოზული შეხლა-შემოხლა გამოიწვია და მოსკოველს ვუთხარი — წამოდი, პირველი ტაიმის შემდეგ, ერთი ერთზე ვიჩხუბოთ-მეთქი. მაგრამ ტაიმის დასრულებისას, ის სკამიდან არ ამდგარა... თამაშის დამთავრებას აღარ დავლოდებივარ. ინციდენტს გაგრძელება სასტუმროში მოჰყვა... ისე დავარტყი, რომ სკოკი, სასტუმროს წინ გაჩერებული, მინსკის „დინამოს“ ავტობუსის ქვეშ შევარდა. ჩხუბს გაგრძელება არ მოჰყოლია, მაგრამ მომხდარი გახმაურდა და მეორე დღეს, გუნდის კრება მოიწვიეს. სხვათა შორის, ნაკრების წევრთა ნახევარმა მხარი დამიჭირა — თქვეს, რომ სკოკი არასწორად მოიქცა. თუმცა, ამ შემთხვევამ, ფაქტობრივად, ჩემი სანაკრებო კარიერა დაღუპა და გუნდის მთავარმა მწვრთნელმა, ბლუმენტალმა ოლიმპიადაზე არ წამიყვანა. სხვათა შორის, ის 10 წლის განმავლობაში გახლდათ ნაკრების თავკაცი და ამ ხნის მანძილზე, არ გამახარა...

ბლუმენტალის შურისძიება

— მეხიკოს ოლიმპიადიდან ორი წლის შემდეგ, ტურინში უნივერსიადაში მივიღე მონაწილეობა, საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად და ოქროს მედალი მოვიპოვე. თან, ასპარეზობის საუკეთესო ბომბარდირი გავხდი. უნივერსიადაში გამარჯვების გამო, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება მომანიჭეს. 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიადისთვის მზადების წინ, ქვეყნის პირველი ნაკრები ტურნირებში საკმაოდ წარუმატებლად თამაშობდა. ოლიმპიადამდე, მინსკში საერთაშორისო ტურნირი ტარდებოდა, რომელშიც მონაწილეობდნენ: საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის ნაკრები გუნდები, თბილისისა და მინსკის „დინამო“. ქვეყნის პირველი გუნდი დამარცხდა რუმინელებთან, რომლებსაც იმავე ტურნირზე ჩვენ მოვუგეთ. მაშინ „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი, როსტომ ჩაჩავა გახლდათ, რომელიც მგულშემატკივრობდა და უნდოდა, რომ ოლიმპიადაზე წავსულიყავი. მაგრამ სანამ ბლუმენტალი თავკაცობდა ნაკრებს, ამის შანსი ნაკლებად მქონდა. ჩაჩავამ წამოიწყო კამპანია, რომელიც ბლუმენტალის გათავისუფლებას ისახავდა მიზნად. მის არგუმენტებს ნაკრების სუსტი თამაში ამაგრებდა. საქმე საკავშირო სპორტკომიტეტამდე მივიდა, მაგრამ ბლუმენტალის მოხსნის საკითხი რომ დადგა, ამ პოსტის დაკავება არც ერთმა მწვრთნელმა არ ისურვა: არავის სურდა, ოლიმპიადაზე ასპარეზობისას შესაძლო მარცხის შემთხვევაში, პასუხისმგებლობა ეკისრა. საბოლოოდ, ნაკრები მიუნხენში ბლუმენტალმა წაიყვანა და ოქროს მედლებიც მოიპოვა. იქიდან დაბრუნების შემდეგ, მისთვის უპირველესი მტერი, ბუნებრივია, ჩაჩავა გახლდათ, რომლის „ჩაძირვაც“ იმ შემთხვევაში გაუადვილდებოდა, თუ „დინამო“ წარუმატებლად იასპარეზებდა. ამისთვის კი, ჩემთვის თამაშის საშუალება არ უნდა მოეცათ, რადგან იმ დროისთვის, გუნდის კაპიტანი ვიყავი და ჩვენი გამოსვლა ბევრად იყო დამოკიდებული იმაზე, თუ მე როგორ ვითამაშებდი. ჩემპიონატის ალმა-ათაში ჩატარებული ერთ-ერთი ტურის მატჩში, მსაჯმა ტაიმ-ნახევარის განმავლობაში, სამჯერ ტყუილუბრალოდ გამაძევა და არსებული წესების თანახმად, შეხვედრას ავტომატურად გამოვეთიშე. თუმცა, მაშინ ამაზე მძაფრი რეაქცია არ მქონია, რადგან შეხვედრა ფრედ დავამთავრეთ. თამაშის შემდეგ, სასტუმროში რომ ვვახშმობდით, მატჩის არბიტრი ჩემთან მოვიდა და მითხრა — მაპატიე, შეიძლება, შეცდომა დავუშვი, რომ გაგაძევე, მაგრამ ასე უნდა გამეკეთებინაო... გავაფრთხილე — სხვა დროს ასეთი რამ აღარ გაიმეორო-მეთქი. მომდევნო ტურში მოსკოვში იმავე მსაჯმა კვლავ ტაიმ-ნახევარში სამჯერ გამ-

აძევა და თამაში ნაადრევად დამამთავრებინა. ამან გამაცოფა და წყლიდან ამოსულმა, მის საცემრად გავიწიე. ტრიბუნებზე მსხდომი გულშემატკივრები კი გაიძახოდნენ — მოაშორეთ ეგ ხულიგანიო!.. არბიტრის დევნისას დავინახე — ბლუმენტალი ტრიბუნაზე ვიღაცას ელაპარაკებოდა. ნაკრების მწვრთნელს ვუთხარი — ასე შეიძლება მსაჯობა-მეთქი?!. მან კი, ძალზე უხეშად მიპასუხა — შენ არ უნდა განსაჯო, შენ უნდა ითამაშოო. ამან ძალიან გამაბრაზა და ბლუმენტალს გვარიანად შევუკურთხე. მას ხმა არ ამოუღია, მაგრამ იმდენი ქნა, რომ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება ჩამომართვეს. შემდეგ მივხვდი, რომ მსაჯები მისი დავალებით „მუშაობდნენ ჩემზე“. თან, იმ პერიოდში, ნაკრების მთავარი მწვრთნელი არბიტრს რასაც ეტყოდა, ეს უკანასკნელიც იმას აკეთებდა.

შერცხვენილი მოსკოველები და ბლუმენტალის არგუმენტი

— საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება 1973 წელს, მოსკოვში ჩატარებული უნივერსიადის მოგების შემდეგ დავიბრუნე, სადაც კვლავ საუკეთესო ბომბარდირი გავხდი. მსოფლიო პირველობაზე მაინც, ჩემ მაგივრად, მოსკოვის „დინამოს“ წევრი, საშა როდიონოვი წაიყვანეს. გუნდმა ოქროს მედლები მოიგო. ნაკრები მსოფლიო პირველობიდან რომ დაბრუნდა, „დინამიადა“ ჩატარდა და როდიონოვს ვუთხარი — აბა, ვნახოთ, რა მსოფლიო ჩემპიონი ხარ-მეთქი!.. იმ თამაშში 5 გოლი გავიტანე და მეტოქე ისე შევარცხვინე, რომ მოსკოველთა მთავარმა მწვრთნელმა, გივი ჩიქვანაიამ და მისმა თანაშემწე, გრიშინმა თამაშის დამთავრებამდე დატოვეს აუზი... რამდენიმე წლის შემდეგ, ჩემპიონატის პრიზიორობის შანსი გაგვიჩნდა, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მოსკოვის „დინამოს“ დავამარცხებდით. მაშინ გუნდის წარმომადგენლებთან მივედი და ვთხოვე — მაინცდამაინც თავს ნუ მოიკლავთ-მეთქი. მაგრამ გრიშინმა მითხრა — გახსოვს, კიევში რა გვიქენიო?!. მოსკოველებს ვერ მოვუგეთ და უმედლებოდ დავრჩით... 1976 წლის მონრეალის ოლიმპიადის წინ, ნაკრების შემადგენლობაში ახალ ზელანდიაში გამართულ თამაშებზე კარგად ვიასპარეზე და ბლუმენტალმა ოლიმპიადაზე წამიყვანა, რამაც გამაკვირვა კიდეც. კანადაში რომ ჩავედით, მონრეალის ნაცვლად, ოტავაში ერთ-ერთ კოლეჯში დავბინავდით, რომელსაც 25-მეტრიანი დახურული საცურაო აუზი ჰქონდა. მასში სიგრძეზე მთელი ნაკრები ვერც კი ვეტეოდით და ამიტომ, სიგანეზე ვცურავდით. აუზში ქლორიანი წყლის ორთქლის ბუღი დგებოდა, რაც ფილტვებზე მოქმედებდა. ორი დღის შემდეგ, ქუჩაში რომ გამოვედი და გავიარე, ქლორის გამო ვქოშინებდი. ავტეხე ერთი ამბავი — მონრეალში რატომ არ მივდივართ-მეთქი? ბლუმენტალმა მითხრა — რა გინდა, აქ სავარჯიშოდ ძალიან კარგი პირობებიაო. არადა, კარგად ვიცოდი, რომ ასეთ სიტუაციაში ვარჯიში გუნდს სათამაშო ფორმას დაკარგვინებდა და ამის დასამტკიცებლად, 5 დღის შემდეგ, თანაგუნდელებს სუფთა ჰაერზე ფეხბურთის თამაში შევთავაზე. მართლაც, დილით, ოტავის ერთ-ერთ პარკში ბურთი გავაგორეთ და 10 წუთში, ნაკრების წევრები ისე დაიღალნენ, რომ ცუდად გახდნენ. ბლუმენტალმა ასე იმართლა თავი: მონრეალში წასვლის შემთხვევაში, უშუალო კონკურენტებს რომ ნახ-



ავდით, ინერვიულებდითო, — რაც, ცხადია, აბსურდი გახლდათ... დანიშნულების ადგილას თამაშების დაწყებამდე ერთი დღით ადრე ჩავედით და ირანის სუსტ ნაკრებთან, რომელსაც თბილისის „დინამოც“ კი უგებდა, ამხანაგური მატჩი ჩავატარეთ და ვერ დავამარცხეთ. ასევე ვერაფერი მოვუხერხეთ დასავლეთ გერმანიის გუნდს, რომელსაც კანადაში გამომგზავრებამდე, 5-დან 5-ვე შეხვედრისას მარცხი ვაწვნიეთ... ბლუმენტალი პანიკაში ჩავარდა, ბიჭებიც მიხვდნენ, რომ ოტავაში გატარებულ 10 დღეში, სათამაშო კონდიცია დაკარგეს. შედეგად, ტურნირზე რუმინეთის ნაკრებთან თამაში ფრედ დავამთავრეთ, ჰოლანდიელებთან დავმარცხდით და საბოლოოდ, ტურნირზე მე-8 ადგილი დავიკავეთ. ოლიმპიადის შემდეგ, ბლუმენტალი გუნდიდან გაუშვეს, ხოლო ნაკრებში ძველი შემადგენლობიდან მხოლოდ 3 წყალბურთელი დატოვეს.

სულაკაძის მიერ ჩაწყობილი საქმე

— წყალბურთისთვის თავის დანებებას ჯერ 1977 წელს ვაპირებდი, შემდეგ — 1978-ში, მაგრამ გარკვეულ მიზეზთა გამო, გადავიფიქრე. 1979 წელს, საბჭოთა კავშირის ხალხთა ღია სპარტაკიადაზე, რომელშიც სხვა ქვეყნების ნაკრები გუნდებიც მონაწილეობდნენ, საქართველოს ნაკრებში თამაში აღარ მსურდა, რადგან კვლავ სპორტიდან წასვლას ვფიქრობდი. მაგრამ ჩვენი რესპუბლიკის წყალბურთის ფედერაციის თავმჯდომარის, გურამ მირიანაშვილისა და ცეკას მდივნის, გურამ ენუქიძის თხოვნით, სპარტაკიადაზე თამაშს დავთანხმდი. ვიდრე მოსკოვში წავიდოდით, საქართველოში იმედი არ ჰქონდათ, რომ პირველ ოთხეულზე უკეთეს ადგილს დავიკავებდით, მაგრამ მე ვთქვი, რომ საპრიზო ადგილზე გავიდოდით. მშვენიერი გუნდი გვყავდა და ტურნირი კარგად დავიწყეთ. მაგრამ მოულოდნელად, ესპანელებთან შეხვედრა ფრედ დაგვამთავრებინეს. თამაშის შემდეგ, ჩვენს ხელმძღვანელობას ვუთხარი — გაიგეთ, მსაჯებს რა უნდათ-მეთქი... შემდგომში შევიტყვეთ, რომ თურმე, მოსკოვის ნაკრების (რომელიც ფაქტობრივად, საბჭოთა კავშირის ნაკრებს წარმოადგენდა) მესვეურები დადიოდნენ და მსაჯებს ეუბნებოდნენ — ქართველები ძალზე უხეშები არიანო, — და მათ ისეთი წარმოდგენა შეექმნათ, თითქოს „მკვლელები“ ვიყავით. ტურნირზე მოვლენები ისე განვითარდა, რომ მოსკოვის ნაკრები იუგოსლავიელებთან დამარცხდა და ყაზახები თუ ავსტრალიასთან წააგებდნენ ან ფრეს ითამაშებდნენ, მასპინძლები ფინალს მიღმა დარჩებოდნენ. ამასობაში, ჩვენ რუმინეთს მოვუგეთ და ფინალში გავედით, სადაც მოსკოველების არყოფნის შემთხვევაში, ოქროს მედლები ფაქტობრივად, გარანტირებული გვქონდა. მართლაც, ყაზახთა ლიდერს, კაბანოვს დაველაპარაკეთ და ის შეგვპირდა, რომ ავსტრალიის გუნდს არ მოუგებდნენ. ავსტრალიელებისა და ყაზახების დაპირისპირება ფრედ მთავრდებოდა, მაგრამ ტურნირის ორგანიზატორთა ძალისხმევით, ყაზახებს მოაგებინეს და მოსკოველები ფინალში მოხვდნენ. გადამწყვეტ შეხვედრას თავიდან, 1:3-ს ვაგებდით და მატჩის დასრულებამდე წუთნახევრით ადრე, როდესაც ანგარიში 6:5 იყო მეტოქის სასარგებლოდ, მსაჯმა, მიუხედავად იმისა, რომ ჩემ წინააღმდეგ ძალზე უხეშად ითამაშეს, მოსკოველთა კარში აშკარა პენალტი არ დანიშნა. ამან ისე გამაბრაზა, რომ მას შევაგინე და აუზიდან გამაძევეს. არადა, მსაჯები უცხოელები იყვნენ და თამაშამდე ვფიქრობდი — მათ მიკერძოება რაში უნდა დასჭირდეთ-მეთქი?!. საშხაპეში რომ ვიყავი, ამ დროს, რუსეთში დაბადებულ-გაზრდილი ქართველი, სულაკაძე შემოვიდა, რომლის შვილიც მოსკოვის ნაკრებში თამაშობდა და თავად სულ გუნდის გარშემო ტრიალებდა. მან რუსულად მომილოცა და

როდესაც ვკითხე — რას მილოცავ-მეთქი? — გაიკვირვა — როგორ, ვერცხლის მედლებით კმაყოფილი არა ხარო? სულაკაძემ თან შემდეგი რამ მაუწყა: „ეს მატჩი სხვა არბიტრებს უნდა ემსაჯათ, მაგრამ ის ბრიგადა მოვხსენით და ესენი ჩემთან სახლში ვაქეიფეთ; ჩემს ბინაში ხატები რომ დაინახეს, პირები დააღეს და ვუთხარი — თუ კარგად იმსაჯებთ, თითო ხატს გაჩუქებთ-მეთქი...“ სულაკაძესთან, რომელიც ბრილიანტებთან ერთად, ხატებითაც სპეკულანტობდა, სახლში ნამყოფი ვიყავი და მას მართლაც, ხატების უნიკალური კოლექცია ჰქონდა. ეს რომ მომიყვა, გაბრაზებულმა, მაგრად შევუკურთხე...

მწვრთნელის ორპირობა

— მოსკოვის ოლიმპიადამდე, თბილისში საერთაშორისო ტურნირი ტარდებოდა, რომელშიც საბჭოთა კავშირის ნაკრები მონაწილეობდა და მაშინ გუნდს, პოპოვთან ერთად, ჩემი ძველი ნაცნობი, სკოკი წვრთნიდა. თავის დროზე, პოპოვთან ნაჩხუბარი ვიყავი და ეს იტალიაში მოხდა. მაშინ, ქვეყნის ახალგაზრდულმა ნაკრებმა ტურინის უნივერსიადამდე, ტურნირზე ვითამაშეთ სირაკუზში, რის დასრულების შემდეგაც, მასპინძლებმა ხმელთაშუა ზღვაში წყალბურთის მოედანი მოაწყვეს და იტალიის ნაკრებთან საჩვენებელი მატჩი გავმართეთ. პირველი ტაიმი რომ დამთავრდა, თვალებში ვეღარ ვიხედებოდი, რადგან ზღვის წყალი ძალიან მარილიანი იყო. შეცვლა რომ მოვითხოვე, პოპოვმა, რომელიც ჩვენი გუნდის ერთ-ერთი მწვრთნელი იყო, დამიძახა — რა გაყვირებსო?! — და შემაგინა. მას გინებითვე ვუპასუხე და წყლიდან ამოვედი. საღამოს პოპოვმა დამიბარა და მკითხა — რატომ შემაგინეო? კითხვა შევუბრუნე — შენ რატომ მოიქეცი ასე-მეთქი? ამან ძალზე გააკვირვა — რუსეთში ერთმანეთში სულ ასე ვლაპარაკობთო. თან დასძინა — კარგი, მართალი ხარო... 1979 წელს, ნაკრები სასტუმრო „აჭარაში“ ცხოვრობდა და პოპოვმა დამიბარა. ადგილზე მისულს, მითხრა — უნდა დამეხმარო, რადგან მშვენიერაძე და ივანოვი ისე არ ემზადებიან, როგორც საჭიროაო. მე განვუცხადე, რომ შეთავაზებას იმ შემთხვევაში დავთანხმდებოდი, თუ ოლიმპიადაზე თამაშის შანსს მომცემდა. პოპოვმა მეორედ მიხმო და შემპირდა — შანსს მოგცემო. მართლაც, გუნდთან ერთად, შეკრებაზე წამიყვანა და მოსამზადებელ მატჩებში ცენტრალურ მცველად გამამწესა. ამასობაში, კარგ სათამაშო ფორმაში შევედი და მეგონა, რომ ოლიმპიადაზე გუნდში ადგილი გარანტირებული მქონდა. აქვე გეტყვით, რომ თითოეულ ქართველ სპორტსმენს, რომელიც ოლიმპიადაზე ასპარეზობის კანდიდატი იყო, საქართველოდან მწვრთნელი ჰყავდა მომაგრებული, რომელსაც მისთვის კურირება უნდა გაეწია. მე

უკან დაბრუნებული, თამაშში ჩამრთეს და გოლიც გავიგანე. ამან იმხელა სგიმული მომცა, რომ წინა ტურში განცდილი წარუმატებლობა საერთოდ დამავიწყდა...

ყურადღებას ნოდარ გვახარია მაქცევდა, რომელსაც საჭირო იყო, პოპოვი დაერწმუნებინა, რომ ნაკრებში ნამდვილად ავეყვანე. თურმე, გვახარია იმდენად იყო ჩემს შესაძლებლობებში დარწმუნებული, რომ პოპოვთან ამაზე ლაპარაკიც კი არ ჰქონია. 1980 წელს, ოლიმპიადამდე, მოსკოვის ტურნირი ტარდებოდა, რომლის დასრულების შემდეგაც, უკვე ოლიმპიურ სოფელში უნდა შევსულიყავით. მაგრამ როცა პოპოვმა გუნდის შემადგენლობა გამოაცხადა, ჩემი გვარი მასში არ აღმოჩნდა... იმ ოლიმპიადაზე გუნდმა ოქროს მედლები მოიპოვა და მე ჩემპიონის ტიტულის გარეშე დავრჩი. თან, გულდასაწყვეტი ის გახლდათ, რომ ოლიმპიურ გუნდში აიყვანეს წყალბურთელი, რომელსაც ასპარეზობის დაწყებამდე მიღებული ტრავმის გამო, თვალზე 9 ნაკერი დაადეს. მახსოვს, ნოდარ გვახარია მეუბნებოდა — დრო რომ გადის, მხოლოდ ტიტულებიღა რჩებაო... ახლა რომ ვფიქრობ, ის მართალი გახლდათ, რადგან სულ სხვაა, როდესაც ოლიმპიური ჩემპიონის ტიტულს ატარებ და სხვა — რომ ამბობენ, მაღალი დონის წყალბურთელი იყოო...

სხვა თაობა და დახრჩობას გადარჩენილები

— თბილისის „დინამოში“ ყოფნისას, ოთხი თაობა გამოვიცვალე და პასუხისმგებლობა გუნდში მისვლის პირველი დღიდან, კარიერის დამთავრებამდე გამომყვა. მახსოვს, დაძაბულ ორთაბრძოლაში თამაშს რომ წავაგებდი, შხაპის ქვეშ ვიდექი და ვტიროდი ხოლმე. 1981 წელს, როცა უკვე კარიერას ვამთავრებდი, გუნდში წყალბურთელთა ისეთი თაობა მოვიდა, რომელსაც საქმისადმი სულ სხვა მიდგომა ჰქონდა. კერძოდ, ეს ახალგაზრდები, წააგებდნენ თუ მოიგებდნენ, ერთნაირი განწყობილებით იყვნენ. ჩვენი დონის გუნდთან რომ დავმარცხდებოდით, ლამის გიჟს ვგავდი. ისინი კი, მატჩის წაგების შემდეგ ისე ღიღინებდნენ, თითქოს არაფერი მომხდარა. ამის გამო, მათ ვეჩხუბებოდი და რა სიტყვებით აღარ ვლანძღავდი... ახლა რომ მხვდებიან, მეუბნებიან — გახსოვს, რას გვიშვრებოდიო?!. ერთხელ, ნაცნობმა მთხოვა, გამესინჯა ერთი ბიჭი, რომელიც მისი თქმით, არაჩვეულებრივად ცურავდა. ის ვერაფრით დავაჯერე, რომ თვითნასწავლ და კლასიკურად მოცურავეს შორის, დიდი განსხვავებაა. ამიტომ, იმ ბიჭის გასინჯვაზე დავთანხმდი. მაგრამ ეს უკანასკნელი აუზზე ერთხელ რომ მოვიდა, დაინახა, წყალბურთელები როგორ ცურავდნენ და მეტჯერ აღარც გამოჩენილა... თბილისის „დინამო“ შეკრებას ბათუმში გადიოდა და ვარჯიშის დასრულების შემდეგ, ზღვაში საბანაოდ შევედით. ამ დროს, ტალღებმა იმატა და წყლიდან გამოსვლა, ცოტა არ იყოს, გაგვიჭირდა, რადგან 5-ბალიანი ღელვა მაინც იყო. ჩვენთან ერთად ნაპირზე ვერ გამოვიდა გივი ჩიქვანაია, რომელიც მეორე დილამდე რომ დარჩენილიყო ზღვაში, არაფერი მოუვიდოდა, მაგრამ იმ მომენტში, რატომღაც, ამის გაკეთება ვერ მოახერხა. გივის პლაჟიდან რომ ვუყურებდით, ამ დროს, ერთი მოხუცი ქალი დაგვადგა თავზე და წყევლა დაგვიწყო — თქვენ მოუკვდით პატრონს, როგორ დატოვეთ ის ბიჭი ზღვაშიო!.. სხვათა შორის, მაშინ ჩვენს დანახვაზე, ერთ მთვრალ რუსსაც მოუნდა ტალღებში შეცურვა, მაგრამ კინაღამ დაიხრჩო და გადავარჩინეთ... ■

ტყუპი დის ოინები

ინგა ჯაყელი

გარეგნულად ასეთი მსგავსება ტყუპებშიც კი იშვიათია ალბათ: თამუნა და თეონა პირველად რომ ვნახე, თვალები დავხუჭე, იმაში დარწმუნებულმა, რომ წინა ღამის უძინარს, წნევა დამივარდა და მხედველობის გაორება დამეწყო. ჩემი გაოგნება შეუმჩნეველი არ დარჩენია ჩემს მეზობელს, ციალა დეიდას — ტყუპის მამიდას:

— ასე გვაწამებენ დაბადებიდან, ტანსაცმელსაც ზუსტად ერთნაირს ყიდულობენ, თმასაც ერთნაირად იჭრიან და ივარცხნიან, წონითაც კი ერთნაირები არიან — ერთდროულად ხდებიან და სუქდებიან, რომ ეხვეწო, არაფრით განმასხვავებელ ნიშანს არ შეიბამენ. ერთადერთხელ ამოგვასუნთქეს შვებით, როცა თეონა ფეხმძიმედ იყო და მუცლის დამალვას ვერ ახერხებდა, მაგრამ რად გინდა? გააჩინა ბავშვი და ახლა, 4 წლის ივიკო ხან „დედას“ ეძახის ორივეს, ხანაც — დეიდას, გააჩნია, რომელი სჭირდება იმ წუთში! — გამიზიარა თავისი საწუხარი ციალამ და მონატრებული ძმისშვილები გულში ჩაიკრა, შინ შეიყვანა და მეც შემიპატიჟა:

— გამოდი ცოტა ხანში, ყავა დავლიოთ, გუშინ შენი საყვარელი, ნუშის ტორტი გამოვაცხვე, თან ჩემს გოგოებს ახლოს გაიცნობ!..

რომ ვესტუმრე, გოგოებს წინ დავუსკუპდი და ყოველგვარი შესავლის გარეშე ვკითხე, რაც მაინტერესებდა:

— ხასიათითაც ასე ჰგავხართ ერთმანეთს? სანამ თეონა და თამუნა კისკისს მორჩებოდნენ, ისევ ციალა დეიდამ აიღო სიტყვა:

— ნეტავ, კი ჰგავდნენ და ან თეონა იყოს თამუნას მსგავსად სერიოზული, ან პირიქით — თამუნა იყოს თეოს მსგავსად გიჟი და მოუსვენარი!.. ახლა 25 წლისანი არიან და თამუნას გათხოვებას ვერ უხსენებ — გადაჰყვა სწავლას, თეონა კი, 15 წლის იყო, რომ გაგვეპარა, მოვაბრუნეთ და ვდარაჯობდით, მაგრამ ერთ წელიწადში მაინც გაჰყვა იმ ბიჭს, ორიოდე თვეში კი გამოგვიცხადა — არ მომწონს, სახლში ვბრუნდებიო!.. უარი უთხრა ჩემმა ძმამ, მაგრამ თამუნამ არია ყველაფერი, წავიდა და გვერდით დაუდგა დას — არც მე შემოვალ შინო... ბევრი უტრიალა და ათვალიერა ჩემმა ძმამ, რომ ეცნო, რომელი — რომელი იყო და თამუნა ძალით წამოეყვანა, თეო კი ქმრის ოჯახში დაებრუნებინა, მაგრამ ვერაფრით გაარჩია და ხელი ჩაიქნია — ჯანდაბას თქვენი თავიო! — ხომ არ გაატანდა „ნასიძარს“ ორივეს და წამოიყვანა შინ... სკოლიდან ერთი დღიურით მოჰქონდათ ნიშნები: ორებიც, სამებიც, ოთხებიც და ხუთებიც. ერთი რომ სწავლობდა და მეორე ზარმაცობდა, ჩვენც ვხვდებოდით და მასწავლებლებიც, მაგრამ რადგან ვერ დავადგინეთ, რომელი რას წარმოადგენდა, ორივეს საშუალო

არითმეტიკული გამოუყვანეს ატესტატში, დაახლოებით ოთხქულიანი მოსწრებით გამოუშვეს. აი, სამედიცინო ინსტიტუტში კი, ორივე მაღალი ქულებით მოხვდა და ჩვენ კი მივხვდით, ეს თამუნას დამსახურება რომ იყო, მაგრამ როგორ გავამხელდით?!. 20 წლის თეონამ მეორედაც მოახერხა გათხოვება და ისევ გამოექცა ქმარს რამდენიმე თვეში — არც ეს მომწონს, ნამდვილი სიყვარულის ძებნა უნდა განვაგრძოო! — თქვა. მუცელი კი არ მოიშალა და მშვენიერი შვილიშვილიც გვაჩუქა, საოცრებაა ჩვენი ივიკო... თამუნას კი, როგორც გითხარით, გათხოვების ხსენებაც არ უნდა, რადგან თავისი ყოფილი თანაკლასელი უყვარს, რომელიც ახლა ციხეშია და ჩემს ძმას მისი სახელის ხსენებაც კი არ უნდა — ჩემს ნაფერებ „პროფესორ“ გოგოს იმ ყაჩაღს არ გავატანო! — ამბობდა. მერე იხელთა დრო და ძალით დაანიშვნინა თამუნა თავისი ძმაკაცის შვილს, ქორწილის დღეც დათქვეს და რას იფიქრებდა ჩემი უბედური ძმა, თუ აქაც შეცვლიდნენ ერთმანეთს ეს ეშმაკის ფეხები?!! მოკლედ, ქორწილში პატარძლად, თამუნას ნაცვლად, თეონა დაჯდა, იმ იმედით — რომ ნახავს, ქალწული არა ვარ, სახლში მიმაბრუნებს, მე კი შევეხვეწები, ნამდვილი მიზეზი არ გაამხილოს და როგორ ვერ გამიგებსო?! მოკლედ, წამოეგო ის ბიჭი ანკესზე, მაგრამ „ევროპაში აღზრდილი“ აღმოჩნდა, და სულაც არ მიიჩნია ეს ამბავი ტრაგედიად, აღარ უნდოდა დაშორება...

— ისეთი კარგია, ამ ჩემმა ჩურჩუტმა დამ ბევრი დაკარგა, უარი რომ უთხრა ირაკლის, მეც სიამოვნებით დავრჩებოდი მასთან, მაგრამ ბავშვს რა ვუყო?! — საუბარში ჩაერთო თეონა. — ივიკო რომ არა, გავცვლიდით სახელებს და პრობლემაც ამოწურული იქნებოდა, მაგრამ შვილს ვერ დავტოვებ, მის გარეშე ერთი დღეც ვერ გავძლებ...

— იქნებ, ირაკლიმ ივიკოც მიიღოს? — იმედის ნაპერწკლის გაღვივება ვცადე.

— პრობლემა ეგ კი არ არის, ირაკლი მიიღებს თუ არა ივიკოს, მამაჩვენი გადაირევა და აღარ გვაპატიებს ამდენ ტყუილს ან ორივეს გაგვყრის სახლიდან, ან გული გაუსკდება. კაცი სიხარულით აღარაა, როგორც იქნა, რომ გაათხოვა „ჩამორჩენილი“, თან, ვიღაც ყაჩაღზე შეყვარებული ქალიშვილი და როგორი სათქმელია ამ დროს, რომ ისევ მე გავთხოვდი, უკვე მესამედ და თამუნა თავისი პრინციპების ერთგული დარჩა?! — განმიმარტა თეონამ.

— მერე, რას აპირებთ?

— მამიდასთან იმიტომ მოვედით, რომ ისევ მან უნდა გვიშველოს: მამა უმცროსია და ყველაფერს უჯერებს, მხოლოდ ციალას შეუძლია, ახლაც შეაცვლევინოს აზრი! — მუდარით მიაცქერდნენ ქალს, რომელმაც მაგრად გაიკრა ატკივებული თავი ჭრელი თავსაფრით და ცოტა ხანში იმედით მომაცქერდა, რაღაც აზრზე ჩაბღაუჭებული:

— დაწერე, რა იქნება, ჟურნალში ეს ამბავი და მთელ ქვეყანასთან ერთად ჩემმა ძმამაც გაიგოს, რომ ყველა ადამიანი თვითონ წყვეტს თავის ბედს და გაიხსენოს — სიყვარული არ იქნება ძალადა!..

ასეთ მაცდურ წინადადებაზე უარის მთქმელი ვიყავი?! — ჰოდა, დავწერე. ახლა კი, თქვენთან ერთად დაველოდები შედეგს და იმედია, ამ ამბავსაც კეთილი ბოლო ექნება!..

■

2003 წელი: „ოსკარი“ ფილმისათვის „საათი“

ჰოლივუდის ვარსკვლავი მარტში გათხოვებას აპირებს! მისი რჩეული, ნაკლებად ცნობილი მომღერალი კიტ ურბანია, რომელისგანაც, როგორც ამბობენ, ნიკოლი ბავშვს ელოდება. კიდმანი დაქორწინებას ჩქარობს და ამისთვის სერიოზული მიზეზებიც აქვს...

ნიკოლ კიდმანის სულიერი ღრუბლ ახურა შეუძლია მიუოვებულ ქალს

მსოფლიოში სახელგანთქმულმა კინომსახიობმა 2001 წელს ტომ კრუზთან მტკივნეული გაშორების შემდეგ, ყოფილი ქმრის ღირსეული მამაკაცით შეცვლა არაერთხელ სცადა. ამისათვის ნიკოლი საეჭვო სასიყვარულო თავგადასავლებსაც არ ერიდებოდა. კანდიდატები მრავლად იყვნენ, მაგრამ ნიკოლი მათ შორის ყველაზე ცნობილებს, ყველაზე სექსუალურებს არჩევდა... ისეთებს, როგორებიც მუსიკოსი ლენი კრავიტცი და მდიდარი კინომაგნატი სტივენ ბინგი არიან. მაგრამ საბოლოო არჩევანი საკმაოდ შელახული რეპუტაციის მქონე, ყოფილ ალკოჰოლიკზე, ნარკომანსა და გამოუსწორებელ მექალთანეზე, ქანთრის სტილის მომღერალ კიტ ურბანზე შეაჩერა. ნიკოლ კიდმანი გათხოვებას ჩქარობს და ვერ ამჩნევს, რომ ამ ნაჩქარევი გადაწყვეტილებით, საკუთარ ამბიციებსა და შურისმაძიებლურ ფანტაზიებზე აყოლით, თავს მსხვერპლად სწირავს. ვისზე ძიობს შურს ნიკოლი? სრულიად აშკარაა: იმ მამაკაცზე, რომელიც დღემდე თავდავიწყებით უყვარს და ეჯავრება. ეს მამაკაცი კი ტომ კრუზია!

„შენ იამაყებ იმით, რომ ოდესღაც ჩემი ქმარი იყავი“, — ეს სიტყვები ეწერა სახეზე მუდამ, როდესაც განქორწინების შემდგომ ახალ-ახალ სიმაღლეებს იპყრობდა; როდესაც გადაღებებით ქანცგამოლეული, ფერფლად ქცეულ პირად ცხოვრებას იხსენებდა; მაშინაც, როდესაც ხელში სანუკვარი „ოსკარი“ (2003 წ. ფილმისათვის „საათი“) ეპყრა და ახლაც, როდესაც მათი უსიტყვო ომი თითქოს დასასრულს უახლოვდება. მარტში ნიკოლ კიდმანი თხოვდება, 42 წლის ტომ კრუზისა და 26 წლის კეტი ჰოლმსის ქორწილი ივნისისთვისაა დანიშნული. თუ ვინ გაიმარჯვა ამბიციათა ამ ბრძოლაში — სადავო საკითხია. ერთი რამ ცხადია — ნიკოლი არ დამარცხებულა!

როგორც კიდმანის მეგობრები ამბობენ — ჯვრისწერის ცერემონია მოკრძალებული იქნება. ჟურნალისტებისგან თავის დასაღწევად, ჯვრისწერა ჩატარდება კათოლიკურ ტაძარში, ავსტრალიაში — იქ, სადაც ნიკოლის მშობლები ცხოვრობენ. თავად ურბანიც წარმოშობით ავსტრალიელია. ნიკოლის მეგობრის, რასელ ქროუს განცხადებამ ცეცხლზე ნავთი დაასხა: მისი თქმით, 37 წლის კიდმანი და 38 წლის კიტ ურბანი შობის წინ დაინიშნნენ და საპატარძლომ მომავალი მეუღლის მშობლებიც კი გაიცნო. ჟურნალისტებმა ვარსკვლავს არათითზე ბრილიანტებით მოოჭვილი ოქროს ბეჭედი მართლაც შეამჩნიეს. „ისინი ბედნიერებისგან მართლაც რომ ანათებენ“, — აღფრთოვანებულნი აცხადებენ ნეფე-პატარძლის ახლობლები.

და მაინც, როდესაც ნიკოლ კიდმანის მომავალ ქორწილზე საუბრობენ, ბევრი მიიჩნევს, რომ ეს ოდნავ სევდიანი ზეიმი იქნება. თავად განსაჯეთ: ჰოლივუდის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და მაღალანაზღაურებადი მსახიობი და 38 წლის ჯერ კიდევ „იმედის მომცემი“ ავსტრალიელი ქანთრი-მომღერალი — კიდმანი, რომელიც ორ ნაშვილებ ბავშვს (10 წლის კონორსა და 12 წლის ბელას) ზრდის და მარტოხელა კიტი, რომლისთვისაც ოჯახური ფასეულობანი ცარიელი სიტყვებია და სხვა არაფერი. ნიკოლის წარსულში ტომ კრუზთან ქორწინება დარჩა, რომელსაც თავის დროზე იდეალურ ქორწინებად თვლიდნენ, ურბანის წარსული კი სავსეა გაუთავებელი ღრეობით, სკანდალითა და საეჭვო რომანით. მართლაც რომ უცნაური წყვილია... უნდა ვაღიაროთ, რომ ნიკოლს „ცუდი ბიჭები“ მართლაც იზიდავს. კიდმანის ექსსაყვარელი მილიონერი სტივენ ბინგი, რომელმაც მსახიობ ლიზ ჰარლის ბავშვის მამობა მხოლოდ სასამართლოში აღიარა, საკმაოდ შელახული რეპუტაციით სარგებლობს. ეს სკანდალური სასამართლო პროცესი 2004 წლის დამლევს გაიმართა, სწორედ მაშინ, როდესაც მას ნიკოლ კიდმანთან მგზნებარე რომანი ჰქონდა გაჩაღებული...

განსაკუთრებით სავალალო აღმოჩნ- და ნიკოლ კიდმანისა და ლენი კრავიტცის სასიყვარულო კავშირის ფინალი (2004 წლის იანვარი), როგორც მათი განშორების შემდეგ აღმოჩნდა, შავკანიანმა მუსიკოსმა კინოვარსკვლავი უბრალოდ თავისი ახალი ალბომის გასასაღებლად გამოიყენა. ამ დარტყმისგან გონს მოსული ნიკოლი ტომ კრუზის შემცვლელის ძიებას განაგრძობდა. ვაკანტური ადგილის დაკავება მრავალს სურდა. მათ შორის, „ფორმულა-1“-ის ბოსს, ფლავიო ბრიატორეს, ლორდ იაკობ როტშილდს, მილიონერ ერიკ უოტსონს. ნიკოლს თავისუფალი ქალის სტატუსის დამკვიდრება სჭირდებოდა.

კიდმანს თავზარი დასცა ცნობამ ტომ კრუზისა და კეტი ჰოლმსის ნიშნობის შესახებ, რასაც უმალ ახალი დარტყმა მოჰყვა: გავრცელდა ცნობა, რომ კეტი ორსულად არის და ტომი სულ მალე მამა გახდება! ამ ახალმა ამბავმა საბოლოოდ დაუკარგა ნიკოლს იმის იმედი, რომ კრუზი დაუბრუნდებოდა. ამ დროს კი ოპრა უინფრის პოპულარულ გადაცემაში ტომი სიხარულისგან კუნტრუშებდა, „ნაზი კეტისადმი“ უსაზღვრო სიყვარულზე საუბრობდა და მომავლის გეგმებს სახავდა. „თქვენი სიხარული ყოფილ მეუღლეს გაუზიარეთ?“ — ეკითხებოდა გამოცდილი ტელეწამყვანი. „ეჭვი მეპარება, რომ ნიკოლმა ჩემი სიხარული გაიზიაროს, ძალიან ვწუხვარ“.

„ძალიან ვწუხვარ“ — ხუთი წლის წინაც სწორედ ეს ფრაზა აღმოჩნდა საბედისწერო ნიკოლ კიდმანისთვის. მარტო დარჩენის შიშმა ახალი ძალით იფეთქა. ტკივილმა, რომლის დაძლევა სისუსტის, მოუცლელობისა თუ სიმხდალის გამო ვერ შეძლო, იმპულსური გადაწყვეტილების მიღებისაკენ უბიძგა. წყალწაღებული ხავსს ჩაებღაუჭა და ეს ხავსი კიტ ურბანი აღმოჩნდა.

მათ ერთმანეთი 2005 წელს, წვეულებაზე გაიცნეს... მალე კიდმანი ურბანს ავს-

ნიკოლ კიდმანმა და ტომ კრუზმა ორი ბავშვი იშვილეს: ახლა მათი გოგონა ბელა 12 წლისაა, კონორს კი 10 წელი შეუსრულდა

წყვილი ფოტოგრაფებს გულმოდგინედ ემალება, მაგრამ თებერვლის დასაწყისში პაპარაცებმა ამ ფოტოსურათების გადაღება მაინც მოახერხეს

ტრალიაში საგასტროლო ტურნეში მიჰყვება, მასთან ერთად რესტორნებში ჩნდება და ჩაცმის მისეულ სტილსაც კი ღალატობს. ნიკოლი, რომელიც ჰოლივუდში მუდამ ყველაზე გემოვნებით ჩაცმულ მსახიობად ითვლებოდა, საკუთარ თავს ღალატობს და ჩაცმის ურბანისეულ, აგდებულ სტილს ჰბაძავს. რას უნდა ნიშნავდეს ნიკოლის ცვლილება? გიჟურ სიყვარულს, თუ ურბანის ხელში ჩასაგდებად გაწეულ ძალისხმევას? ისინი, ვინც მსახიობის ექსტრემალურ ხასიათს კარგად იცნობენ (ნიკოლს პარაშუტით ხტომები და აკვალანგით ყვინთვა იტაცებს), მიიჩნევენ, რომ მას ადრენალინის გამოყოფა მოენატრა და გრძნობების მორევში ხელახლა გადაეშვა. სხვანი კი ფიქრობენ, რომ კრუზი ახალ ოჯახს თავდავიწყებით აშენებს და ბედნიერებისგან ბრწყინავს, რაც ნიკოლის მიერ ტიტულებისა და პრიზების მოსაპოვებლად გაწეულ ძალისხმევას აუფასურებს. ამიტომ, მას სიყვარულის კატასტროფული მოთხოვნილება გაუჩნდა და ის მამაკაცი მოძებნა, რომელიც ნიკოლს ისეთს მიიღებს, როგორიც არის.

2001 წლის 6 თებერვალს, ნიკოლი ბევერლი-ჰილზზე მდებარე საკუთარ სახლში ტელევიზორის წინ მოკალათებულიყო, დიქტორმა გაყინული ღიმილით და ოფიციალური ტონით, თითქოს ამინდის პროგნოზს აცხადებსო, მაყურებელს აცნობა, რომ ტომ კრუზმა ნიკოლ კიდმანთან განქორწინების თაობაზე სასამართლოში სარჩელი აღძრა. მოულოდნელობისგან ნიკოლს ჭიქა ხელიდან გაუვარდა, ტელეფონს ეცა და აკანკალებული თითებით ტომის ნომერი აკრიბა. პასუხად, ავტომოპასუხემ აუწყა, რომ ამ მომენტში მისტერ კრუზი მიუწვდომელია და რომ ნებისმიერ კითხვაზე პასუხს მისი აგენტი ლარი გასცემს. „მომიტევე ნიკოლ, შენთან დარეკვას თავად ვაპირებდი“, — უთხრა ლარიმ მისალმების ნაცვლად. „ნუთუ, ეს მართალია?“ — იკითხა კიდმანმა და იგრძნო, რომ გული სადღაც ყელში უცემდა. „ძალიან ვწუხვარ“, — ამოიხვნეშა დაღლილმა აგენტმა, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ...

„ძალიან ვწუხვარ“ — სწორედ ეს სიტყვები გაიმეორა ტომმაც ერთი კვირის ჯიუტი დუმილის შემდეგ, რომელმაც კარგად უწყოდა, რომ გააფთრებული ნიკოლი ტელეფონის სადენებს გლეჯდა, ისტერიკებს აწყობდა და ტრანკვილიზატორებს პეშვებით სვამდა. სხვის სახელზე დაქირავებულ ნომერში ჩაკეტილი ტომი, ცოლთან გარდაუვალი საუბრის ყველა შესაძლო ვარიანტს გონებაში ატრიალებდა, მაგრამ 7 დღის ფიქრის შემდეგ, როდესაც ტელეფონის ყურმილში ცოლის ხმა გაიგონა, ვერაფერი თქვა იმ მომაკვდინებელი... „ძალიან ვწუხვარს“ გარდა. „შენ არაფერს გაბრალებ, პრობლემა ჩემშია“... — ამბობდა კრუზი და კარგად ესმოდა, რომ იმას არ ამბობდა, რაც უნდა ეთქვა... „მეც კარგად ვიცი, რომ დამნაშავე არ ვარ, არაფერი დამიშავებია! მაგრამ გთხოვ, ამიხსენი რატომ?“ — ქვითინებდა ნიკოლი. „მაპატიე, უბრალოდ მეტი აღარ შემიძლია... ძალიან ვწუხვარ“, — ეს იყო უკანასკნელი, რაც ტომმა ნიკოლს უთხრა. ამის შემდგომ საქმეში ადვოკატები ჩაერთვნენ. კრუზის ინტერესებს დენის ვასერი წარმოადგენდა, რომელმაც თავის დროზე მაიკლ ჯექსონი პედოფილიის ბრალდებისგან იხსნა. ნიკოლმა კი, უილიამ ბესლოუ დაიქირავა, რომელმაც შერის განქორწინების პროცესებით გაითქვა სახელი.

კიდმანი ურბანის მოპოვებას ნებისმიერი ხერხით ცდილობდა და ამისათვის მისი ჩაცმულობის სგილსაც კი მიჰბაძა...

უკანასკნელი სატელეფონო საუბრიდან რამდენიმე დღეში, ნიკოლი საავადმყოფოში აღმოჩნდა. მან სასტუმროს ჰოლში გონება დაკარგა. მეტრდოტელმა „სასწრაფო დახმარება“ გამოიძახა და ნიკოლი კლინიკაში გადაიყვანეს, სადაც აღმოჩნდა, რომ ძლიერი ნერვული სტრესის შედეგად, მას მუცელი მოეშალა. ნიკოლი მანამდეც ეჭვობდა, რომ ორსულად იყო, მაგრამ ანალიზების პასუხამდე ტომს არაფერს ეუბნებოდა. იმისათვის, რომ 10 წლის ნანატრი შვილი მოეკლა, რომლის მოლოდინში ტომმა და ნიკოლმა 2 ბავშვი იშვილეს, ტომ კრუზს ერთადერთი უბრალო ფრაზა — „ძალიან ვწუხვარ“ — დასჭირდა...

მათ ერთმანეთი 1989 წელს ფილმის — „ქუხილის დღეები“ გადასაღებ მოედანზე გაიცნეს. ტომ კრუზი პირველ ცოლთან, მსახიობ მიმი როჯერსთან ახალი გაყრილი იყო. „პირველსავე წამებში ვიგრძენით, რომ რაღაც, ძალზე მნიშვნელოვანი რამ მოხდა“, — მოგვიანებით იხსენებდა კიდმანი. გაცნობის პირველსავე წუთებში, ორივე სიყვარულის ციებ-ცხელებამ შეიპყრო...

ეს კადრი პაპარაცი 2006 წლის იანვრის ბოლოს გადაიღო. ბუნებით ტანწერწეტა ნიკოლს, მუცელი შესამჩნევად გამოებზიკა. მსახიობმა უკანასკნელ ხანებში რამდენჯერმე განაცხადა, რომ ახლა დიდხანს ველარ მნახავთო. ამ ფოტოსურათმა მის სიტყვებს ახსნა მოუნახა – ნიკოლი ორსულად არის!

ტომ კრუზისა და კეტი ჰოლმსის ბიჭუნა მარტში მოევლინება ქვეყნიერებას. „მუცლების შეჯიბრში“ ჰოლმსმა კიდმანს რამდენიმე თვით გაუსწრო

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა ღვალი

უბის წიგნაკიდან:

1. აჯილღა დაუკოდავი ცხენია.
2. „ღამურა“ და „მღამიობი“ სინონიმებია.
3. ფული პესიმისტისგან უნდა ისესხო.
4. ზამბურაკი მცირეკალიბრიანი ზარბაზანია.
5. პატარა ტანის მოძრავ ადამიანს, კუსპარას ეძახიან.
6. ჩამოხრჩობილის ოჯახში ჰალსტუხსაც კი არ ახსენებენ.
7. თოკზე მოსიარულე ჯამბაზს ძველად, მუშაითი ერქვა.
8. ანტილოპა გნუს, ცხენისა და ეშმაკის ჰიბრიდს ეძახიან.
9. ლეკვები კბილებს ოთხიდან შვიდი თვის ასაკამდე იცვლიან.
10. კავალერისტები ცხენებზე უზანგის დაუხმარებლად სხდებიან.
11. „სიღარიბე არავის იბრალებს“, — ამბობს „დონ კიხოტში“ დულსინეა.
12. ახალ ზელანდიაში მობინადრე ხვლიკი ტუატარა 4 საუკუნე ცოცხლობს.

13. მაიას ტომის კალენდრის მიხედვით, 2012 წლის 23 დეკემბერს, სამყაროს აღსასრული დადგება.
14. „ღმერთს ადამისთვის გველის ჭამაც რომ აეკრძალა, ადამი გველსაც შეჭამდა“, — ამბობდა მარკ ტვენი.
15. „ნა სვეტე ნეტ ზდაროვიხ ლიუდეი, იესტ ნედააბსლედოვანნიე“, — ბოროტად იღიმებიან რუსი ექიმები.
16. პირველ მსოფლიო ომში შეერთებული შტატები მას შემდეგ ჩაერთო, რაც გერმანულმა წყალქვეშა ნავმა ამერიკული ლაინერი „ლუსიტანია“ ჩაძირა.
17. ალექსანდრ სელკირკი, რობინზონ კრუზოს პროტოტიპი იყო. უკაცრიელ კუნძულზე ცხოვრებისას, მას პარასკევა არ ჰყოლია.
18. თბილისის „დინამოს“ ყოფილი მეკარე ოთარ გაბელია 3 ბიჭის მამაა. მისი მეუღლე, გერგეტა კუტალია პირველი კლასიდან მოყოლებული, მასთან ერთად სწავლობდა ზუგდიდის სკოლაში.
19. დიდი სამამულო ომის შემდეგ, მოსკოვში წითელ მოედანზე გამართულ აღლუმზე საბჭოთა ჯარისკაცებმა ნადავლის სახით, ბერლინიდან წამოღებული 200 ნაცისტური ალამი დაყარეს მავზოლეუმის წინ.
20. სარაევოში სერბების მიერ დაჭრილი ავსტრიის ერცჰერცოგი ფრანც-ფერდინანდი იმ მიზეზით გარდაიცვალა, რომ ჭრილობის დასამუშავებლად, მისი მუნდირის ყველა ღილის

შეყვარებულმა წყვილმა ახალჩასახული გრძნობა საიდუმლო საბურვლით შემოსა. ტომმა ნიკოლი პარაშუტით ხტომების სიყვარულს აზიარა. როგორც ამბობენ, ჰაერში 180 კმ/სთ სიჩქარით მფრინავმა კრუზმა სალტოც კი გააკეთა, რომ სატრფოს ბაგეებზე ამბორი აღებეჭდა და სწორედ მაშინ წარმოთქვა ის სიტყვები, რომელმაც ნიკოლის ახალ ცხოვრებას დასაბამი მისცა: „მე იდეალური ქალი მჭირდება. კომპრომისებს ვერ ავიტან“. მომდევნო ათი წლის მანძილზე, ნიკოლი ქმარს მუდამ უმტკიცებდა, რომ ის მართლაც იდეალური ქალი იყო. ამერიკის საყვარელი შვილისა და ავსტრალიელი მსახიობის ქორწინებამ, ყველა გააოგნა. ერთგულების ფიცი 1990 წლის შობის ღამეს კოლორადოში მდებარე რანჩოში დაიდო. მეჯვარეები დასტინ ჰოფმანი და პატარძლის და — ანტონია იყვნენ. ნეტარების ზენიტში მყოფმა ნიკოლმა განაცხადა: „ტომი ჩემზე ნარკოტიკივით მოქმედებს. ისე მიყვარს, როგორც ღმერთი. ის ყველაზე სექსუალური მამაკაცია მათ შორის, ვისაც კი ოდესმე ვიცნობდი“.

ჰოლივუდის ბომონდი ნიკოლს ყველანაირ ცოდვაში სდებდა ბრალს. „ეს ავსტრალიელი ყველაფერზე მიდის, რომ მისის კრუზი გახდეს“, — გაისმოდა შურიანი სისინი და ნიკოლმაც საკუთარი სიყვარულის დასაცავად გამომწვევად განაცხადა: „წადით თქვენი... ეს ჩემი ცხოვრებაა!“ მოშურნეთა გულის გასახეთქად, განზრახ უტრირებული ავტრალიური აქცენტით, ყველა ინტერვიუში აცხადებდა: „დაე, ვიყო პროვინციელი, სამაგიეროდ, როგორი ქმარი ჩავიგდე ხელში?!“ და ქორწინებიდან 8 წლის შემდგომაც კითხვაზე, თუ რითი ამაყობს ყველაზე მეტად? ნიკოლმა დაუფიქრებლად უპასუხა: „ჩემი ქმრით“.

მიუხედავად ამისა, ნიკოლს მხოლოდ ტომ კრუზის მშვენიერი ნახევრის სახელი ნამდვილად არ აკმაყოფილებდა და ხშირად ამბობდა: „რა თქმა უნდა, ცნობილი ვარსკვლავი არა ვარ და არცთუ ისე ბევრ ფილმში მითამაშია, მაგრამ პრესა რატომღაც მხოლოდ ტომ კრუზისა და მისი ცოლის შესახებ საუბრობს. გთხოვთ, კარგად დაიმახსოვროთ, რომ მე გვარად კიდმანი ვარ!“

უნდა ითქვას, რომ ამას, პირველ რიგში, არასდროს ივიწყებდა თავად. იმ 10 წლის მანძილზე, რომელიც ნიკოლმა ტომ კრუზთან ერთად გაატარა, მისი კარიერა წარმატებით ვითარდებოდა. მსახიობი, რომელიც თავდაპირველად, ლამაზ გამყიდველ გოგონას ჰგავდა, კინობომონდის არისტოკრატად გადაიქცა, რომელსაც გასვან სენტის, ჯეინ კემპიონისა და სხვა სახელოვან რეჟისორთა ფილმებში იწვევდნენ.

სიმბოლურია ის ფაქტი, რომ ნიკოლი და ტომი ერთმანეთს გადასაღებ მოედანზე შეხვდნენ და ფაქტობრივად, იქვე დაშორდნენ. დიდი სტენლი კუბრიკის ფილმი — „ფართოდ გახელილი თვალები“ ამ წყვილის უკანასკნელი ერთობლივი ნამუშევარი აღმოჩნდა, რომლის გადაღებების დროს, ტომმა და ნიკოლმა ფაქტობრივად, განსხვავებული ცხოვრებით იცხოვრეს, სხვა სიყვარული განიცადეს, ისე რომ, მსახიობების გმირებისაგან გამორჩევა, შეუძლებელი შეიქნა. მსახიობებმა ინტიმურობის წარმოუდგენელ სიმაღლეს მიაღწიეს და ეს მხოლოდ სასიყვარულო სცენებში როდი მჟღავნდებოდა. მათი სასიყვარულო სცენები მთელი მსოფლიოს თვალწინ, მინის გისოსებს მიღმა თამაშდებოდა. ტომ კრუზმა და ნიკოლ კიდმანმა მთელი გრძნობები კინოში დახარჯეს და ცხოვრებისთვის აღარაფერი შემოინახეს. ისინი, ვისაც სტრიქონებს შორის დაწერილი აზრების წაკითხვა ძალუძთ, კარგად მიხვდნენ, რომ ვარსკვლავური წყვილის რომანი, სამწუხარო ფინალს უახლოვდებოდა და არც შემცდარან...

თვალნათლივ ჩანს, რომ ნიკოლს კრუზი ჯერ ისევ უყვარს. როდესაც კიდმანმა პრესის ფურცლებიდან ექსმეუღლისა და მომხიბლავი პენელოპა კრუსის რომანის დასრულების (2004) შესახებ შეიტყო, ტომს ვარდების უზარმაზარი თაიგული გაუგზავნა. ნიკოლს ჯერ კიდევ სწამდა, რომ მათი ურთიერთობის აღდგენა შესაძლებელი იყო. მსახიობმა ძალ-ღონე მოიკრიბა, ერთდროულად რამდენიმე ფილმში ითამაშა, ყველაფერს აკეთებდა, რომ მისი ცხოვრების უმთავრესი მამაკაცისთვის თავი შეეხსენებინა. „ის კიდევ იამაყებს იმით, რომ ოდესღაც ჩემი ქმარი იყო!“ ნიკოლ კიდმანი ბედნიერებას იმსახურებს, ნამდვილად იმსახურებს, რომ დრომ ჭრილობები მოუშუშოს და რწმენა დაუბრუნდეს, განსაკუთრებით ახლა, როდესაც უცნაური ნაბიჯის გადადგმას და კიტ ურბანთან დაქორწინებას აპირებს. იქნებ, გონს მოეგოს? მაგრამ პაპარაცების მიერ გადაღებული ფოტო, სადაც ნიკოლს უკვე საკმაოდ წამოზრდილი მუცელი ამშვენებს, მის თაყვანისმცემლებს უკანასკნელ იმედებს უკარგავს...

P.S. ამასობაში დასავლური პრესა ისევ აფორიაქდა: ამ დღეებში ჟურნალ Life&Stryle-ის ფურცლებზე გამოქვეყნებულმა პუბლიკაციამ მკითხველს აუწყა, რომ ტომ კრუზისა და კეტი ჰოლმსის რომანი ნელ-ნელა დასასრულს უახლოვდება. წყვილი ცდილობს, მოჩვენებითი სიყვარულის მგზნებარე სცენები ბავშვის დაბადებამდე გაითამაშოს, შემდეგ კი მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს. მართალია, კრუზის წარმომადგენელი არნოლდ რობინსონი ირწმუნება, რომ ეს ამბავი 100%-იანი სიცრუეა, მისტერ კრუზი და მისის ჰოლმსი ისევ დანიშნულები არიან, მომავლის გეგმებს სახავენ და ბედნიერი ოჯახის შექმნას აპირებენო, მაგრამ ჟურნალის წარმომადგენელი კვლავ ამტკიცებს, რომ ეს მხოლოდ თამაშია და სხვა არაფერი. ინფორმაციის წყაროდ კი კრუზის ახლობელი სახელდება, რომელმაც საკუთარი ვინაობის გამჟღავნება არ მოისურვა. ასე რომ... გაგრძელება იქნება.

■



სოსო პავლიაშვილი ქურნალ Отдохни!-ს მკითხველებს აჯილდოებს

ჟურნალ Отдохни!-ს ერთ-ერთ ნომერში მომღერალმა სოსო პავლიაშვილმა საუკეთესო საახალწლო სადღეგრძელოზე კონკურსი გამოაცხადა. რედაქციაში მომღერლის საიტზე უამრავი წერილი მივიდა. სოსო პავლიაშვილმა გამარჯვებული თავად გამოავლინა. მთავარი პრიზი მოსკოვის გარეუბნის მკვიდრმა, მძღოლმა სერგეი ტროფიმოვმა მიიღო, რომელმაც რედაქციაში ერთის ნაცვლად რამდენიმე მშვენიერი სადღეგრძელო გაგზავნა. ერთი მათგანი კი სოსოს განსაკუთრებით მოეწონა: „ერთმა მდიდარმა ძუნწმა, ოქრო მიწაში ჩამარხა, რომ ეს სიმდიდრე არ დაეკარგა ან არ დაეხარჯა. ძუნწი დროდადრო ამოწმებდა, ადგილზე იყო თუ არა მისი საგანძური. ერთხელ, ქურდი ფეხდაფეხ გაჰყვა, ოქროს მიაგნო, ამოთხარა და მის მაგივრად მიწაში ქვები ჩამარხა. როდესაც მდიდარმა დანაკარგი აღმოაჩინა, მწარედ აქვითინდა. ამ დროს ზეციდან ხმა შემოესმა: „რატომ დარდობ?! ამ ფულის დახარჯვას ხომ ისედაც არ აპირებდი? ამიტომ, რა მნიშვნელობა აქვს შენთვის, რა იდება მიწაში, ქვები თუ ოქრო?! მაშ გაუმარჯოს იმას, რომ ამ ფულმა ჩვენ და ჩვენს ახლობლებს სიხარული გვაჩუქოს, თორემ უფალი ჩვენს სიმდიდრეს უსარგებლო ქვებად გადააქცევს“. — ამ ფილოსოფიური იგავის ავტორს სოსო პავლიაშვილმა ჯილდოდ 1 ბოთლი საფირმო ღვინო, დისკი და ავტოგრაფიანი პლაკატი გადასცა. ■

პიტ დოერტის „ციხის დღიურებში“

ბრიტანულმა გაზეთმა The Guardian-მა მკითხველს ჯგუფ Babyshambles წევრის, პიტ დოერტის „ციხის დღიურების“ ნაწყვეტები გააცნო. მკითხველს შევახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ, მუსიკოსმა ჰეროინისა და კოკაინის შენახვის გამო, ციხის საკანში 2 კვირა დაყო. მოულოდნელად გამოჩენილი თავისუფალი დრო, დოერტიმ საკუთარი აზრების ქაღალდზე გადასატანად გამოიყენა. პიტ დოერტი სასამართლოს 8 თებერვლის გადაწყვეტილების თანახმად, ციხიდან გაათავისუფლეს და მას „12 თვით საზოგადოებრივი სამუშაო და სარეაბილიტაციო კლინიკაში მკურნალობა“ მიუსაჯეს. დოერტი ამბობს, რომ ციხის საკანში ჯდომა მისთვის ერთდროულად, სასაცილოც იყო და ამასთან, სავალალო გამოცდილებაც შესძინა. მეზობელი საკნის მკვიდრმა პატიმრებმა მუსიკოსი იცნეს და მასთან დაკავშირებას ნებისმიერი გზით ცდილობდნენ: „ნარკოტიკებს გარეშე ცხოვრებაც კი არ ღლის ადამიანს იმაზე მეტად, ვიდრე ამ პანოპტიკუმში ყოფნა“, — აღიარა დოერტიმ და დასძინა, რომ ციხიდან გამოსვლის შემდგომ, მტკიცედ გადაწყვიტა, ნარკოტიკებს თავი დაანებოს: „ნარკოტიკები ადამიანის მთელ ფულს, სიყვარულსა და ცხოვრებას შთანთქავენ“. პუბლიკაციის მთელ ჰონორარს ავტორი და The Guardian-ის რედაქცია ფონდ Prison Reform Jrust-ს გადაურიცხავს, რომელიც ფინანსურად უზრუნველყოფს ბრიტანულ ციხეებში პატიმართა ადამიანურ ყოფას. ■

ქურნალმა Playboy-მ ჯესიკა ალმა საუკეთესოთა შორის საუკეთესოდ აღიარა

ჟურნალმა Playboy-მ ფილმების — „ცოდვათა ქალაქი“ და „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება სამოთხეში“ — ვარსკვლავი, მსახიობი ჯესიკა ალბა 2005 წლის ყველაზე სექსუალურ ადამიანად აღიარა. მამაკაცთა პოპულარული ჟურნალის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით შედგენილ სიაში ჰოლი ბერი, პამელა ანდერსონი, კარმენ ელექტრა და ჯენიფერ ენისტონიც მოხვდნენ. უკვე ჩამოყალიბებული ტრადიციის თანახმად, ჯესიკა ალბას საკმაოდ თამამი ფოტოსურათები ჟურნალის პირველ გვერდზე გამოქვეყნდება, რათა მკითხველი საკუთარი არჩევანის სისწორეში კიდევ ერთხელ დარწმუნდეს. ჯესიკას მართლაც რომ სექსუალური ფოტოები კი, საიტ The Place.ru-ს ფოტოგალერეაში შეგიძლიათ იხილოთ. ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა ღვალი

უბის წიგნაკიდან:

გახსნას ძალზე ბევრი დრო დასჭირდა. მისი დაღუპვა კი, პირველი მსოფლიო ომის დაწყების საბაბად იქცა.

21. პიკასოს ყველაზე ადრეულ ნახატებს დღევანდლამდე თითქმის არ მოუღწევია. იმ პერიოდში, მხატვარს შეშის ფული არ ჰქონდა და გასათბობად, საკუთარ სურათებს ღუმელში წვავდა.

22. ერთ-ერთ გამოსვლაში პაროდისტი მაქსიმ გალკინი დასცინოდა სოფია როტარუს: ეს ქალი სიმღერის შესრულების დროს, მაყურებელთა დარბაზში მიკროფონით ხელში დადის და მისთვის თუ სხვისთვის განკუთვნილ თაიგულებს ისეთი გულმოდგინედ აგროვებს, რომ მას შემდეგ სცენაზე გამოსული ლეონტიევისთვის მაყურებელს ღერი ყვავილიც აღარ რჩებაო.

23. შუა საუკუნეების ინგლისში ლუდის მხარშველებს თავიანთ გილდიაში ახალბედა ოსტატი რომ მიეღოთ, საჭირო იყო, ამ უკანასკნელს ისეთი ლუდი მოეხარშა, რომლის სქელ ქაფზეც საკუთარი ავტოგრაფის გაკეთებას შეძლებდა.

24. ფერადი ტელევიზიის ამერიკული სისტემის, TSC-ს შემუშავებისა და გამოცდისას, კამერის წინ ხილით სავსე ვაზას დგამდნენ, მეორე ოთახში მყოფი ექსპერტები კი ამ დროს, ეკრანზე გადმოცემულ ფერთა ხარისხს ამოწმებდნენ. საბოლოო გამოცდისას, რომელსაც ამერიკის წამყვან ტელეკომპანიათა წარმომადგენლები ესწრებოდნენ, მოხდა გაუგებრობა — ეკრანზე გამოჩნდა ვაზა, რომელზეც იდო წითელი ვაშლი, ნარინჯისფერი ფორთოხალი, მწვანე ყურძენი და... ლურჯი ბანანი. ამ ამბავმა გამომცდელები შოკში ჩააგდო, თუმცა, მალევე გაირკვა სისტემის „გაუმართაობის“ მიზეზი: გამოცდამდე ცოტა ხნით ადრე, ერთ ხუმარა ლაბორანტს ბანანის ლურჯად შეღებვა მოესწრო.

25. ერთხელ, მდინარე ტემზაზე ნავით მოსეირნე რამდენიმე ინგლისელ ჯენტლმენს ნავი გადაუბრუნდა. ცურვით გააღწიეს უკაცრიელ ნაპირამდე და სველი ტანისამოსი გასაშრობად გაკიდეს. ამ დროს გამოჩნდა მეორე ნავი, რომელშიც ქალბატონები ისხდნენ. მამაკაცებმა ჩაცმა ვეღარ მოასწრეს და ტანისამოსი სასწრაფოთ შიშველ გენიტალიებზე აიფარეს. მათ შორის ყველაზე საზრიანმა, პერანგი მარტო თავსა და სახეზე გადაიფარა.

რუსუდან ბერიძე

(დასაწყისი იხ. გზა №42-7)

თქვენ

ახალგაზრდა ექიმი ლანა მესხი კოლეგის, გიზო ვაშაკიძის მეგობრის, გივი გიგაურის ფარმაცევტულ ფირმაში მუშაობს. გივის სურს, ლანას ბებიის, რაჭაში ცნობილი სახალხო მკურნალის რეცეპტებით დამზადებული წამლები გამოუშვას. ლანა სოფელში ბებიის სანახავად მიდის... მანამდე, მის ცხოვრებაში ახალგაზრდა ბიზნესმენი ლევან ქართველიშვილი გამოჩნდება, რომელიც მალე გერმანიაში სტაჟირებაზე მიდის. ლევანი ქვრივია და 6 წლის ქალიშვილი ჰყავს... სოფელში ლანას მოულოდნელად, გიზო მიადგება კარზე, მაგრამ ვერც ლანას და ვერც ბებიამისს გივის წინადადებაზე ვერ დაითანხმებს...

ლანასა და გივის მდივანს, თინიკოს ეჭვი აქვთ, რომ გიგაური ნარკოტიკებით ვაჭრობას მისდევს და ფიქრობენ, რომ ის მალე, მახეში გაებმება, მაგრამ მოვლენები სულ სხვაგვარად განვითარდება: გიგაურის კვალში ჩამდგარი პოლიციელები ნარკოტიკებს რატომღაც, მის კაბინეტში შემთხვევით დარჩენილ ლანას პიჯაკში იპოვიან... საკანში ლანას, სხვადასხვა დანაშაულში ეჭვმიტანილი სამი ქალი ხვდება. ერთ-ერთ მათგანს — ლიზის, ლანა უმალვე დაუახლოვდება. ლევანის ფირმის ადვოკატის, ირაკლი იაშვილისა და თინიკოს საქმროს, ლაშა ინწკირველის მონდომებისა და ლევანის მიერ გირაოს გადახდის შემდეგ, ლანას მალევე გამოუშვებენ. თუმცა, პატიმრობაში გატარებული რამდენიმე დღე, განსაკუთრებით, ლიზის მიერ ჩადენილი თვითმკვლელობა, მის სულს იმდენად მძიმე დაღს დაასვამს, რომ ყველაზე ახლო და ერთგულ ადამიანებთან ურთიერთობაც კი აღარ სურს. თამარი შვილს ცოტა ხნით რაჭაში, ბებიასთან წასვლას ურჩევს... მანამდე, ლანა ლიზის მეზობელ მარი მეტრეველს მოძებნის და მის წერილებს გადასცემს. უკან წამოსული, აცრემლებული ლანა ლიფტთან შემთხვევით გადაეყრება ლევანს, რომელიც თურმე, იმავე კორპუსში ცხოვრობს. კაცი ლანას თავისთან ასვლას შესთავაზებს. ყოყმანის შემდეგ, ლანა დათანხმდება და ქალ-ვაჟი პირველ სასიყვარულო ღამეს გაატარებს...

დილით ლანა შხაპის მიღებას გადაწყვეტს და ლევანის კარადაში სუფთა პირსახოცის ძებნისას, შემთხვევით, საკუთარ ლიფს გადააწყდება. ლევანი ცდილობს, აუხსნას, თუ როგორ მოხვდა ეს ნივთი მასთან: მართალია, ეს ლიფი გივი გიგაურს წავართვი, მაგრამ შენს პატიოსნებაში ეჭვი არ შემპარვიაო.

ლანას დედა ურეკავს და ბებიის ავად გახდომის ამბავს ატყობინებს. ლევანი საკუთარი მანქანით წაიყვანს ლანას სოფელში, მაგრამ ქეთოს ცოცხალს მაინც ვერ მიუსწრებენ... თამარი ალმაცერად უყურებს ლევანს და შვილისგან მოითხოვს, რომ კაცმა იქაურობა დატოვოს. ამ დროს, დედა-შვილს ლაპარაკს შეაწყვეტინებს თამარის ძმისშვილი გოგა, რომელიც მოულოდნელად შემოეჭრება ოთახში და მამიდას ახარებს — სიძე გიშოვეო!..

— რა თქვი? — ისევ გულზე იტაცა ხელი თამარმა, ლანა კი მაშინვე გოგას ეცა:

— მთლად გაგიჟდი, ბიჭო?! რაებს მიედ-მოედები?! ამხელა კაცმა ის მაინც არ უნდა იცოდე, როდის რა ილაპარაკო?

— „მალჩატ, ჟენშინა!“ — თვალები გადაუბრიალა მას გოგამ. — ჯერ მამიდაჩემს ველაპარაკები!

— აბა, ახლავე დადუმდით ორივენი! — დაუტატანა შვილსა და ძმისშვილს თამარმა.

— მე კი დავდუმდები, მარა ის კაცი ხვალ-ზეგ მაინც მოგადგება კარზე ქალის ხელის სათხოვნელად და არ გირჩევნია, მომზადებული დახვდე? — თავისას არ იშლიდა გოგა.

— ვინ კაცი?.. რა ქალის თხოვნა? — შუბლი შეიკრა თამარმა. — მართლა და მართლა, რას სულელობ?! დაგავიწყდა, შუა ოთახში მკვდარი ბებია რომ გისვენია?

— ქეთოს თავს ასე უცბად რა დამავიწყებს, შე ქალო?!. — იწყინა გოგამ. — მარა გულზე ხელი დეიდე და ისე მითხარი, იმაზე მეტად ვის გაეხარდებოდა ლანაუკას კარგი ბედ-იღბალი?

— მერე რა ვქნა ახლა? — ხელები უმწეოდ გაშალა თამარმა. — დედაჩემის დატირებას თავი დავანებო და ლანას ბედიღბალზე ვიდარდო?

— შენც კარგი ვინმე ხარ, ხომ იცი, ამის სისულელეებს რომ უსმენ! — ბრაზიანად გადაულაპარაკა თამარს ლანამ და ოთახიდან დემონსტრაციულად გავიდა, თუმცა მალევე, გამეხებული, უკან შემობრუნდა.

— ახლა რაღა მოხდა? — ჰკითხა თამარმა.

— ბიჭო, შენ მართლა ხომ არ გაუბერე?! — დედისთვის ყურადღება საერთოდ აღარ მიუქცევია, პირდაპირ გოგას ეცა ლანა — იმ უცხო კაცს რომ კიბესთან აცდევინებ და შენ აქ ათას სისულელეზე ლაქლაქებ, არ გრცხვენია?

— ვინ კაცი? — მაშინვე ყურები ცქვიტა თამარმა. — კიდევ ვინ ოხერი მომაყენეთ კარზე?

— ოხერი კი არა, ნიკოლოზა დვალია, გაღმა სოფლიდან. — ფეხზე ზლაზვნით წამოდგა გოგა. — კინაღამ მართლა არ დამავიწყდა?.. ფულის წასაღებადაა გამოსული.

— რა ფულის? — დაინტერესდა თამარი. — შენ გმართებს რამე?

— არა, საკლავის ფულს ითხოვს.

— რის ფულს? — ვერ მიუხვდა თამარი.

— მართალა რა დაგემართა, შე ქალო? — გაკვირვებით გადახედა გოგამ მამიდას. — ქეთოს ქელეხისთვის საკლავი ხომ გვჭირდება!

— მერე?

— მერე, მე და მამაჩემმა გევირბინეთ ამ დილით ნიკოლოზასთან და კაი მოზრდილი ხბო შევიგულეთ...

— კი, მაგრამ საკლავზე გაღმა სოფელში რომ არ გერბინათ, აქ არავის არაფერი ჰყავდა?

— ქე ჰყავთ, მარა ხომ იცი, ასეთ დროს რავარც ხდება?.. ფულს ჩვენგან ვერ აიღებენ და ჩუქებითაც ვერ გვაჩუქებენ: მაინც, ყველას თავისი უჭირს, ნიკოლოზას კიდო, მთელი ფერმა ჰყავს. მიხვალ, გადოუხდი ფულს და შენ თვალწინ დაკლავს, გაატყავებს, თუ გინდა, აქნის კიდეც და ისე გამოგატანს, აპა?!.

— გამოდის, რომ ყასაბი ყოფილა ეგ შენი ნიკოლოზა, ხომ? — ლაპარაკში ჩაერია ლანა.

— ყასაბი უძახე შენ! ფული მაგას აქვს და ცხოვრება. მაგის სახლში რომ შეხვალ, პარიზში გეგონება თავი, იმფერად აქვს ყველაფერი მოწყობილი...

— ნეტავ, პარიზში როდისღა იყავი?.. — გააწყვეტინა გოგას ლანამ.

— მე თუ არ ვიყავი, ნიკოლოზაა ნამყოფი... ის კი არა და, მთელი ევროპა აქვს მოვლილი... ერთხელ კი, თლათ ჩრდილოეთ პოლუსზეც ამოყო თურმე, თავი, აპა?!.

— იქ რაღა დაკარგა?.. თეთრი დათვე-

ბის ფერმის მოშენებასაც ხომ არ აპირებს? — ენამწარობას განაგრძობდა ლანა.

— არა, იქ შემთხვევით მოხვდა, მარა იმფერი ამბები გადახდა თურმე თავს, რომ... გინდა, მოგიყვე?

— გადი, ბიჭო, ჯერ ის კაცი გაისტუმრე! — შეუტია ქადაგად დავარდნილ გოგას თამარმა.

— ფულს თუ არ მომცემ, რაფერ გევისტუმრო?

— რა ფულს? — შეწუხდა თამარი. — მე ფული ვინ მომცა?

— რავა? — თვალები ეშმაკურად მოწკურა გოგამ. — შენმა რეზოუკამ სულ არაფერი გამოგატანა?

— რას გეტყვი, იცი?.. — დოინჯი შემოიყარა თამარმა. — შენ და მამაშენს რომ ერთი დღეც მოგეცადათ, ამოვიდოდა ჩემი ბიჭი და ყველაფერს მართლა ის მიხედავდა...

— რას ამბობ, ქალო?! — გააწყვეტინა თამარს გოგამ. — ხომ დაგვრჩებოდა ქეთო გოუსვენებელი!.. როდის იყო, რეზოუკა თავს ვინმესთვის იწუხებდა?!

— ა, ბატონო, ესეც მე ვარ?! — ნიშნის მოგებით გადახედა გაწბილებულ თამარს ლანამ.

— ნუ იკბინებით! — მაინც შეუტია შვილს და ძმისშვილს თამარმა. — ჩემს ბიჭს მართლა სერიოზული მიზეზი აქვს, თორემ, აქ პირველი ჩამოვიდოდა...

— ძაან მეშინია, იმ სერიოზულმა მიზეზმა ბებიის გასვენებაში კი არა, ქელეხშიც არ დაგვიანებიოს... — თვალები ისევ ეშმაკურად მოწკურა გოგამ.

— აბა, ახლავე აქედან გაქრი! — კარისკენ უბიძგა მას საბოლოოდ საქციელწამხდარმა თამარმა.

— უფულოდ ვერსად წავალ-მეთქი, ხომ გითხარი?.. — გაჯიუტდა გოგა.

— აბა, მე საიდან მოგიტანო ეს ოხერი ფული? ამ დალოცვილმაც რა ყელში წაგიჭირა ხელი?! ერთი-ორი დღე რომ გვაცალოს, რა მოხდება?

— ბიზნესი წოუხდება, მამიდაჩემო, ბიზნესი!.. — თამარს სუსტ მხრებზე თავისი ტორები დააწყო გოგამ. — ასე რომ, გადი ახლა და „კრაოტქვეშ“ რომ ზანდუკია, ის გახსენი და გამეიტანე ფული!

— იქაც რომ არაფერი იყოს? — შეწუხდა თამარი.

— რას ამბობ?! რავარც ღორს ტილი არ გამოელევა, ისე იმ ზანდუკში არასოდეს გამოლეულა ფული!.. მერე კიდო, ამ ორი კვირის წინ, თბილისიდან ამოაკითხა ქეთოს ერთმა ფულიანმა კაცმა, ჩემ თვალწინ, ზედ ქეთოს ფეხებთან დაემხო და სულ ხელები უკოცნა: შენმა წამალმა ერთადერთი შვილიშვილი სიკვტილს გადამირჩინაო, აპა!

— რა, მერე, შე ქალო?! — შეიცხადა გოგამ. — იმ კაცმა ქეთოსთან ამოყოლაში ოცი დოლარი მაჩუქა და ქეთოს ასს მაინც აღარ მისცემდა?! ჰოდა, ნუღა მალაპარაკებ, გადი და გამეიტანე ის ოხერი ფული! მეც ქე მაქ ცოტა, მარა მაკლდება და რა ვქნა...

— კარგი... — ცრემლი მოერია თამარს. — ჯერ არ მინდოდა საწყალი დედაჩემის ნივთებისთვის ხელის ხლება, მაგრამ სხვა რაღა გზა მაქვს?!

— ლევანი რა იქნა? — თამარის გასვლისთანავე ეცა გოგას ლანა.

— რაიონში დარჩა: ამეღამ ბებიაჩემთან ავალ სოფელში და ღამეს იქ გავათევო. რა იყო, უკვე მოგენატრა?..

— ნუ სულელობ, რა!

— ვსულელობ, თუ არა, უკვე მთელი სოფელი თქვენზე კი არ ლაპარაკობს!.. მზე და მთვარესავით შვენიან ერთმანეთსო...

— სოფელს მეტი სალაპარაკო არაფერი აქვს? — გაღიზიანდა ლანა.

— მეტი რა უნდა ჰქონდეს?! — ისევ არხეინად განაგრძო გოგამ. — კინო აქ არ არის და თეატრი. აქოურების გასართობი, ქორწილებსა და ქელეხებში სიარულია... ისე, ამ ბოლო ხანებში, ქელეხებმა ნამეტანი იმატა, ხო იცი, შენ... ჰოდა, აცალე ხალხს, გეიხაროს. იციან, რომ ქეთოს ქელეხს შენი ქორწილი მოჰყვება. თანაც, სასიძოც რომ ნამეტანი მოსაწონი შეგხვდა: გარეგნობით ხომ არაფერი დაეწუნება და კაცობაშიც არაფერი ეშლება; რომ გეიკრა ჯიბეზე ხელი, ველარ გავაჩერე... ქეთოს სასვენებლის ფულიც იმან გადეიხადა და ყველა დანარჩენი წვრილმან-მსხვილმანისაც... მოვატყუე, ნიკოლოზას ჩვენი ფული მართებს და საკლავში უნდა გამოვუქვითოთ-თქვა, თუ არა, იმის ფულსაც გადეიხდიდა.

— გაგიჟდი, ბიჭო?! — შეიცხადა ლანამ. — უცხო კაცს ასვენებინებ საკუთარ ბებიას? ან მამაშენი რა ჭკუაზეა, შენისთანა სულელს რომ ჩააბარა საქმე?

— ისე, შენც მართალი ხარ, — დაეთანხმა გოგა. — ამ საქმეს მე ვინ მანდობდა, მარა ლევანას რომ ახედ-დახედა მამაჩემმა, მართლა მე მომცა ერთი-ორი „კაპიკი“... მერე, უკანაც რომ თითქმის ხელუხლებელი ამოვუტანე, ერთი კი გედირია კაცი: სტუმარ კაცს ფული რავა გადაახდევინეო?! მარა მაინც ქე ჩეიცურა ჯიბაში... ისე, თლად არც გეემტყუნება საწყალ კაცს: ძაან გაჭირდა სოფელში ნაღდი ფული...

ცოტა ხანში, თამარმა ძმისშვილს ფული შემოუტანა და ისიც მაშინვე მართლა უკვალოდ გაქრა. ამის შემდეგ, ოთახში კარგა ხნით სრული სიჩუმე ჩამოწვა.

— შენი ვაუბატონი სადღაა? — დუმილი დიდხანს მაინც ვერ მოახერხა თამარმა.

— გოგას ვერ ჰკითხე?! ყველაფერს დაწვრილებით გადმოგილაგებდა, — პირდაპირ პასუხს თავი აარიდა ლანამ.

— მაგ გადარეულის კითხვას, ბარემ, შარაზე გავალ და მთელი სოფლის გასაგონად ვიკითხავ, ჩემს ქალიშვილს რომ ვიღაც ოხერი ჰყავს გადაკიდებული, სად წავიდა-მეთქი?..

— კარგი, — დაყაბულდა ლანა, — რაკი ასე გაინტერესებს, გაგახარებ: დღეს ვერ ნახავ, რადგან თავის სოფელში, საკუთარ ბებიასთან ათევს ღამეს.

— იმედია, თბილისშიც იქიდანვე წაბრძანდება...

— ო-ო, აი, აქ კი გული უნდა დაგწყვიტო: არა მგონია, ბებიაჩემის გასვენებაში არ ამოვიდეს.

— გასვენება და არგადარჩენა ჩემს მტერს! — უმისამართოდ დაიწყევლა გაღიზიანებულმა თამარმა.

— შენს მტერს ანუ ლევანს, ხომ?! — ბოღმიანად ჰკითხა ლანამ.

— მე ეგ არ მითქვამს, — იუარა თამარმა.

— პირდაპირ არ გითქვამს, მაგრამ ხომ იგულისხმე!

— მე რა ვიგულისხმე და რა — არა, ეს მხოლოდ ჩემი საქმეა, — ხმას აუწია თამარმა. — დედაჩემის გასვენებაში კი, მაგის ფეხი არ ვნახო! გასაგებია?

— ბებიაჩემის გასვენებაში მილეთის

ხალხი მოიყრის თავს და რაღა ლევანი არ უნდა იყოს?! — მაინც არ შეეპუა დედას ლანა.

— არ უნდა იყოს და მორჩა! — საკუთარ გადაწყვეტილებას ბეჭედი დაუსვა თამარმა.

— მაშინ, როგორც კი დაინახავ, მიდი და ეგ სიტყვები თავად უთხარი!

— თუ თავისას არ დაიშლის, უარესსაც ვეტყვი! — ვალში არ დარჩა შვილს თამარი...

ქეთოს გასვენებაში მართლაც, მილეთის ხალხმა მოიყარა თავი, თუმცა ქელეხში ცოტა ვინმე თუ დარჩა. გოგას სიტყვებიც ლამის ბოლომდე ახდა: რეზომ ბებიის გასვენებას ძლივს ამოუსწრო და თამარის გულის გასახეთქად, მისი თანასოფლელების გაკილვის ობიექტიც გახდა. სამაგიეროდ, ლევანმა „გაუხარა“ სასიდედროს გული: თავად ხომ დილიდანვე სოფელში გაჩნდა და თან, საკუთარი ბებიაც ამოიყვანა. ამ უკანასკნელმაც თამარს გამორჩეულად მიუსამძიმრა: დედაშენს წლების მანძილზე ვიცნობდი, უდიდეს პატივს ვცემდი და მისი სიკვდილიც ძალიან მეწყინაო...

— მასაც შენსავით თამარი ჰქვია... — როგორც კი ლევანის ბებია მოსცილდათ, მაშინვე გადაულაპარაკა ლანამ დედას.

— თუნდაც გვარში ყველა ქალს თამარი დაარქვან, ჩემს გულს მაინც ვერ მოინადირებენ, — უპასუხა თამარმა.

— ისე, ცნობისათვის: ლევანის ბავშვსაც თამარი ჰქვია, მოფერებით თამუნას ეძახიან... — თავისი არ დაიშალა ლანამ, მაგრამ თამარს მისთვის ხმა აღარ გაუცია...

ბებიის ახალგაჭრილ საფლავთან ქანდაკებასავით უძრავად მდგარმა ლანამ რამდენჯერმე დაიჭირა ლევანის დაჟინებული მზერა, მაგრამ როგორც კი მათი თვალები ერთმანეთს შეხვდა, ლანამ მაშინვე გვერდზე გაიხედა. მოგვიანებით კი, ლევანი იმ ახალგაზრდა კაცის გვერდითაც შენიშნა, რომელმაც საკლავის ფულზე მოაკითხა გოგას. „ამ კაცმა მგონი, უკვე მთელი გაღმა-გამოღმა სოფელი გაიცნო, — გაღიზიანდა ლანა, — როგორმე უნდა დავიმარტოხელო და ვუთხრა, რომ დროზე წავიდეს...“ — გადაწყვიტა მან ბოლოს.

ქელეხის შემდეგ, ჭირისუფალთან გამოსამშვიდობებლად, სხვებთან ერთად, ლევანი და ბებიამისიც მივიდნენ. სანამ ლევანის ბებია თამარს ემშვიდობებოდა და თან, როგორც შეეძლო, ამხნევებდა, ლევანმა დრო იხელთა და ლანა გვერდზე გაიხმო.

— თბილისში დაბრუნებას როდის აპირებ? — ხმადაბლა ჰკითხა მან ქალს.

— არ ვიცი, — მხრები უხალისოდ აიჩეჩა ლანამ. — შეიძლება, აღარც დავბრუნდე...

— ნუ სულელობ, რა! — გაღიზიანდა ლევანი.

— კი არ ვსულელობ, სერიოზულად გეუბნები, რომ შეიძლება, თბილისში საერთოდ აღარ დავბრუნდე, — მშვიდად გაუმეორა ლანამ.

— კარგი, — დაეთანხმა ლევანი, — ახლა კამათის დრო არ არის. ერთ კვირაში ამოგაკითხავ და თბილისში მე თვითონ წაგიყვან.

— არც იფიქრო! — კბილებში გამოცრა ლანამ. — კმარა, რაც სოფელი ჩემზე ალაპარაკე!..

— ჰოდა, ჩემი ამოსვლით პირს საბოლოოდ ამოვუკერავ, რადგან დედაშენს შენს ხელს ოფიციალურად ვთხოვ, — არ დაიბნა ლევანი.

— დედაჩემს შენი დანახვაც კი არ უნდა.

— არც ეგაა გადაუჭრელი პრობლემა... — კვლავ თავისას განაგრძობდა ლევანი. — შეიძლება, თვეში ერთხელაც ვერ მნახოს... მთავარია, შენ არ მოგბეზრდეს ჩემი ყურება...

ის იყო, გაგულისებულ ლანას ლევანისთვის კიდევ რაღაც მწარე უნდა ეთქვა, რომ მათ რეზო მიუახლოვდა.

— ლანა, დედა გეძახის, — უთხრა მან დას და თან, ლევანი მტრულად შეათვალიერა.

— გაიცანით ერთმანეთი! — სასწრაფოდ სიტუაციის განმუხტვა სცადა ლანამ. — ეს ჩემი ძმაა, — მიუბრუნდა ის ლევანს, — ეს კიდევ...

— ლევანი, — ლანას სიტყვის დასრულება აღარ აცალა ლევანმა და რეზოს ხელი პირველმა გაუწოდა.

— რეზო, — ხელი ცივად ჩამოართვა მას რეზომ.

როგორც კი ლანა მამაკაცებს მოსცილდა, რეზომ მაშინვე დაიწყო:

— მაინც, რა ქარმა გადმოგაგდო ჩვენს მხარეში, ლევან ბატონო?

— მხარეში რაჭას თუ გულისხმობ, დაბადებითაც კი, აქ დავიბადე, თქვენს სოფელში კი, ლანას ამოვყევი, უფრო სწორად — მანქანით ამოვიყვანე.

— მერე? — უხეშად შეაწყვეტინა რეზომ. — უკან წასასვლელი გზა ვეღარ გაიგენი თუ რაიმე სხვა მიზეზმა შეგაყოვნა აქამდე?..

— მიზეზი ბევრია... — არაფერი შეიმჩნია ლევანმა. — შენ მაინც რომელი გაინტერესებს?

— ჩემს დასთან რა ურთიერთობა გაქვს? — პირდაპირ ჰკითხა რეზომ.

— ლანასთან? — ვითომ ვერ მიხვდა, ისე ჩაეკითხა ლევანი. — ლანასთან გადასარევი ურთიერთობა მაქვს.

— სიტყვას ბანზე ნუ მიგდებ! — შეუღრინა რეზომ. — კარგად იცი, რაც მაინტერესებს. თუ ისეთი უტვინო გგონივარ, რომ ვერ ვხვდები?!.

— თუ ასეთი ჭკვიანი ხარ, — სიტყვის დასრულება აღარ აცალა ლევანმა, — მაშინ, იმასაც უნდა ხვდებოდე, რომ აქ ახლა ამის ლაპარაკის დრო არ არის, — კბილებში გამოცრა მან შემდეგ და დემონსტრაციულად გადგა განზე...

ქეთოს ჭირის სუფრას მხოლოდ ყველაზე ახლობლები შემორჩნენ. შალიკოს უკვე ღვინო მოჰკიდებოდა და ნაგვიანებ ცრემლს ვერ იკავებდა, გვარიანად გამომთვრალ გოგას კი, დედა და უმცროსი და სუფრას ვეღარაფრით აგლეჯდნენ.

— მაცალეთ, თქვე ოხრებო! — ხელი ისევ ჭიქისკენ გაურბოდა გოგას. — ბებიაჩემის შესანდობარი მიანც დამალევინეთ.

— თუ ასე გააგრძელე, ჩემი შესანდობარიც მალე გექნება დასალევი... — ტუქსავდა მას დედა...

— თქვენ რას იზამთ? — მიუბრუნდა რეზოს სუფრასთან ქანდაკებებივით უძრავად მსხდარ თამარსა და ლანას. — ჩემთან ერთად წამოხვალთ თუ?..

— მე არსად არ ვაპირებ წასვლას, — გააწყვეტინა მას ლანამ.

— რა სჭირს ამ უბედურს, მთლად გადაირია?! — ხმადაბლა გადაულაპარაკა რეზომ თამარს.

— თავი დაანებე, — ამოიოხრა თამარმა. — მაგას თავისი პრობლემებიც ეყოფა.

— პრობლემები, თორემ, მაგისმა მზემ, ჩემსავით თავის მოსაფხანად აღარ სცალია: ბებიაჩემი ვიტირო თუ გადადებული სიმამრი, აღარ ვიცი...

— ბებიაშენი, თორემ, შენც ზედ დააკვდი, აი!.. — შეუტია ძმას გაგულისებულმა ლანამ. — შორეული ნათესავივით, გასვენებასაც კი ძლივს ამოუსწარი...

— კარგად იცი, რატომაც დამაგვიანდა.

— როგორ არ ვიცი?! საყვარელ სიმამრს ვერ მოსცილდი...

— ისე, არ გეკადრებოდა, რომ საწყალი კაცი შენც მოგეკითხა?.. იცი, მაკა როგორი ნაწყენია შენზე?!

— ცივი წყალი დალიოს! ახლა, მე აღარ მეკითხება, მასზე როგორი ნაწყენი ვარ?..

— აღარ გაჩუმდებით? — როგორც იქნა, ხმა ამოიღო, შვილების უსაგნო კინკლაობით გულმოკლულმა თამარმა და ცრემლი წასკდა.

— პირველმა ვინც დაიწყო, ის გააჩუმე! — დედის ცრემლისაც აღარ მოერიდა ლანას და დემონსტრაციულად დატოვა სუფრა...

— ადექი, მოემზადე, ჩვენ მაინც წავიდეთ! — ცოტა ხნის შემდეგ, ისევ მიუბრუნდა რეზო ოდნავ დამშვიდებულ თამარს.

— სად? — განყენებული ხმით ჰკითხა თამარმა.

— სად და თბილისში, — უპასუხა რეზომ. — გზად, ჩემს სიმამრთან შევივლით, მოვიკითხავთ და ბავშვს წამოვიყვანთ.

— მერე, მაკა? — გააწყვეტინა თამარმა.

— მაკა იქ დარჩება. მამამისს საავადმყოფოში უნდა დაადგეს თავზე.

— რას გეტყვი, იცი, შვილო?.. — სევდიანად აათვალიერ-ჩაათვალიერა თამარმა ვაჟიშვილი. — თუ მახსოვრობა არ მღალატობს, მგონი, შენს სიმამრს ცოლი და მეორე ქალიშვილიც უნდა ჰყავდეს...

— ჰყავს, მერე?.. — ბავშვივით გულუბრყვილო გამომეტყველება მიიღო რეზომ.

— მერე ის, რომ ავადმყოფ ქმარს,

პირველ რიგში, საკუთარმა ცოლმა უნდა მიხედოს. შენმა ცოლმა კი, კეთილი ინებოს და თავის ქმარ-შვილზე იზრუნოს! — საბოლოო ბეჭედი დაუსვა თამარმა.

— გასაგებია, მაგრამ იქნებ, ცოტა შენც შეეხიდო! — დედის კატეგორიულმა პასუხმა აშკარად დააბნია რეზო.

— არ შემიძლია, დედა მყავს გამოსაგლოვი... არ იცი, მკვდარს ცოცხალზე მეტი მიხედვა და პატრონობა რომ სჭირდება?

— მერე, შენი შვილიშვილი?.. ერთი მითხარი, ინგლისური კიდევ რამდენ ხანს გავაცდენინოთ? — გაღიზიანდა რეზო.

— რამდენ ხანსაც დაგჭირდებათ, — კვლავ მშვიდად უპასუხა თამარმა. — თუ მაკა თავის მშობლებთან დიდხანს აპირებს დარჩენას, იქნებ, იქ ახალი მასწავლებელიც კი მოგეძებნათ...

— ესე იგი, აღარ მომყვები, ხომ? — გააწყვეტინა თამარს რეზომ.

— მე ეგ არ მითქვამს... — ამოიოხრა თამარმა და ვაჟიშვილს თვალი ალერსით ააყოლ-ჩააყოლა. — უბრალოდ, ახლავე ვერ წამოვალ-მეთქი, იმიტომ, რომ...

— თუ ახლა არ წამომყვები, შეგიძლია, საერთოდ აღარ ჩამოხვიდე! — სათქმელი პირზე შეაცივა თამარს ოთახიდან გიჟივით გავარდნილმა რეზომ.

— რეზიკო, დედა, მომისმინე!.. — მაშინვე უკან გამოუდგა მას შეწუხებული თამარი...

— რა ქენი?.. დააწყნარე საყვარელი ვაჟიშვილი? — ჰკითხა შინ შემობრუნებულ თამარს ლანამ.

— შენც დიდი მაცდური ხარ... — ხელი ჩაიქნია თამარმა. — მანამ არ მოისვენე, სანამ მაკა რეზიკოს გასაგონად არ გამამტყუნებინე... საწყალ ბიჭს უამისოდაც თავგზა აქვს აბნეული...

— მაგას თავგზა იმ დღიდან აქვს აბნეული, რაც მაკას ცოლად მოყვანა გადაწყვიტა...

— არა, რა... — გააწყვეტინა შვილს თამარმა. — შენთან ლაპარაკი საერთოდ აღარ შეიძლება...

— აბა, რა! სიმართლეს ცოტა მუშტარი ჰყავს!..

— რა სიმართლე, გოგო, რა?! — გაგულისდა თამარი.

— ის სიმართლე, რომ საწყალი ბებიაჩემი ჯერ მიწაში არ გაცივებულა, შენი ვაჟბატონი კი, უკვე ისევ თავის სიმამრს გვჩრის ცხვირ-პირში!.. ისე, ძალიან მიკვირს, რომ ვერ დაგითანხმა და თბილისში დღესვე არ წაგაცუნცულა.

— ნუ გიკვირს! პირველ რიგში, დედაჩემის კი არა, შენ გამო დავრჩი აქ: მეშინია, იმ ვაჟბატონმა არ ამოგაკითხოს და თავგზა საბოლოოდ არ აგიბნიოს, — აღიარა თამარმა.

— მაშინ, აქ ძალიან დიდხანს მოგიწევს დარჩენა, — ნიშნი მოუგო მას ლანამ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ მე თბილისში დაბრუნებას აღარ ვაპირებ, ის ვაჟბატონი კი — როგორც შენ მონათლე — როცა მოეპრიანება, მაშინ ამოვა აქ.

— ამოვა და კაი ჩიტსაც დაიჭერს! — გაგულისდა თამარი. — ვერ ნახე, რეზიკო როგორ მკაცრად ელაპარაკა?

— აბა, აბა!.. — დამცინავად გაეღიმა ლანას. — ყურებზე ხახვი სულ ალყა-ალყა დააჭრა...

— შენი ხათრი რომ არ ჰქონდეს შენს ძმას, მარტო იმას კი არა, შენც ყურებს დაგაჭრიდა...



— ჩემს ძმას ჩემი კი არა, კარგა ხანია, შენი ხათრიც აღარ აქვს, მაგრამ ამას რომ მიხვდები, გვიანლა იქნება, — ბოლომდე წაიმწარა ენა ლანამ.

მთელი მეორე დილა დედა-შვილს ერთმანეთისთვის ხმა თითქმის არ გაუცია. საუზმის შემდეგ, ლანა ქეთოს სამუშაო ოთახში შეიკეტა და მის ჩანაწერებს ჩაუჯდა. საღამოს, თამარს მეზობლის ქალებმა მოაკითხეს და მათთან ლაპარაკში ცოტა გული გადააყოლა. მეზობლები რომ გაისტუმრა, ფრთხილად შეუღო კარი ლანას და ჰკითხა:

— გამოიდარე ახლა და გამოდი, ვივახშმოთ.

— კარგი, მოვდივარ, — დედის სევდიან მზერას ვეღარ გაუძლო ლანამ.

გახალისებულმა თამარმა სწრაფად გააწყო სუფრა.

— ხაჭაპური გაგიცხელო? — ჰკითხა მან შვილს.

— არა, მარტო ჩაის დავლევ, — უხალისოდ მიუჯდა სუფრას ლანა.

— მარტო ჩაის გაჩვენებ მე შენ! — შეუტია შვილს თამარმა. — ჩაიხედე ერთი სარკეში, რას დაემგავსე!

— მერე, მაგას რა სჯობია?!. დავუშნოდები, აღარავის მოვეწონები და შენც დაისვენებ...

— ჩემი გული მაშინ დაისვენებს, როცა შენს თავს ღირსეულ კაცს ჩავაბარებ.

— მაინც, ვის?.. იმ გაღმასოფლელ ყასაბს ხომ არა, მთელი ქელეხი ველურივით რომ მჭამდა თვალებით?

— თვალებით ვინც გჭამდა, კარგად დავინახე! — შეუტია შვილს თამარმა. — გაგონილა, ხალხნო?! მისი დანახვა ხომ ძალიან მიხაროდა და ბებიაც აქ არ ამოიყვანა? ხვალ-ზეგ იქნებ, მთელი ოჯახით მომადგეს კარზე?!

— არ გამოვრიცხავ... — პირთან მიტანილი ჩაის ფინჯანი ისევ მაგიდაზე დადგა ლანამ.

— მაინძელო! — მოისმა უეცრად გარედან გოგას როხროხა ხმა. — სტუმრებს არ მიიღებ?

— სტუმრები შენ და ჯანდაბა! — ჩაის ფინჯანი ლამბაქზე გამეტებით დაახეთქა თამარმა.

ოთახის კარი ხმაურით გაიღო და ზღურბლზე გოგა გამოჩნდა.

— რა მოხდა? — ჰკითხა მას თამარმა. — როდის იყო, აქ შემოსვლისას ნებართვას ითხოვდი?

— მარტო არა ვარ, მამიდა, და იმიტომ გეკითხები... — შორიდან დაიწყო გოგამ.

— მერე, რას გახიდულხარ მაგ კარში? ჯერ სტუმარი გამოატარე! — უკმაყოფილება ვერ დაფარა თამარმა.

როგორც იქნა, გოგა განზე გადგა და ოთახში ნიკოლოზ დვალი შემოუშვა.

— გამარჯობათ, — მიესალმა ის დედა-შვილს, — ასე გვიან შეწუხებისთვის ბოდიშს გიხდით, მაგრამ გოგა რომ კაცს გადაეკიდება...

— მობრძანდით, რა შეწუხებაა?! — სუფრასთან მიიწვია სტუმარი თამარმა, მაგრამ მას გოგამ დაასწრო და სუფრას შინაურულად მიუჯდა:

— აბა, ჩქარა, ღვინო! — ჩაის ფინჯნები გვერდზე ხმაურით გასწია მან. — ჩვენ აქ ოფლის მოსადენად კი არა ვართ მოსულები, ბებიაჩემს ჭიქა უნდა წავუქციოთ!

გაგრძელება შემდეგ ნომერში

„...მისი „გამოთლა" არ უნდა დამჭირდეს"

ანრი ჯოხაძე, შოუბიზნესში ახალფეხადგმული მომღერლის, კაკი ბოლქვაძის კლიპის პრეზენტაციაზე „გამოვიჭირე". რა თქმა უნდა, ხელიდან ისე ვეღარ დამიძვრებოდა, ინტერვიუ რომ არ ჩამეწერა... როგორც ხდება ხოლმე, პრეზენტაციის შემდეგ, სტუმრებისთვის ა-ლა-ფურშეტი გაიმართა და ანრი არც ამ ღონისძიებას გამოჰკლებია: ცოტა მადროვე, გავძღები და მერე ვისაუბროთო, — მთხოვა. უარს როგორ ვეტყოდი?! თანხმობის ნიშნად, თავი დავუქნიე და ინტერესით ვაკვირდებოდი, რადგან მაინტერესებდა, რას ეძახდა ის გაძღომას... მოთმინებით ველოდი და გაოცებული ვუყურებდი, როგორ სანსლავდა ბუტერბროდებს, შემდეგ, რამდენიმე ნაჭერ ნამცხვარს აყოლებდა, შემდეგ — ისევ ბუტერბროდს... ამ ყველაფერს, შამპანურს აყოლებდა და თანდათან სასმელი ეკიდებოდა... გაწყდა ჩემი მოთმინების ძაფი, შედარებით მშვიდ ადგილას გამოვიტყუე და ბოლოს და ბოლოს, ინტერვიუ ჩავწერე.

მარი ჯაფარიძე

— ანრი, ყოველთვის ასე ბევრს ჭამ?

— ო-ო, ჭამა ძალიან მიყვარს. ყოველთვის ძღომამდე ვჭამ... სხვათა შორის, სიგარეტის მოწევაც ასევე მიყვარდა, მაგრამ უკვე 2 კვირაა, თავი დავანებე. ახლა ვეცდები, ჭამასაც მოვუკლო და ჩემს ცხოვრებას საფუძვლიანად მივხედო.

— რას გულისხმობ?

— იმას, რომ შემოქმედებითად კიდევ უფრო გავიზარდო და კარიერას მივხედო.

— ჩამოთვალე შენი ოჯახის წევრები.

— ვინაიდან ახლა, ბინაში რემონტი მაქვს, დროებით დასთან ვცხოვრობ. ჩემთან ერთად არიან დედა, ჩემი და-ძმა, სიძე და 2 დისშვილი.

— ამბობენ, საკმაოდ იმპულსური და ბრაზიანი ხარ...

— კი, ნამდვილად ბრაზიანი ვარ, მაგრამ ამავე დროს — ძალიან ერთგული. თუ ადამიანი მიყვარს, მას არ ვუბრაზდები, მაგრამ რომც გავბრაზდე, გული იოლად მიბრუნდება ხოლმე.

— ვიცი, რომ ბილწსიტყვიაობა გჩვევია და არც ქალთა საზოგადოებაში ერიდები უშვერი სიტყვების თქმას. რატომ?

— გინება მართლაც, მიყვარს. აბა, მუშტებს ხომ არ ავამოძრავებ?! მე მივეკუთვნები იმ ადამიანთა კატეგორიას, რომელიც სიტყვით მოგწამლავს და თავსაც მოგაკვლევინებს. თუ სიტყვა აღარ ჭრის, მაშინ მუშტზეც გადავდივარ. შესაძლოა, რაც ხელში მომხვდება, ვისროლო ან ვინმეს თავზე გადავამტვრიო. მაინცდამაინც „ნაკაჩავები" მუსკულები არა მაქვს, ამიტომ ძალის იმედად ვერ ვიქნები; იძულებული ვარ, მძიმე საგნები ჩავრთო საქმეში...

— რამდენად მოწესრიგებული ადამიანი ხარ?

— ჩემი ოთახი არასოდესაა დალაგებული და ყოველთვის ყველაფერი თავზე მაყრია. სამაგიეროდ, ძალზე მოწესრიგებული ვარ საქმიანობაში.

— სიგარეტის მოწევას რატომ დაანებე თავი? ჯანმრთელობას უფრთხილდები?

— არ შეიძლება, რომ ღვთისგან ნაბოძები ასეთი ხმა, ნიკოტინითა და ჭვარტლით გააფუჭო.

— როცა სცენაზე დგახარ, გაცილებით სერიოზული და გაწონასწორებული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებ. ვხედავ, ეს შირმაა და გაცილებით „ცელქი" ყოფილხარ. როდის თამაშობ — სცენაზე თუ ცხოვრებაში?

— სცენაზე რასაც ვაკეთებ, იმ მომენტში, სწორედ იმას ვგრძნობ, ხოლო რასაც ახლა უყურებ, ესეც ჩემი ბუნებრივი ემოციის გამოხატვაა. ძალიან ვამყობ, რომ მხიარული და ხალასი ადამიანი ვარ. წარმოიდგინე, როგორი „გრუზი" ვიქნები, მე რომ ყოველ წუთში ვიყო კაცი-„მე მაინც მოვალ", ან კაცი-„უფლება არა მაქვს, შენთან მოვიდე", ან კაცი-„იუმორესკა". მიუხედავად იმისა, რომ ჩემი შემოქმედება ჩემს ხასიათთან და სულიერ მდგომარეობასთან ძალზე ახლოს დგას, არავის არ მოვახვევ ჩემს განწყობილებას თავს. ვგიჟდები ადამიანებთან ურთიერთობაზე. არ მიყვარს ურთიერთობებში თამაში.

— ყოველთვის იმას ამბობ, რასაც ფიქრობ?

— არა, ყოველთვის ასე ვერ მოიქცევი, რადგან არის შემთხვევები, როდესაც შენი შეხედულების ხმამაღლა გამოთქმას აზრი არა აქვს. როდესაც რაიმეს ამბობ, ამას უნდა მოჰყვეს შედეგი. ამიტომ, თუ მიხვდები, რომ თქმა უშედეგო იქნება, უნდა დაჯდე ერთ ადგილზე, თეფშზე დაიდო 3 „ტარტალეტკა" და გაძღე...

— ქალისთვის კომპლიმენტების თქმა თუ გჩვევია?

— თუ ქალი მომეწონა და მასში შინაგანი სილამაზე აღმოვაჩინე, მისთვის კომპლიმენტს როგორ დავიშურებ?!

— როგორი ქალები მოგწონს?

— შესაძლოა, ქალი ლამაზი არ იყოს, მაგრამ შარმი უნდა ჰქონდეს. უნდა იყოს პერსონა და არ უნდა იყოს „ასაწყობი". მე მისი „გამოთლა" არ უნდა დამჭირდეს.

— მიგაჩნია თუ არა, რომ ქართულ შოუბიზნესში ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა ხარ და „პარადი" მიგყავს?

— მოდი, ამას დავარქვათ ბუმი: დღეს, ანრი ჯოხაძის გარშემო ბუმია ატეხილი, მაგრამ ჯერჯერობით, ეს ყველაფერი მოჩვენებითია. თუ 5 წლის შემდეგ, ჩემთან ინტერიუზე მობრძანდებით, მაშინ შემეძლება ამ კითხვაზე პასუხის გაცემა... შოუბიზნესში წამყვანობასა და სადავეების ხელში ჩაგდებაზე, ზოგიერთი ჩემი კოლეგისგან განსხვავებით, არ ვოცნებობ. მე ჩემს საქმეს ვაკეთებ და მორჩა. ვგრძნობ ხალხის სიყვარულს და ეს ჩემთვის საკმარისია.

— თაყვანისმცემლებისგან დიდად შეწუხებული იქნები...

— ნამდვილად ასეა. ზოგს უხეშად ვიშორებ, ზოგს თბილად ვპასუხობ, ზოგიერთს კი, მეგობრებს გადავაბარებ ხოლმე. არსებობენ უზრდელი ადამიანები, რომლებსაც ჰგონიათ, რომ თუ ღამის 3-4 საათზე დამირეკავენ და სიყვარულს ამიხსნიან, ეს დიდი გრძნობის გამოხატვის მანიშნებელია და ვალდებული ვარ, დაველაპარაკო. არა ვარ ვალდებული, რომ ასეთ დროს ვინმეს ზარს ვუპასუხო. თუკი ვინმეს წინაშე ვარ ვალდებული, ეს დედაჩემია მხოლოდ.

— რამ შეუწყო ხელი შენს პოპულარობას?

— მხოლოდ ნიჭმა...

— მე კი მგონია, რომ შენმა გარეგნობამაც გარკვეული როლი ითამაშა...

— ა-ა, მაგას თუ გულისხმობ, რა თქმა უნდა, გარკვეული როლი ამანაც ითამაშა...

— როგორ მოგწონს საკუთარი თავი!..

— არა, ვიცი, რომ ალენ დელონი არა ვარ, მაგრამ ისიც ვიცი, რომ კარგი ტიპი ვარ. არ იფიქრო, რომ ამბიცია მალაპარაკებს. ამას გულით ვამბობ, რადგან გარეგნობას დიდი მნიშვნელობა აქვს და ღმერთს დიდ მადლობას ვწირავ, რომ ხმასთან ერთად, გარეგნობითაც დამაჯილდოვა...

— მიგაჩნია თუ არა, რომ იღბლიანი ადამიანი ხარ?

— ბედნიერი ადამიანი ვარ და ამით ყველაფერია ნათქვამი.

— რაში გამოიხატება შენი ბედნიერება?

— სრულ ჰარმონიაში ვარ სამყაროსთან. ვისწავლე ცხოვრება და მივდივარ დასახული მიზნისაკენ.

— როგორც ჩანს, პრობლემები არა გაქვს.

— როგორ არა?! ძალიან ბევრი პრობლემა მაქვს. მაგრამ საქმე ისაა, რომ ვიცი, ამ პრობლემებს როგორ გავუმკლავდე. სწორედ ამაში ვხედავ ჩემს ბედნიერებას, თორემ, არც მილიონები მიდევს ანგარიშზე და არც „ჰაი“-კლასის პიროვნება ვარ. უბრალოდ, ვიცი, როგორ ვებრძოლო ცხოვრებას.

— როგორია შენი მატერიალური მდგომარეობა? შემოსავალი აკმაყოფილებს შენს მოთხოვნებს?

— რა თქმა უნდა, არა, მაგრამ საკმაოდ კარგად ვგრძნობ თავს. თუმცა, შეიძლება, მეტიც მქონდეს. საამაყოა ის, რომ ჩემი შემოსავლით მარტო ჩემს თავს კი არ უზრუნველყვოფ, არამედ ოჯახსაც ვეხმარები.

— დედასთან მეგობრული ურთიერთობა გაქვს?

— რა თქმა უნდა. ის ყოველთვის, ერთადერთი ადამიანი იყო, ვისაც ჩემი სჯეროდა და სტიმულს მაძლევდა, რომ წარმატებისთვის მიმეღწია. მე და დედა არა მარტო გარეგნობით, არამედ ხასიათითაც ვგავართ ერთმანეთს. ის ჩემს გადაწყვეტილებას ყოველთვის მიესალმება. სიმღერის ნიჭიც მისგან გამომყვა. დედა კომპოზიტორია და მისი ერთი სიმღერა „გავაცოცხლე“ — ეს გახლავთ „იუმორესკა“. ჩვენ ხშირად ვკამათობთ კიდეც, მაგრამ საკამათო საკითხზე საერთო აზრამდე მაინც მივდივართ და ვმშვიდდებით ხოლმე.

— ასაკით უფროსი ქალები თუ მოგწონს?

— ამას რატომ მეკითხები?

— უბრალოდ, მაინტერესებს.

— ჩემთვის ასაკს მნიშვნელობა არა აქვს. თუ ქალი შემეფერება, თუნდაც, ასაკით უფროსი იყოს, შესაძლოა, სიგიჟემდე შემიყვარდეს.

— ბედისწერის თუ გჯერა?

— არა, რადგან მიმაჩნია, რომ ყველა ადამიანი საკუთარ ბედს თვითონ ქმნის.

— ოდესმე, რაიმე მნიშვნელოვან შეხვედრაზე ხომ არ დაგიგვიანია? ან, ხომ არ ნანობ, წარსულში ჩადენილ რომელიმე გამოუსწორებელ შეცდომას?

— ყოველთვის ისე ხდება, რომ საჭირო დროს, საჭირი ადგილზე აღმოვჩნდები ხოლმე. დავაგვიანე, 1-2 ადამიანისთვის სიფათის გასწორება და ახლაც ვოცნებობ, რომ როგორმე ეს მოვახერხო...

— რაღა დაგიმალო და... ნახევარი საათის წინ, მეც ვოცნებობდი, რომ ერთი ნაცნობისთვის სიფათი გამესწორებინა, მაგრამ...

— *(იცინის)* მე მგულისხმობ, ხომ?.. ხომ შეგეცვალა აზრი?.. ჩემთან დაკავშირებით, ყოველთვის ასე ხდება: თავიდან, ყველას უჩნდება სურვილი, ცხვირ-პირი დამიმტვრიოს, მაგრამ მერე, მეგობრებად ვრჩებით...

დარწმუნებული ვარ, რომ ბევრი გოგონას ოცნება ავასრულე, როდესაც „სასიძოს“ რუბრიკაში ანრი ჯოხაძე წარმოგიდგინეთ. თუ ამ ინტერვიუს შემდეგ, მასზე აზრი არ შეგეცვალათ და ისევ გინდათ დაეკონტაქტოთ, დამიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8(77)45.68.61. გაუმხილეთ მას თქვენი სურვილები და შეხედულებები. ■

„შენ რომ ჩემი იყო, სულ ლირუბლიოში მეყოლებოდი“

ახლა კი, „გზის“ №6-ში „საპატარძლოს“ რუბრიკით გამოქვეყნებული ინტერვიუს გამოხმაურებებს შემოგთავაზებთ. აი, რას წერენ მომღერალ თაკო გაჩეჩილაძეს მისი თაყვანისმცემლები:

„თაკოს სურათი კედელზე მაქვს გაკრული და თილისმასავით, ყოველ დილით ვუყურებ, რადგან მისი სილამაზე ჯენტლმენობას მმატებს. ძალიან მინდოდა მისი გაცნობა და მიხარია, რომ მის გემოვნებას ვაკმაყოფილებ. გთხოვთ, გადასცეთ თაკოს, რომ ვეწევი ჯანსაღ ცხოვრებას, ვნადირობ და ლაშქრობებს ვაწყობ. პატარ-პატარა რეკორდების დამყარებაც შემიძლია. ერთ რეკორდს თაკოს მივუძღვნი და თუ მოინდომებს, მთელი ცხოვრება ისეთ ლექსებს მივუძღვნი, მას რომ ეკადრება. პაატა, 28 წლის“.

„თაკო, მართლა სერიოზულად მომწონხარ და თუ საჭიროდ ჩათვლი, შემეხმიანე. თუ არა და, არც მაგაზე ვინერვიულებ“.

„ძალიან მინდა თაკოს გაცნობა, რადგან ძალიან მომწონს. აბა, რა გითხრათ?.. დასავლეთში ვცხოვრობ, ერთ-ერთ სოფელში. ალბათ, სულ ტყუილად ვწერ, არა?.. მანჩინი, 29 წლის“.

„თაკო, მე მქვია კახა, 180 სმ სიმაღლის, 72 კგ წონის, წარმოსადეგი ახალგაზრდა, ვეტმფრენის პილოტი ვარ, ძალიან მომწონხარ. შენ რომ ჩემი იყო, სულ ღრუბლებში მეყოლებოდი. თუმცა, მეგობრულადაც შემიძლია, დაგათვალიერებინო მთათუშეთი და ხევსურეთი. ასევე, საქართველოს ნებისმიერი კუთხე. შენ ყველას უყვარხარ. იმიტომ, რომ მართლა საყვარელი ადამიანი ხარ. გკოცნი და გეფერები“.

„თაკო, მაგარი ტიპი ხარ. უფრო სწორად — გგონია, რომ მაგარი ტიპი ხარ, მაგრამ ეგ ძალით „სვეტობა“ არ გიხდება. გერმანიაში „სირბილს“, ის გირჩევნია, ოჯახს მიხედო და საქმე აკეთო. ქალის მოვალეობა რა არის, გავიწყდება?..“

„თაკოს გადაეცით, რომ მისი ფანი ვარ და ძალიან მინდა, რომ გავიცნო. იქნებ გამიმართლოს და ჩემი გახდეს?!. მე რაიონში ვცხოვრობ. აქ რომ ჩამოვიყვან, ჯერ ყველას ვაჩვენებ, მერე კი შევაგდებ ყანაში და სანამ ბოლომდე არ გათოხნის, არ გამოვუშვებ. მერე ვნახოთ, როგორ ხასიათზე დადგება...“

„ვისიაააა, ვისიაააა, ქალიიიი, ლამაზიიი... ჩემიااااა, ჩემიااااა...“ აუცილებლად იქნება ჩემი. არ არის პრობლემა, თუ არაფრის გაკეთება არ იცის. თვეობით რომ დააგროვებს ნაგავს და თვითონვე რომ შეწუხდება, მერე წამოავლებს ცოცხს ხელს და ისე დატრიალდება, რომ მასზე კარგი დიასახლისი ქვეყნად არ იქნება. მამუკა“.

„თაკო, მაგარი ხარ. ძალიან მიყვარხარ და ჩემთვის არა აქვს მნიშვნელობა, სხვები რას ამბობენ შენზე. ამას წინათ, სულ ახლოდან დაგინახე და მივხვდი, რომ მართლა მშვენიერი ხარ და ეკრანი არ გვატყუებს. გკოცნი, სიხარულო!“

„ვინ იქნება ის ბედნიერი, ვინც შენ ჩაგიხუტებს? ისე, მაპატიე, მაგრამ ვერ დავიჯერებ, რომ ასეთ კარგ გოგოს მეგობარი მამაკაცი არ გყავს. თუმცა, ამას დიდი მნიშვნელობა სულაც არ აქვს. XX საუკუნეა და არც არის გასაკვირი. შენმა ყოფილმა ქმარმა იკითხოს, რომ დაგკარგა, თორემ, ჩვენ ჯერ კიდევ იმედი გვაქვს, რომ ადრე თუ გვიან, გაგვაბედნიერებ“.

„წარმატებებს გისურვებ, ჩემო თაკო! ღირსი ხარ, რომ მსოფლიო მნიშვნელობის ვარსკვლავი გახდე. მაღარიჩს მე ვიკისრებ, თუ ასე მოხდება. მანჩო“.

„რით ხარ ქეთი მელუაზე ნაკლები, რომ მის მსგავსად, ვერ აალაპარაკო მსოფლიო?! ჩემო ხუჭუჭა, შენც გაიხარე და ჩვენც გაგვახარე. ველით საუკეთესო შედეგებით შენს დაბრუნებას“.

„მე სასიძო არა ვარ და თაკოსთვის სიყვარულის ახსნას არ ვაპირებ. მინდა, დედამისს, ქალბატონ თინას შევეხმიანო და ვუთხრა: ახლა რომ წუწუნებთ, თაკომ არაფრის გაკეთება არ იცისო, რატომ თავიდანვე არ ასწავლეთ?! მთელი ცხოვრება, ხელისგულზე ატარებდით და ახლა გინდათ, გამოასნოროთ? ახლა უკვე გვიანია!“ ■

ლესა ვიერის ცოლობაზე ოცნებობს

ბრაზილიელმა ფოტომოდელმა, ფერნანდა ლესამ კრისტიან ვიერიზე დაქორწინების სურვილი საჯაროდ გამოთქვა. „უკვე სამი წელია ვიცნობთ ერთმანეთს და იმედი მაქვს, რომ ბობოს ცოლი გავხდები. არცთუ ისე დიდი ხნის წინ, მან ხელი მთხოვა, მაგრამ ხუმრობით, რაც, რა თქმა უნდა, არ დამიჯერებია. ახლა კი მინდა, რომ ყველაფერი სინამდვილეში მოხდეს“, — განაცხადა ლამაზმანმა ერთ-ერთი იტალიური ტელეკომპანიის პირდაპირ ეთერში. კრისტიანი და ფერნანდა ბულვარულ პრესას მოდუნების საშუალებას ნამდვილად არ აძლევენ. სამი წლის მანძილზე, ისინი რამდენჯერმე დაშორდნენ ერთმანეთს, ხოლო ორიოდე თვის წინ, მოდელმა საქვეყნოდ განაცხადა: „მშვიდობით ბობო. ჩემი ნამდვილი სიყვარული ვიპოვე. შეგიძლია, არც დამირეკო და ასე ხშირად ინტერნეტითაც არ დამიკავშირდე. მისი მოქმედებისა ნამდვილად არ მესმის, თითქოს ბობო ჩემთან არის და ამავე დროს არც არის. დავიღალე. მირეკავს, მაგრამ აღარ ვპასუხობ“. ამის შემდეგ, ლესას ვიღაც ბიზნესმენთან ჰქონდა რომანი, ხოლო თებერვლის დასაწყისში ყველას გასაკვირად, ადგა და მონაკოში გაემგზავრა, სადაც ამჟამად ვიერი თამაშობს.

■

აბრამოვიჩი ახალ სახლს ყიდულობს

„ჩელსის“ მფლობელ, რომან აბრამოვიჩს კატასტროფულად არ ჰყოფნის საცხოვრებლი ფართი. ოთხსაძინებლიანი სახლი, რომელიც ჩუკოტკის გუბერნატორმა ლონდონში 11 მილიონ გირვანქა სტერლინგად 9 თვის წინ შეიძინა, მისი ხუთი შვილისათვის ძალიან ვიწრო აღმოჩნდა. ამიტომ აბრამოვიჩის ოჯახი უკვე სხვა სახლში გადასვლაზე ფიქრობს. თანაც, ლონდონური გრანდის თავკაცმა უკვე შეარჩია კიდეც მათი სახლის გვერდით მდგარი შენობა, რომელიც 8 მილიონადაა შეფასებული, თუმცა მის მფლობელს აბრამოვიჩმა ერთბაშად 11 მილიონი შესთავაზა. ამის გამო რომანის კონკურენტებმა შენობისადმი ინტერესი დაკარგეს. ამჟამად დიზაინერები ზემოხსენებული ორი სახლის გაერთიანებაზე მუშაობენ. საგულისხმოა ისიც, რომ ეს შენობები „ჩელსის“ საშინაო არენიდან სულ რაღაც ორ კილომეტრში მდებარეობს. ამასთან, რომანს მეზობლებიც საამაყო ჰყავს: დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი მარგარეტ ტეტჩერი და საქვეყნოდ ცნობილი კომპოზიტორი, ენდრიუ ლოიდ-ვებერი.

■

სასტუმროთა მეპატრონეების სიხარბის წინააღმდეგ

რაც უფრო ახლოვდება მსოფლიო ჩემპიონატი, მით უფრო მძაფრდება ცალკეულ პირთა და კერძო ორგანიზაციათა სურვილი იმისა, რომ ტურნირის მსვლელობისას, რაც შეიძლება მეტი მოგება მიიღონ. ბუნებრივია, განსაკუთრებულად აქტიურობენ გერმანული სასტუმროების მფლობელები: უკვე ცნობილია, რომ მუნდიალის მოახლოებასთან ერთად, სასტუმროებში მომსახურების ფასები რამდენჯერმე გაიზრდება. თუმცა, სტუმართა უღმერთოდ „გაძარცვის“ წინააღმდეგ, თავად გერმანელები გამოვიდნენ. ვინმე ნიკოლა გუნტერმა საიტი გახსნა, რომელზეც ჩემპიონატის მასპინძელი ქალაქების მცხოვრებლებს უცხოელი ქომაგებისთვის თავიანთი პირობების გაცნობის შესაძლებლობა ეძლევათ. „დარწმუნებული ვარ, რომ სასტუმროების მფლობელთა სიხარბე, გერმანელებს დადებით იმიჯს ნამდვილად არ შეგვიქმნის. ჩემი საიტი გულშემატკივრებს საშუალებას აძლევს, თავიანთი ფინანსური მდგომარეობის შესაბამისად მოძებნონ ღამის გასათევი ადგილი. ეს გერმანელ მოქალაქეებზე უფრო კარგ წარმოდგენასაც შეუქმნის მათ“, — აცხადებს ნიკოლა. ამ საიტზე გერმანელები კლიენტებს მართლაც მიმზიდველ პირობებს სთავაზობენ. მაგალითად, გელზენკირხენში ღამის გატარება უცხოელ სტუმრებს, სულ რაღაც, 5 ევრო დაუჯდებათ. ის კი უცნობია, თუ როგორ ხასიათზე არიან ნიკოლას მიერ გამოჩენილი ინიციატივის შემდეგ სასტუმროების მეპატრონეები.

■

ბრძოლა რუნის აგენტებს შორის

საფეხბურთო აგენტებს შორის უეინ რუნის სატრანსფერო საკითხზე, ნამდვილი ბრძოლაა დაწყებული. პიტერ მაკინტოშმა და ჯონ ჰაილენდმა სასამართლოს მიმართეს და ვინმე სტრედფორტისგან 10 მილიონის გადახდა მოითხოვეს. მომჩივანთა თქმით, 2004 წელს, სწორედ ამ უკანასკნელმა გადაიბირა რუნი, თუმცა იმ პერიოდში ფეხბურთელს კონტრაქტი აკავშირებდა მაკინტოშთან და ჰაილენდთან. ორიოდე დღის წინ, ლივერპულში წინასწარი მოსმენა შედგა, მაგრამ იმის გამო, რომ ეს საქმე ძალიან ჩახლართულია, მისი განხილვა მიმდინარე წლის ბოლოსთვის გადაიდო.

■

ფეხბურთელის მეგობარმა გოგონამ გმირობა ჩაიდინა

„ტოტენჰემის“ მცველ, ლედლი კინგის მეგობარმა გოგონამ, სტეფანი კორტერმა ნამდვილი გმირობა ჩაიდინა. ის სახლში მიდიოდა, როდესაც შენიშნა, რომ მეზობლის სახლს ხანძარი გასჩენოდა. სტეფანის ბევრი აღარ უფიქრია, მან კარი შეამტვრია და ერთ-ერთი გამვლელის დახმარებით, ცეცხლმოკიდებული შენობიდან, სახლის

პატრონი, ბიზნესმენი პიტერ ლოი გამოიყვანა. „ბედნიერი და ამაყი ვარ. ის გულის კარნახით მოქმედებდა, რის შედეგადაც ადამიანი სიკვდილს გადაურჩა“, — ამბობს კინგი, რომელიც სტეფანისთან და პატარა კობისთან ერთად ცხოვრობს. მართლაც, სასიამოვნო ამბავია, მაგრამ ეს ყველაფერი როდია. ბრიტანულმა პრესამ გაარკვია, რომ მისტერ ლოის საკუთარი სახლისთვის ცეცხლი თავადვე წაუკიდებია. ამის მიზეზად, მეუღლესთან განქორწინება ქცეულა. პიტერ ლოის დრო უხელთია და როდესაც ცოლი შინ არ ყოფილა, სახლის კედლები ბენზინით დაუსველებია, შემდეგ ცეცხლიც მოუკიდებია, ხოლო თვითონ იქვე, ახლოს მდგომი ავტომობილიდან აპირებდა სეირის ყურებას, თუმცა... როდესაც დიდი ხანძარი გაჩაღებულა, ლოის სწორედ მაშინ გახსენებია, რომ სახლში ფასეული ნივთები დარჩა. ერთი სიტყვით, ცეცხლმოდებულ შენობაში შებრუნებულმა, კვამლისგან გონება დაკარგა და სტეფანი რომ არა, ცოცხლად დაიწვებოდა. ამჟამად 61 წლის პიტერი საავადმყოფოში პოლიციის მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება. ■

All Stars-ზე ბოიფრენდის დახმარებით

სერიალ „სასოწარკვეთილი დიასახლისების“ ვარსკვლავი, ევა ლონგორია, ჰიუსტონში, NBA-ის „ყველა ვარსკვლავის“ შოუზე ართობდა პუბლიკას. თანაც, მან არა მარტო ვოკალური, არამედ საკალათბურთო ნიჭიც გამოავლინა, რაც ნამდვილად არ იყო გასაკვირი. ევას ხომ „სან-ანტონიოს“ ვარსკვლავ ტონი პარკერთან აქვს რომანი. ლონგორია საყვარლის მატჩებს რეგულარულაად ესწრება და როგორც თავად ამბობს, მკაცრი კრიტიკოსიცაა: წარუმატებლობის შემთხვევაში, შინ დაბრუნებული პარკერი, კარგს არაფერს უნდა მოელოდეს. „ყველა ვარსკვლავის“ შოუში მონაწილეობის მისაღებად, არაერთი მსახიობი იბრძოდა. თუმცა, ლონგორია ბოიფრენდის დამსახურებით, კონკურსის გარეშე მოხვდა საკალათბურთო ლონისძიებაზე. რაც შეეხება მსახიობის მომავლის გეგმას, უკვე ცნობილია, რომ ის პოპულარული ტელესერიალის „ჯორჯ ლოპესის შოუში“ ითამაშებს. ■

რისკის მოყვარული მოდელი

ამერიკელი მოდელი და დამწყები მსახიობი, ჯინა კლარკი ჩინებულად თამაშობს კალათბურთს, თუმცა, მან სპორტული კარიერის გაკეთებას, სხვა გზა ამჯობინა. თავად ჯინა ამბობს, რომ ის ხუთი ძმის გარემოცვაში იზრდებოდა და ძალაუნებურად იზიარებდა მათ გატაცებებს. ასე დაიწყო მან კალათბურთის თამაში. კოლეჯში შესვლისთანავე, ჯინა ადგილობრივ გუნდში ჩაირიცხა, სადაც ის ყველაზე შედეგიან მოთამაშედ იქცა. უფრო მეტიც, მისით პროფესიონალური გუნდებიც დაინტერესდნენ, მაგრამ გოგონამ ყველა წინადადება უარყო და ევროპის დასაპყრობად გაეშურა. მალე იგი Cosmopolitan-ის იტალიურმა ვერსიამ ფოტოსესიაში მონაწილეობისთვის მიიწვია. ამასთან, კლარკი რობერტო კავალისა და ჯორჯო არმანის ყურადღების ცენტშიც მოექცა. გოგონას პარიზშიც წარმატება ელოდა. ამჟამად ჯინამ მსახიობობა გადაწყვიტა და აშშ-ში დაბრუნდა. რისკის მოყვარული ლამაზმანი აცხადებს, რომ გარკვეული ხნის შემდეგ, ის კვლავ დაფიქრდება თავისი ბედის შეცვლაზე. აი, შეიძლება მაშინ მაინც გადაწყვიტოს პროფესიონალი კალათბურთელობა. ■



გრეტცკის ქალიშვილის პოპულარობა იზრდება

სახელგანთქმული ჰოკეისტის, უეინ გრეტცკის ტოტალიზატორებთან დაკავშირებულ სკანდალში გახვევამ, მნიშვნელოვნად გაზარდა სპორტსმენის 17 წლის ქალიშვილის, დამწყები მოდელის, მომღერლისა და მსახიობის, პაულინას პოპულარობა. ის კვლავ გამოჩნდა ცნობილი გამოცემების ფურცლებზე. უეინ გრეტცკის და მსახიობ ჯანეტ ჯონსის ხუთი შვილიდან ყველაზე უფროსმა, პაულინამ მომღერლის ნიჭი 2003 წელს გამოავლინა, როდესაც „ედმონტონისა“ და „მონრეალის“ მატჩის წინ, გამოსვლით ასიამოვნა პუბლიკა. ერთი წლის შემდეგ, ფართო აუდიტორიის წინაშე კვლავ გამოჩნდა გოგონა, რომელიც მამის პროტექციით, კანადის თასის გათამაშების მატჩებში შესვენებებზე მღეროდა. მოდელის კარიერა კი, მან არცთუ ისე დიდი ხნის წინ დაიწყო, როდესაც ტორონტოში გამომავალმა ჟურნალმა, Flare-მა მისი ფოტოები გამოაქვეყნა. სხვათა შორის, თავის დროზე სწორედ ამ ჟურნალში დაიბეჭდა დედამისის ფოტოებიც. „დიდი ადამიანების შვილებზე ბუნება ისვენებს“, — აი ასეთი კომენტარი გაუკეთეს გამოცემის მესვეურებმა ფოტოსესიას, რომელშიც პაულინა მონაწილეობდა. უეინ გრეტცკის ძალისხმევის მიუხედავად, პოპულარული ჟურნალები მის ქალიშვილს გადაღებებზე აღარ იწვევდნენ. ტოტალიზატორებთან დაკავშირებული სკანდალის შემდეგ კი, ის კვლავ მოექცა მასმედიის ყურადღების ცენტრში. ■

მსიჩეტიჩავიანი Land Rover Defender

აპრილში, მსოფლიო ბაზარზე გამოჩნდება მოდელის — Land Rover Defender — სპეციალური მოდიფიკაცია — Defender Experience 2006. მისი საბაზო მოდელია — Defender 110 Station Wagon S. ახალი ვერსია გამოირჩევა მსუბუქი, ჩამოსხმული საბორბლე დისკებით, ალუმინისგან დამზადებული, ძრავას დამცავი ფირფიტითა და გაუმჯობესებული ხმის იზოლაციის მექანიზმით.

კომპლექტაციაში შედის: კლიმატ-კონტროლი, აუდიოსისტემა CD-ჩეინჯერით, მუხრუჭების ანტიბლოკირების სისტემა. Defender Experience 2006 — შეზღუდული რაოდენობით — სულ 50 ცალია გამოშვებული. მაისში, ფირმა ავტოდილერებს კიდევ 2 სპეციალურ მოდელს — Cabriolet Two და Style — მიაწვდის.

Defender, მწარმოებელი კომპანიის — Range Rover-ის სამოდელო რიგის კლასიკურ, „ვეტერან“ მოდელს წარმოადგენს და მიუხედავად იმისა, რომ ეს მანქანა ბევრი თვალსაზრისით, მოძველდა და არც მოდერნიზაციას ექვემდებარება, მას მაინც უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავს მთელ მსოფლიოში. ■

სიახლეები თანამედროვე ქალაქისთვის – Toyota-სგან

იაპონური ავტოგიგანტის ახალ მოდელებს შორისაა, კომპაქტური მოდელის — Yaris (რომელსაც უკვე დიდი რაოდენობით აწარმოებენ და წარმატებითაც ყიდიან ევროპაში) — სპორტული მოდიფიკაცია — Yaris T-Sport. ის 1,8 ლ მოცულობის ძრავათი (სხვა ტექნიკური მახასიათებლები ჯერჯერობით, არ ცხადდება) და სპორტული საკიდრითაა აღჭურვილი. მისი სერიული წარმოების დაწყების ზუსტი ვადა ჯერ არ გამოცხადებულა.

„ტოიოტის“ მეორე საინტერესო სიახლეს, კონცეპტუალური მოდელი — Concept Car Urban — წარმოადგენს. ის იაპონური კომპანიის ევროპულ სადიზაინერო ცენტრში შემუშავდა და მეგაპოლისებისთვის გათვალისწინებულ, კომპაქტურ-სპორტულ ყველგანმავალს წარმოადგენს. ■

Chevrolet Corvette ZO6

ევროპულ ბაზარზე ამერიკული სპორტული ავტომობილი — Chevrolet Corvette ZO6 გამოდის. საერთოდ, „კორვეტი“ მისი მწარმოებლის — კომპანია „ჯენერალ მოტორსისთვის“ ძალზე წარმატებულ მარკას წარმოადგენს: 53-წლიანი ისტორიის მანძილზე, ის 1,3-მილიონიანი ტირაჟითაა გამოშვებული. ახალი, სპორტული მოდიფიკაცია, ZO6 — წარმოუდგენელი — 512 ცხ.ძ. სიმძლავრის ძრავათია აღჭურვილი, რომელსაც ის ლემანის შეჯიბრების მონაწილეს, სარბოლო ავტომობილს — CR6-ს დაესესხა. მისი 8 ცილინდრი საერთო ჯამში, 7 ლ სამუშაო მოცულობისაა.

სიმძლავრით, ZO6, 20 ცხ.ძ-ით სჯაბნის სერიულ „კორვეტს“. მანქანა 6-საფეხურიანი გადაცემათა კოლოფითაა აღჭურვილი, ხოლო მისი ძარა, ჩამოსხმული მსუბუქი და მყარი კომპოზიტებისგანაა დამზადებული, რისი წყალობითაც, მანქანა სულ 1418 კგ-ს იწონის. სალონი საკმაოდ მოკრძალებულ სტილშია შესრულებული. თუმცა, მანქანა აღჭურვილია კლიმატ-კონტროლით, ხოლო სავარძლები — ინდივიდუალური რეგულირების მექანიზმითა და გამათბობლებით. ■

1 თეატრალური თოჯინა
2 მოკლე ლულიანი მსუბუქი თოფი
3 მრწამსი
4 ერთგვარი მრავალწლოვანი ბალახი
5 მანქანა-მოწყობილობების ერთობლიობა
6 ცრუ-მძიმრა ფეხბურთში
7 ფრანგული ანბანის ბოლოდან მეორე ასო
8 ტივტივა
9 მეზეკი სანქტ-პეტერბურგში
10 ახირებული სუვილი
11 პლანეტა ვენერას ქართ. სახელწოდება
12 ინფორმაციის ერთეული
13 სახელმწიფო აფრიკაში
14 ვისიმე ფოტოგრაფიული გამოსახულება
15 რუსი პოეტი
16 გულის ქინძისთავი
17 პატარა ბეწვის ბურთი ქუდზე
18 მოკრძალება
19 ... ლორთქიფანიძე
20 ინდოეთის დედაქალაქი
21 სიმებიანი მუს. საკრავი
22 რძის ნაწარმი
23 ისტორია
24 მშვილდის ბაწარი
25 უარის თქმა ვალის გადახდაზე
26 ძვირფასი ქვა
27 ბერიკაშვილი
28 ინგლისური ცეკვა
29 ბატკნის მოგების დრო
30 ჭაობის მცენარე
31 ქალის დაბალი სასიმღერო ხმა
32 მწერალი ... ბულაძე

წინა ნომრის სკანვორდის პასუხები

1. მიტენი; 2. სტილეტი; 3. ალასკა; 4. კურორტი; 5. გალერა; 6. რესორი; 7. კადილაკი; 8. ალაზანი; 9. ელევატორი; 10. ლეჩე; 11. ვარია; 12. ტოსკა; 13. ტირანა; 14. ნერონი; 15. ურანი; 16. ანძა; 17. პოლო; 18. სიბილა; 19. დალალი; 20. მალი; 21. უხა; 22. სეტი; 23. სიქა; 24. ზამბახი; 25. რისკი; 26. ნასა; 27. ნისლი; 28. დილა; 29. აქტი; 30. ქარსალა; 31. ფაქტი; 32. ანფასი; 33. დარვინი.

სურათზე: მეგ რაიანი.

27-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-ა; 3-ა; 4-გ.

ცნობილთა ცხოვრებიდან

***

ერთი მსახიობი მუცელს იყო გადაყოლილი. მუდამ თეატრის ბუფეტში იმყოფებოდა, ჯიბეებით სასუსნავი დაჰქონდა. სცენაზე გასვლის წინაც კი, კურდღელივით სულ პირს აცმაცუნებდა.

მიხეილ სარაულმა საიდანღაც ცხვრისა და გოჭის კბილები მოიტანა, პიერ კობახიძეს მისცა და სთხოვა — იქნებ, როგორმე მოახერხო, ღორმუცელას მჭადის ნატეხში ჩაუტენოო.

თეატრის სასადილოში პიერმა დრო იხელთა და სარაულის თხოვნა შეასრულა. ღორმუცელა ჭამას შეუდგა; უეცრად, გაჩერდა, სახე ეცვალა. პირიდან ჩუმად ძვლის ნატეხი გამოიღო, დახედა — კბილია; ყბები მოისინჯა. როცა დარწმუნდა, რომ მისი კბილი არ იყო, მაშინვე სასადილოს გამგეს დაეძგერა:

— ეს შენი მცხობლის კბილია! ვინ მოგცათ ნება, აქ თქვენი თანამშრომლების კბილები მაყლაპოთ და საღ-სალამათი კუჭი დამიზიანოთ?!

ყველა სიცილით კვდებოდა. წუწკი მსახიობი კი ვერაფერს ხვდებოდა.

***

ერთ მსახიობს ბაქიაობა უყვარდა, მისი ტრაბახით ყველას ყურები ჰქონდა გამოჭედილი. ერთხელ, როდესაც ის თეატრიდან გადიოდა, მას სარაული მიეპარა და ფართოფოფარფლებიან ქუდზე მიუმაგრა ფურცელი წარწერით — „შესაკეთებელია“.

ქუჩაში ბავშვები ყიჟინით აედევნენ. გახარებული ბაქია ნატრობდა — ნეტავ, ნაცნობი გამოივლიდეს ვინმე, ნახოს, ბავშვებშიც კი როგორი სახელი მაქვს მოხვეჭილიო...

***

რეჟისორ რაინჰარდტი რეპეტიციაზე მიმართავს უნიჭო მსახიობ ქალს:

— გადადგით კულისებისკენ რამდენიმე ნაბიჯი!

საბრალო მსახიობი, რომელიც უკვე სცენის ნაპირას დგას, სასოწარკვეთილი ამბობს:

— გამოდის, რომ სცენიდან უნდა გავიდე?

— სწორედ ამას ვგულისხმობ!

ანეკდოტები

***

ჭიჭიკია ქალს ინტიმურ კავშირს სთავაზობს.

ქალი:

— არავითარ შემთხვევაში, მხოლოდ ქორწილის შემდეგ.

— აუუ!.. ეხლა ეს გაათხოვე და მერე კიდო ამის ქმარს ემალე...

***

სასამართლოზე:

— თქვენ დაინახეთ როგორ ახრჩობდა ბრალდებული თქვენს სიდედრს?

— დიახ, დავინახე.

— მერე დასახმარებლად რატომ არ მიხვედით?!.

— თავიდან კი ვაპირებდი, პატივცემულო, მარა მერე მივხვდი, რომ მარტოც შეძლებდა...

***

ძალიან სქელი ქალი მიდის ექიმთან:

— ექიმო, შეგიძლიათ მასწავლოთ როგორ გავხდე? ან იქნებ, რამე ვარჯიში შემომთავაზოთ?

— ერთი ძალიან ეფექტური ვარჯიში ვიცი. თავი უნდა ამოძრაოთ მარჯვნივ და მარცხნივ, ხან ერთ მხარეს, ხან მეორე მხარეს.

— და როდის გავაკეთო ეს ვარჯიში, დილას თუ საღამოს?

— ყოველთვის, როცა საჭმელს შემოგთავაზებენ.

***

სვანმა მობილური იყიდა და მეზობელთან პარალელური გადაიყვანა.

***

ნარკომანი სახლში მაგარ კაიფში ბრუნდება და არ უნდა „დაიწვას“. თავისთვის ფიქრობს:

„შევალ ახლა სახლში, წამოვწვები, ავიღებ ყველაზე დიდ წიგნს და ვითომც არაფერი, დავიწყებ კითხვას“. მართლაც ასე მოიქცევა. უცებ, ოთახში ცოლი შედის:

— კიდე კაიფში ხარ არა? შე დეგენერატო?!

— რა სისულელეა, ტო... საიდან მოიტანე?

— ეხლა დროზე დადე ეგ ჩემოდანი და გაეთრიე აქედან!

***

ორ ჯარისკაცს სამზარეულოდან მოაქვს დიდი ქვაბი. შეხვდათ გენერალი.

— გაჩერდით! ერთი გამასინჯეთ რა მოგაქვთ, მომაწოდეთ კოვზი!

— აჰ!.. არა, ბატონო გენერალო!..

— რა, არა! როგორ მიბედავთ, დროზე კოვზი!!!

გასინჯა, არ მოეწონა და აღრიალდა.

— ეს არის „სუპი“?! ამას ეძახით თქვენ „სუპს“?!

— არა, ბატონო გენერალო, ეს „სუპი“ კი არა, ნარეცხი წყალია, გადასაქცევად მიგვაქვს...

***

— თქვენი ცოლის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ნუ ინერვიულებთ, ის კიდევ 100 წელი იცოცხლებს.

— კი მაგრამ მე?!.

***

— ექიმო, ჩემი ცოლი ძალიან განიცდის იმას, რომ მე მასზე ადრე ვამთავრებ.

— რამდენი ხნით ადრე?

— 1 საათით.

— და, მერე რას აკეთებთ?

— სამსახურიდან შინ ვბრუნდები.

***

— ბიჭიკია ცოლს რეიზა შორდები?

— ნამეტნავად აკურატულია.

— ი!.. მერე, ეგ ცუდია?..

— წარმეიდგინე, ღამე დგები, ტუალეტში გადიხარ, 2 წუთში უკან ბრუნდები და ლოგინი გასწორებული გხვდება.

***

— გამოიცანი რამდენი კბილი მაქვს?

— თუ ნორმალურ ადამიანს 32 აქვს, მაშინ შენ ალბათ — 28.

— აბა, რომელ ხელში?

***

— საყვარელო, შენ როგორი გოგოები მოგწონს, ლამაზები თუ ჭკვიანები?

— არც ერთი და არც მეორე... მე მხოლოდ შენ მიყვარხარ.

***

ფსიქოანალიტიკოსის კაბინეტში:

— თქვენს ოჯახში, შემთხვევით, განდიდების მანიით ხომ არ ყოფილა ან ხომ არ არის ვინმე შეპყრობილი?

— კი, ხანდახან ჩემი ქმარი განაცხადებს ხოლმე, მე ოჯახის უფროსი ვარო.

***

ფსიქიატრი სვან პაციენტს:

— არის ხოლმე შემთხვევა, რომ გესმით ხმა, მაგრამ არ იცით, ვინ გესაუბრებათ?

— კი!.. ხანდახან!

— მაინც როდის?

— როცა მობილურზე უცხო ნომრიდან მირეკავენ!

***

— ჩემმა ძმაკაცმა გუშინ კომპიუტერი გატეხა.

— ვაა, ჰაკერია?

— ჰაკერი კი არა, დეგენერატია, ხელიდან გაუვარდა.

***

გამომძიებელი:

— თქვენს ქმარს გაკვეთისას კუჭში იმდენი საწამლავი აღმოაჩნდა, რვა კაცს ეყოფოდა სასიკვდილოდ.

— იცით, ძალიან ღორმუცელა იყო!

***

— აუცილებლად უნდა წავიდეთ დედაჩემთან ძვირფასო, — ეუბნება ცოლი ქმარს, — შინაგანი ხმა მკარნახობს...

— ღმერთო ჩემო! — ამოიოხრა ქმარმა. — შენ კიდევ შინაგანი ხმაც გაქვს?!

***

— ვისი ბიუსტი დავდგა ჩემს პიანინოზე: ბრამსის თუ ბეთჰოვენის?

— ბეთჰოვენის. ის ხომ ყრუ იყო.

***

ცოლი ნერვიული საუბრის შემდეგ ყურმილს ახეთქებს. ქმარი კი ეკითხება:

— ვინ იყო?

— დედაჩემი. ეს ქალი ნახევრად გიჟია!

— აჰა, ესე იგი უკეთ არის.

თქვენი კომპლექსები

ქვემოთ მოცემულ მოსაზრებებთან დაკავშირებით გულწრფელად გამოხატეთ თქვენი დამოკიდებულება და ამოარჩიეთ თქვენთვის ყველაზე მისაღები პასუხები.

1. არავის ესმის ჩემი:
ა) ხშირად — 0; ბ) იშვიათად — 3; გ) მსგავსი არაფერი ხდება — 5.

2. თავს არაკომფორტულად ვგრძნობ:
ა) იშვიათად — 5; ბ) ეს სიტუაციაზეა დამოკიდებული — 3; გ) ძალზე ხშირად — 0.

3. ოპტიმიზმით ვარ აღსავსე:
ა) დიახ — 5; ბ) მხოლოდ იშვიათად — 3; გ) არა — 0.

4. ნებისმიერი რამით აღტაცება — ეს:
ა) სისულელეა — 0; ბ) გვეხმარება სირთულეების ატანაში — 3; გ) არის ის, რაც უმჯობესია, რომ ვისწავლოთ — 5.

5. მსურს, რომ ისეთივე ნიჭიერი ვიყო, როგორებიც სხვები არიან:
ა) დიახ — 0; ბ) ზოგჯერ მიჩნდება ამის სურვილი — 3; გ) ეს სულაც არ მაღელვებს — 5.

6. უამრავი ნაკლი მაქვს:
ა) დიახ, ეს მართლაც ასეა — 0; ბ) ასე არ მიმაჩნია — 3; გ) ეს სიმართლეს არ შეესაბამება — 5.

7. ცხოვრება მშვენიერია!
ა) ეს მართლაც ასეა — 5; ბ) მეტისმეტად ზოგადი ფორმულირებაა — 3; გ) სულაც არა — 0.

8. ვგრძნობ, რომ არავის ვჭირდები:
ა) ხშირად — 0; ბ) ზოგჯერ — 3; გ) იშვიათად — 5.

9. ჩემი საქციელი გაუგებარია ირგვლივ მყოფთათვის:
ა) ხშირად — 0; ბ) ზოგჯერ — 3; გ) ძალზე იშვიათად — 5.

10. მეუბნებიან, რომ მათ იმედებს არ ვამართლებ:
ა) ხშირად — 0; ბ) ზოგჯერ — 3; გ) იშვიათად — 5.

11. უამრავი დადებითი თვისებით გამოვირჩევი:
ა) დიახ — 5; ბ) რაღაც ღირსეული თვისებები მართლაც მაქვს — 3; გ) არა — 0.

12. პესიმისტი ვარ:
ა) დიახ — 0; ბ) გააჩნია სიტუაციას — 3; გ) არა — 5.

13. როგორც ყველა მოაზროვნე ადამიანი, მეც ვანალიზებ საკუთარ ქმედებებს:
ა) ხშირად — 0; ბ) ზოგჯერ — 3; გ) იშვიათად — 5.

14. ცხოვრება სევდიანი რამ არის!
ა) საბოლოო ჯამში, მართლაც ასეა — 0; ბ) მეტისმეტად ზოგადი ფორმულირებაა — 3; გ) სულაც არა — 5.

15. სიცილი — ჯანმრთელობის საწინდარი:
ა) ზედმეტად ბანალური ფორმულირებაა — 0; ბ) სასურველია, თუკი ეს რთულ სიტუაციაში მყოფსაც მეხსომება — 3; გ) სულაც არა — 5.

16. ირგვლივ მყოფები სათანადოდ არ მაფასებენ:
ა) საბწუხაროდ, ასეა — 0; ბ) ამას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ — 3; გ) სულაც არა — 5.

17. მკაცრად განვიკითხავ სხვებს:
ა) ხშირად — 0; ბ) ზოგჯერ — 3; გ) იშვიათად — 5.

18. ზედიზედ განცდილ რამდენიმე მარცხს, აუცილებლად მოჰყვება წარმატება:
ა) მჯერა ამის, თუმცა ვიცი, რომ გულუბრყვილობაა ამის დაჯერება — 5; ბ) შესაძლოა, ეს ასეც იყოს, მაგრამ ეს მეცნიერულად დამტკიცებული არ არის — 3; გ) არ მჯერა, რადგან ვიცი, რომ გულუბრყვილობაა ამის რწმენა — 0.

19. აგრესიულად ვიქცევი:
ა) ხშირად — 0; ბ) ზოგჯერ — 3; გ) იშვიათად — 5.

20. მარტოსულად ვგრძნობ თავს:
ა) იშვიათად — 5; ბ) ზოგჯერ — 3; გ) ხშირად — 0.

21. ქვეყანა არაკეთილმოსურნე ადამიანებითაა სავსე:
ა) მათი უმრავლესობა მართლაც ასეთია — 0; ბ) მხოლოდ ნაწილობრივ — 3; გ) სულაც არა — 5.

22. არ მჯერა, რომ იმის მიღწევა, რაც გსურს, მართლაც შესაძლებელია:
ა) იმიტომ, რომ არ ვიცნობ ისეთ ადამიანს, ვინც ეს შეძლო — 0; ბ) ზოგჯერ შესაძლებელია — 3; გ) დარწმუნებული ვარ, რომ ეს ასე არ არის! — 5.

23. ჩემს შესაძლებლობებს აღემატება ის, რა მოთხოვნებსაც ცხოვრება ადამიანებს უყენებს:
ა) ხშირად — 0; ბ) ზოგჯერ — 3; გ) იშვიათად — 5.

24. ალბათ, არ არსებობს ადამიანი, რომელსაც საკუთარი გარეგნობა აკმაყოფილებს:
ა) მეც ასე ვფიქრობ — 0; ბ) ალბათ, ვიღაც-ვიღაცები კმაყოფილები არიან — 3; გ) ასე არ ვფიქრობ — 5.

25. ზოგჯერ, როცა რაღაცას ვამბობ ან ვაკეთებ, სწორად ვერ მიგებენ ხოლმე:
ა) ხშირად — 0; ბ) ზოგჯერ — 3; გ) იშვიათად — 5;

26. კაცთმოყვარე ადამიანი ვარ:
ა) დიახ — 5; ბ) მეტისმეტად ზოგადი ფორმულირებაა — 3; გ) არა — 0.

27. ხდება ისე, რომ საკუთარ შესაძლებლობებში ეჭვი მეპარება:
ა) ხშირად — 5; ბ) ზოგჯერ — 3; გ) უფრო იშვიათად — 0.

28. საკუთარი თავით კმაყოფილი ვარ:
ა) ხშირად — 5; ბ) ზოგჯერ — 3; გ) იშვიათად — 0.

29. მიმაჩნია, რომ საკუთარი ქმედებები უფრო კრიტიკულად უნდა შეეფასოთ, ვიდრე სხვების:
ა) დიახ — 0; ბ) არ ვიცი — 3; გ) არა — 5.

30. მჯერა, რომ ყველაფრის რეალიზებას შევძლებ, რაც ცხოვრებაში დაგეგმილი მაქვს:
ა) დიახ — 5; ბ) ეს მხოლოდ ჩემზე არ არის დამოკიდებული — 3; გ) არა — 0.

ტესტის შედეგები

0-40 ქულა: სამწუხაროდ, დაკომპლექსებული ადამიანი ხართ. რაც უფრო ნაკლები ქულა გაქვთ, მით მეტი კომპლექსი გირთულებთ ცხოვრებას. ყველაფერი იმის ბრალია, რომ საკუთარ თავზე მეტისმეტად ნეგატიური წარმოდგენა გაქვთ. ეცადეთ, უფრო სხვა რაკურსით მიუდგეთ საკითხს, ყურადღება გაამახვილეთ იმაზე, რაც კარგი და დადებითი გაქვთ.

41-80 ქულა: საკუთარ კომპლექსებთან გამკლავების უნარით გამოირჩევით. თუმცა, თქვენ კომპლექსები ცხოვრებაში დიდად არც კი გიშლით ხელს. რაც მეტია თქვენ მიერ მოგროვილ ქულათა რაოდენობა, მით ნაკლები კომპლექსით იტანჯებით. დროდადრო, საკუთარი საქციელის ანალიზს უფრთხით, ლავირებთ, უკან იხევთ და კონფლიქტის თავიდან არიდებას ყველანაირ ხერხით ცდილობთ. სწორედ ამის გამოა, რომ ზოგჯერ პრობლემებთან გამკლავება გიჭირთ. დაიხსომეთ, სირაქლემასავით ქვიშაში თავის ჩარგვა, სიკეთეს არ მოგიტანთ, თქვენ გაქვთ იმის ძალა, რომ ნებისმიერ პრობლემას გაუმკლავდეთ.

81-130 ქულა: ყველა ნორმალური ადამიანის მსგავსად, თქვენც გაქვთ კომპლექსები, მიუხედავად ამისა, საკუთარი პრობლემების გადაჭრას, მშვენივრად ახერხებთ. რაც მეტია თქვენ მიერ მოგროვილ ქულათა რაოდენობა — მით უკეთესი. ობიექტურად აფასებთ როგორც სხვების, ასევე საკუთარ ქმედებებს. ყოველთვის შემართული ხართ და მიგაჩნიათ, რომ გამოუვალი მდგომარეობა პრაქტიკულად არ არსებობს. ხელთ გიპყრიათ საკუთარი ცხოვრების სადავეები და დინებას არ ხართ მინდობილი. შესაძლოა, სწორედ ამიტომაცაა, რომ ფორტუნა გწყალობთ. ერთადერთი, რაც შეიძლება გირჩიოთ, არის ის, რომ ასევე განაგრძოთ ცხოვრება.

131-150 ქულა: დარწმუნებული ხართ, რომ კომპლექსებისგან სრულიად თავისუფალი ბრძანდებით, მაგრამ იცოდეთ, რომ თავს იტყუებთ, უმჯობესია, გაცნობიერებული გქონდეთ საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეები. თქვენ მიერ წარმოსახული სამყაროსა და საკუთარი ხატების აღქმა, ძალზე შორს დგას რეალურისაგან. ყურადღებით მოისმინეთ რას ლაპარაკობენ სხვები თქვენზე, უფლება მიეცით მათ უფრო გულახდილად გითხრან თავიანთი სათქმელი. შესაძლოა, მათგან მოისმინოთ ის, რაც საკუთარი თავის რეალურად შეფასებაში დაგეხმარებათ. თავის მოტყუებამ შეიძლება, ძალზე ცუდი სამსახური გაგიწიოთ: შესაძლოა, გამუდმებული დაძაბულობისა და განგაშის გრძნობა დაგეუფლოთ — ეს კი, უარყოფითად იმოქმედებს თქვენს ჯანმრთელობაზე. შეეცადეთ, უფრო კრიტიკულად მიუდგეთ საკუთარი თავის შეფასებას და ამის შედეგად, თქვენსავე სისუსტეებთან გამკლავების ძალასაც აუცილებლად იპოვით.

ცნობილთა ცხოვრებიდან

***

ბავშვობაში, მსახიობი მაკო საფაროვა ბევრ დროს ალექსანდრეს ბაღში ატარებდა. ერთ დღეს, ბაღში მიმავალი, ბებიამ დაარიგა: ფრთხილად იყავი, არავის დაელაპარაკო, ბაღი ჯიბგირებით არის სავსეო.

ზის მაკო ბაღში. უეცრად მასთან პატარა ძაღლი მივიდა და ღაქუცი დაუწყო. მაკო მიეფერა, თავზე ხელი გადუსვა და აკოცა.

— უჰ, გოგონა, ძაღლს როგორ კოცნი?! — მოესმა მაკოს. აიხედა და მოღიმარი კაცი დაინახა. მაკომ უკმეხად მიახალა:

— ზოგჯერ ძაღლის კოცნა სჯობია, ზოგიერთ კაცთან ლაპარაკს.

უცნობმა გადაიხარხარა და უთხრა:

— ოჰ, შენ თუ ჭკუაც მაგისთანა მახვილი გაქვს, როგორიც ენა გქონია, ძალიან კარგი „აქტრისა“ გამოხვალ.

— როგორ მიბედავთ, რომ მაგისთანა სიტყვას მეუბნებით?! მოსამსახურე ხომ არ გგონივართ ან უპატრონო ვინმე?!

შორიახლოს, მაკოს დეიდაც იმყოფებოდა. გაბრაზებული მაკო მასთან მიიჭრა და შესჩივლა:

— დეიდა, აი, ის ვიღაც ოხერი, აქეთ რომ მოეთრევა, გადამეკიდა, — და მიუთითა უცნობ მამაკაცზე.

— ეგ იცი ვინ არის? დიდი მწერალი აკაკი წერეთელია! — უთხრა ქალმა. მაკოს შერცხვა. აილწა. ამასობაში აკაკიც მივიდა.

— ნება მიბოძეთ, გაგაცნოთ ჩემი დისწული — მიმართა აკაკის მაკოს დეიდამ.

— ნუ წუხდებით, ჩვენ უკვე ვიცნობთ ერთმანეთს და იმდენად კარგად, რომ ჩხუბიც კი მოვასწარით, — სიცილით უთხრა აკაკიმ და ყველაფერი უამბო.

***

პოეტი მამია გურიელი საუკეთესო დეკლამატორი იყო, განსაკუთრებით კარგად კითხულობდა თავის ლექსს — „ადამიანი“, რომლის ყოველი ტაეპი მთავრდებოდა სიტყვით — „ადამიანი“.

ერთ-ერთ საღამოზე იგი ამ ლექსს ჩვეული ოსტატობით კითხულობდა. საღამოს ესწრებოდა ცნობილი სომეხი მსახიობი ა. ადამიანი, რომელიც, როგორც საპატიო სტუმარი, პირველ რიგში იჯდა. ა. ადამიანს ეგონა, რომ პოეტმა ეს ლექსი ექსპრომტად მას მიუძღვნა — ყოველი ტაეპის დასასრულს ფეხზე დგებოდა და პარტერიდან გულითად მადლობას უძღვნიდა მამია გურიელს.

***

ლადო მესხიშვილის საყვარელი როლი იყო ფრანც მოორი შილერის „ყაჩაღებში“. ამ როლს დიდი ტემპერამენტით ასრულებდა და მაყურებლებზეც დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. განსაკუთრებით ამაღელვებელი იყო თავის ჩამოხრჩობის სცენა.

ლადო ჩამოკიდებდა თოკს, გაუკეთებდა მარყუჟს, ავიდოდა სკამზე, მარყუჟში თავს ისე ოსტატურად გაყოფდა, რომ ცალი მკლავიც მარყუჟში მოქცეულიყო. შემდეგ სკამს ფეხით წაიქცევდა და თვითონ, თოკზე ჩამოკიდებული, ხანგრძლივად რჩებოდა სცენაზე. მაყურებელიც მსახიობს ხანგრძლივი ტაშით აჯილდოებდა. მაგრამ მოგეხსენებათ — კოკა ყოველთვის წყალს არ მოიტანს. ერთ დღეს, ლადო შეხტა სკამზე, თავი მარყუჟში გაუყარა, ხელის გაყრა კი ვეღარ მოასწრო, ისე სწრაფად გაჰკრა სკამს ფეხი და... შემოცვივდნენ მსახიობები. მათ მოჰყვნენ მაყურებლებიც, მათ შორის — ექიმებიც. გულწასული ლადო აიყვანეს ხელში, დააწვინეს და ძლივს მოასულიერეს. ლადო სიკვდილისგან იხსნა ქუთაისში იმხანად ცნობილმა პიპინია მიქელაძემ. მაგრამ ეს შემთხვევა მსახიობისთვის საბედისწერო აღმოჩნდა: მას სამუდამოდ ჩაეხლიჩა ხმა.

იაპონური სენსაციია სუდოკუ

გთავაზობთ ციფრულ თავსატეხს სუდოკუს (იაპონურად „სუ“ ნიშნავს ციფრს, „დოკუ“ — ცალკე მდგომს). სუდოკუმ უკვე მოასწრო ევროპის კროსვორდმანების გულების დაპყრობა და ჩვენი ჟურნალის ფურცლებზეც გამოჩნდა. მის ამოსახსნელად ცარიელ უჯრებში უნდა ჩაწეროთ ციფრები 1-დან 9-მდე ისე, რომ არც ერთ სვეტსა და არც ერთ სტრიქონში ერთნაირი ციფრი არ გამეორდეს. სწორად ამოხსნილ სუდოკუში აგრეთვე, არ მეორდება ციფრები ბლოკებში 3X3. ჩვენ გთავაზობთ მარტივ და საშუალო სუდოკუს. გისურვებთ წარმატებას!

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

6	9	2	7	4	5	8	3	1
4	1	5	3	8	9	6	7	2
3	8	7	6	1	2	9	5	4
5	2	8	1	3	6	4	9	7
9	7	3	4	2	8	1	6	5
1	6	4	5	9	7	3	2	8
2	3	1	9	7	4	5	4	6
8	5	9	2	6	1	7	4	3
7	4	6	8	5	3	2	1	9

5	9	4	8	3	7	1	6	2
6	7	8	1	2	9	3	4	5
2	3	1	5	4	6	9	7	8
9	8	7	2	6	4	5	1	3
1	6	5	3	7	8	4	2	9
3	4	2	9	5	1	6	8	7
8	1	3	6	9	2	7	5	4
7	5	6	4	8	3	2	9	1
4	2	9	7	1	5	8	3	6

* მარტივი

1		5			7		4	
	4	7	5	3		1	8	
2	9		8	4			6	5
	1	6	7		3	4		8
	7	8		5	4	6	2	1
4			1	6			7	
	5		3	7		2	1	6
9	6	2		1	5	8		
		1	2	8		9		4

** საშუალო

		9	5	4	3			8
	8						5	4
3				2	8			
8						4		2
5		3					1	6
9		1			4	8		
			4		9	5	6	
	6			7		9	8	
1	9		3	5				

ფოტოკოლიაჟები





ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲒᲠᲩᲔᲗ!

№4(39), 24 თებერვალი-9 მარტი, 2006

ფასი 80 თეთრი

ᲙᲐᲠᲘᲭᲭᲚᲘ

მართლმადიდებლური ჟურნალი

ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲗᲔᲛᲐ:
ᲑᲔᲠᲛᲝᲜᲐᲖᲕᲜᲝᲑᲐ

ᲓᲔᲓᲐ ᲜᲘᲜᲝ: ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲪᲮᲝᲓᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲢᲘᲠᲚᲐᲓ ᲕᲐᲠᲗ ᲛᲝᲡᲣᲚᲜᲘ

„ᲜᲣ ᲨᲠᲣᲜᲐᲕ ᲩᲕᲐᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“

ᲐᲠ ᲛᲘᲣᲢᲔᲕᲔ? – ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲗᲐᲕᲡ ᲛᲢᲠᲝᲑ

ᲓᲘᲓᲘ ᲛᲐᲠᲩᲕᲐ

ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲘᲪᲐᲚᲝᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲜᲐᲑᲘᲯᲘ ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ

ᲧᲔᲠᲓᲔᲚᲘ!